# ნოტარიატი

# ლექციების კურსი

მეორე გამოცემა

ბესიკ სეხნიაიძე

ვაკის რაიონის ნოტარიუსი
დოცენტი ი.მ.კ.

თბილისი – 2006წ.

ჩვენი ლექციათა კურსის მიზანია წარმოვაჩინოთ ეს იურიდიული ინსტიტუტი მისი განვითარების ისტორიულ პროცესში. ვაჩვენოთ, თუ როგორ ხდებოდა სანოტარო სამართლის ჩამოყალიბება და ხანგრძლივი მეტამორფოზების შემდეგ, როგორ აისახა იგი თანამედროვე სამართალში.

ვისახავთ, რა ამ მიზანს გვსურს დახმარება გავუწიოთ ამ დარგის უკეთ შესწავლაში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და მომავალ ნოტარიუსებს.

2004 წელს ლექციათა კურსის გამოქვეყნების შემდეგ ცვლილებები შევიდა როგორც სამოქალაქო, ასევე სანოტარო კანონმდებლობაში. მოქმედებაში შევიდა ახალი ინსტრუქცია „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“. ამ მიზეზით და აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე გამოქვეყნდა „ნოტარიატი ლექციების კურსი“-ის მეორე გამოცემა.

მადლობას ვუხდით ყველა იმ კოლეგას, რომელთაც თავისი შენიშვნებით, თუ კეთილი სურვილებით ხელი შეუწყეს ამ კურსის გამოცემას.


რეცენზენტები:
1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის დეპარტამენტის უფროსი
   ინგა ქომეთიანი
2. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ კანონის უზენაესობის და საჯარო ადმინისტრირების პროგრამების მენეჯერი
   თამარ ქალდანი

რედაქტორი: ჟურნალ „საქართველოს ნოტარიატი“-ს რედაქტორი
მაკა ტყებუჩავა

# თემა პირველი

## ლექცია I — შესავალი სპეციალობაში სანოტარო სამართლის საგანი, სანოტარო სამართლის წყაროები

***სანოტარო სამართლის საგანი*** იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში „ნოტარიატის“ სპეცკურსის შემოღება მოწმობს იმ დიდ როლზე, რომელსაც ნოტარიატი ასრულებს ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის დამკვიდრებაში. „ნოტარიატის“ როგორც სპეცკურსისი სწავლება უმაღლესი სკოლის იურიდიულ ფაკულტეტებზე საშუალებას გვაძლევს მოვამზადოთ, ყოველმხრივ განათლებული და დიდი დიაპაზონის იურისტები, რომლებიც ჩაკეტილები არ იქნებიან, რომელიმე ვიწრო იურიდიული საგნის ჩარჩოებში. ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა პრინციპულად შეცვალა მანამდე არსებული კერძო სამართალი, ამის ბრწყინვალე დადასტურებაა საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის სამართლის სისტემაში კონსტიტუციის შემდეგ პრიორიტეტული ადგილი უკავია. დიდია სამოქალაქო სამართლის გავლენა სხვა დარგებზე და მათ შორის სანოტარო სამართალზე; მაგრამ რამდენადაც, სამართლის სხვა დარგების მსგავსად სანოტარო სამართალი აწესრიგებს მისთვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს საჭიროა განვსაზღვროთ თუ, რომელია ეს საზოგადოებრივი ურთიერთობები.

პირველი ჯგუფის საზოგადოებრივი ურთიერთობები რომლებსაც სანოტარო სამართალი აწესრიგებს არის თვით ნოტარიატის ორგანიზებულ-სამართლებრივი წყობის დადგენა და მისი ფორმირების წესი. ნოტარიატი, როგორც სისტემა სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისა, არაერთგვაროვანია. მათგან მნიშვნელოვანია ნოტარიუსთა პალატა, ნოტარიუსთა პალატა კორპორაციული, პირთა წევრობაზე დამყარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია და ამიტომ მის არსებობას დიდად განსაზღვრავს პალატის წევრთა უფლებამოსილება. პალატის მმართველობის ყველა რგოლი მისი წევრებისაგან არის დაკომპლექტებული და ყველა ორგანიზებული საკითხი ურთიერთშეთანხმებით — კოლეგიურობის პრინციპით წყდება. სანოტარო სამართლით პალატის მმართველობის უმაღლეს ორგანოდ მისი საერთო კრებაა

აღიარებული, ხოლო კრებებს შორის შუალედში — საერთო კრების მიერ არჩეული ნოტარიუსთა პალატის გამგეობა.

ნოტარიატის სისტემის სხვა რგოლს წარმოადგენს თანამდებობის პირები, ეისაც კანონით მინიჭებული აქეთ უფლება, შეასრულონ სანოტარო მოქმედებები. ეს პირები ინიშნებიან არ ირჩევიან. მათთვის გათვალისწინებული წესით. მაგალითად, ციხის უფროსი დაინიშნება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ხოლო სოფლის, თემის, დაბის გამგებელი, რომელსაც შეიძლება დავალებული ჰქონდეს სანოტარო მოქმედებების შესრულება, აირჩევა შესაბამისი საკრებულოს მიერ.

სამართალურთიერთობის მეორე ჯგუფი, რომელსაც სანოტარო სამართალი აწესრიგებს, სანოტარო მოქმედებათა შესრულების არსებით მხარეს შეეხება. სამართლის სუბიექტები მათთვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების მიზნით ურთიერთშორის ყოველდღიურად ამყარებენ სამართალურთიერთობებს. ეს ურთიერთობები, როგორც წესი გარიგებების დადებაში გამოIხატება. სამართლის სუბიექტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, სახელმწიფო ცალკეულ შემთხვევებში აწესებს რომ ზოგიერთი გარიგება და სხვა სამართალურთიერთობები ძალას იძენს მხოლოდ მათი სანოტარო წესით დამოწმების ან დადასტურების შემდეგ. მაგალითად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, უამრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის საჭიროა, გარიგების სანოტარო წესით დამოწმება, სამემკვიდრეო ქონების მიღებისათვის — ნოტარიუსის მიერ გაცემული მემკვიდრეობის უფლების მოწმობა და ა.შ.

ყველა იმ მრავალრიცხოვან მოქმედებას, რომელსაც ნოტარიუსები და საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები თუ თანამდებობის პირები ახორციელებენ, სანოტარო მოქმედებები ეწოდება. სანოტარო მოქმედებათა განხორციელების პროცესში კი ნოტარიუსები სამართალურთიერთობებში ებმებიან იმ პირებთან, რომლებიც მას სანოტარო მოქმედებათა შესრულებებს სთხოვენ. სწორედ ამ სამართალურთიერთობებს ეწოდება სანოტარო სამართალურთიერთობები.

სასამართლო საქმიანობისაგან განსხვავებით სანოტარო სამართლის საგანი ფიზიკური და იურიდიული პირების უდაო უფლებებისა და ფაქტების დამოწმება და დადასტურებაა[1].

*სანოტარო სამართლის წყაროები* სამართლებრივ ლიტერა-ტურაში სამართლის წყარო ორგვარი გაგებით იხმარება. სამართლის წყარო მატერიალური გაგებით და სამართლის წყარო ფორმალური ანუ იურიდიული გაგებით. ეს შემთხვევითი გარემოება არ არის ვინაიდან, როცა რაიმე მოვლენისა თუ არსების წყაროზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ იგულისხმება ამ მოვლენის თუ არსების შემქმნელი ძალა, ის საფუძველი, რამაც განაპირობა ამ სამართლის ნორმის მიღება. ასეთი წყარო, სამართლის ასეთი შემქმნელი განმსაზღვრელი ძალა არის საზოგადოების ცხოვრების განვითარების დონე, ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები. ეს დონე განაპირობებს სამართლებრივ ნორმათა ხასიათს, მათ შინაარსს. მარტივად რომ ვთქვათ, ცხოვრება როგორი კანონის, სამართლის როგორი ნორმის საჭიროებასაც მოითხოვს, ისეთი კანონის, ნორმის მიღება დგება დღის წესრიგში და სწორედ ეს ნორმა მოევლინება საზოგადოებას სავალდებულო სამართლებრივ აქტად. ამიტომ იხმარება ლიტერატურაში სამართლის წყარო ორგვარი გაგებით – მატერიალური და ფორმალური ანუ იურიდიული გაგებით.

სამართლის წყაროს მატერიალური გაგებისაგან განსხვავებით იურიდიულ ლიტერატურაში უმთავრესად იხმარება სამართლის წყარო იურიდიული ანუ ფორმალური გაგებით.

სამართლის წყარო ასეთი გაგებით გულისხმობს სამართლის გამოსახვის ფორმას, სამართლებრივი აქტის სახეს, სამართლებრივი ნორმის ამა თუ იმ ფორმას, რომელშიც ეს ნორმა არის ჩამოყალიბებული, გამოსახული. ყველა ეს ნორმა, მიუხედავად იმისა, თუ რა სახე ექნება მას, რომელი აქტის სახელდებაც არ უნდა მიეცეს, სავალდებულო ძალის იურიდიული აქტია. ამიტომ ვამბობთ, რომ ეს

1. Н. Полтавская, В. Кузнецов – Нотариат. М. 1998, ст. 3-4-5
2. დავით სუხიტაშვილი – საქართველოს სანოტარო სამართალი. გე. 2-3-4-5

ნორმები სამართლის წყაროებია ზოგადად და მისი ამა თუ იმ დარგის წყაროები კონკრეტულად.

სამართლისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშანია ის რომ იგი გამოსულია რაიმე ფორმით, ე.ი. სამართლის წყარო, იურიდიული გაგებით, არის სამართლის გამოსახვის იურიდიული ფორმა.

ქართველმა კანონმდებელმა სამართლის იურიდიული წყაროს ცნების გამოსახატავად ისმარა ტერმინი „ნორმატიული აქტი“. საქართველოს 1995 წლის 29 ოქტომბრის კანონმა „ნორმატიული აქტების შესახებ“, მოგვცა როგორც სამართლებრივი აქტის, ისე მისი სახეების განმარტება. კანონის მეორე მუხლის თანახმად სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) შესასრულებლად სავალდებულო აქტი. სამართლებრივი აქტი ორი სახისაა: ნორმატიული და ინდივიდუალური. კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“ ჩამოთვლილია, ნორმატიული აქტების სახეები.

კანონი განსაზღვრავს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. კანონის მე-5 მუხლით საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს მიეკუთვნებიან: კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი. ხოლო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს: პრეზიდენტის ბრძანებულება, პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება.

კანონი ადგენს ნორმატიული აქტების იერარქიას მათი იურიდიული ძალის მიხედვით:

1. საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი;
2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
3. საქართველოს ორგანული კანონი;
4. საქართველოს კანონი; საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
5. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;
6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება;

7. საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანება.

სანოტარო სამართლის იურიდიული წყაროს, სამართლებრივი ნორმის ცნება, ძირითადად ემთხვევა ნორმატიული აქტის ცნებას; რამდენადაც კერძო სამართლისათვის სავალდებულო ძალის მქონეა ის ნორმა, რომელიც მრავალჯერადი და ზოგადი ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, სამართლის წყარო და ნორმატიული აქტი ერთი და იგივე შინაარსს არ შეიცავს. ნორმატიული აქტი სამართლის უმთავრესი იურიდიული წყაროა, მაგრამ არა ერთადერთი. ნორმატიული აქტი წერილობითი ხასიათის წყაროა, მაშინ როცა სამართლის წყარო შეიძლება იყოს არაწერილობითი ნორმაც (ადათი, ჩვეულება). გარდა ამისა ნორმატიული აქტების გარდა არსებობს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტიც, რომელიც ერთჯერად ხასიათს ატარებს, მაგრამ ზოგჯერ ჩაითვლება სამართლის წყაროდ სამართლის რომელიმე დარგში.

ნორმატიული აქტების, სამართლის წყაროების, მოცემულ შემთხვევაში სანოტარო სამართლის წყაროების შესწავლას, მათ ანალიზს და შეფარდებას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკაში. იმისათვის, რომ ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობას სწორედ შეეფარდოს ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა, საჭიროა პირველყოვლისა დადგინდეს, თუ რომელი ნორმით, სამართლის რომელი წყაროთი უნდა მოწესრიგდეს ეს ურთიერთობა შემდეგ მოხდეს ამ ნორმის სწორი გაგება და მისი მასა დგება ამ ურთიერთობასთან.

სამართლის ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც სანოტარო სამართალურთიერთობებს აწესრიგებენ სანოტარო სამართლის წყაროები ეწოდება. სამართლის ეს ნორმები წარმოდგენილია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. დღეისათვის სანოტარო სამართლის ორი სპეციალური საკანონმდებლო აქტია მიღებული. 1996 წლის 3 მაისის კანონი „ნოტარიატის შესახებ" 1998 წლის 11 ივნისის კანონი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ". სანოტარო სამართლის სპეციალური სამართლებრივი აქტები ამით არ ამოიწურება სანოტარო სამართალურთიერთობების მოწესრიგების საქმეში დიდი როლი კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს უკავია. მათ მიეკუთვნება: 2001 წლის 29 აგვისტოს „დებულება ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ". იმავე წლის „საქართველოს ნოტარიუსთა

პალატის წესდება“ და 2005 წლის 22 დეკემბრის „ინსტრუქცია სანოტარო მოქმედებათა შესახებ“.

სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, სანოტარო კანონმდებლობის სისტემა განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა. სანოტარო მოქმედებათა მრავალფეროვნების გამო სანოტარო სამართალი ვერ უზრუნველყოფს სანოტარო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას სამართლის მომიჯნავე დარგების გარეშე. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო კანონმდებლობა. მისი ცალკეული ნორმები ისე მჭიდროდაა დაკავშირებული სანოტარო სამართალთან, მაგალითად იმპერატული ნორმები, რომლებიც გარიგების სანოტარო ფორმის სავალდებულო შესრულებას მოითხოვენ, რომ არა ისინი მხოლოდ სამოქალაქო სამართლის, არამედ სანოტარო სამართლის კუთვნილებაცაა.

---

ავთანდილ კობახიძე, სამოქალაქო სამართალი I. ზოგად ნაწილი თბ. 2001. გვ. 42-46

დავით სუხიტაშვილი – საქართველოს სანოტარო სამართალი. თბ. 2002 გვ. 18

# თემა მეორე

# ნოტარიატის ისტორია

## ლექცია II – ნოტარიატის ისტორია.

**ნოტარიატი რომში, საეკლესიო ნოტარიატი, ნოტარიუსი გერმანულ ტომებში, ნოტარიუსთა კორპორაციები, ნოტარიატი საფრანგეთსა და გერმანიაში, სანოტარო დოკუმენტების შენახვის წესი, ნოტარიატი რუსეთში, ნოტარიატი საქართველოში.**

***§1. ნოტარიატი რომში***

რომის იურისპრუდენციამ, რომელმაც გამოიმუშავა ფორმულები და ფორმულაინები რომაელი მოქალაქეების მიერ დადებული სამართლებრივი გარიგებებისათვის, უფლება მიანიჭა სახელმწიფოს წარმომადგენლებს მიეცათ ამ გარიგებებისათვის წერილობითი, დოკუმენტური ფორმა. იმ იურიდიული აქტების რედაქცია, რომლებიც სასამართლოს გარეთ იდებოდა და რომელსაც სჭირდებოდა მკაცრად განსაზღვრული იურიდიული ფორმის მიცემა წარმოადგენდა რომაელი იურისკონსულტების საპატიო ფუნქციას, რესპუბლიკის პერიოდსა და იმპერიის დასაწყისში. ამ შემოქმედ პირთა გვერდით იდგა მეორე ჯგუფი პირებისა, მექანიკური სამუშაოს შემსრულებელი მასა, უბრალო გადამწერები, რომლებიც იურიდიულ მასალას აძლევდა ტრადიციულ ფორმას. ისინი ორ კატეგორიად იყოფოდნენ „scribae, exceptoreset notari". მწერლების ეს ორი ღირებული კატეგორია, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ იურიდიული მასალისათვის დოკუმენტური ფორმის მიცემით, ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ იმით, რომ პირველნი იმყოფებოდნენ სახელმწიფოს სამსახურში, ხოლო მეორენი – კერძო პირების.

პირველადი წყაროები scribae-ს შესახებ იმდენად მწირია, რომ ამ დაწესებულების ორგანიზაციული ფორმის, მათი დამოკიდებულების შესახებ მაგისტრატებთან, რომელთა გარშემოც ისინი იყვნენ დაჯგუფებულნი, მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ სრული სურათის აღდგენა თითქმის შეუძლებელია.

Scribae-ს თანამდებობაზე შეიძლება დანიშნულიყო მხოლოდ რომის მოქალაქე და ამასთან იმ პირობით, თუ მას ჩადენილი არ ჰქონდა ისეთი დანაშაული, რაც მისთვის ღირსების ჩამორთმევის საფუძველი იყო. აქედან გამომდინარე პერეგრინებს და

ჰკუასუსტებს არ შეეძლოთ ამ თანამდებობის დაკავება. სახელმწიფო მწერლის თანამდებობა იმდენად მომხიბლავი იყო, რომ ამ თანამდებობის დასაკავებლად მონობიდან განთავისუფლებულებსა და რომის ღარიბ მოსახლეობას შორის დიდი კონკურსი ეწყობოდა. scribae-ს ირჩევდნენ მაგისტრატები. ერთხელ არჩეული scribae თანამდებობას სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა. მას შეეძლო თანამდებობა გაეყიდა, თავის თანამდებობაზე დაენიშნა სხვა პირი, თუმცა მთლიანი შემოსავალი ეკუთვნოდა მას, მოვალეობის შემსრულებელი კი scribae-სგან იღებდა გასამრჯელოს. მაგისტრატს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო scribae-სთვის უარი ეთქვა თანამდებობის გაყიდვაზე, ან მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნაზე, თუ ამ უკანასკნელს არასაკმარისი კვალიფიკაცია ჰქონდა. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში scribae-ს მიმართ სასამართლო პროცესში მონაწილეობდნენ პრეტორი, ედილები და თვით ის მაგისტრიც, რომლის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა ეს უკანასკნელი. განსაკუთრებით გამორჩეული მწერლების რიცხვიდან მაგისტრები თავიანთ თანამშრომლებს ირჩევდნან.

მწერლების მოვალეობაში შედიოდა საჯარო დოკუმენტების მომზადება და საზოგადოებრივი ანგარიშების წარმოება (ამიტომაც იწოდებოდნენ ისინი scribae librarii-ად), საჯარო დოკუმენტებიდან ამონაწერებისა და ასლების დამზადება და მათი გადაცემა მთხოვნელებისათვის. მათვე ევალებოდათ სხვადასხვა დეკრეტის მომზადება და ამ დოკუმენტების შენახვა. ისინი ვალდებულები იყვნენ დასწრებოდნენ პრეტორის სასამართლოს და სხდომის მიმდინარეობა ჩაეწერათ სასამართლოს ჟურნალებში. ალბათ, ამ სასამართლო ჟურნალებში უნდა ვეძებოთ საწყისი დღევანდელი სასამართლო სხდომის ოქმებისა.

მწერლები, ისევე როგორც მაგისტრებთან არსებული სხვა ტექნიკური მუშაკები, სახელმწიფო ხაზინიდან იღებდნენ გასამრჯელოს. როგორც სულას კანონებიდან ჩანს, მას წლიური სახე ჰქონდა. გასამრჯელოს რაოდენობაზე ზუსტი ცნობები არ მოიპოვება. გასამრჯელოს გარდა ისინი იღებდნენ საჩუქრებს (ოქროს ბეჭედი,ცხენი და ა.შ.)

ყველა ის scribae, რომელიც მიმაგრებული იყო მაგისტრატზე, ერთიანდებოდნენ კორპორაციებში. ისინი საზოგადოებაში პატივისცემით სარგებლობდნენ.

შემდგომ კატეგორიას შეადგენდა პირები, რომლებიც, მართალია, scribae-ების მსგავსად წერილობითი სახით გადმოსცემდნენ სამართლებრივ მასალას, მაგრამ იმყოფებოდნენ არა სახელმწიფოს, არამედ კერძო პირების სამსახურში. ისინი იყვნენ თავისუფალი მოქალაქეები, რომლებიც შრომითი ხელშეკრულებით მდივნებად მუშაობდნენ მდიდარ რომაელებთან, ან მონები. პირველებს ეწოდებოდათ exseptore ზოგჯერ კი linrarii, ხოლო მეორეებს notarii. ორივე კატეგორია ხშირადაა მოხსენიებული დიგესტებში.

თვითონ სიტყვას „ნოტარიუსის „წარმოშობა დაკავშირებულია მწერლების მიერ ტექსტის კარნახით (სტენოგრაფიული) ჩაწერისას სპეციალური ნიშნების (notae) გამოყენებასთან, რის შესახებაც ასევე ნახსენებია დიგესტები. ამ ნიშნებს, რომლებმაც შემდგომში სპეციალური სახელი (notae tironianac) მიიღო, იყენებდნენ არა მხოლოდ მონა მწერწლები, არამედ სახელმწიფო სამსახურში მყოფი scribae-ც.

ასეთი იყო სანოტარო ინსტიტუტები რესპუბლიკის პერიოდის რომში.

რაც შეეხება იმპერიის პერიოდს, ნოტარიატთან დაკავშირებული ტერმინები თითქმის იგივე დარჩა, ხოლო შინაარსი მთლიანად შეიცვალა, რადგანაც იმპერატორის ხელისუფლებამ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა.

რესპუბლიკის დროინდელი სახელწოდება exeptores, რომელიც მხოლოდ იმ თავისუფალ მოქალაქეებს ეწოდებოდათ, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდნენ მდიდარ რომაელებთან, მეოთხე, მეხუთე საუკუნეებში საერთო სახელდა იქცა ყველა მწერლისათვის იმის მიუხედავად, ვის ემსახურებოდა- სახელმწიფოს, თუ კერძო პიროვნებას. exceptores-ის მსგავსად, სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეებმა კერძო მწერლების სხვა სახელწოდებაც (notarii) მიიღეს. იმპერატორ გორდიანეს დროს სახელწოდება „notarus“ ეწოდებოდათ იმპერატორის მდივნებს, რომელთა ფუნქციებში შედიოდა ოქმების წარმოება in consistorio sacro და კეისრის ყველა ბრძანებულების მომზადება. ამდენად, notarus-მა ფაქტიურად დაიკავა სახელმწიფო მდივნის თანამდებობა.

ნოტარიუსების კეთილდღეობა იმპერატორების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო. „ნოტარიუსის „წოდებას ისინი ინარჩუ-

ნებდნენ მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო მდივნის თანამდებობიდან უფრო მაღალ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ.

ისევე, როგორც რესპუბლიკის პერიოდში, ამ პერიოდშიც ნოტარიუსები ქმნიდნენ კორპორაციებს, რომელთა წარმომადგენელსაც ეწოდება primicer ius notariorum, მათ შემდეგ მოდიოდა deceinprimi, რომელთაც ხანდახან tribuni et notarii-ს უწოდებდნენ, ხოლო მათ წარმომადგენელს secundicerius ეწოდებოდა. შემდეგ მოდიოდნენ სხვა ნოტარიუსები, რომელთაც domestici et notarii ეწოდებოდათ და უბრალო ნოტარიუსები - notarii.

ის ნოტარიუსები, რომლებიც ხუთი წლის განმავლობაში თავს არიდებდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, ამოირიცხებოდნენ ნოტარიუსთა სიიდან, მაგრამ არ ერთმეოდათ უფლება ესარგებლათ ნოტარიუსების პრივილეგილებით.

კერძო მწერლები, ისევე როგორც რესპუბლიკის დროს, იმყოფებოდნენ მდიდარი მოქალაქეების სამსახურში, მაგრამ თუ დასახელება exceptores იმპერიის დროს გახდა მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურეების წოდება, იგივე არ შეილძება ითქვას notarus-ზე. notarus-ი ეწოდებოდა სახელმწიფო მდივნების თანამდებობას, აგრეთვე არათავისუფალ მწერლებსა და ეპისკოპოსების მწერლებს, რომლებიც დაპყვებოდნენ ეპისკოპოსებს და იწერდნენ მრევლისადმი მათი მიმართვის შინაარსს.

ზემოთ ჩვენ დავასახელეთ ორი კატეგორიის მწერლები, რომელთაგან ერთნი სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდნენ, ხოლო მეორენი - მდიდარი რომაელი მოქალაქეებისა. მაგრამ არსებობდა მესამე კატეგორიაც, რომლიის წარმომადგენლებიც, რომელთა ფუნქციაც ასევე იურიდიული მასალისათვის წერილობითი ფორმის მიცემა იყო, თუმცა ისინი არც სახელმწიფოს და არც მდიდარი მოქალაქეების სამსახურში არ იმყოფებოდნენ. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო მაინც აკონტროლებდა მათ საქმიანობას. ამ პირებს ერქვათ ტაბელიონები, რომლებიც გათანაბრებულნი იყვნენ იურისტკონსულტებთან და ადვოკატებთან. ამდენად, „tabeliones“ სახელწოდების უკან იგულისხმებოდა პირთა ის კატეგორია, რომლებიც არ იმყოფბეოდნენ სახელმწიფო სამსახურში და როგორც თავისუფალი პროფესიის პირები, ადგენდნენ იურიდიულ დოკუმენტებს, მათ შორის, სასამართლოში წარსადგენ საბუთებს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ანაზღაურების საფასურად.

ტაბელიონი შეილძება ყოფილიყო ყველა თავისუფალი მოქალაქე, რომელმაც იცოდა კანონები, სამართალი. ულპიანე ტაბელიონებს აყენებს იურისტკონსულტებისა და ადვოკატების გვერდით. იგი იმასაც მიუთითებს, რომ, ვიდრე პირი ტაბელიონი გახდებოდა, აუცილებელი იყო ემუშავა ტაბელიონის თანაშემწედ. თანაშემწედ დანიშვნისათვის აუცილებელი იყო ტაბელიონის მიერ მაგისტრატისათვის განცხადების წარდგენა. განცხადებაში ტაბელიონს უნდა მიეთითებინა, რომ მას სურდა ამა თუ იმ პირის თავის თანაშემწედ დანიშვნა. თანაშემწეობის ვადა და ის, შეეძლო თუ არა თანაშემწეს ტაბელიონის მიერ დანაშაულის ჩადენისას, ან მისი გარდაცვალებისას ტაბელიონის თანამდებობის დაკავება, წყაროებში არ ჩანს.

თავისი მოვალეობა ტაბელიონს უნდა შეესრულებინა თავის კანტორაში - stationes, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ეძლეოდა მას ამა თუ იმ მოქმედების შინ შესრულების უფლება. Stationes-ი მდებარეობდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. დიდ ქალაქებში, ისეთებში, როგორიც იყო კონსტანტინოპოლი, რომი, რავენა, კანტორები მრავალი იყო. სტატიონეს ან ტაბელიონის საკუთრება იყო, ან იგი დაქირავებული იყო ტაბელიონის მიერ. ამავე დროს, ტაბელიონს შეეძლო ჰქონოდა არა ერთი, არამედ რამდენიმე stationes-ი, სადაც საქმის წარმოების უფლება ჰქონდა მის ოფიციალურ თანაშემწეს. ტაბელიონს ამავე დროს ჰყავდა მოსწავლეებიც.

ამრიგად, ტაბელიონის კანტორაში იმყოფებოდნენ თვითონ ტაბელიონი, მისი ოფიციალური თანაშემწე, რომელსაც უფლება ჰქონდა საჭიროების დროს შეესრულებინა ტაბელიონის მოვალეობა, და მოსწავლეები, რომლებიც ძირითადად კლერკების მოვალეობას ასრულებდნენ.

ტაბელიონები ყველა ქალაქში ადგენდნენ თავიანთ კორპორაციებს, რომელთაც primicerius ეწოდებოდათ. შემონახულია რავენის ტაბელიონების კორპორაციის ორგანიზაციული მოწყობის 6 იმუში, რომელიც აღწერილი იყო ქალაქის დოკუმენტებში. კორპორაციის უფლებები მისი წევრების მიმართ და წევრთა უფლებები კორპორაციის მიმართ აღწერილია ლეონის 889 წლის ნოველებში, საიდანაც ირკვევა, რომ ტაბელიონის არჩევა დამოკიდებული იყო კორპორაციის წევრებზე, ხოლო ამ თანამდებობაზე დამტკიცება - ქალაქის პრეფექტზე. ამომრჩევლებს ჯერ ფიცი უნდა დაედოთ, რომ პიროვნების ტაბელიონად არჩევისას ისინი ხელმძღვანელობდნენ არა მათი პირადი ურთიერთობით, არამედ კანდიდატის საქმიანი თვისებე-

ბითა და ცოდნით. ახლადარჩეული ტაბელიონი, შემოსილი სპეციალურ მანტიაში, მიჰყავდათ პრეფექტთან, სადაც მას გადაეცემოდა ოქროს ბეჭედი ტვიფრით. მერე კი იგი კორპორაციის წევრებთან ერთად, რომლებიც ასევე შემოსილნი იყვნენ სპეციალური სამოსით, მიდიოდნენ ეკლესიაში, სადაც ახლად არჩეულ ტაბელიონს ფიცის დადების შემდეგ აცმევდნენ თეთრ ფელონს.

ტაბელიონების საქმიანობას აკონტროლებდა სახელმწიფო. ქალაქებში კონტროლის უფლებამოსილება ჰქონდა magister census-ს, ხოლო პროვინციებში - დეფენზორებს. ტაბელიონებს კანონით აკრძალული ჰქონდათ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცემოდნენ. ასეთ გარიგებებს მიეკუთვნებოდა: 1) თუ ვინმე გადასახადების დაფარვის მიზნით ისარგებლებდა პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლის კეთილგანწყობით და თავის ქონებას აღრიცხავდა მის სახელზე ჩუქების, სესხის, ნასყიდობისა თუ სხვა გარიგების გამოყენებით, ასეთი გარიგება ბათილად იქნებოდა ცნობილი, ხოლო ტაბელიონი, რომელიც ასეთ აქტს დაამოწმებდა, პასუხს აგებდა მთელი თავისი ქონებით; ჩამორთმეული ქონება გადაეცემოდა სახელმწიფოს; 2) ჩუქების ხელშეკრულება, რომლეიც დაიდებოდა კონსტანტინოპოლში, უნდა გაფორმებულიყო magister census-თან და არა defensores-თან, ანდა კიდევ სხვა რომელიმე ქალაქის მაგისტრთან. ტაბელიონი, რომელიც დაარღვევდა ამ წესს, გადაიხდიდა არა მარტო ჯარიმას - ოც ფუნტ ოქროს, არამედ დაისჯებოდა სისხლის სამართლის წესით.

იმპერატორ ლეონის კონსტიტუციით, ეკლესიის ხელმძღვანელობას და მის თანამშრომლებს, იქნებოდა ის ეპისკოპოსი, თუ ეკონომი, ეკრძალებოდათ ნებისმიერი ფორმით გაესხვისებინათ ეკლესიის საკუთრებაში არსებული როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონება. ტაბელიონი, რომელსაც ეყოფოდა თავხედობა და ასეთ გარიგებას დაამოწმებდა, ისჯებოდა ქვეყნიდან გაძევებით.

ჩნდება ლოგიკური კითხვა: რა მნიშვნელობა ჰქონდა ტაბელიალურ დოკუმენტებს? რა ძალა გააჩნდათ მათ? რა ხასიათი ჰქონდათ მათ - საჯარო თუ კერძო?

ამ საკითხის გასარკვევად საკმარისია სამართლის წყაროების ანალიზი. იმპერატორ ზენონის კონსტიტუცია ადგენდა: დოკუმენტის ნამდვილობის მიმართ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს ხელმოწერების შედარება, თუ ხელმომწერი მხარეები ცოცხლები

ალარ არიან და არც ამ დოკუმენტის დამმოწმებელი ტაბელიონია ცოცხალი, რადგან ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, მაშინ ტაბელიონი მისცემდა ჩვენებას სასამართლოს.

ტაბელიალური დოკუმენტი რომ საჯარო ხასიათის აქტს წარმოადგენდეს, მაშინ ტაბილიონს ალარ დასჭირდებოდა არც სასამართლო პროცესზე მოწმის სახით გამოსვლა და არც ხელმოწერების ნამდვილობა იქნებოდა სადავო.

იმავე ნოველაში ვკითხულობთ, რომ, თუ ტაბელიონი დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ დავისას ცოცხალია, მან ფიცით უნდა დაადასტუროს ჭეშმარიტება, ხოლო თუ დოკუმენტი თანაშემწის მიერ არის დამტკიცებული, მაშინ - თანაშემწემ.

აქედანაც აშკარად ჩანს, რომ ტაბელიონის მიერ შედგენილ დოკუმენტს არა აქვს საჯარო აქტის ძალა, წინააღმდეგ შემთხვევაში ტაბელიონის შედგენილი დოკუმენტის სისწორის დასადასტურებლად დამატებითი ფიცი საჭირო ალარ გახდებოდა.

სანოტარო მოქმედებების შესრულების პროცედურის შესახებ საინტერესო მონაცემებს გვაწედის რავენის ტაბელიონთა კორპორაციის დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ: „მოქალაქეები, რომელთაც სურვილი აქვთ დადონ რაიმე გარიგებანი, უნდა გამოცხადდნენ ტაბელიონის კანტორაში და სთხოვონ მას დოკუმენტის შედგენა. ტაბელიონი მხარეთა ზეპირი განცხადების საფუძველზე იძიებს მოქმედების შინაარსს და პირველ რიგში ადგენს დოკუმენტის პროექტს schedaq, რომელიც ეკითხებათ კონტრაგენტებს და მათი თანხმობის შემთხვევაში დგება ძირითადი დოკუმენტი, რომელიც იწერება სატიტულო ქაღალდზე, კიდევ ერთხელ ეკითხებათ მხარეებს მოწმეთა თანდასწრებით, ხელს აწერენ კონტრაგენტები და ამის შემდეგ ტაბელიონი აკეთებს მინაწერს: „ხელშეკრულება წაეკითხათ მხარეებს მოწმეთა თანდასწრებით, ხელმოწერილია მათ მიერ და დოკუმენტები გადაეცათ მათვე".

ზოგჯერ (მაგალითად, ანდერძის დამოწმებისას), მიუთითებდნენ სანოტარო კანტორის მისამართსაც. თუმცა უმრავლეს შემთხვევებში ასეთ წარწერას ვერ ვხვდებით, რაც, ალბათ, იმის მიმანიშნებელია, რომ კანონი არ მოითხოვდა კანტორის მისამართის დასახელებას.

რაც შეეხება ტაბელიონის ხელმოწერას - complevi et absiovi - მეცნიერები ფიქრობენ, რომ completio u absolutio ორ სხვადასხვა აქტზე ხელმოწერას ნიშნავს. completio-ში ისინი გულისხმობენ

დოკუმენტის წაკითხვას კონტრაგენტებისა და მოწმეების მიერ და მათ ხელმოწერას, ხოლო absolutio-ში - უბრალოდ ტაბელიონის ხელმოწერას.

ზოგჯერ ნოტარიუსები ხელმოწერისას ტექსტის მოკლე შინაარსსაც წერდნენ, თუმცა ეს უფრო იშვიათი შემთხვევა იყო, რადგან იგივიდ დროს და ბევრ ქაღალდს მოითხოვდა. ძირითადად კი, ისინი ხელს ასე აწერდნენ: scriptor rujus chartulae donationis complewi et absolvi an kidev skriptor hugus instrumenti cioplevi.

თითქმის ყველა ტაბელიარულ დოკუმენტში, რომლებიც განეკუთვნება მეექვსე საუკუნეს, მოწმეთა და ტაბელიონთა ხელმოწერების გარდა ეხვდებით ჯვრის გამოსახულებას სხვადასხვა ფორმით +, X აგერთვე *. ეს ნიშნები გვხვდება ხან ტექსტის დასაწყისში, ხან მის დასასრულს. კონტრაგენტის, ან მოწმის მიერ ჯვრის დასმის შემთხვევაში ტაბელიონი იქვე აკეთებდა მინაწერს, რომ მათ არ იცოდნენ წერა. ზოგიერთ შემთხვევაში კი ხელმოწერის ნაცვლად ჯვრის დასმა დაკავშირებული იყო არა წერა-კითხვის უცოდინრობასთან, არამედ ბიზანტიის ეკლესიის ჩვეულებასთან, ყველა მი საგანზე, რომელსაც მიეკარებოდა ქრისტიანი, უნდა გამოსახულიყო ჯვარი.

სანოტარო მოქმედების შესრულებისას აუცილებელი იყო არანაკლებ სამი მოწმის დასწრება (თუმცა ზოგიერთ საბუთში 5-6 მოწმეც გვხედება). წინააღმდეგ შემთხვეაშ გარიგება შეიძლება ბათილად ყოფილიყო ცნობილი. მოწმეები უნდა ყოფილიყვნენ კონტრაგენტებისათვის ნაცნობი პირები. მოწმედ არ შეიძლებოდა ყოფილიყო: 1. პირი, რმოელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული ჰქონდა სამოქალაქო ღირსება; 2. მონა; 3. დაბალი წოდების წარმომადგენელი) მითითებულია ხელოსნები); 4. ქალი; 5. ერეტიკოსები და სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები. ხოლო ბარბაროსები მოწმეებად დაიშვებოდნენ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში.

რაც შეეხება ტაბელიალურ ბეჭდებს. ისინი გამოიყენება შუა საუკუნეებიდან. ხელმოწერების დასადასტურებლად რომაელები არასოდეს იყენებდნენ ბეჭედს. ისინი ბეჭედს იყენებდნენ მხოლოდ დოკუმენტის გაყალბების თავიდან ასაცილებლად. ბეჭედი დაისმბეოდა შემდეგნაირად: დოკუდმენტს დაახვევდნენ მილის სახით, ან აძლევდნენ კვადრატულ ფორმას, შემდეგ მათ გაახვევდნენ ტილოს ქსოვილში, ხვრეტდნენ, უყრიდნენ ძაფს და მათი შეერთების ადგილზე ასხამდნენ ცვილს, რომელზეც შედმგომ ასვამდნენ ბეჭედს. თუ

ბეჭედი მოჰქონდათ თვით მოწმეებს, მაშინ აქტებს ბეჭედს ასვამდნენ მოწმეები. დოკუმენტის გახსნა იწყებოდა ბეჭდის ტვიფრის ატეხვით. ამ პროცესს ესწრებოდნენ მოწმეები. მოწმეთა მიერ ტვიფრის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში დოკუმენტი იხსნებოდა და იკითხებოდა.

თავდაპირველად დოკუმენტის აკინძვის განსაზღვრული წესი არ არსებობდა, მაგრამ ნერონის დროს სენატმა დაადგინა, რომ დოკუმენტის კიდეები უნდა გახვრეტილიყო გარკვეულ მონაკვეთებში და მასში უნდა გაეყარათ სამმაგი ძაფი, რომელთა დაბოლოებები ერთად უნდა ყოფილიყო განასკვული, მათზე უნდა დაესხათ ცვილი და დაესვათ ბეჭედი.

უეჭველია, რომ ტაბელიონები ბეჭედს იყენებდნენ დოკუმენტის გაყალბების თავიდან ასაცილებლად. რაც შეეხება ბეჭდით ხელმოწერისა და გარიგების დადასტურებას, მან ეს ფუნქცია მოგვიანებით შეიძინა.

ტაბელიარული დოკუმენტები შედგენის შემდეგ წარედგინებოდა სასამართლოს სხდომის ოქმებში შეტანის მიზნით. ოქმებში შეიტანებოდა არა მხოლოდ ის გარიგებები, რომელთა რეგისტრაციაც კანონის შესაბამისად სავალდებულო იყო, არამედ საერთოდ ყველა დოკუმენტი, რომელთა ოქმში შეტანა არ იყო სავალდებულო. ამ პროცედურის მიზანი იყო ტაბელიონების მიერ შედგენილი დოკუმენტებისათვის საჯარო ხასიათის მინიჭება. თუმცა, ალბათ, იყო მეორე მიზანიც - თავი დაეზღვიათ დოკუმენტის გაყალბების, ან დაზიანება-დაკარგვისაგან და ჰქონოდათ დაკარგული ან დაზიანებული დოკუმენტის აღდგენის შესაძლებლობა.

იურიდიული დოკუმენტები სასამართლოში მიჰქონდათ არა მარტო დაინტერესებულ კონტრაგენტებს, არამედ თვითონ ტაბელიონებსაც. როდესაც დოკუმენტი სასამართლოში შეჰქონდათ დაინტერესებულ მხარეებს, მაშინ მათ დაჰკითხავდნენ მათი ნების ნამდვილობის დადგენის მიზნით (ნამდვილად სთხოვეს თუ არა ტაბელიონს ამ დოკუმენტის შედგენა, მათი და მოწმეების ხელმოწერა ნამდვილია თუ არა) და მხოლოდ დადებითი პასუხების მიღების შემდეგ შეჰქონდათ ეს დოკუმენტი სასამართლოს ოქმში.

სასამართლოების ჩვენამდე შემონახული დოკუმენტები საშუალებას იძლევა მთლიანად აღსდგეს დოკუმენტების სასამართლო ოქმებში შეტანის პროცესი: „მანამდე, ვიდრე ის პიროვნება, რომლის სურვილითაც შეიტანება დოკუმენტი ოქმში, დაშვებული იქნება

სასამართლო სხდომაზე, Apparitor-ი (სასამართლოს პრისტავი)მისი მოსვლის შესახებ მოახსენებდა სასამართლო შემადგენლობას;

Apparitor-ი მიმართავს მოსამართლეებს: „სასამართლოს კარებთან დგას მთხოვნელი და ითხოვს შემოსვლას, რას გვიბრძანებთ?“

თავმჯდომარე: - „სთხოვეთ შემოვიდეს!“

Apparitor-ს შემოჰყავს პიროვნება სასამართო სხდომის დარბაზში.

თავმჯდომარე მიმართავს მთხოვნელს: „რატომ მოხვედი სასამართლოს კარებთან და ითხოვ, რომ დაგიშვან სასამართლო სხდომის დარბაზში?“

მთხოვნელი აცხადებს თავის ნებას, რომ სასამართლო სხდომის ოქმში შეტანილი იყოს ესა თუ ის აქტი, რომელიც მისი სურვილით წინასწარ იყო შედგენილი ტაბელიონის მიერ.

თავმჯდომარე: „მთხოვნელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს მივიღებთ, წავიკითხავთ და შეტანილი იქნება ოქმში“.

ამის შემდეგ სასამართლოს შემადგენლობა წარმოდგენილ დოკუმენტს ხმამაღლა წაიკითხავდა. თუ საქმე ეხებოდა ოქმში ჩუქების ხელშეკრულების შეტანას, წაკითხვის შემდეგ მჩუქებელს.

თავმჯდომარე: „რაიმეს დამატება არ მსურს, ხელშეკრულებაში ჩამოთვლილ ყველა საგანს ვჩუქნი“.

თავმჯდომარე მიმართავს პროცესის მონაწილეებს: „მჩუქებლის პასუხი ყველასთვის გასაცებია. გთხოვთ, წაკითხული დოკუმენტი შეიტანოთ სასამართლოს სხდომის ოქმში“.

დოკუმენტის სასამართლოს სხდომის ოქმში შეტანის ბოლო სტადია იყო ჩაბარებული ხელშეკრულების ასლისა და დოკუმენტების აღწერის მოთხოვნა.

თავმჯდომარე მიმართავს მთხოვნელს: „კიდევ რა გსურთ, რომ სასამართლომ თქვენთვის გააკეთოს?“

მთხოვნელი: „მე გთხოვთ, რომ მომცეთ სხდომის ოქმის ასლი და მისი (დოკუმენტების) აღწერა“.

თავმჯდომარე: „თქვენი თხოვნის შესაბამისად, თქვენ მოგეცემათ აღნიშნული დოკუმენტები“.

ასლს და დოკუმენტების აღწერას გაცემისას ხელს აწერდნენ სასამართლოს თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე პირები.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტაბელიალური დოკუმენტების შესრულების ტექნიკურ მხარეს: მასალას, რაზედაც დოკუმენტი იწერებოდა, შრიფტს, მელანს, ენას და ა.შ.

ულპიანე, რომელთანაც პირველად ეხვდებით ტაბელიალური დოკუმენტების ხსენებას, დაწვრილებით ცნობებს გეაწვდის საწერი მასალის შესახებ.

პაპირუსის ქაღალდის და პერგამენტების გამოყენებამდე დოკუმენტები სრულდებოდა ხის მასალისაგან გაკეთებულ ფიცრის ნაჭრებზე, რომელთაც ეწოდებოდათ Candex (აქედან წარმოსდგა შემდგომში codex, codicillus). ფიცრებზე წარწერის შესრულების სხვადასხვა ხერხი არსებობდა: 1. ფიცარს აპრიალებდნენ და შემდეგ მჭრელი საგნით (stylus) ამოკვეთდნენ ასოებს; 2. ფიცარს ფარავდნენ საღებავით და მასზე გამოჰყავდათ ასოები; 3. ფიცარზე უსვამდნენ ცვილის სქელ ფენას, აშრობდნენ და ამის შემდეგ, ისევ stylus-ს მეშვეობით ამოკვეთდნენ ასოებს. ასეთი ხის დაფებს აწყობდნენ ერთმანეთზე, ახვევდნენ ტილოს ნაჭერში, იკერებოდა ზონრით და შემდეგ დაესმებოდა ბეჭედი.

ტაბელიონები საწერ მასალად იყენებდნენ აგრეთვე ეგვიპტური ქაღალდს (charta papyraica), რომელიც მზადდებოდა სპეციალური ეგვიპტური მცენარის cyperus papyrus-ისაგან.

თავდაპირველად რომაელები წარწერებს ასრულებდნენ მხოლოდ პაპირუსის ცალ გვერდზე, მაგრამ თანდათანობით მეორე მხარე, აითვისეს. თუმცა არსებობდა ორივე გვერდის გამოყენების ამკრძალავი ნორმებიც: დაუშვებელი იყო მაღალი თანამდებობის პირების დოკუმენტების შედგენისას პაპირუსის ორივე გვერდის გამოყენება, რადგან ეს შეურაცხყოფას უდრიდა.

იულიუს კეისარი და ციცერონი ორივე გვერდზე შესრულებულ საჩივრებს განსახილველადაც კი არ იღებდნენ.

არაბების მიერ 634 წელს ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ პაპირუსის ქაღალდის წარმოება თითქმის შეწყდა. მხოლოდ პაპის კანცელარია თუ ახერხებდა პაპირუსის ქაღალდის შოვნას და მასზე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების შესრულებას. პაპირუსის ქაღალდის გაქრობის შემდეგ ტაბელიონები საწერ მასალად იყენებდნენ პერგამენტის (membrana charta membranica), ცხოველის, ძირითადად, ხბოს ტყავისაგან დამზადებული მასალას. ევროპაში ისე მოეწონათ პერგამენტი, რომ ქაღალდის გამოყენების შემდეგაც კი, იგი დიდხანს გამოიყენებოდა. 1512 წლის ნოტარიალური წესდება პირდაპირ ავალდებულებს ნოტარიუსებს, რომ წერონ პერგამენტზე და არა ქაღალდზე. დიგესტების XXXII წიგნში ეხვდებით სპეციალური ქაღალ-

დის ხსენებას, რომელსაც რომაელები განსაკუთრებული ხის ქერქისაგან ამზადებდნენ (cortex, tilia).

რომაელებისთვის ცნობილი იყო აგრეთვე გერბიანი ქაღალდი. ტაბელიონები ვალდებულები იყვნენ დოკუმენტები შეედგინათ ისეთ ქაღალდზე, რომლის ზედა ნაწილში იყო ამგვარი წარწერა (comet sacrarum eargitionum) და ქაღალდის დამზადების თარიღი. თუმცა ასეთი ქაღალდის გამოყენების სფერო შეზღუდული იყო, რადგან მათი შოვნა შეიძლებოდა მხოლოდ რომსა და კონსტანტინოპოლში.

რაც შეეხება დოკუმენტების ფორმას, იგი დამოკიდებული იყო საწერ მასალაზე. ხის მასალაზე შესრულებულ დოკუმენტებს, ძირითადად კვადრატული ფორმა ჰქონდათ, ხოლო პაპირუსზე შესრულებულს - მოგრძო.

ტაბელიალური დოკუმენტები უნდა შესრულებულიყო მხოლოდ შავი ფერის მელნით, რომელსაც რომაელები ამზადებდნენ სპეციალური ხის ქერქის ნახშირისა და ზღვის თევზის ნახარშისაგან. მხოლოდ იმპერატორებს ჰქონდათ სხვა ფერის მელნის გამოყენების უფლება. იმპერპატირებიუს მელანი სპეციალური ჯიშის მოლუსკებისაგან მზადდებოდა.

ტაბელიონების დოკუმენტები თავდაპირველად ლათინურ ენაზე დგებოდა. თუმცა მოგვიანებით სამართალწარმოებისა და, საერთოდ, გარიგებების დადებისას გამოიყენებოდა ბერძნულიც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დოკუმენტების შედგენის გრაფიკული მხარე, რადგან იგი უამრავი თავისებურებებით ხასიათდებოდა.

სხვადასხვაგვარ შრიფტებში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია ქვისა და ლითონების სტელებზე შესრულებული სახით, ნათლად ჩანს თითოეული მათგანის თავისებურებანი. პირველ რიგში, ისინი იყოფიან litterac majusculae და minusculae დიდ ასოებად და პატარა ასოებად. გარდა ამისა, ასოები იყოფოდა გეომეტრიული ხაზისა და მათი დახრილობის მიხედვით, მაგალითად, ANNUS და ANNUS. შრიფტების სხვადასხვა სახეობის შექმნის ძირითადი მიზანი წერის პროცესის გაადვილება იყო.

ჯერ კიდევ უძველესი სამართლის აქტებში გვხვდება რომაული ინტერპუნქტუაციის ნიშნები: წერტილი, ორწერტილი, მძიმე ქვისა და ლითონის სტელებზე შესრულებულ ნაწერებში თითქმის ყველა სიტყვა ერთმანეთისაგან წერტილითაა გაყოფილი. ტაბელიალურ დოკუმენტებში ხშირადაა სიტყვების შემოკლების ფაქტები.

განვიხილოთ ტაბელიალური დოკუმენტების შინაარსობრივი მხარე და სტრუქტურა.

ტაბელიალური დოკუმენტები მთლიანად შედგებოდა იმ ფორმულიარებისაგან, რომლებიც ჩვეულებითი სამართლიდან იყო გადმოსული და მოიცავდნენ სამართლებრივი ცხოვრების პრაქტიკულად თითქმის ყველა სფეროს და ისეთ უმნიშვნელო გარიგებებსაც კი არეგულირებდნენ, როგორიც იყო ბოსტნეულისა თუ შინაური წვრილფეხა საქონლის ნასყიდობა, მუშის დაქირავება მინდვრის მოსარწყავად. ზოგჯერ გამოყენებული იყო ძველი სამართლის ისეთი ფორმულიარები, რომლებიც უკვე მოძველებული, ან კანონით გაუქმებული იყო. ამდენად, მათ ფაქტიურად მნიშვნელობაც კი აღარ ჰქონდათ ამ ეპოქისათვის.

ფორმულარების საშუალებით დოკუმენტების შედგენას იმ დროისათვის საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. ამ ხერხით სარგებლობდნენ არა მარტო ტაბელიონები, არამედ იმპერატორის კანცელარია და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიც.

ტაბელიონები იმდენად სკრუპულოზურად უდგებოდნენ დოკუმენტების შედგენას ფორმულიარებით, რომ ერთი დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში თაეისუფლად შეიძლებოდა მისი აღდგენა, მეორე მასთან შინაარსით მსგავსი დოკუმენტის საშუალებით. ამავე დროს, ტაბელიონების ასეთი დამოკიდებულება ფორმულიარების მიმართ განპირობებული უნდა ყოფილიყო არა მარტო ხარკის მოხდით ძველი ადათებისა და კანონების მიმართ, არამედ მათ მიერ იურიდიული განათლების უქონლობით, აგრეთვე მათ მიერ ფორმულიარების შინაარსის არასწორი ინტერპრეტაციით.

ყველა ტაბელიალური დოკუმენტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ძირითადად სამი ნაწილისაგან შედგება: 1. შესავალი; 2. გარიგების შინაარსი და მისგან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა, რომელსაც ტექსტი ეწოდებოდა; 3. დასკვნა.

პირველ ნაწილში შედიოდა: 1) ღვთისადმი მიმართვა და ბ) გარიგების შედგენის დრო.

იმპერატორთა ბრძანებულებები აუცილებლად იწყებოდა ღვთისადმი მიმართვით. რაც შეეხება დოკუმენტის შედგენის დროს: 313 წლამდე რომაელები დოკუმენტში მიუთითებდნენ იმ კონსულის სახელს, რომლის კონსულობის პერიოდში შედგა დოკუმენტი. 537 წელს დადგინდა დროის ათვლის ახალი წესი. ტაბელიონები, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენლები,

ვალდებულები იყვნენ მიეთითებინათ იმპერატორის ხელისუფლება-ში მოსვლის დრო, კონსულების სახელი, ბოლოს კი - თვე და დღე. მეექვსე საუკუნემდე რომაელები კვირაში ითვლიდნენ რვა დღეს. მხოლოდ იმპერატორ იუსტინიანეს დროს შემოდის ქრისტიანული კალენდარი შვიდდღიანი კვირით.

ტექსტი სამი ნაწილისაგან შედგებოდა:

ა) შესავალი, რომელიც შეიცავდა გარიგების მონაწილეთა სახელებს და იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია მათ შორის გარიგების დადება;

ბ) გარიგების საგნის გადაცემა;

გ) გარიგების უზრუნველყოფის საშუალებანი.

ქრისტიანობის მიღებამდე რომაელები ძირითადად იყენებდნენ სამ სახელს: praenomen - სახელი, nomen- გვარი და nomen cognomen - გვარის დანამატი, რომლითაც ცნობილი გვარების, სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენლები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ძველი რომაული სახელები იცვლება ქრისტიანული სახელებით. თუმცა, ზოგჯერ ერთ პიროვნებას მეტისმეტად ბევრი სახელი ჰქონდა, მაგალითად, არიანუს იცპაელიუს აბრიელიუს ეტრუს ოჰანნის არსეს ურელიანუს იმენიუს შტეფანუს ურელიანუს.

რავენის დოკუმენტებში გვხვდება მითითება პირის სახელზე, გვარსა და ტიტულზე (spectabilis, illustris) ან პირის თანამდებობასა და მის ოფიციალურ მდგომარეობაზე. ქალის სახელი მიეთითებოდა გვარის აღნიშვნის გარეშე.

რაც შეეხება ტიტულებს, რავენის დოკუმენტებში მოცემულია მათი პირობითი დაყოფა: 1. პირები, რომელთაც ეკავათ უმაღლესი თანამდეობები (gloriosi, spectables); 2. საეკლესიო უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლები (vervenerbilis); 3. ეკლესიის მსახურნი (viri sancti, reverendi).

სახელის, გვარისა და ტიტულის მითითების შემდეგ გარიგებაში აღინიშნებოდა კონტრაგენტების უფლებაუნარიანობა, რომ გარიგების მონაწილეები სრულად ფლობდნენ სამოქალაქო უფლებებს, რომ მხარეები არ განიცდიდნენ არანაირ ფსიქიკურ ზემოქმედებას.

უფლებაუნარიანობის მოხსენების შემდეგ მითითებულია გარიგების დასახელება. ქონება, რომელიც წარმოადგენს გარიგების საგანს, ჩამოთვლილია გვარეობითი დასახელების მიხედვით.

საგნის ღირებულებას რესპუბლიკის პერიოდში ითვლიდნენ სესტერციებით (ფულადი ერთეული რომში), იმპერიის პერიოდში კი - სოლიდებით (ოქროს მონეტა, რომელიც განსხვავდებოდა თავისი წონისა და ღირებულების მიხედვით). სოლიდი უდრიდა ას სესტერციას.

ქონებისა და მისი ფასის აღნიშვნის გარდა, ნასყიდობის ყველა ხელშეკრულებაში მითითებული იყო: 1. გასასხვისებელ ნივთზე კონტრაგენტის უფლების წარმოშობის კანონიერება, ე.ი. რა გზით, რა ხერხით და რა ფორმით მოსვდა მასთან ეს ნ ივთი. 2. თავდებობა გამყიდველის მიერ, რომ მყიდველს შეეძლო შეუზღუდავად ესარგებლა ამ ნივთით, რაშიც მას გამყიდველის მემკვიდრეების მიერ წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა; 3. გამყიდველის მიერ გარიგებაში აღნიშნული განცხადება, რომ მას ამ ხელშეკრულების დადებამდე ეს ნივთი არ ჰქონდა გაყიდული, გაქირავებული, დაგირავებული, ან არ იყო დატვირთული ვალებით. 4. გამყიდველის ვალდებულება, დაებრუნებინა მყიდველისათვის ნასყიდობის ფასი, თუ ნასყიდობის საგანი გამყიდველის ბრალით ჩამოერთმეოდა მყიდველს.

ტაბელიალური დოკუმენტების კიდევ ერთი თავისებურება იყო დოკუმენტის კონტრაგენტისათვის გადაცემა საზეიმო პროცედურის დაცვით. ამ პროცედურას ესწრებოდნენ მოწმეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, მაგალითად, საჩუქრის ნამდვილად გადაცემის ფაქტს, ასევე ხელშეკრულებაზე ხელმოწერათა ნამდვილობას. დოკუმენტს ზოგჯერ ცოტა ხნით სახარებაშიც კი დებდნენ დოკუმენტისათვის უფრო მეტი ძალის მინიჭებისათვის.

ტაბელიალური დოკუმენტების დასკვნითი ნაწილი იყო ტრადიციული ფორმულა, რომელიც გამოიყენებოდა კლასიკური იურისტების პერიოდში.

### *§2. საეკლესიო ნოტარიატი*

თუ საერო ცხოვრების სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მოსაგვარებლად წარმოიშვა ტაბელიონის ინსტიტუტი, რომელიც დროთა განმავლობაში განმტკიცდა შესაბამისი კანონმდებლობით. ქრისტიანული ეკლესიის წიაღში წარმოიშვა დაწესებულება ნოტარიატი, რომელმაც ტაბელიონატისაგან განსხვავებით უფრო სწრაფად შეიძინა ნორმალური იურიდიული ორგანიზაციის ფორმა.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ეკლესიამ იმპერატორის კარისაგან გადაიღო ბევრი რამ. პირადი

კანცელარიები, იმპერატორის მსგავსად, ჰქონდათ არა მარტო საპატრიარქოებს, არამედ ცალკეულ ეპისკოპოსებსაც. კანცელარიის პერსონალიც notarii-ად იწოდეოდა, ხოლო კანცელარიის უფროსი- primicerius notariorum-ად.

ნოტარიუსების იერარქიული მდგომარეობა ისევე მაღალი იყო ეკლესიაში, როგორც საერო ცხოვრებაში. საპატრიარქოს კანცელარიიდან ნოტარიუსები ხშირად დგებოდნენ ეპისკოპოსის კათედრაზე დაზოგჯერ პაპებიც კი გამხდარან.

ისევე როგორც იმპერატორის კარზე, ეკლესიაშიც, ნოტარიუსებისათვის არსებობდა სპეციალური შრიფტი დოკუმენტების შესადგენად.

ჩამოყალიბდა რა ნოტარიატის ინსტიტუტი, თავდაპირველად მხოლოდ საეკლესიო საქმეთა უზრუნველსაყოფად, შემდგომ ეტაპზე საეკლესიო ნოტარიატი საჯარო ასპარეზზე გამოვიდა. ეკლესია ნიშნავდა ნოტარიუსებს მოქალაქეთა იმ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც, რომელთაც არავითარი შესება არ ჰქონდათ საეკლესიო საქმეებთან.

შემდგომში საეკლესიო ნოტარიუსი გახდა ოფიციალური სახელმწიფო თანამდებობის პირი და პირველად შეიძინა წოდება notarii publici. მაშინ, როდესაც საერო ტაბელიონი სახელმწიფო თანამდებობად აღიარეს მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, საეკლესიო სფეროში ნოტარიუსის თანამდებობამ ამგვარი აღიარება მოიპოვა მერვე საუკუნეში. ამრიგად, საეკლესიო ნოტარიატი განვითარებით თითქმის სამი საუკუნით უსწრებს წინ საერო ტაბელიონს.

როდის წარმოიშვა პირველად საეკლესიო ნოტარიატები? ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ მისი საწყისი სათავეს იღებს ევანგელისტებში და მათ თვლის ამ ინსტიტუტის პირველ წარმომადგენლებად.

გადმოცემის მიხედვით, რომის ეპისკოპოსმა კლიმენტიმ რომი დაჰყო შვიდ ოლქად და თითოეულ ოლქში დანიშნა თითო ნოტარიუსი, რათა ნოტარიუსებს ეწარმოებინათ დოკუმენტები ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული წამებულების შესახებ. მათვე თანაშემწეებად დაენიშნათ თითო დიაკვანი. თუმცა, აქვე გვინდა აღვნიშნოშთ, რომ ეკლესიის წარმომადგენლები ამ გადმოცემას ეჭვის თვალით უჭურებენ, რადგან მათი აზრით, საეკლესიო ნოტარიუსების მოვალეობა არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ წმინდანთა ცხოვრე-

ბის აღწერა. ყოველ შემთხვევაში, საეკლესიო ნოტარიატის კვალი აშკარაა უკვე მეორე საუკუნის ბოლოსა და მესამე საუკუნის დასაწყისში, როგორც ეს ჩანს ტერტულიანეს ნაშრომებში.

ნოტარიუსები ესწრებოდნენ ეპისკოპოსების შეხვედრას მრევლთან და იწერდნენ ამ შეხვედრების შინაარსს. ამ გზით ეკლესიამ შეიძინა ძვირფასი მასალა საკუთარი ისტორიისათვის.

საეკლესიო ნოტარიუსის თანამდებობაზე ინიშნებოდა პირი არა მხოლოდ სტენოგრაფიული ცოდნის საფუძველზე, არამედ მისი მორალური თვისებებისა და განათლების ცენზის გათვალისწინებით.

საეკლესიო ნოტარიუსთა მდგომარეობა იმდენად მაღალი იყო საეკლესიო იერარქიაში, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მათ ეპისკოპოსებად და ხანდახან პაპებადაც კი ირჩევდნენ. ასე მაგალითად, ეფესის ეკლესიის ნოტარიუსი ქალკედონის საეკლესიო კრებამ ეპისოკპოსად აირჩია.

ნოტარიუსთა რიცხვი ყოველ ეკლესიასთან შეზღუდული არ იყო. თუმცა, შემდგომში, პაპი სილვესტრის დროს, მეოთხე საუკუნის დასაწყისში, ნოტარიუსთა რიცხვი შეიდით განისაზღვრა, ხოლო მათმა რაოდენობამ რომში თოთხმეტს მიაღწია, თანამედროვეების ჩაუთვლელად. პაპი გრიგორი დიდის დროს ნოტარიუსთა რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ მას საშუალება ჰქონდა ნოტარიუსები თავის პირად წარმომადგენლებად გაეგზავნა სარდინიაში, სიცილიასა და აფრიკაში. პაპი სიქსტ V დროს (1585) წელს მათმა რიცხვმა ოცს მიაღწია. ნოტარიუსები იმყოფბეოდნენ არა მარტო პაპის კარზე, არამედ სააბატოებსა და ეკლესიის უფრო დაბალ რგოლებშიც. ნოტარიუსები მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს საეკლესიო კრებების მუშაობაშიც. ამის შესახებ მონაცემებს ვხვდებით ეფესის 431 წლის, ქალკედონის 451 წლის დაკონსტანტინეპოლის საეკლეისო კრებების დოკუმენტებში. ჩვენამდე მოღწეული მასალები საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ საეკლესიო ნოტარიუსების საქმიანბის სფერო, როგორც სასულიერო, ისე საერო ცხოვრებაში. საეკლესიო ნოტარიუსთა უპირველეს მოვალეობას შეადგენდა ის, რომ:

1. ისინი ესწრებოდნენ ეპისკოპოსთა შეხვედრას მრევლთან და იწერდნენ ამ შეხვედრების შინაარსს;

2. ადგენდნენ დოკუმენტებს ეპისკოპოსთა თანამდებობაზე არჩევის შესახებ, აქტებს საეკლესიო დისციპლინის დარღვევისა და ეკლესიის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე.

3. ესწრებოდნენ მსოფლიო საეკლესიო კრებებს და იწერდნენ მონაწილე მხარეების გამოსვლებს. კრების დამთაერებისას თითო-ეულ მხარეს უკითხავდნენ ჩანაწერს და ხელს აწერინებდნენ მასზე.

კრების მონაწილე მოწინააღმდეგე მხარეები ცდილობდნენ, კრებაზე თავიანთი გამოსვლები მათსავე ნოტარიუსს ჩაეწერა. როდესაც სადაო საკითხები მწვავდებოდა, საეკლესიო კრებას მხარეთა ნოტარიუსების გარდა ესწრებოდა იმპერატორის კანცელარიის ნოტარიუსი და დგებოდა კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებდა მხარეთა ნოტარიუსების მიერ აქტების სწორად შედგენას. ზოგჯერ ნოტარიუსების საქმიანობაზე ზედამხედველობისათვის კრებაზე მივლინებულნი იყვნენ სანოტარო საქმიანობაში გათვითცნობიერებული ეპისკოპოსები. მათი ზედამხედველობით შედგენილ აქტებში ეჭვის შეტანა მიუღებლად ითვლებოდა.

აქტების შედგენის გარდა, საეკლესიო კრებებზე ნოტარიუსებს ევალებოდათ სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტის ხმამაღლა წაკითხვა. უმრავლეს შემთხვევაში ამ მოვალეობას ასრულებდნენ უმაღლესი იერარქიის მქონე ნოტარიუსები (primicerii). ეფესის საეკლესიო კრებაზე პეტრემ, ალექსანდრიის primicerius notariorum-მა, გამოაცხადა რა კრების ჩატარების მიზეზი, ითხოვა კრებისადმი იმპერატორის მიმართვის ბერძნულ ენაზე წაკითხვის უფლება, ხოლო რომის ეკლესიის ნოტარიუსმა იგივე მიმართვა წაიკითხა ლათინურ ენაზე. კრების შემდეგ ნოტარიუსებს აგზავნიდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოსახლეობისა და ეკლესიისათვის კრებაზე მიღებულ დადგენილებათა გასაცნობად.

4. ისინი ვალდებულნი იყვნენ, შეედგინათ აქტები ეკლესიის შუამდგომლობით მონების გათავისუფლების შესახებ. მათვე უნდა შეედგინათ ის კონტრაქტები, რომლებშიც ერთ მხარეს ეკლესია წარმოადგენდა.

5. ისინი ვალდებულები იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ იმ სასამართლო პროცესებში, რომლებზეც საეკლესიო დოკუმენტებს უნდა მინიჭებოდა საჯარო მნიშვნელობა და დოკუმენტები უნდა შეეტანათ სასამართლო სხდომის ოქმში.

მოკლედ დავახასიათებთ საეკლესიო ნოტარიუსის მიერ შედგენილი დოკუმენტების ფორმალურ მხარეს.

აქტები იწერებოდა იმავე ფორმით, როგორც საერო ცხოვრებაში. ჯერ აღინიშნებოდა მიმართვა პირის სახელი (episcopus abbati NN an cleric ecclesiae NN), შემდეგ ტექსტის სრული შინაარსი და ბო-

ლის - ტექსტის ჩამწერი ნოტარიუსის სახელი (scriptum datum per manus NN notarii) და შედგენის დრო, იმპერატორის მეფობის წლების მითითებით.

ასეთი იყო დაახლოებით ის სფერო საეკლესიო ურთიერთობებისა, რომლიისთვისაც შეიქმნა საეკლესიო ნოტარიუსების ინსტიტუტი.

### *§3. ნოტარიუსი გერმანულ ტომებში*

რომის იმპერიის დამხობის შემდეგ ბარბაროსებს არ გაუწყვეტიათ იმპერიის მოსახლეობა. დაპყრობისას ისინი, თუ არ ჩავთვლით ვანდალების მიერ აფრიკაში მოწყობილ ხოცვა-ჟლეტას, მოქალაქეებს უნარჩუნებდნენ პირად თავისუფლებას. დამპყრობლური ომებისას ნგრევა და სისხლისღვრა არ იყო ხანგრძლივი პროცესი და ბრძოლის დამთავრებას ყოველთვის მოსდევდა მშვიდი სამოქალაქო ცხოვრება, ოღონდ ახალი ხელისუფლების ხელში. რომის მოსახლეობისგადარჩენასთან ერთად ცოცხლობდა რომის სამართალიც - ცივილიზაციის უდიდესი ელემენტი, რომლის წინაშეც ბარბაროსების პირველყოფილი სამართალი უძლური იყო. მიწათსარგებლობის უფლებაც ასევე რომაელებს რჩებოდათ გარდა იმ გამონაკლისისა, როცა დამპყრობლების მოთხოვნით ცალკეულ რომაელ მოქალაქეებს უხდებოდათ ამა თუ იმ მიწის ნაკვეთის გადაცემა ბარბაროსებისათვის.

ამგვარად, რომის იმპერიის ნანგრევებში თანაცხოვრებას ეწეოდა ორი ხალხი: რომაელები და ბარბაროსები, რომლებიც, როგორც ორი პოლუსი, ისე განსხვაედებოდა ერთმანეთისაგან თავიანთი მსოფლმხედველობით, ტრადიციებით და ცხოვრების წესით.

რა სახით იქნა შენარჩუნებული ნოტარიული ინსტიტუტები საყოველთაო არეულობისა და ძველი და ახალი იურიდიული ურთიერთობების შერევის პროცესში? როგორ ფორმდებოდა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები ბარბაროსებსა და რომაელებს შორის ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე?

როგორც ისტორიული მასალა გვიჩვენებს, ბარბაროსები თავისი სამართლის კოდიფიცირებისას, რომლეიც განკუთვნილი იყო დაპყრობილი ქვეყნებისა და ტერიტორიების მთელი მოსახლეობისათვის, ამ უკანასკნელთ უფლებას აძლევდნენ გამარჯვებულთან სამართლებრივი ურთიერთობისას ესარგებლათ რომის სამართლით. ეს გარემოება და რომის იმპერიის დროიდან შემორჩენილი

მუნიციპალური მმართველობა ხელს უწყობდა იურიდიული გარიგების დოკუმენტურად გაფორმების რომაული წესის შენარჩუნებას.

რომაელებთან ურთიერთობის გავლენით, ბარბაროსების ეროვნულ სამართალშიც თანდათან ჩნდება სანოტარო წესით გაფორმებული დოკუმენტები. ამის დამადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ოსთგოთების დროინდელი რავენისა და რომის დოკუმენტები.

თუმცა ეს არ შეიძლება ითქვას ყველა ბარბაროსულ ტომზე. საქსები და ფრიზები, რომელთაც შეხება არ ჰქონდათ რომთან, საერთოდ არ იცნობდნენ გარიგებების წერილობითი ფორმით დადებას. რაც შეეხება ოსთგოთებს და ვესთგოთებს, ამ ტომებში ნოტარიული ინსტიტუტების განვითარება დაკავშირებული იყო ბელადების მემკვიდრეებთან, რომლებიც გარკვეული პერიოდის მანძილზე მძევლებად იმყოფებოდნენ რომის და ბიზანტიის სამეფო კარზე. ამდენად, მათ სისხლში ჰქონდათ გამჯდარი რომაული კულტურა და რომაული სამართლის ინსტიტუტები. ამიტომ რომის დაპყრობის შემდეგ მათ თითქმის უცვლელად დატოვეს არამარტო რომაული მმართველობის წესი, არამედ რომის სამართლებრივი ინსტიტუტებიც. ბიზანტიის მიერ იტალიის დაპყრობისას თითქმის განადგურდა ოსთგოთებისა და ვესთგოთების ბარბაროსული ტომების პირველი ტალღა, მაგრამ მათ ნაკვალევზე უნგრეთის სტეპებიდან შემოიჭრა ახალი ტალღა ბარბაროსებისა ლონგობარდების სახით. თუ ვანდალების, ბურგუნდების, ოსთგოთების და ვესთგოთების დაპყრობამ უკვალოდ ჩაიარა ისტორიაში, სულ სხვა სურათს ვხედავთ ლონგობარდების შემოჭრისას. ისინი დიდი ხნის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდნენ რომაული სამართლისა და რომაული კულტურის გავლენას მათ მშობლიურ გერმანულ სამართალზე.

643 წლამდე რომის დაპყრობიდან 70 წლის განმავლობაში, ლონგობარდებს არ ჰქონდა დაწერილი კანონები მათ ველურ ბუნებას, განსხვავებით ფრანკებისა და ბურგუნდებისაგან, არ სჭირდებოდა ცივილიზაციის ახალი ელემენტი. დიდი ხნის განმავლობაში ისინი კმაყოფილდებოდნენ ადათებითა და მათი მეფეების მიერ გამოცემული ედიქტებით. როტარი (643 წ. ნოემბერი) იყო პირველი ლონგობარდი მეფე, რომელმაც თავის ხალხს მისცა წერილობითი ფორმით შესრულებული პირველი იურიდიული დოკუმენტი.

პირველ ხანებში ლონგობარდული სამართალი მხოლოდ ზოგიერთი გარიგებისათვის ადგენდა წერილობითი ფორმის დაცვის სა-

ეალდებულო წესს. კერძოდ, ნასყიდობისა და მონის გათავისუფლების ხელშეკრულებებისათვის. თუმცა უკვე როტარის შემდგომი მეფის - ლუიტპარდის დროს, ასეთი ფორმა აუცილებელი გახდა ჩუქების, გირავნობის და სესხის ხელშეკრულებებისათვისაც. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასეთი ხელშეკრულებებისათვის დოკუმენტური ფორმის მიცემას, კარგად ჩანს გვიანი პერიოდის ლონგობარდული კანონმდებლობიდან, სადაც მითითებულია, რომ პიროვნება, რომელიც სასამართლოს წარუდგენდა ყალბ დოკუმენტს, ისჯებოდა ხელის მოკვეთით. ლუიტპარდის კანონმდებლობით ნოტარიუსი, რომელიც ნებისმიერი სანოტარო აქტის შესრულებისას დაარღვევდა მისი გაფორმების წესს, ისჯებოდა ფულადი ჯარიმით (Wirgeld). თუ მხარეებს ხელშეკრულებისას წარმოადგენდნენ სხვადასხვა ეროვნების კონტრაჰენტები, მათი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულება შეიძლება გაფორმებულიყო ლონგობარდული, ან რომაული კანონების მიხედვით. ნოტარიუსები ვალდებულნი იყვნენ ხელშეკრულების დადებისას მოწმეებად მოეწვიათ ისეთი პირები, რომელთა სანდოობის მიმართ მოსამართლეებს ეჭვი არ გაუჩნდებოდათ. როგორც მხარეები, ასევე მოწმეები ვალდებულნი იყვნენ ხელი მოეწერათ დოკუმენტზე, ხლო წერა-კითხვის უცოდინრობის შემთხვევაში - დაესვათ რაიმე წერილობითი ნიშანი. გვიანი პერიოდის ლონგობარდული ნოტარიულად შესრულებულიდოკუმენტები თავიანთი კონსტრუქციით მცირედ თუ განსხვავდება რავენაში შესრულებული იგივე სახის დოკუმენტებისაგან. ორივე მათგანი იწყება ღვთისადმი მიმართვით, რომელსაც გამონაკლისის გარეშე მოჰყვება იმ პერიოდში მოღვაწე მეფის დასახელება, გამეფების წლისა და თვის დასახელებით. შემდეგ უკვე გადმოცემულია თვით დოკუმენტის იურიდიული შინაარსი, ბოლოს კი - კონტაჰენტებისა და მოწმეების ხელმოწერები, რომელთა შემდეგ დოკუმენტს ამოწმებს ნოტარიუსი.

აქედან ჩანს, რომ ფაქტობრივად დაცულია სანოტარო აქტის შედგენის რომაული წესი. თუმცა, ამავე დროს, არ შეიძლება არ გამოვყოთ ბარბაროსების მიერ მათში შეტანილი ზოგიერთი თავისებურება: ა) ერთი და იგივე გარიგების დამოწმება ორი ნოტარიუსის მიერ; ბ) მოწმეთა რაოდენობის არარეგლამენტირება, მაგალითად, სხვადასხვა დოკუმენტზე დაფიქსირებულია ხან ერთი, ხან ორი, ზოგიერთ შემთხვევაში კი ხუთი და უფრო მეტი მოწმის ხელმოწერა. ზოგჯერ კი საერთოდ ვერ ვპოულობთ მოწმის ხელმოწერას.

თუ ლონგობარდული კანონები ნოტარიატის ორგანიზაციის საკითხებში ასე თუ ისე რჩება რომაული კანონმდებლობის მიმდევრად, სულ სხვა სურათს ვხედავთ, როცა საქმე ეხება სამეფო ნოტარიუსს. პირველად სამეფო ნოტარიუსს ახსენებს ლონგობარდების მეფის როტარის ედიქტები, რომლებიც სწორედ სამეფო ნოტარიუსის მიერ არის დამოწმებული. იმის გამო, რომ ლონგობარდები რომის დაპყრობამდე და მის შემდეგაც გარკვეული ხნის განმაელობაში წერა-კითხვის უცოდინრები იყვნენ, სამეფო ნოტარიუსები ირჩეოდნენ რომაელი ტაბელიონებისაგან და ისინი ასრულებდნენ მთავარ როლს ლონგობარდების რომანიზაციის პროცესში. მათ ევალებოდათ ლონგობარდული კანონების (ედიქტების) რედაქტირება და რომაულ კანონებთან შესაბამისობაში მოყვანა. ლონგობარდულ სამეფო ნოტარიუსებს, განსხვაევებით რომაელი ნოტარიუსებისაგან, მინიჭებული ჰქონდათ მოსამართლის ფუნქცია. როგორც იმდროინდელი დოკუმენტებიდან ჩანს, სამეფო ნოტარიუსებს მეფეები ხშირად ავალებდნენ სხვადასხვა რეგიონში არსებული დავების გადაწყვეტას. ასე მაგალითად, ლუკის ეპისკოპოსსა და პისტოლერის ეპისკოპოსს შორის დავის გადასაწყვეტად მიელინებული იყო ნოტარიუსი ულტიანი, ხოლო ბობიენის მონასტერსა და ერთ კერძო პირს შორის 747 წ. წარმოშობილი დავის მოგვარება დაევალა ნოტარიუს გაიდერისს. ისეთი საქმეების გადაწყვეტისას, როდესაც ნოტარიუსები ასრულებდნენ მოსამართლის ფუნქციას, სამეფო ნოტარიუსები საკუთარ თავს უწოდებდნენ notarius etjudex sacri palatii-ს. სადავო საკითხების მეფის მიერ გადაწყვეტისას ნოტარიუსები ადგენდნენ სასამართლო სხდომის ოქმებს და აცხადებდნენ განაჩენს. მეფეთა მსგავსად, საკუთარი ნოტარიუსები ჰყავდათ ჰერცოგებსა და გრაფებსაც, რომლებიც მათ, მეფეთა მსგავსად, აკისრებდნენ მოსამართლის ფუნქციებს.

ისმება კითხვა: რა კანონიერი ძალა გააჩნდა იმ პერიოდის ნოტარიულ დოკუმენტებს? ნოტარიუსები თავისთავად არ ითვლებოდნენ სახელმწიფო თანამდებობის მქონე პირებად. ისინი გარიგებას ამოწმებდნენ იმიტომ, რომ იცოდნენ წერა-კითხვა და კარგად იცნობდნენ საკანონმდებლო ნორმებს. აქედან ნათლად ჩანს, რომ ამ პერიოდის ნოტარიული დოკუმენტების მსგავსად, ტაბელიალური დოკუმენტები არ წარმოადგენდნენ საჯარო ხასიათის აქტებს. ლონგობარდების კანონმდებლობაში კარგად ჩანს, რომ სასამართლო მტკიცებისათვის ნოტარიულ დოკუმენტს თითქმის იგივე მნიშვნე-

ლობა ჰქონდა, რაც ნებისმიერი განათლებული პიროვნების მიერ შედგენილ დოკუმენტს. ლონგობარდების მეფის რაჩის ედიქტების მიხედვით, ნებისმიერი ნოტარიული დოკუმენტი არ წარმოადგენდა მტკიცებულებას სასამართლოსთვის, თუ მასზე რამდენიმე ლონგობარდის მიერ კეთილსაიმედოდ მიჩნეული პიროვნების ხელმოწერა არ იქნებოდა. პიროვნება, რომელიც ნოტარიულ დოკუდმენტს წარადგენდა სასამართლოში, უნდა დაკითხულიყო დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ. მეფე რაჩის კანონთა IV თავში გამოხატულია მეფის უკმაყოფილება იმით, რომ სასამართლოში წარდგენილი ნოტარიული დოკუმენტების მიუხედავად, ხშირია მტკიცებულებად ფიცის გამოყენება.

მიუხედავად თავიანთი ძლიერებისა, ბარბაროსულ ტომებშიც არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ ეროვნებათა ჩამოყალიბებისა და ეროვნული სამართალგანვითარების პროცესს, რომელშიც მკაფიოდ გამოიხატა ორი ეპოქა. პირველი - ტულუზის სახელმწიფოს შექმნა, სადაც განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა დამარცხებულისა და გამარჯვებულის სამართლებრივი სისტემის გამიჯვნა. ტულუზის სახელმწიფოში იმდენად ძლიერი იყო სიძულვილი გოთებს, ლონგობარდებსა და რომაელებს შორის, რომ ქორწილი რომაელ მამაკაცსა და გოთ ქალს შორის, ან პირიქით, იწვევდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამ სიძულვილს უფრო მეტად ამწვავებდა რელიგიური ნიადაგი; გნოთები არიელები იყვნენ და ქრისტიანთა დევნა მათ პოლიტიკურ მიზნებში შედიოდა. რაც შეეხება მეორე ეპოქას - ბარბაროსების გაბატონებას ესპანეთში, იგი ხასიათდება გოთური და რომაული ერის, ენის, რელიგიისა და სამართლის მთლიანი შერევით. თუ იტალიის ტერიტორიაზე მცხოვრები ბარბაროსების ეროვნულმა სამართალმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა და თავისი კვალი დააჩნია რომაულ სამართალს, ესპანურ ტერიტორიაზე მას ასეთი გავლენა არ ჰქონია. მაგალითად, იმპერატორ მაქსიმილიანეს სანოტარო წესდებაში საერთოდ ვერ ვხედავთ ბარბაროსული სამართლის უმცირეს გავლენასაც კი. იგი შეიძლება ჩაითვალოს რომაული კანონმდებლობის გავლენით შექმნილ ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად. რაც შეხება რელიგიურ დაპირისპირებას ბარბაროსების მეფე რიკარდ I-ის დროიდან, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებას ეზიარა, გოთების ყველა მეფე უკვე ქრისტიანი იყო. ესპანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ბურგუნდებისა და ფრანგების კანონმდებლობა თავიანთი ფორმითა და შინაარსით მთლია-

ნად ატარებენ რომაული კანონმდებლობის ნიშანთვისებას, რადგან მათთვის ამოსავალი წყარო იყო იუსტინიანეს კანონმდებლობა. რომის სამართლისა და პროცესის გავლენით ბურგუნდებისა და ფრანკების სამართალშიც ვხვდებით ნოტარიულ ინსტიტუტებს. მათ ეროვნულ კოდექსებში პირდაპირ ვხედავთ მითითებას გარიგებათა ნოტარიული ფორმით დადების შესახებ, რომელთა შესრულება ეკისრებოდათ სამართალში განსწავლულ პიროვნებებს. კანონმდებლობაში პირდაპირ არის მითითებული იმ გარიგებათა ჩამონათვალი, რომელთა სანოტარო ფორმით შედგენა სავალდებულო იყო: ა) ჩუქება, ბ) მზითევის გადაცემა, გ) მომაკვდავის ნების გამოხატვა, დ) უძრავი ქონების ნასყიდობა, ე) მონის გათავისუფლება.

იმ პიროვნებებს, რომლებიც სანოტარო ფუნქციებს ასრულებდნენ, რიპუარების სამართლის მიხედვით ეწოდებოდათ cancclarii. ოსთგოთებისა და ლონგობარდების ნოტარიუსების მსგავსად, ბურგუნდების, ფრანკებისა და რიპუარების კანცელარიუსები, ასევე ასრულებდნენ მოსამართლის ფუნქციებს და ამავე დროს ადგენდნენ ისეთ მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს, რომელთა დადებისათვის აუცილებელი იყო სახალხო კრების ნებართვა.

როგორც ვხედავთ, ბარბაროსულმა ტომებმა, რომლებიც მთელს ევროპაში იყვნენ გაბნეულნი, რომაული სამართლის გავლენით კოდიფიცირება გაუკეთეს თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობას, თუმცა ცალკეული ტომების კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

ჩვენი წელთაღრიცხვით 800 წ. ევროპის ისტორიულ სცენაზე ახალი პროცესი დაიწყო: კარლოს დიდის მიერ შექმნილი ახალი რომის იმპერიამ დაიწყო ევროპის ტერიტორიაზე გაფანტული ცალკეული ბარბაროსული ტომების ჩაყლაპვა. კარლოსის დაუშრეტელი ენერგიამ აიძულა ევროპა ეღიარებინა მისი ძალაუფლება, ხოლო ეკლესიამ მას იმპერატორის ტიტული მიანიჭა. თუმცა სახელმწიფოს ახალმა პოლიტიკურმა ფორმამ დიდი გავლენა ვერ მოახდინა ბარბაროსული ტომების მოსახლეობის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებზე, რადგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წართმევის მიუხედავად კარლოსმა თითქმის ხელშეუხებლად დატოვა ბარბაროსების ცხოვრების სამოქალაქო სამართლებრივი სფერო. ბარბაროსები ძველებურად სარგებლობდნენ ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტებით. კარლოსი უფრო წინ წავიდა და თავისი იმპერატორობის მეორე წელს კოდიფიცირება გაუკეთა ფრიზებისა

და საქსების ჩვეულებით სამართალს, თუმცა ეროვნული კოდექსების გვერდით წარმოიშვა სამართლის ახალი წყაროები - კაპიტულიარები, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ნოტარიული ინსტიტუტებისათვის, რადგან მათ პირველად აიყვანეს ნოტარიატი სახელმწიფო ინსტიტუტის დონეზე.

რომაელი ტაბელიონები, როდესაც ისინი სანოტარო საქმიანობას ახორციელებდნენ, წარმოადგენდნენ უბრალოდ იურისპრუდენციაში განსწავლულ პიროვნებებს. ასევე ბარბაროსი ტომების კანცელარიუსები ითვლებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ ტექნიკურ მუშაკებად. სულ სხვა საქმეა კაროლინგების პერიოდის ნოტარიუსი (notarii electi). 803 წლის კაპიტულარით, ნოტარიუსებს იმპერატორის სახელით ნიშნავდნენ იმპერატორის კომისრები და მათ ადვოკატებთან ერთად ანაწილებდნენ ოკრუგების მიხედვით. ყოველი ნოტარიუსის შესახებ, რომელიც ამა თუ იმ ოკრუგში მოღვაწეობდა, ეცნობებოდა იმპერატორს და ამის შემდეგ მისი გვარი და სახელი შეჰქონდათ იმპერატორის კანცელარიის მატრიკულებში. ნოტარიუსები ვალდებულნი იყვნენ არა მარტო გარიგებათა შესახებ შეედგინათ იურიდიული დოკუმენტები, არამედ დასწრებოდნენ სასამართლო პროცესებს და შეედგინათ სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტები.

რა სახით არსებობდა საიმპერატორო ნოტარიუსების ორგანიზაცია?

როგორც სამართლის წყაროები მოწმობს, ოსთგოთების, ლონგობარდებისა და ფრანკების მეფეთა კარზე არსებობდა კანცელარიები რომლებიც მოწყობილი იყო რომაულ-ბიზანტიური მოდელის მიხედვით. მეროვინგების ეპოქაში სამეფო ნოტარიუსებს ეწოდებოდათ referenderii. ისინი ვალდებულები იყვნენ მოემზადებინათ დიპლომები ცალკეულ საკითხებზე და წარედგინათ მეფისათვის, მეფის ხელმოწერის შემდეგ თვითონაც მოეწერათ ხელი და დაესვათ სამეფო ბეჭედი.

ნოტარიუსთა კორპუსი, რომის იმპერატორების ნოტარიუსების მსგავსად, დაყოფილი იყო რამდენიმე რანგად. შემორჩენილი დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ referenderii იყვნენ არისტოკრატული წრიდან გამოსული პირები. ეკლესიის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ საიმპერატორო ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება.

კაროლინგების დინასტიის დროს სამეფო კანცელარიის ორგანიზაცია და მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. მისი თანხვედრი პროცესი იყო მეროვინგების მეფობიდან მაიორდომთა მმართველობაზე გადასვლა და მეფობის ინსტიტუტის იმპერატორის ინსტიტუტით შეცვლა. მაიორდომთა მმართველობასთან დაკავშირებით რეფერენდარებმა დაკარგეს თავიანთი გავლენის მნიშვნელოვანი ნაწილი. კარლოს მარტელის დროს ეს ინსტიტუტი კიდევ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ დაახლოებით 100 წლის შემდეგ იგი საერთოდ დავიწყებას მიეცა. რეფერენდარების ადგილი დაიკავეს კანცლერებმა, რომლებიც ძირითადად საეკლესიო წრიდან იყვნენ გამოსულნი; ამ პერიოდში არა მარტო ნოტარიუსის, არამედ უბრალო გადამწერის ადგილსაც კი საეკლესიო წოდების პირები იკავებდნენ. ამასთანავე, აშკარად გამოიკვეთა განსხვავება რეფერენდარებსა და ნოტარიუსებს შორის.

კანცელარიის სათავეში იდგა კანცლერი, რომელიც მთელს მის საქმიანობას ხელმძღვანელობდა. კანცელარიაში კანცლერის შემდეგ თანამდებობით მოდიოდა ნოტარიუსი, რმოელიც ასევე სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო. ნოტარიუსი არა მარტო ამზადებდა საიმპერატორო დიპლომებს, არამედ კანცლერის არყოფნის პერიოდში ხელს აწერდა მის ნაცვლად. რაც შეეხება უბრალო ტექნიკურ სამუშაოს, მას ასრულებდნენ რიგითი გადამწერები, რომელთა სწავლება ხდებოდა კარლოსის სამეფო კართან არსებულ სპეციალურ სკოლაში, სადაც მათ ასწავლიდნენ სანოტარო პრაქტიკას. ეცნობოდნენ რა ნოტარიუსების ხელმძღვანელობით ასრულებდნენ იურიდიულ გარიგებებთან დაკავშირებულ ტექნიკურ სამუშაოებს. მათ მოეთხოვებოდათ არამარტო განათლება, არამედ იმპერატორისადმი ერთგულება, თავმდაბლობა და მოუსყიდველობა. ასეთ დონეზე მომზადებული ტექნიკური მუშაკები რჩებოდნენ იმპერატორის კარზე სამუშაოდ, ან კიდევ გარკვეული საფეხურების გავლის შემდეგ იკავებდნენ ნოტარიუსის თანამდებობას ჰერცოგებთან და მარკგრაფებთან.

საიმპერატორო და სამეფო დოკუმენტები ეხებოდა არამარტო საკანონმდებლო ადმინისტრაციულ სფეროს, არამედ კერძო მოქალაქეთა ინტერესებსაც. ზოგიერთი სახის დოკუმენტები უნდა შესრულებულიყო უშუალოდ სამეფო კარზე და, ამდენად, იგი მომზადებული უნდა ყოფილიყო კანცელარიაში. ყველა იმ დოკუმენტს, რომელიც საიმპერატორო სამეფო კარზე დგებოდა, ეწოდებოდა

preceptum regale ან imperiale. დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა კერძო პირთა ინტერესებს, შეიძლება მომზადებულიყო მხოლოდ შემდეგ გარიგებებთან დაკავშირებით: ა) უძრავი ქონების უცხოელებისათვის გადაცემა; ბ) მონის გათავისუფლებისა და მისთვის თავისუფალი ადამიანის სტატუსის მინიჭება; გ) მოქალაქის მიერ სასამართლო პროცესზე თავისი წარმომადგენლის დანიშვნა.

იმპერატორის ნოტარიუსების მიერ შედგენილი დოკუმენტიც, ისევე როგორც რომში, იწყებოდა ღვთისადმი მიმართვით, ტახტზე მყოფი იმპერატორის სახელის, გამეფების წლისა და თვის მითითებით. შემდეგ მიეთითებოდა იმ იმპერატორის სახელი, ვისაც მიემართებოდა დოკუმენტი.

იურიდიული დოკუმენტის შედგენის ძირითადი ნიმუში კაროლინგების დროს იყო მარკულფის კრებული, რომლის პირველი ნაწილი შეიცავდა ორმოც ფორმულას დოკუმენტის შედგენის წესის შესახებ. მეორე ნაწილი კი ეხებოდა სამართლის იმ ნორმებს, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო გარიგების დადება. დოკუმენტი, რმოელსაც ადგენდა კანცლერი ან ნოტარიუსი, წარედგინებოდა მეფეს, რომელიც ან ხელს აწერდა მას, ან რაიმე მისთვის დამახასიათებელ ნიშანს უკეთებდა, რის შემდეგაც დოკუმენტზე ისმებოდა სამეფო ბეჭედი. ზოგიერთ დოკუმენტზე, მისი დანიშნულების შესაბამისად, შეიძლება ყოფილიყო ან მხოლოდ ხელმოწერა, ან მხოლოდ ბეჭედი. მეროვინგების დინასტიის თითქმის ყველა მეფემ იცოდა წერა-კითხვა. ამდენად, დოკუმენტებზე დასმულია მათი ხელმოწერები. რაც შეეხება კაროლინგებს, პიპინმა საერთოდ არ იცოდა წერა, ხოლო კარლოსმა მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს შეძლო წერის სწავლა. ამიტომ მათ დოკუმენტებზე მხოლოდ სპეციფიკური ნიშნებია დასმული. მეფეები რომ არ გაწვალებულიყვნენ, კანცელარიაში ხელმოსაწერ დოკუმენტებზე ნოტარიუსი ისე სვამდა მონოგრამას, რომ მეფისაგან მხოლოდ ერთი შტრიხის ჩამოსმა იყო საკმარისი. მონოგრამას თან მოსდევდა კანცლერის ახსნა-განმარტებითი მინაწერი იმის შესახებ, თუ რომელ მეფეს ეკუთვნოდა მონოგრამა. რაც შეეხება გრაფიკულ მხარეს, მას შემდეგი თავისებურება ახასიათებდა: ა) ნოტარიუსის ხელმოწერის წინ აღნიშნული იყო ხარიზმი - ცნობილი ფიგურალური ნიშანი - მიმართვა ღვთისადმი; ბ) გარიგების შინაარსი იწერებოდა მოგრძო შრიფტით; გ) შინაარსის ბოლო სიტყვა იწერებოდა მხატვრული ასოებით. კანცლერის ხელმოწერის შემდეგ ისმებოდა სამეფო ბეჭედი. ბეჭედი ორი სახით

არსებობდა. კაროლინგურ დოკუმენტებში ბეჭდის ახლოს აღნიშნული იყო ნოტარიუსის სახელი. კარლოსის დროინდელ ბეჭედზე მისი სახის გამოსახულების გარდა იყო მისი ტიტულის აღმნიშვნელი წარწერა: XPE PROTEGE CAROLUM REGEM ან IMPERATOREM. ამ სტრიქონების შემდეგ აღინიშნებოდა დოკუმენტის შედგენის თარიღი.

იმპერატორის კანცელარიის მსგავსად იყო მოწყობილი მეფეების, ჰერცოგების და მარკგრაფების კანცელარიებიც.

კარლოსის მიზანი - აეყვანა ნოტარიატი სახელმწიფო ინსტიტუტის დონეზე საიმპერატორო და სასამართლო ნოტარიუსების გაერთიანებით, მთლიანად გამოჩნდა 803 წლის კაპიტულარში, რომლითაც მან დაავალა ზენდგრაფებს ყველა ოკრუგში scribae publici - თა რიგებიდან დაენიშნათ რამდენიმე ნოტარიუსი. თუმცა 803 წლამდეც იგი ბევრს აკეთებდა ნოტარიატის ინსტიტუტის როლისა და მნიშვნელობის გაზრდისათვის. იტალიის დაპყრობიდან ერთი წლის შემდეგ (774 წ.) მან გამოსცა კანონი, რომლითაც მან საეკლესიო პირებს შეუზღუდა სანოტარო საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. თუმცა კარლოსმა სასულიერო პირთა გაძევება ნოტარიატის ინსტიტუტიდან ბოლომდე ვერ შეძლო, რადგან მის კანცელარიაში ბევრი სასულიერო პირი მუშაობდა. არც ერთი კანცლერი არ იყო კარლოსის და ლოდოვიკოს კარზე აბატის, ან ეპისკოპოსის წოდების გარეშე, არც ერთი ნოტარიუსი არ იყო პრესვიტერის ან დიაკვნის ხარისხის გარეშე. გარდა ამისა, მოსახლეობის საყოველთაო გაუნათლებლობა შეუძლებელს ხდიდა სასულიერო პირების მთლიანად გამოდევნას სანოტარო საქმიანობიდან. აქედან გამომდინარე, დიდი სურვილის მიუხედავად, კარლოსმა ვერ შეძლო თავისი მიზნის ბოლომდე განხორციელება. მეცხრე საუკუნის მე-2 ნახევრამდე ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტების ნახევარზე მეტი ისევ საეკლესიო პირების მიერ იყო შესრულებული. 1213 წელს, როდესაც მიიჩნიეს, რომ სახელმწიფოში უკვე საკმაოდ იყო განათლებული ხალხი, რომელსაც შეეძლო ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება, პაპმა ინოკენტი III-მ საეკლესიო პირებს აუკრძალა სანოტარო მოქმედებათა შესრულება. 803 წლის კანონი ავალებდა ზენდგრაფებს სასამართლო პროცესებისათვის აერჩიათ მოსამართლეები, ადვოკატები და ნოტარიუსები და გაენაწილებინათ ისინი იმ ოკრუგებში, სადაც სასამართლო პროცესები იმართებოდა. ნოტარიუსების მოსამართლეებსა და ადვოკატებთან ერთად ერთ სიბრტყეში განხილვა

მოწმობს, რომ მათი საქმიანობა მხოლოდ სასამართლო პროცესებზე მონაწილეობით ამოიწურებოდა. მოსამართლეები (სკაბინები) არა მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული პროცესებისათვის ირჩეოდნენ, არამედ სამუდამოდ. ამიტომ ისინი ატარებდნენ scadiius-ს ტიტულს, რაც მუდმივ მოსამართლეს ნიშნავდა.

ზენდგრაფების მიერ არჩეული ნოტარიუსებიც, ისევე როგორც სკაბინები, ვალდებულნი იყვნენ მუდმივად გამოცხადებულიყვნენ სასამართლო პროცესზე და რედაქტირება გაეკეთებინათ სასამართლო გადაწყვეტილებათა და სხვა იურიდიული დოკუმენტებისავის. სკაბინების არჩევა არ იყო მხოლოლდ ზენდგრაფის ნება-სურვილზე დამოკიდებული. გარდა ამისა,საჭირო იყო ხალხის თანხმობა; ამის შესახებ კაპიტულარებში პირდაპირაა მითითებული. იგივე იყო საჭირო ნოტარიუსად არჩევისათვის. იგივე კანონი ზენდგრაფებს ავალებდა, ახლად არჩეული მოსამართლეებისა და ნოტარიუსების შესახებ ეცნობებინა იმპერატორისთვის და ამის შემდეგ მათი მონაცემები შეეტანათ საიმპერიო კანცელარიაში არსებულ სპეციალურ მატრიკულებში.

ამრიგად, იმპერატორის კომისრებისა და ზენდგრაფების მიერ იმპერატორის სახელით არჩეულ, მისივე კანცელარიის მატრიკულებში შეტანილ notarii electi-ს, თავისი ფუნქციის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე და საიმპერატორო ნოტარიუსთან მისი საქმიანობის მსგავსების გამო, ამაყად შეიძლებოდა თავის თავისათვის ეწოდებინა notarii domui imperatoris ან sacri palatii.

როგორც ვხედავთ, 803 წლის კანონი იყო ხელისუფლების მხრიდან პირველი ნაბიჯი ნოტარიატის სახელმწიფო თანამდებობაზე აყვანისაკენ. ამ კანონით მთავრდება კარლოს დიდის მონაწილეობა ნოტარიატის ჩამოყალიბების საქმეში. კარლოსის შემდეგ გარკვეული პერიოდი არავინ დაინტერესებულა ნოტარიატით. მხოლოდ ლოტარ I დაინტერესდა ნოტარიატის ინსტიტუტით. მის მიერ 843 წელს მიღებული კანონით ნოტარიუსებს სანოტარო მოქმედებები უნდა შეესრულებინათ მოსამართლის (სკაბინის) გიზაფის, ან მისი ვიკარიის თანდასწრებით, რომლებიც დოკუმენტს ხელს აწერდნენ როგორც მოწმეები. ეს, ალბათ, იმიტომ ხდებოდა, რომ კანონი მხოლოდ იმ დოკუმენტებს აძლევდა საჯარო აქტების ძალას, რომლებზეც სწორედ ზემოთ აღნიშნული პიროვნებების ხელმოწერა იყო. ლოტარმა სასტიკად აუკრძალა ერთი ოკრუგის ნოტარიუსს სანოტარო მოქმედების შესრულება მეორე ოკრუგში ამ ოკრუგის გრაფის

ნებართვის გარეშე. ამავე კანონით, ნოტარიუსი, რომელიც თანამდებობას იკავებდა, ვალდებული იყო დაედო ფიცი, რომ არ დაარღვევდა ტერიტორიული კომპეტენციის წესს. დოკუმენტი, რომელსაც ნოტარიუსი აკრძალვის მიუხედავად სხვა ოკრუგში შეადგენდა გრაფის ნებართვის გარეშე, ბათილადიქნებოდა ცნობილი. X საუკუნის დოკუმენტები ადასტურებს, რომ ერთი ოკრუგის ნოტარიუსი მეორე ოკრუგში ხშირად არსულებდა სანოტარო მოქმედებებს, ოღონდ ყველა დოკუმენტში მითითებულია გრაფის ნებართვა: ego NN notarius per datam licentiam NN comitis NN civitatis scripsi.

კარლოსისაგან განსხვავებით ლოტარმა პირველად დააწესა საზღაური სასამართლო გადაწყვეტილებათა და სხვა იურიდიული დოკუმენტების დამოწმებისათვის. ამავე დროს, მიუთითა რომ გადასახადი არ გადაეხდევინებინათ ობლებისა და ღარიბებისათვის, ხლო ამ ნორმის შესრულებაზე ზედამხედველობა დააკალა ოკრუგის გრაფებს.

კარლოს დიდის ნებართვით იტალიის ზოგიერთ რაიონში არსებობდნენ აგრეთვე საქალაქო ნოტარიუსები, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ ძველი სახელწოდება: tabellio. რავენაში IX საუკუნის შედგენილ დოკუმენტებზე მუდმივად გვხვდება ხელმოწერა: tabellio covotatis Ravennatis. ფერარის მონასტერსა და მოქალაქე დომენიკოს შორის დადებულ ხელშეკრულებას ამშვენებს შემდეგი ხელმოწერა: Andreas in Dic nomine tabellio civitatis Ferrarie. რომის წმინდა გიორგის სახელობის მონასტრისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ დოკუმენტზე იკითხება tgo Benedictus tabellio urbis Romane complevi et absolvi. როგორც ვხედავთ, რავენას, ფერარის და რომს ჰყავდათ თავიანთი საქალაქო ნოტარიუსები, რომლებიც, ამავე დროს, ქალაქის მოსამართლის ფუნქციასაც ასრულებდნენ. ამავე ქალაქებში შენარჩუნებული იყო ტაბელიონთა კორპორაციებიც.

ნარკვევების პირველ ნაწილში ჩვენ აღვნიშნეთ,რომ პაპირუსის ხმარება საწერ მასალად დაიწყეს მეშვიდე ასწლეულში და მხოლოდ პაპის კანცელარია მოიპოვებდა მას სიცილიაში.

კაროლინგების ეპოქაში პაპირუსის ნაცვლად გამოიყენებოდა რამდენიმე სახის პერგამენტი, რომლებიც იმის მიხედვით განსხვავდებოდა, თუ რომელი ცხოველის ტყავისაგან იყო დამზადებული და რა ხერხით იყო გამოყვანილი. ყველაზე კარგ საპერგამენტე ტყავს იტალიაში ამზადებდნენ. როგორც წესი, აპრიალებდნენ ტყავის მხოლოდ ერთ მხარეს, რომელზეც სრულდებოდა წარწერა. თუმცა შე-

მონახულია ისეთი პერგამენტებიც, რომელთა ორივე მხარე იყო გაპრიალებული. იტალიის ზოგიერთ რეგიონში გამოიყენებოდა ბამბისაგან დამზადებული ქაღალდი, რომელიც პირველად 706 წელს დაამზადეს აღმოსავლეთში, საიდანაც შეიტანეს იტალიაში. თუმცა ამ სახის ქაღალდთი დიდხანს არ უსარგებლიათ. XIII საუკუნიდან იგი საერთოდ ამოიღეს ხმარებიდან.

ფრანკებში გაბატონებულ შრიფტს წარმოადგენდა ე.წ. კაროლინგური კ:ურსივი. მისი დამახასიათებელი ნიშანი იყო შტრიხთა წაგრძელებული ფორმა და სინაზე. ასოები ერთმანეთზე მიბრჯნით იყო დაწერილი, მაგრამ ერთმანეთს არ ამახინჯებდნენ, როგორც ეს ტაბელიალურ დოკუმენტებში იყო. იტალიაში გაბატონებული იყო ლონგობარდული შრიფტი, რომელშიც, განსხვავებით ფრანკულისაგან, ასოები ერთმანეთისაგან დაცილებით იწერებოდა და მომრგვალებული მოხაზულობით გამოირჩეოდა.

იმპერატორის ნოტარიუსის მიერ შედგენილი დოკუმენტების გრაფიკულ თავისებურებას წარმოადგენდა წაგრძელებული და მსხვილი შრიფტი. იმპერატორებმა ვალენტიანმა და ვალენსიამ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას აუკრძალეს იმავე შრიფტით ესარგებლათ, რომლითაც საიმპერატორო დოკუმენტები იწერებოდა. თუ ტაბელიალურ დოკუმენტებში აბრევიატურა, სიგელები და შემოკლებები იშეიათად გვხედებათ, კაროლინგების ეპოქის ნოტარიალური დოკუმენტები გადატვირთულია აბრევიატურით და სიტყვათა შემოკლებებით. ყველაზე ხშირად კაროლინგურ იურიდიულ დოკუმენტებში გვხვდება შემდეგი აბრევიატურა DM-Deus, DMS - dommimus, IMPR - imperator, PAL - palatii, KAL - kalendus. რაც შეეხება ინტერპუნქტუაციას, კარლოს დიდამდე იგი თითქმის არ გვხედება. მხოლოდ კარლოს დიდისა და მისი საიმპერატორო სკოლის აღზრდილების დამსახურებაა, რომ კარლოსის და ლუდოვიკოს დროიდან ჩვენ უკვე ეხვდებით ინტერპუნქტუაციის მთელ სისტემას. დოკუმენტები დგებოდა ჯერ გალიაში გავრცელებული sermo plebejus-ზე, შემდეგ რომაულ დიალექტზე და ბოლოს ლათინურ ენაზე.

რაც შეეხება ნოტარიალური აქტების შინაარსობრივ მხარეს, ტაბელიონებისა და ლონგობარდების scribae publici-ს მსგავსად კაროლინგი ნოტარიუსებიც იურიდიულ დოკუმენტებს ადგენდნენ ფორმულიარების საფუძველზე. მარკულაფის კრებული სავალდებულო იყო, როგორც სასამართლო პროცესზე გამომსვლელი, ასევე საიმპერატორო ნოტარიუსებისთვისაც. მარკულაფის კრებულის

გარდა, არსებობდა კიდევ მთელი რიგი ფორმულები, რომლებიდანაც ზოგი ამ უკანასკნელის დამატებას წარმოადგენდა, ზოგიერთი დამოუკიდებელი ფორმულის სახით არსებობდა. ამ ფორმულების სახელწოდებები მათი ავტორების სახელებიდან მომდინარეობდა: ბიგნონიას, ბალუიზიას, მობილიონომის და სხვა. თავისი წარმოშობით ეს ფორმულები წარმოადგენდა რომაული ფორმულების გალეული რიტორიკოსებისა და გრამატიკოსების მიერ გადამუშავებულ და თავისი დროისათვის მისადაგებულ მასალას. აქაც, როგორც ტაბელიალურ დოკუმენტებში, გარიგება იწყება ღვთისადმი მიმართვით. აუცილებელია დოკუმენტის შედგენის დროის მითითება. ლოტარ I-ის კანონმდებლობით, დოკუმენტი, რომელშიც მითითებული არ იყო მისი შედგენის თარიღი, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ნასყიდობის, ჩუქებისა და სხვა ხელშეკრულებების დადებისას ყოველთვის ეხედებით მითითებას კონტრაგენტების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის შესახებ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგების ნამდვილობის დასტური. ფიცს ცვლის ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის დაწესებული ჯარიმა, რომლის ოდენობაც დგინდებოდა კონტრაჰენტების შეთანხმებით. მხარეები ან ხელს აწერდნენ ხელშეკრულებას, ან უსვამდნენ ჯვარს, ხოლო ნოტარიუსი ჯვრის გვერდით აკეთებდა აღნიშვნას, თუ რომელ მხარეს ეკუთვნოდა ეს ნიშანი. ხშირად მხარეების გარდა გარიგების დადებას ესწრებოდნენ სხვა პირებიც. ასე მაგალითად, ქმრიანი ქალის მიერ ხელშეკრულების დადებას ყოველთვის ესწრებოდა მისი მეუღლე.

803 წლის კაპიტულარიით არავის არ ჰქონდა ხელშეკრულების ღამით დადების უფლება. ლოტარ პირველის კანონმდებლობით, თუ მხარეები თვითონ ვერ შეძლებდნენ ნოტარიუსთან მისვლას, ნოტარიუსი თავად უნდა წასულიყო მათთან.

მოწმეები უნდა ყოფილიყვნენ მამრობითი სქესის, არანაკლებ თუხთმეტი წლის, სასამართლოს მიერ ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ ცნობილნი არაქმედუნარიანად და ისინი უნდა ყოფილიყვნენ როგორც ნოტარიუსის, ასევე კონტარჰენტების ნაცნობები; მოწმეები უნდა ყოფილიყვნენ ერთი ეროვნებისა, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში მოწმე შეიძლება ყოფილიყო უცხოელიც.

ხელშეკრულებაზე კონტრაგენტებისა და მოწმეების შემდეგ ხელს აწერდა ნოტარიუსი. ბეჭედი დაესმებოდა მხოლოდ ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც შედგენილი იყო სასამართლო პროცესზე, ან

რომელსაც უნდა მისცემოდა საჯაროშ აქტის ძალა. რაც შეეხება მონოგრამას, იგი მხოლოდ დიმპერატორების, მეფეების, ჰერცოგებისა და მარკგრაფების დოკუმენტებს უკეთდებოდა.

### §4. ნოტარიუსთა კორპორაციები

ნოტარიატის ისტორიაში მეთორთხმეტე საუკუნიდან დგება ახალი ერა - ნოტარიატის ორგანიზაციული ჩამოყალიბების ხანა, რომელიც დაიწყო კარლოს დიდმა თავისი კაპიტულარებით და რაც დასრულდა იტალიური ქალაქების სტატუტებით, რომლებშიც ნოტარიატის ორგანიზაცია უკვე თითქმის წვრილმანებამდეა დამუშავებული. იგი გახდა პროტოტიპი იმ საერთოევროპული ნოტარიატისა, რომელიც ტომის სამართალთან ერთად ამოქმედდა გერმანიასა და საფრანგეთში.

თუმცა, უნდა ითქეას, რომ კარლოსის კაპიტულარები და იტალიური ქალაქების სტატუტები მხოლოდ ორი ფაქტორი იყო, რომელმაც ბიძგი მისცა ნოტარიატის ორგანიზაციულ ჩამოყლაიბებას. მათ გვერდით იყო მესამე - არანაკლები მნიშვნელობის ფაქტორიც; ეს იყო ადათი, რომლის კოდიფიკაციამაც გარკვეული წვლილი შეიტანა სტატუტების იმ სამართლებრივი ნორმების გამომუშავეაში, რომელიც ეხებოდა ნოტარიატს. თუ თაობებში გამომუშავებული ჩვეულებები ნოტარიუსთა კორპორაციის წევრებს თაობიდან თაობებში გადაეცემოდათ, აღნიშნულ პერიოდში მათ ქალაქების სტატუტებში თავიანთი საპატიო ადგილი დაიკავეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გვერდით, როგორიც იყო ქალაქის კეთილმოწყობისა და საპოლიციო რეგლამენტი. რომის უძველესი სტატუტის მესამე წიგნის 282-ე თავში პირდაპირ არის მითითებული, რომ სანოტარო წესდება შედგენილია mores officil tabclionatus. ასევე შეიძლება ითქეას სხვა ქალაქების სტატუტებზეც. ყველა მათგანი გარკვეულწილად წარმოადგენდნენ იმის კოდიფიცირებულ სახეს, რაც ადრე არსებობდა როგორც mores- ჩვეულება.

აღნიშნული საკითხის შესასწავლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქეს შემდეგი ქალაქების სტატუტებს: 1. ქალაქ ნიცის - მე-13 ს. (statuta et capitula civitatis Niciae dumopsa regbatur rep consules). 2. რავენის - 1253 3. პიაჩენცის 1391 წ. (statuta et decreta antiqua civitatis placentinae 1580); 4. პადუას (statututorum magnifficae civitatis paduae libex 1747); 5. ევრონის (statutorum magniifficae civitatus Veronae libri 1747) და ყველაზე გამორჩეულები- რომისა და ბოლონიის სტატუტე-

ბი (statutorum almac urbis Romae librei V 1567 fol. statutorum in clutac vivitatis studiorumque matris Bononiac 1561 fol).

ნოტარიუსის მიერ სანოტარო საქმიანობის დაწყება დაფუძნებული იყო მის „ავტორიზაციაზე“, რაც, ჩვენი აზრით, ნიშნავდა მისთვის ლიცენზიის მინიჭებას. ლიცენზია უნდა გაეცა არამარტო საერო ხელის·უფლების წარმომადგენლებს, არამედ ეკლესიის მეთაურსაც - პაპს, რადგან იმ დროს გაერცელებ·ული მოსაზრებებით საერო ხელისუფლება სათავეს იღებდა სასულიეროსაგან. ორი მახვილის თეორიის მიხედვით, რომის პაპი გადასცემს იმპერატორს საერო ხელის·უფლების აღმნიშვნელ მახვილს, რომელიც მას ღმერთმა უბოძა. აქედან გამომდინარეობს ნოტარიუსების დამტკიცება არამარტო საერო, არამედ სასულიერო ხელის·უფლების მიერაც. პაპის მიერ კანონზომიერებული ნოტარიუსები თავიანთ თავს უწოდებენ adomno papa adostolica auctoritate. ერთ-ერთ სიგელში, რომლითაც მოქალაქე ბუკალიონი პაპი ანდრიანეს სასარგებლოდ 1158 წელს უარს აცხადებს მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ნოტარიუსი შემდეგ წარწერას აკეთებს: ego legidius notarius adomno papa coclestion, rogatu Bucaleonis complevi et scripsi.

იმპერატორი ნოტარიუსს კანონიზაციის შესახებ ან თვითონ აცნობებდა, ან მათ დანიშვნას ავალებდა საერო და სასულიეროხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებს. ესენი იყვნენ:

1. ჰერცოგები. მათ ჰქონდათ ნოტარიუსის დანიშვნის უფლება იმპერატორის სახელით, ან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმპერატორს დასანიშნად წარუდგენდნენ კანდიდატურას. ამის ნათელი მაგალითია საარბიტრაჟო სასამართლოს 1175 წლის აქტი იმპერატორ ფრიდრიხ პნირველსა და ლომბარდიის ქალაქებს შორის, სადაც ნოტარიუსი შემდეგნაირად აწერს ხელს: ego fantolinus notarius domini Gvelfonis ducis, et ab imperatore friderico confires postac, rogatus praedictis interfui. მითითება იმპერატორის მიერ ნორტარიუსების დამტკიცებისა გვხვდება აგრეთვე იმპერატორისა და ლომბარდიის ქალაქების მორიგების აქტში (1185 წ.).

2. გრაფები. მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან უფლება ნოტარიუსების დანიშვნისა გადავიდა სპეციალური თანამდეობობის პირების - ფალცგრაფების კომპეტენციაში es comites palatini ყოველ პროვინციაში ინიშნებოდნენ ერთი, ან რამდენიმე პირის შემადგენლობით და რეზიდენცია ჰქონდათ ტიჩინოში. 1195 წლის სიგელით იმპერატორი ჰენრიხ მეექვსე ფალცგრაფ ვენეროზს უმტკიცებს სხვა-

დასხვა უფლებებს და მათ შორის უფლებას, დანიშნოს judicos ordinarios et notarius. უმეტეს შემთხვევაში ეს უფლება ფალცგრაფებს მემკვიდრეობით გადაეცემოდათ. მათ მიერ დანიშნული ნოტარიუსები დოკუმენტზე ხელმოწერისას თავიანთ თანამდებობას უმატებენ ტიტულს palatinus. ასე, მაგალითად, ჩუქების ხელშეკრულებაზე, რომლითაც მარკგრაფმა მონიფაციუსმა 1218 წელს წმინდა მარიას მონასტერს აჩუქა მიწის ნაკვეთი, ნოტარიუსი აკეთებს წარწერას: ego conradus palatinus et domini imperatoris notarius interfui et notarius scripsi.

3. ეპისკოპოსები. მათ ნოტარიუსების დანიშვნის უფლება ჰქონდათ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და თუ მაინც ხდებოდა ასეთი შემთხვევები, ამას აკეთებდა პაპი ისევ თავის ფალცგრაფების მეშვეობით. ამაზე მითითებას ვხვდებით რომის სტატუტებში. ნოტარიუსები, რომლებიც დანიშნულები იყვნენ არა იმპერატორის, არამედ პაპის ფალცგრაფების მიერ, აქტებში თავიანთ თავს უწოდებდნენ notarii sacri palatii later anensis მე-13 და მე-14 საუკუნეებში, როდესაც ზოგიერთმა იტალიურმა ქალაქმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, ნოტარიუსებს იმპერატორისა და პაპის გარდა თვით ქალაქებიც ნიშნავდნენ. ასე მაგალითად, ბოლონიის სტატუტებით, თუ პიროვნება, რომელსაც სურვილი ჰქონდა დაეკავებინა ნოტარიუსის თანამდებობა და გაიელიდა შესაბამის გასაუბრებას, ამის შემდეგ პოდესტას (ქალაქის მმართველობის თანამდებობის პირი) ვიკარიას, ან მოსამართლეს შეეძლოთ იგი ეღიარებინათ ნოტარიუსად. ამავე დროს ამ პროცედურის გაველის შემდეგ მას უფლება ჰქონდა ემუშავა არამარტო ბოლონიაში, არამედ სხვა დამოუკიდებელ ქალაქებშიც.

4. და ბოლოს, ზოგიერთ ქალაქში ნოტარიუსის დანიშვნის უფლება ჰქონდათ თვით ნოტარიუსთა კორპორაციებსაც. კარლოს მეხუთე 1530 წელს ქალაქ ბოლონიის ნოტარიუსთა კორპორაციას doctorum in jure აძლევს უფლებას აირჩიოს პიროვნება ნოტარიუსის თანამდებობაზე.

განვიხილოთ, თუ რა მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა იმ პიროვნებას, რომელსაც ნოტარიუსის თანამდებობა უნდა დაეკავებინა.

ამის თაობაზე სხვადასხვა ქალაქის სტატუტებით სხვადასხვა მოთხოვნებს ადგენდნენ. თუმცა, მათ შორის იყო ისეთი მოთხოვნე-

ბიც, რომლებიც საერთო ხასიათს ატარებდა. საერთო მოთხოვნები შემდეგი სახისა იყო:

1. მონა, ან ვალის გამო კაბალურ მდგომარეობაში მყოფი პირი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნოტარიუსი, თუმცა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მონობიდან განთავისუფლებულ პიროვნებას შეეძლო დაეკავებინა ნოტარიუსის თანამდებობა. რაც შეეხება სასულიერო პირებს, ქალაქების სტატუტები ყოველად მიუღებლად თვლიდნენ საეკლესიო და სანოტარო საქმიანობის შეთავსებას. ისინი ცდილობდნენ საერთოდ აღმოეფხვრათ ეკლესიის მსახურთა ჩარევა სანოტარო და სასამართლო საქმეებში. ამ მხრივ განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა ბოლონიის სტატუტი. თუმცა, თუ იმპერატორის ხელისუფლება ძლიერი იყო, იგი მაინც ახერხებდა ნოტარიუსის თანამდებობაზე საეკლესიო პირის დანიშვნას.

2. მოქალაქის ასაკი, რომელიც სხვადასხვა ქალაქთა სტატუტებით სხვადასხვანაირი იყო. რომის სტატუტით ნოტარიუსი არ შეიძლებოდა ოც წელზე ახალგაზრდა ყოფილიყო, ბოლონიის სტატუტით - თვრამეტი წელზე ნაკლები. იგივე სტატუტები მიუთითებენ იმ ასაკსაც, რომლის ზევითაც არ შეიძლებოდა პირის ნოტარიუსად დანიშვნა. ასეთ ასაკად ორმოცი წელი იყო მიჩნეული. პიაჩენის სტატუტით, თუ პირი ნოტარიუსის შვილი იყო, მას შეეძლო სანოტარო საქმიანობა დაეწყო თოთხმეტი წლის ასაკიდან, საერთოდ კი - თექვსმეტი წლიდან.

3. კანდიდატის პატიოსნება და კეთილშობილება.

4. იურიდიული განათლება და სანოტარო საქმიანობასთან პრაქტიკული შეხება.

კანდიდატი გადიოდა გამოცდას, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. პირის გამოცდის მოვალეობა ეკისრებოდა ზენდგრაფებს. უფრო მოგვიანებით სტატუტებით დადგინდა საგამოცდო კომისიის შემადგენლობა და მისი ჩატარების წესი.

რომში კომისია შედგებოდა ნოტარიუსთა კორპორაციის წარმომადგენლების, პროკუნსულებისა და კორექტორებისაგან. ბოლონიაში დასახლებული პირების გარდა შედიოდნენ სამართლის ორი დოქტორი და რვა ნოტარიუსი, რომელთაც პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა ათი წლის გამოცდილება უნდა ჰქონოდათ. პიაჩენცაში კომისია შედგებოდა თორმეტი გამოცდილი ნოტარიუსისაგან, რომელთაც კორპორაცია ნიშნავდა. საგამოცდო საგნების ჩამონათვალში შედიოდა ა) გრამატიკა, ბ) ars notarimus- სანოტარო აქტების

შედგენის ცოდნა, გ) იმ ქალაქების სტატუტების ცოდნა, სადაც ნოტარიუსს ჰქონდა თავისი პროფესიული საქმიანობის დაწყების სურვილი. ნოტარიუსისათვის დადებითი შეფასებისა და სამსახურში მიღების საკითხი წყდებოდა ხმების უმრავლესობით.

თეორიული გამოცდის ჩაბარების გარდა საჭირო იყო ქალაქის რომელიმე ნოტარიუსის წერილობითი ჩვენება, რომ კანდიდატმა მისი ხელმძღვანელობით გაიარა სანოტარო პრაქტიკა. პრაქტიკის ვადა სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვა იყო. რომის სტატუტით დადგენილი იყო არანაკლებ ერთი წლის სტაჟი (perannum ad minus). ბოლონიის სტატუტის შესაბამისად, ხელმძღვანელი ნოტარიუსის წერილობითი ჩვენების ნაცვლად საკმარისი იყო ნოტარიუსობის კანდიდატს დაედო ფიცი იმის შესახებ, რომ იგი ორი წლის განმავლობაში გადიოდა პრაქტიკას ნოტარიატის დოქტორის ხელმძღვანელობით, სამოქალაქო სამართლისა და კანონიკური სამართლის დარგის დოქტორის ხელმძღვანელობით და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მეცადინეობდა გრამატიკაში.

გამოცდის ჩაბარების შემდეგ კანდიდატებს გადაეცემოდათ დიპლომი, რისთვისაც ისინი, ბოლონიის სტატუტის შესაბამისად, იხდიდნენ ხუთ სოლიდს, სხვა ქალაქები თანხას არ განსაზღვრავდნენ, უბრალოდ კმაყოფილდებოდნენ გამოთქმით - more solito.

5. და ბოლოს, აუცილებელი პირობა იყო ნოტარიუსთა კორპორაციის თანხმობა. არავის არ შეეძლო პიროვნება შეეყვანა ამა თუ იმ ქალაქის ნოტარიუსთა სიაში, ან მისთვის გადაეცა დიპლომი, თუ ნოტარიუსთა კორპორაციას არ სურდა ამ პიროვნების თავის რიგებში მიღება.

ასეთი იყო ის საერთო მოთხოვნები, რომელსაც ყველა ქალაქის სტატუტი ადგენდა ნოტარიუსობის კანდიდატების მიმართ.

საერთო მოთხოვნების გარდა დადგენილი იყო შემდეგი განსაკუთრებული მოთხოვნები:

1. რომსა და ბოლონიაში - კანდიდატი ამ ქალაქების მოქალაქეთაგან უნდა ყოფილიყო დაბადებული.

2. კანდიდატი დაბადებული უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული ქორწინებიდან.

3. რომის სტატუტით - კანდიდატი წარმოშობით არ უნდა ყოფილიყო ხელოსანთა და ვაჭართა წრიდან და უკეთესი იქნებოდა, თუ იგი მანამდე არ ეწეოდა რაიმე ასეთ საქმიანობას.

ნოტარიუსი, რომელიც ჩააბარებდა გამოცდას და მიღებული იქნებოდა ნოტარიუსთა კორპორაციაში, შეჰყავდათ სპეციალურ (ჟურნალებში) მატრიკულებში - in matrikula. თითქმის ყველა იტალიურ ქალაქში არსებობდა ორი სახის ნოტარიალური მატრიკულები. ნოტარიუსის შეტანის შემდეგი წესი არსებობდა: გამოცდის დამთავრების შემდეგ მზადდებოდა სპეციალური წერილობითი წინადადება, რომელსაც ხელს აწერდა კონსული, ან კორექტორი. ეს წინადადებები გადაეცემოდა ქალაქის „აქტუარიუსს" (sekretario camerae actorum), რომლის მოვალეობაც იყო ნოტარიუსთა სიების შენახვა. მატრიკულში ნოტარიუსი აწერდა ხელს და სვამდა ბეჭედს, რომელსაც იგი შემდგომ საქმიანობაში გამოიყენებდა (დოკუმენტების დამოწმებისას). რაც შეეხება კორპორაციულ მატრიკულებში ნოტარიუსთა მონაცემების შეტანას, მას აწარმოებდა თვით კორპორაციის მიერ დანიშნული წარმომადგენელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნისათვის გამოცდის ჩაბარების შემდეგ აუცილებელი იყო კორპორაციის თანხმობა. თვით კორპორაცია არ იყო ჩაკეტილი ორგანიზმი- შემოზღუდული ნოტარიუსთა განსაზღვრული რაოდენობით. მასში გაერთიანება შეეძლო ყველას, ვინც საერთო მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. კორპორაციაში გაერთიანების ყველა მსურველი, მიუხედავად იმისა, დიპლომის მიღების საფასური ჰქონდა თუ არა გადახდილი, ვალდებული იყო გადაეხადა საწევრო. იმ ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტები, რომლებიც არ იყვნენ კორპორაციის წევრები, ბათილად ითვლებოდა. საწევროს გადახდისას შეღავათები იყო დაშვებული იმ პირთათვის, ვინც უკვე მოქმედი ნოტარიუსის ოჯახის წევრები, ან ნათესავები იყვნენ. პიაჩენცის სტატუტით, თუ კანდიდატი ნოტარიუსის შვილი, ან ძმა იყო, იხდიდა ოც სოლიდს, ხლო თუ კორპორაციის წევრებთან ნათესაობა არ აკავშირებდა - სამოც სოლიდს.

ჯერ კიდევ ლოთარ პირველის კანონმდებლობით ნოტარიუსს, ვიდრე თანამდებობას დაიკავებდა, აუცილებლად უნდა დაედო ფიცი, რომ იგი განუხრელად შეასრულებდა ყველა იმ მოვალეობას, რომელსაც მას ქალაქის კანონმდებლობა და კორპორაცია აკისრებდა. კანდიდატს ფიცი უნდა დაედო იმ პირთა წინაშე, ვინც მონაწილეობდა მის ხელდასხმაში. ფიცის დადების შემდეგ მას გადასცემდნენ საწერ ფრთას და სამუშაოდ საჭირო მოწყობილობას.

*ახლა განვიხილოთ ნოტარიუსთა კორპორაციების ორგანიზაცია*

ყოველ ქალაქში ნოტარიუსებს ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები, რომელთაც გარკვეული პერიოდით ირჩევდნენ თავიანთი შემადგენლობიდან. წარმომადგენლებს კორპორაციების ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე ეწოდებოდა primicerius - prototabellioქ ხოლო მოგვიანებით ისინი იწოდებოდნენ, როგორც consules, proconsules, correctores, gastaldiones. წარმომადგენელთა რაოდენობას განსაზღვრავდა ქალაქთა სტატუტები. ყოველ კორპორაციას წმინდანებს შორის ჰყავდა თავისი მფარველი, რომლის სახელსაც იგი ატარებდა. მაგალითად, ქალაქ ფელტრში კორპორაციის მფარველი წმინდანი იყო წმინდა ნიკოლოზი. ამიტომ იწოდებოდა schoiaq Sancti Nicolai, რომში - წმინდა ლუკა. მფარველის სადღესასწაულო დღეებში იკრიბებოდნენ კორპორაციები თავიანთ საერთო კრებაზე და ირჩევდნენ ოფიციალებს (წარმომადგენლებს). უძველესი რომაული სტატუტებით წმინდა ლუკას დღეს კაპიტოლიუმის ყველა მოსამართლე, სასამართლოს დოქტორები, ადვოკატები და ნოტარიუსები სადღესასწაულო მესაზე იკრიბებოდნენ ეკლესიაში და ხელში სანთლებით უსმენდნენ მესას, რომლის დამთავრების შემდეგაც ირჩეოდნენ ოფიციალები. არჩევნები ტარდებოდა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. რიგითობით პირველად ირჩევდნენ რვა კორექტორს (correctores), შემდეგ ორ პროკონსულს და ბოლოს ორ ნოტარიუსს, რომლებიც საქმის მწარმოებლად მუშაობდნენ კორექტორებთან და არქივარიუსებთან. მათ ფუნქციებში შედიოდა კორპორაციის მატრიკულების წარმოება და შენახვა. რომში პროკონსულები კორპორაციის ყველაზე გაელენიანი (ფართო უფლებით აღჭურვილი) წარმომადგენლები იყვნენ. მათ ფუნქციაში შედიოდა კორპორაციის წევრების საქმეთა განხილვა და მათი დაჯარიმება ხუთი ოქროს დუკატით. ბოლონიაში მე-13 საუკუნეში კორპორაციის სათავეში იდგა ექვსი კონსულისაგან შემდგარი საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროკონსული. პარმაში საბჭოს ხელმძღვანელობდნენ პროკონსული და კონსულები, პიაჩენცაში - კონსულები. მათი არჩევის ვადებიდა წესი ზუსტად გადმოცემული არ არის. მათ არჩევას აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ ქალაქის მმართველობის წარმომადგენლები. კორპორაციაში ოფიციალების გარდა არსებობდა სხვა თანამდებობებიც. პადუასა და ბოლონიაში ჩვენ ვხვდებით სინდიკების თანამდებობას, რომლებიც წარმოადგენდნენ მთავარ კონტრო-

ლიორებს, რომელთა ფუნქციაშიც შედიოდა ოფიციალთა სამსახურებრივი საქმიანობის შემოწმება. ზოგიერთ კორპორაციას ჰქონდა საკუთარი სალარო და ჰყავდა თავისი ხაზინადარი. ფულადი კაპიტალი იქმნებოდა საწევრო შენატანებისა და ჯარიმებისაგან. ეს თანხები ხმარდებოდა როგორც სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებისა და მიღების მოწყობას, ასევე გაჭირვებული ნოტარიუსების ოჯახებს. ხაზინადარებს ფელტრში, პიაჩენცასა და პარმაში უწოდებდნენ massarii, რომში - camerarii -ის, ზოგიერთი ქალაქი კორპორაციაში არსებობდა საკონსულტაციო საბჭოებიც - consilia.

*რა დამოკიდებულება არსებობდა კორპორაციასა და მის რიგით წევრებს შორის?*

ა) კორპორაცია ახორციელებდა ზედამხედველობას მისი წევრების პროფესიულ საქმიანობასა და მათ ქცევებზე საზოგადოებაში. პროფესიული საქმიანობისას მათ ზუსტად უნდა დაეცვათ ქალაქების კანონები და კორპორაციის მითითებები. ნოტარიუსებს ეკრძალებოდათ საეჭვო რეპუტაციის ტავერნებში შესვლა, ეთამაშათ აზარტული თამაშები, ჩაეცვათ ფერადი ტანსაცმელი და ქუდი შეემკოთ ფრთებით. ამ პირობების დარღვევისას კორპორაცია ნოტარიუსებს აჯარიმებდა ათი ლივრით.

ბ) კორპორაცია ნოტარიუსებს შორის დავის წარმოშობისას ასრულებდა მომრიგებელი სასამართლოს ფუნქციას. სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ ქალაქის მმართველობის წევრებიც. ამავე სასამართლოსათვის შეეძლოთ მიემართათ ნოტარიუსთა კლიენტებსაც. გამოტანილი გადაწყვეტილება აპელაციას არ ექვემდებარებოდა.

გ) კორპორაციას ჰქონდა უფლება მივლინებებში გაეგზავნა ნოტარიუსები. მივლინების დროს და მიელინებულთა რაოდენობას განსაზღვრავდნენ ქალაქის სტატუტები.

დ) კორპორაციას ჰქონდა უფლება მოეწვია ქალაქის ყველა ნოტარიუსთა საერთო კრება. ამ „კონგრეგაციის", როგორც მას ქალაქის სტატუტები უწოდებდნენ, მიზანს წარმოადგენდა: 1) ისეთი პროექტების განხილვა, რომლებიც მთელი კორპორაციის ინტერესებში შედიოდა და შეტანილი უნდა ყოფილიყო ქალაქების სტატუტებში. 2) მოქმედი სტატუტებიდან კანონის წაკითხვა და მათი განმარტება ნოტარიუსებისათვის. კრება მოიწვეოდა ყოველი თვის ბოლო კვირას. 3) ნოტარიუსის სიკვდილის შემთხვევაში მის წარმოებაში არსებული ოქმებისა და დოკუმენტების შენახვა. ეს დოკუ-

მენტები ინახებოდა სკივრში (capsa), რომელიც იკეტებოდა ორი გასაღებით, რომელთაგან ერთი გადაეცემოდა მას, ვისაც ეს დოკუმენტები ეხებოდა, მეორე კი კორპორაციის თავმჯდომარეს. 4) ნოტარიუსთა უფლებების დაცვა. რომის სტატუტებით, ქალაქის სენატორი თანამდებობაზე არჩევისას საზეიმო ფიცს დებდა, რომ პატივს სცემდა და დაიცაედა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდებას, მათ შორის ნოტარიუსთა კორპორაციის წესდებას. პარმაში პოდესტთა თანამდებობის დაკავებისას პირი ფიცს დებდა, რომ დაიცავდა არამარტო ნოტარიუსთა კორპორაციის, არამედ მისი წარმომადგენლებისა და მისი თითოეული წევრის ინტერესებს. 5) კორპორაციის წესდების შემუშავება და დამტკიცება. 6) წარმომადგენლების არჩევნებზე კონტროლის განხორციელება. რომში არჩევნები ტარდებოდა სენატორისა და ქალაქის მოსამართლეების თანდასწრებით. პარმის სტატუტით კორპორაციის წევრები პოდესტის წინაშე დებდნენ ფიცს, რომ წარმომადგენლების არჩევისას ისინი არ იხელმძღვანელებდნენ პირადი ინტერესებით. 7) სანოტარო დოკუმენტების დაცვა. ნოტარიუსის გარდაცვალების შემდეგ რომში მთავრობა სენატორს ავალებდა ყურადღება მიექცია, რათა ვინმეს არ გაეყიდა, ან გაეჩუქებინა გარდაცვლილი ნოტარიუსის დოკუმენტები, ამავე დროს სენატორს ხელი უნდა შეეწყო კორპორაციის წარმომადგენლებისათვის დოკუმენტების შენახვაში.

### *§5. ნოტარიატი საფრანგეთსა და გერმანიაში*

გერმანიასა და საფრანგეთში ნოტარიატის ინსტიტუტი, რომელიც კარლოს დიდის კანონმდებლობაში ასე თუ ისე განვითარებული სახით გვხვდება, შემდგომში არ განვითარებულა. ისე როგორც კარლოსის დროს, კარლოსის შემდგომ პერიოდშიც ზენდგრაფები ირჩევდნენ ნოტარიუსებს per singula loca, რომლებიც ასევე ვალდებულნი იყვნენ გამოცხადებულიყვნენ სასამართლო პროცესზე სასამართლო სხდომის ოქმებისა და სხვა დოკუმენტების შესადგენად. აქაც, ისევე როგორც იტალიაში, notarii electi იღებენ ტიტულს notarins anctoritate imperiali. მაგრამ, იტალიისაგან განსხვავებით, გერმანიასა და საფრანგეთში ნოტარიატის ინსტიტუტის განვითარება სხელს უშლიდა იურიდიული და სოციალური ყოფის ისეთი მოვლენები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა არათუ განვითარებას, არამედ ნოტარიატის საერთოდ არსებობასაც კი.

ამ მოელენებიდან, პირეელ რიგში, უნდა გამოეყოთ გერმანელი ხალხის ძეელი იურიდიული შეხედულება, რომლის თანახმადაც, ყველა მნიშვნელოვანი გარიგება უნდა დადებულიყო სახალხო კრების წინაშე და მხოლოდ ამის შემდეგ იძენდა გარიგება საჯარო დოკუმენტის მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, იდეა ისეთი დაწესებულების ჩამოყალიბებისა, რომლის შედგენილ და დამოწმებულ დოკუმენტებს ექნებოდათ საჯარო ხასიათი, თავიდანვე განწირული იყო. კაპიტულარებიც კი, რომლითაც შემოღებული იყო წოდება notarii electi, გერმანელმა ხალხმა დაიეიწყა ზენდგრაფების ინსტიტუტთან ერთად. ამის შედეგად აღდგა უბრალო გადამწერთა ინსტიტუტი. გადამწერები, რმოლებიც კარლოსის ეპოქის შემდეგაც მხოლდ სასულიერო წოდებიდან იყვნენ გამოსულები, ცხადდებოდნენ სახალხო კრებებზე და ადგენდნენ კრებაზე განსახილველად გამოტანილი სხვადასხვა დოკუმენტის ტექსტებს. ასეთი გადამწერები ან ერთიანდებოდნენ რომელიმე მსხვილი მონასტრის გარშემო, ან მოგზაურობდნენ ქალაქიდან ქალაქში და ნებისმიერ მსურველს სთავაზობდნენ თავიანთ სამსახურს. ამის მაგალითია დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია ერთი და იგივე პიროენების მიერ ნორდგეიმში, ზუნდგეიმში და ფულედში. საეკლესიო პირთა ხელში ფუნქციების თავმოყრა განპირობებული იყო მოსახლეობის სხვა ფენების გაუნათლებლობით.

სულ სხვა სურათს ვხედავთ იტალიაში. გიზე ბრესტი თავის ნაშრომში De litter erum studiis epud ltelos გეიჩვენებს, რომ იტალიაში მუდმივად არსებობდა გრამატიკის და რიტორიკის სკოლები, რომლებშიც მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები ეუფლებოდნენ ისეთი ხარისხის განათლებას, რომლეიც უცხო იყო ალპების მეორე მხარეს მცხოვრები ხალხისათვის. იტალიაში მე-11 საუკუნეში, როგორც წესი, ახალგაზრდობა დადიოდა სკოლაში. გერმანიაში კი ბავშეებისათვის განათლების მიცემა ზედმეტ ფუფუნებად ითვლებოდა, თუ მას სასულიერო მოღვაწეობისათვის არ ამზადებდნენ. იტალიაში თითქმის ყველა მოქალაქემ იცოდა წერა-კითხვა. გერმანიაში სასულიერო წოდება მოსახლეობას ინტელექტუალურ სიბნელეში ამყოფებდა. ამისი შედეგი იყო ის, რომ იტალიაში არ არსებობდა საეკლესიო წარმომადგენლების მიერ სანოტარო საქმიანობის მონოპოლიზაციის ფაქტები. თუმცა აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოტანილი მიზეზის გარდა კიდევ იყო ერთი, სოციალური, ფაქტორი.

მე-10 საუკუნეში ეკლესიისათვის იმპერატორების მიერ გაცემული ძველი იმუნიტეტების ადგილი დაიკავა ოტონის პრივილეგიამ, რომლითაც საეკლესიო ქალაქები და ოლქები გამოდიოდნენ მეფეთა და გრაფების იურისდიქციიდან. ეს ნიშნავდა, რომ ზემოთ აღნიშნულ ქალაქებსა და ოლქებში საერო ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ ჰქონდა უფლება განეხორციელებინა მართლმსაჯულება. ამავე დროს, მთელი საგრაფოები მმართველობაში გადაეცემოდათ ეპისკოპოსებს, რომლებიც თვითონ ნიშნავდნენ (ირჩევდნენ) გრაფებს და ეს უკანასკნელნი წარმოადგენდნენ მათი კარის ჩინოვნიკებს. ამ მოვლენაში ჩვენ ვხედავთ ბრძოლას მეფის ხელისუფლებასა და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფეოდალურ ურთიერთობებს შორის,რადგან მეფე სასულიერო წოდებაში უფრო მეტ დასაყრდენს ხედავდა, ვიდრე საერო პირებს შორის.

ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე (კიოლნი, ტრირი, მაინცი, სტრასბურგი, გალბერშტადი და სხვა) სასულიერო პირების ხელში სასამართლო ფუნქციების თავმოყრა გზას უხსნიდა სასულიერო პირების (მწერლების) ხელში სანოტარო ფუნქციების გადაცემასაც. გრაფების, ბურგრაფებისა და სხვა მოხელეების თვალში სასულიერო პირების მიერ შესრულებულ სანოტარო მოქმედებებს მეტი ძალა ჰქონდა, რადგან თვით ეს პირები უშუალოდ ემორჩილებოდნენ ეპისკოპოსებს. გარდა ამისა, მწერლების სასულიერო წოდება და ამდენად, მათი მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა კონტრაგენტების თვალში ამ დოკუმენტებს ოფიციალურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს ფაქტორი (აგრეთვე მნიშვნელოვანი მატერიალური შემოსავალი), საეკლესიო პირებს უძლიერებდა სურვილს, ხელიდან არ გაეშვათ სანოტარო საქმიანობის უფლებამოსილება. ამდენად, გერმანიაში ნოტარიუსის, როგორც სახელმწიფო მოხელის შესახებ საუბარიც კი ზედმეტია.

რაც შეეხება საფრანგეთს, „Lex ripueriorum" - ის მიხედვით აქტის დამოწმების უმაღლეს სტადიას წარმოადგენდა მისი დადება საკურთხეველზე. ეს, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ დოკუმენტებს, ისევე როგორც გერმანიაში, ადგენდნენ სასულიერო პ ირები და ხშირად კონტრაგენტებიც საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე მცხოვრები პირები იყვნენ. ისევე როგორც გერმანიაში, საეკლესიო იურისდიქცია აქაც უზარმაზარ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. ტერიტორია დაყოფილი იყო ურიცხვ თავისუფალ საეკლესიო თემად, რომლებზეც სახელმწიფო ხელისუფლება არ ვრცელდებოდა. თავი-

სუფალ საეკლესიო თემებზე, რომლებიც სენიორებისაგან ეკლესიის იურისდიქციაში გადაეიდა, სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებდა თემის წევრებისაგან არჩეული scebini-ები, რომელთაც ზედამხედველობას უწევდნენ საეკლესიო ხელისუფლების მიერ არჩეული წარმომადგენლები. ეს კარგად არის ასახული აბატ ლედეინის (989-1036 წწ.) კონსტიტუციაში, სადაც მითითებულია, რომ სასამართლო იწეეოდა მხოლოდ იმ ვადებში, რომელსაც გადაწყვეტდა საეკლესიო ხელისუფლება. არცერთ საერო პირს არ ჰქონდა უფლება, სპეციალური ნებართვის გარეშე დასწრებოდა სასამართლოს. პროცესზე თავმჯდომარეობა შეეძლო მხოლოდ აბატს, ან მის ვიკარიას. სარჩელები მიიღებოდა აბატიის და სკაბინიონების თანდასწრებით. რაც შეეხება არათავისუფალ საეკლესიო თემებს, ანუ იმ თემებს, რომლის მიწებიც სენიორის მიერ კი არ იყო გადაცემული ეპისკოპოსისათვის, არამედ უშუალოდ ეკლესიის საკუთარ მიწაზე იმყოფებოდნენ, მათ სასამართლოს და ადმინისტრაციის არჩევაც არ შეეძლოთ და მათ ბედს მთლიანად საეკლესიო ჩინოვნიკები განაგებდნენ. სასამართლო ხელისუფლების ასეთი კონცენტრაცია მხოლოდ სასულიერო პირების ხელში, რა თქმა უნდა, თავისთავად გამორიცხავდა საერო პირების მონაწილეობას სანოტარო საქმინაობაში და ნოტარიუსის სახელმწიფო მოხელის დონემდე აყვანას. საეკლესიო მწერლების უდიდესი მასა, რომელსაც მხარს უჭერდა ეკლესია, ხელს უშლიდა დამოუკიდებელი ნოტარიალური კორპორაციების ჩამოყალიბებას. ამავე დროს, საეკლესიო ნოტარიატს თვითონ არ შეეძლო სახელმწიფო ინსტიტუტად გადაქცევა, რადგან მიუღებელი იყო სასულიერო პირის მიერ სახელმწიფო თანამდებობის დაკავება.

სანოტარო საქმიანობის საეკლესიო პირთა ხელში თავმოყრასთან ერთად სანოტარო ინსტიტუტების პარალიზებას ხელი შეუწყო ბეჭდის ინსტიტუტმა, რომელიც ნოტარიუსის საქმიანობას საერთოდ უაზროს ხდიდა.

ბეჭედმა, როგორც დოკუმენტების დამოწმების, დამტკიცების საშუალებამ, თავისი ფუნქცია კარლოს დიდის დროს შეიძინა. ბეჭდის უფლება დაკავშირებული იყო გერბის უფლებასთან. გერბი თავდაპირველად წარმოადგენდა პიროვნების ამა თუ იმ რაინდთა ჯგუფისათვის მიკუთვნების სიმბოლოს. იგი ფერადი საღებავებით გამოიხატებოდა რაინდთა ფარზე. ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ გერბი მემკვიდრეობით სიმბოლოს წარმოადგენდა. მე-11 საუკუნემდე თავადებისა და გრაფების ბეჭდებზე გამოსახულია მოსამართ-

ლის სკამზე დაბრძანებული გრაფი ან თაეადი ხელში მახვილით, მართლმსაჯულების სიმბოლოთი. სწორედ ასე არიან გამოსახულნი ბეჭედზე ფლანდრიის გრაფები: არნულფი, ადელბერგი და ვილჰელმი. მე-11 საუკუნის შემდეგ ბეჭდების გამოსახულება გამარტივდა და მასზე გამოისახებოდა მხოლოდ მხედარი, ხელში შუბით ან მახვილით.

ქალაქების დამოუკიდებლობის ზრდასთან ერთად ხმარებაში შემოვიდა ქალაქის თვითმმართველობის ბეჭდებიც რომლებზედაც გამოსახული იყო ქალაქის ბასტიონი, ან ქალაქის კარიბჭე, ან კიდევ ქალაქის მფარველი ანგელოზი.

ყოველ პირს, რომელიც თავადაზნაურთა წრეს განეკუთვნებოდა, შეეძლო ჰქონოდა თავისი გერბი, მაგრამ ყველას არ ჰქონდა უფლება ჰქონოდა საკუთარი ბეჭედი. დოკუმენტების დასამოწმებლად ბეჭდის ქონის უფლება ჰქონდა მხოლოდ იმ პირს, რომელსაც შეეძლო იურიდიული გარიგებების დადება და ჰქონდა თავისი სახელით საკუთარი ქონების განკარგვის უფლება. ვასალი სარგებლობდა სუზერენის ბეჭდით, შვილები - მშობლების ბეჭდით, ხოლო ეკლესიის ტერიტორიაზე მცხოვრებნი- ეკლესიის ბეჭდით. ამასთანავე, დოკუმენტზე აღინიშნებოდა სხვისი ბეჭდით დოკუმენტის დამოწმების ფაქტი.

რომისა და კანონიკური სამართლის ნორმების გავრცელების შემდეგ ბეჭდის გამოყენების არეალი და საკუთარრ ბეჭდის ქონის უფლების მქონე პირთა წრე, უსაზღვროდ გაფართოვდა. ფაქტიურად, ვისაც კი ჰქონდა მოქალაქეობა, მასვე ჰქონდა ბეჭდის ქონის უფლებაც. ბეჭდის ჩამორთმევა ნიშნავდა მოქალაქეობის ჩამორთმევასაც.

სხვისი დოკუმენტების საკუთარი ბეჭდით დამტკიცება დამყარებული იყო ქვეშევრდომობის პრინციპზე. ფეოდალები ამტკიცებდნენ თავიანთი ვასალების დოკუმენტებს, ეპისკოპოსები და აბატები ეკლესია-მონასტრების მიწებზე მცხოვრებთა დოკუმენტებს, ქალაქის მმართველობა - მოქალაქეების დოკუმენტებს. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის ორი ფაქტორი, რომელიც ახშობდა ნოტარიუსთა საქმიანობას: 1. ბეჭდის დასმა ზემდგომი პირის ან ორგანოს მიერ და დოკუმენტისათვის სასამართლო მტკიცებულების ძალის მიცემა, თავისთავად ზედმეტს ხდიდა ნოტარიატის ცალკე ინსტიტუტის არსებობას. 2. პირი, რომელიც დოკუმენტს იურიდიულ ძალას ანიჭებდა, კარგავდა თავის მნიშვნელობას და დოკუმენტში მისი სახელი არც კი მოიხსენიებოდა.

სასამართლოში ბეჭედდასმული დოკუმენტის, როგორც მტკიცებულების, წარდგენისას, პირველ რიგში, დგებოდა ბეჭდის ნამდვილობის, აგრეთვე ბეჭდის მესაკუთრის ვინაობის საკითხი.

წარდგენილ დოკუმენტს უდავო მტკიცებულების ძალა ჰქონდა, თუ მასზე დასმული იყო მოპასუხის ბეჭედი და თუ იგი სანდო მოწმეთა თანდასწრებით იყო შედგენილი. მოწმეთა სავალდებულო რიცხვის ზუსტი რაოდენობა დადგენილი არ იყო, თუმცა მათ რიცხვს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ისინი დოკუმენტს ხელს არც აწერდნენ, მოწმეები მხოლოდ მოიხსენიებოდნენ დოკუმენტის ტექსტში. მთავარი კი იყო ბეჭედი და თუ იგი ყალბი არ იყო, დოკუმენტის სისწორე და მისი სინამდვილე ყოველგვარი ეჭვის გარეშე იდგა. თუმცა, ბეჭდის გარდა იყო კიდევ ერთი აუცილებელი ატრიბუტი, ეს იყო ბეჭდის დასმის თარიღი.

საფრანგეთში ბეჭდის შიდა მხარეს, ისევე როგორც გერმანიაში, გამოსახულნი იყვნენ რაინდები და ბარონები სრული საბრძოლო აღჭურვილობით, ხოლო მათ გვერდით გამოსახული იყო არწივი, დრაკონი, ან ვარსკვლავები. რაც შეეხება მანდილოსნების ბეჭდებს, მათზე როგორც წესი, გამოსახული იყო შროშანი.

არისტოკრატიისა და სასულიერო პირთა ბეჭდის ფორმა მრგვალი იყო, ხოლო მანდილოსნებისა - ოვალური. მე-13 საუკუნიდან მე-14 საუკუნის ბოლომდე ბეჭდების ტვიფრები თანდათან იხვეწებოდა, რაც ალბათ, გამოწვეული იყო ბეჭდების გაყალბების თავიდან აცილების სურვილით. მე-14 საუკუნის ბოლოს კი ბეჭდის დახვეწილობა და მისი რელიეფის სიზუსტე გაქრა, ხოლო მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან გაქრა თვით ბეჭდებიც.

ეკლესიის დიაკვანს ჰქონდა ორი ბეჭედი, რომელთაგან ერთით ამოწმებდა დოკუმენტებს ქორწინების შესახებ, ხოლო მეორეთი - სხვადასხვა გარიგებებს. ქრისტიანებსა და იუდეველებს შორის გარიგება კი მოწმდებოდა სპეციალური ბეჭდით, რომელსაც შემდგომში ხელს აწერდა ქალაქის მმართველობის ორი თანამშრომელი. მე-12-13 საუკუნეების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მხარეები თანხმდებოდნენ: ბეჭდის გამოსახულების დაზიანების შემთხვევაში დოკუმენტზე ბეჭედი განმეორებით დაისმებოდა.

როგორც ვხედავთ, საფრანგეთში, ისევე როგორც გერმანიაში, ბეჭდის უფლება ახშობდა ნოტარიატის ინსტიტუტს, რადგან ბეჭდის უფლების ინსტიტუტი ცვლიდა ნოტარიატს. ნოტარიუსები ასრულებდნენ მხოლოდ გადამწერებისა და ტექსტის შემდგენელთა ფუნქციას.

***ნოტარიუსის პროფესიული მოქმედების სფერო რომსა და იტალიაში***

საქალაქო სტატუტებიდან ირკვევა, ნოტარიუსები მონაწილეობდნენ: ა) სასამართლო პროცესში, ბ) ადმინისტრაციის საქმიანობაში, გ) იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც ორივე მხარე კერძო პირები იყვნენ.

როგორც რომის სამართლიდან ჩანს, სასამართლო პროცესზე ნოტარიუსი ინიშნებოდა ნოტარიუსთა კორპორაციასა და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ერთობლივად. რომის სტატუტის შესაბამისად, სენატორი თანამდებობაზე არჩევიდან არაუგვიანეს რვა დღისა, პროკონსულებსა და კორექტორებთან ერთად ნოტარიუსს მიაელენდა სასამართლოში მთელი თაეისი მოღეაწეობის ვადით (protempore sui officii), თუმცა, მოგვიანებით ეს ვადა ექვს თვემდე შემცირდა.

ბოლონიაში სასამართლოებში ნოტარიუსებს ნიშნავდა consilium quatvor milium civitatis Boloniae. სულ ინიშნებოდა 12 ნოტარიუსი.

სხვა ქალაქებში ნოტარიუსების სასამართლოებში გამწესებას, რაოდენობასა და სამსახურის ვადას განსაზღვრავდნენ ნოტარიუსთა კორპორაციები, კონკრეტული ქალაქის სტატუტზე დაყრდნობით.

ყოველ სასამართლოში იყო სპეციალური წიგნები, რომელშიც შეპქონდათ ამ სასამართლოში მოღეაწე ნოტარიუსების გვარები.

იმისათვის, რომ ყველა ნოტარიუსს თანაბარი ჰონორარი შეხვედროდა, მოსამართლეები ვალდებულნი იყვნენ ნოტარიუსთა შორის საქმეები თანაბრად გაენაწილებინათ.

ნოტარიუსები ვალდებულნი ყივნენ, სასამართლოში მოსამართლებეზე ადრე გამოცხადებულიყვნენ, არც ერთ შემთხვევაში არ დაეტოვებინათ სხდომათა დარბაზი, არ ევლოთ დერეფნებში უსაქმოდ. სასამართლო პროცესის დროს მსხდარიყვნენ თავიანთ ადგილებზე, შეენარჩუნებინათ აბსოლუტური სიჩუმე, არც ერთ შემთხვევაში არ გაებათ საუბარი მოსამართლეებთან კითხვებზე პასუხების გაცემი სშემთხვევის გარდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე მათ სუთი დუკატით დააჯარიმებდა. ნოტარიუსი მანამდე ვერ დატოვებდა სასამართლოს შენობას, ვიდრე სპეციალურ წიგნში არ შეიტანდა ყველა აქტს, ყველა დოკუმენტს, მოწმეთა ჩვენებებს, მოსამართლეთა მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

თუ ორი ნოტარიუსი ადგენდა ერთი და იგივე სასამარგილო სხდომის ოქმს, ისინი ვალდებულნი იყვნენ სასამართლოდან წასვლამდე შეედარებინათ თავიანთი ჩანაწერები შეცდომების თავიდან აცილების მიზნით. უზუსტობის დაშვების შემთხვევაში ისინი დაჯარიმდებოდნენ ათი ლივრით. იმ დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში, რომელიც ნოტარიუსს სასამართლო პროცესზე გადაეცემოდა, ნოტარიუსი ვალდებული იყო თავისი ხარჯით აღედგინა ეს დოკუმენტი, ხოლო დაკარგვით მიყენებული ზიანი აენაზღაურებინა.

სასამართლოს აქტებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ჩასაწერად ნოტარიუსებს ეძლეოდათ სპეციალური წიგნი - bastarellus. ამ წიგნის პირველ გვერდზე აღინიშნებოდა სენატორისა და მოსამართლის გვარი და სახელი, ქალაქის დასახელება, ინდიქტიონი და თვე. გვერდები დანომრილი იყო, ხოლო ბოლო გვერდზე დასმული იყო კორპორაციის სპეციალური ბეჭედი - stampe. მიელინების ვადის დასრულების, ან წიგნის შევსების შემდეგ ნოტარიუსები ვალდებულები იყვნენ წიგნები გადაეცათ საზოგადოებრივი არქივისათვის.

რომის და ბოლონიის სტატუტები თითქმის ამომწურავად განსაზღვრავენ ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობის სფეროს: 1) სასამართლო პროცესზე მოსამართლისა და მოპასუხის გამოცხადების აქტი; 2) მხარეთა ჩვენებების აღნუსხვა; 3) მოწმეებისათვის ფიცის დადებინება; 4) მინდობილობების შედგენა; 5) სამკვიდროს გადაცემა; 6) მეურვისა და მზრუნველის დანიშვნა; 7) მოწმეთა დაკითხვა.

ამას გარდა, ნოტარიუსები აყალიბებდნენ სასამართლო გადაწყვეტილებებს და გასცემდნენ მათ ასლებს; ამასთან ერთად, ისინი ვლადებულები იყენენ გადაწყვეტილების დაწერისას გაეთვალისწინებინათ, რომ თითო გვერდზე არ ყოფილიყო ოც სტრიქონზე მეტი, ხოლო თითო სტრიქონში - რვა სიტყვის და ოცდათორმეტ ასოზე მეტი.

სისხლის სამართლის საქმეების წარმოებისას ნოტარიუსები იწერდნენ გამოძიების მთელ მსვლელობას, კითხავდნენ მოწმეებს, ამასთან, არისტოკრატი ქალები უნდა დაკითხულიყვნენ საცხოვრებელ ადგილას. ნოტარიუსები რედაქტირებას უკეთებდნენ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს.

ნოტარიუსს დადგენილი ნიხრის მიხედვით, კონკრეტული მოქმედების შესრულებისთანავე გადაეცემოდა გასამრჯელო. ამასთანავე, ყოველწლიურად მორიგეობით აირჩეოდნენ ის ნოტარიუსები,

რომლებიც ვალდებულნი იყვნენ ღარიბ-ღატაკებისთვის უფასოდ შეესრულებინათ სანოტარო მოქმედებები.

ნოტარიუსის მონაწილეობა ადმინისტრაციის საქმიანობაში ასევე მივლინების სახით ხორციელდებოდა. კორპორაცია ნოტარიუსებს აგზავნიდა ქალაქის ადმინისტრაციის განკარგულებაში, სადაც ისინი ადმინისტრაციის დავალებით წერილობით ფორმას აძლევდნენ ამ უკანასკნელთა განკარგულებებსა და დეკრეტებს. ნოტარიუსთა ადმინისტრაციასთან საქმიანობას იმდენად ფართო ხასიათი ჰქონდა, რომ პოლიციის უბრალო ჩინოვნიკსაც კი, რომელიც ტავერნებს ამოწმებდა, თან უნდა ხლებოდა ნოტარიუსი.

კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ნოტარიუსი ადგენდა ანდერძს, ხელშეკრულებას, სასამართლოში წარსადგენ დოკუმენტებს, ამზადებდა და გასცემდა სანოტარო დოკუმენტების ასლებს.

დოკუმენტების შედგენის პროცესი ორ ეტაპად იყოფოდა: 1) comparatio instrumenti, ანუ პროექტის შედგენა და მისი პროტოკოლის წიგნში შეტანა; 2) completio ანუ publiqacio instrumenti - პროტოკოლში შეტანილი პროექტის საფუძველზე დოკუმენტის მხარეებისათვის გადაცემა.

ნოტარიუსს, რომელიც დოკუმენტის პროექტს ადგენდა, შეეძლო მოქმედების დარსულება მიენდო სხვა ნოტარიუსისათვის, რის შედეგადაც ფაქტიურად ერთი და იგივე მოქმედება სრულდებოდა ორი ნოტარიუსის მიერ. ეს მოვლენა არ იყო იშვიათი. პარმის სტატუტი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ნაჩუქრობის ხელშეკრულება როგორც გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე ცოცხლებს შორის, უნდა შესრულებულიყო ორი ნოტარიუსის მიერ, რომელთაგან ერთი წერდა დოკუმენტის ტექსტს, ხოლო მეორე თავისი ხელმოწერით ამტკიცებდა მას. მაგრამ ყველაზე მთავარი ამ პროცედურაში იყო გარიგების შეტანა პროტოკოლის წიგნში, რადგან მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მტკიცებულებას, დოკუმენტის გაყალბების შემთხვევაში. საბუთების ნამდვილობის დასადასტურებლად საკმარისი იყო პროტოკოლის წიგნიდან ამონაწერის აღება. გარდა ამისა, დოკუმენტის დაკარგვისას მისი აღდგენა არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. როდის შემოვიდა ასეთი პროტოკოლის წიგნები სანოტარო პრაქტიკაში, ძნელი სათქმელია, მაგრამ ისინი პირველად იხსენიება რესპუბლიკისა და იმპერიის პერიოდის რომის სასამართლოებში. პროტოკოლის რამდენიმე ჟურნალმა

acta-სა და gesta- სახელით (რავენულ დოკუმენტებში) ჩვენს დრომდეც მოაღწია.

უფრო კონკრეტული მონაცემები ამ ჟურნალებისა და მათი წესის შესახებ მოცემულია რომისა და ბოლონიის სტატუტებში, სადაც აღნიშნულია რომ ყველა ნოტარიუსს წელიწადში ერთხელ ეძლეოდა ერთი ასეთი ჟურნალი, რომლის გვერდები დანომრილი იყო, ხოლო ჟურნალის დასაწყისში აღინიშნებოდა წელი, თვე, რიცხვი, იმ პერიოდში მოღვაწე პაპის სახელი, ინდიქტიონი, ნოტარიუსის ხელმოწერა და ბეჭდის ნიმუში. ჟურნალში უნდა შეტანილიყო ყველა სანოტარო მოქმედება, მათი შესრულების რიგითობის მიხედვით, გარიგების შინაარსი, მოქმედების შესრულების დრო და ადგილი, კონტრაგენტებისა და მოწმეების მონაცემები. დადგენილი იყო ჯარიმა (ათი ლიერი) იმ შემთხვევისათვის, თუ ნოტარიუსი დაარღვევდა ჟურნალის შევსების წესს.

ქრისტეშობის დღესასწაულის აღნიშვნის შემდეგ ნოტარიუსები ვალდებულნი იყვნენ თავიანთი ჟურნალი (წიგნი) წარედგინათ კორპორაციაში, სადაც მათ პროკონსულები და ოფიციალები ჩაუტარებდნენ რევიზიას და შემდეგ დაამოწმებდნენ საკუთარი ბეჭდით. თუ ნოტარიუსი ამ პროცედურას არ შეასრულებდა, იგი ისჯებოდა თანამდებობიდან დათხოვნით.

ბოლონიის სტატუტებით ჟურნალის შევსება უნდა დაწყებულიყო იანვრის თვეში. თუ ნოტარიუსს ჟურნალში ფურცლები დააკლდებოდა, მას შეეძლო ახალი გვერდები ჩაემატებინა, მაგრამ თითოეული გვერდის ჩამატების შესახებ აღნიშვნა უნდა გაეკეთებინა ჟურნალის პირველ გვერდზე და ხელი მოეწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვერდზე შესრულებული მოქმედებები ბათილად იქნებოდა ცნობილი.

ზოგიერთი ქალაქის სტატუტი არ ითხოვდა ნოტარიუსისგან გარიგებების პროექტების წინასწარ შედგენას, მაგრამ ყველა სტატუტი ითხოვდა, რომ ნოტარიუსს ჟურნალში ზუსტად შეეტანა გარიგების მთელი შინაარსი. გარიგების დადებიდან სამი დღის განმავლობაში ნოტარიუსი ვალდებული იყო მხარეებისთვის გადაეცა ხელმოწერილი დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაჯარიმდებოდა ათი ლივრით კლიენტების დაყოვნებისათვის. თუ დოკუმენტს ორი ნოტარიუსი ადგენდა, საჭირო იყო ორივე მათგანის ხელმოწერა.

პარმის სტატუსი ნოტარიუსის მიერ გარიგების დადებისას სამ ეტაპს გამოყოფდა: 1. პროექტის შედგენა nota, ანუ cedula; 2. მისი შეტანა პროტოკოლში, ანუ imbreviatura; 3. ძირითადი დოკუმენტის შედგენა - instrumentum. პროექტზე მხარეებისა და მოწმეების ხელმოწერა საეალდებულო არ იყო, მაგრამ მათი სახელი და გვარი, აგრეთვე პროექტის შედგენის პროცესში მათი მონაწილეობის ფაქტის აღნიშვნა აუცილებელი იყო.

ნოტარიუსს უფლება არ ჰქონდა, მოქალაქეებისათვის უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ არ იქნებოდა განსაკუთრებული მიზეზები. კერძოდ, ნოტარიუსს უფლება არ ჰქონდა შეესრულებინა მოქმედება: 1. თავისი აღმავალი, დაღმავალი და გვერდითი ხაზის ნათესავების მოთხოვნით, აგრეთვე თავისი რწმუნებულისათვის. ამ წესის დარღვევით შესრულებული დოკუმენტი ბათილად ითვლებოდა. 2. თუ გარიგების შინაარსი ან მოთხოვნა კანონს ეწინააღმდეგებოდა. 3. დასვენების დღეებში და ღამის საათებში, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა (როცა ავადმყოფი ითხოვდა ანდერძის შედგენას).

რაც შეეხება ნოტარიუსების მიერ ძირითადი დოკუმენტების ასლების გაცემას, აქ ორი მომენტი შეიძლება გამოვყოთ. ასლს გასცემდა ის ნოტარიუსი,ვინც ძირითადი დოკუმენტი შეადგინა და მოქალაქეს სურდა ასლისთვის მტკიცების ძალის მინიჭება, ანუ ასლით შეეცვალა ორიგინალი; ან კიდევ უბრალოდ სურდა ასლის შენახვა. თუ ასლს გასცემდა იგივე ნოტარიუსი, ვინც შეადგინა ძირითადი დოკუმენტი და მოქალაქეს სურდა ასლისთვის მტკიცების ძალის მინიჭება, მაშინ ნოტარიუსი იმეორებდა იგივე პროცედურას, რაც სჭირდებოდა ძირითადი დოკუმენტის შედგენას და, ამდენად, გაცემული დოკუმენტი იქნებოდა არა ასლი, არამედ დუბლიკატი. ხოლო მეორე შემთხვევაში, უბრალოდ, გასცემდა ასლს თავისი ხელმოწერით.

უფრო რთულადიყო საქმე, როცა ასლს გასცემდა ის ნოტარიუსი,რომელსაც არ ჰქონდა დამოწმებული ძირითადი ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსის საქმიანობას ავსებდა იქ დამსწრე მოსამართლე, რომელიც თავის ხელმოწერით ასლს ანიჭებდა მტკიცებულების ძალას. ასეთ შემთხვევაში მოსამართლის მონაწილეობის მნიშვნელობას მაშინდელი პრაქტიკოსები ასე განმარტავდნენ: „ნოტარიუსის ფუნქციაა მხოლოდ დოკუმენტის გაცემა, ხოლო ამ დოკუმენტის შეფასება, რომელსაც შემდგომ იურიდიული ძალა

ენიჭება, არ შედის ნოტარიუსის კომპეტენციაში. თუ ნოტარიუსი ამას გააკეთებს, გამოდის რომ თავის საქმიანობაში იგი მოსამართლესაც წარმოადგენს (in propriacausa), რაც კანონით დაუშვებელია. ასლით ორიგინალის შეცვლის გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ მოსამართლეს".

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შეიძლება უფრო ასეთი პრაქტიკის შექმნის პრეცედენტი იყო, ვიდრე კანონის მოთხოვნა.

რაც შეეხება ნოტარიუსის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას, ზოგიერთ ქალაქში ამ პროცედურაში ქალაქის მმართველობის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას ნოტარიუსთა კორპორაციის ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად. ბოლონიის სტატუტების შესაბამისად, პირი, რომელიც დაინტერესებული იყო შეცდომის გასწორებით, განცხადებით მიმართავდა ქალაქის მმართველობის თანამშრომელს - პოდესტას, რომელიც კორპორაციის წარმომადგენლებთან ერთად განცხადების მიღების შემდეგ იბარებდა შეცდომის დამშვებ ნოტარიუსს და სთხოვდა ფიცის ქვეშ დაედასტურებინა: მან შეადგინა თუ არა ეს დოკუმენტი და სცნობს თუ არა მის მიერ დაშვებულ შეცდომას, რომელსაც მოსარჩელე მიუთითებს. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, მას სთავაზობდნენ გაესწორებინა აღნიშნული შეცდომა. უარყოფის შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა ნოტარიუსის მიერ შეცდომის დაშვების ფაქტი, რისთვის ხდებოდა დოკუმენტის პროტოკოლთან შედარება და დოკუმენტში აღნიშნული მოწმეების დაკითხვა. თუ შეცდომის დაშვება დამტკიცდებოდა, ნოტარიუსს უნდა გაესწორებინა შეცდომა და გადაეხადა ჯარიმა. თუ შეცდომის დამშვები ნოტარიუსი გარდაცვლილი იყო, შეცდომას ასწორებდნენ პოდესტა და კორპორაციის წარმომადგენელი. მათ შორის აზრთა სხვადასხვაობის წარმოშობისას იწვევდნენ ერთ სამართლის დოქტორს (doctor juris) და საკითხი წყდებოდა ხმათა უმრავლესობით.

ნოტარიუსების შრომა ანაზღაურდებოდა, როგორც ეს რომისა და ბოლონიის სტატუტებიდან ჩანს, თითოეული კონკრეტული მოქმედების შესრულების შემდეგ და არა მთლიანად გარიგების დასრულების შემდეგ. მაგალითად, პროცესის ოქმის შედგენის შემდეგ, პროტოკოლში შეტანის შემდეგ და ა.შ. ნოტარიუსს უფლება ჰქონდა, მაშინვე მოეთხოვა თანხის გადახდა, ხოლო თუ არ გადაუხდიდნენ, უარი ექთვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე. გადასახდელი თანხა განისაზღვრებოდა გარიგების ღირებულებიდან. გარიგებაში

არ იყო აღნიშნული, თუ ვის უნდა გადაეხადა ნოტარიუსისათვის საზღაური, ამას თვითონ მხარეები აწესრიგებდნენ, მაგრამ თუ ისინი ვერ შეთანხმდებოდნენ, საკითხი წყდებოდა ჩვეულების მიხედვით. რომის სამართლის მიხედვით კლიენტსა და ნოტარიუსს შორის ანაზღაურების საკითხზე დავის წარმოშობის საკითხი წყდებოდა სასამართლოს მეშვეობით. ხოლო ბოლონიისა და პარმის სტატუტების შესაბამისად - კორპორაციის წარმომადგენლების შუამავლობით.

*სანოტარო დოკუმენტების შენახვის წესი* წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციისა და სანოტარო პროტოკოლების მიხედვით, სანოტარო წიგნები და დოკუმენტები ინახებოდა თვით ნოტარიუსთან. თუმცა, ყოველწლიურად რევიზიისათვის ისინი წარედგინებოდა ნოტარიუსთა კორპორაციას, მაგრამ შემოწმების შემდეგ რომის 306-ე და 315-ე სტატუტების საფუძველზე, ისევ მათ უნდა დაბრუნებოდათ შესანახად.

ნოტარიუსის სიკვდილის შემთხვევაში, რეესტრის წიგნები და ყველა დოკუმენტი კორპორაციის ოფიციალების მიერ გადაეცემოდა საზოგადოებრივ არქივს. ეს პროცესი ყველაზე კარგად ჩანს ქ. ნიცის სტატუტში, სადაც ამ არქივს ეწოდება „sacrarium", რომში ისინი ინახებოდა „in sacristia Araecoeli"-ში, ბოლონიაში „camera actorum"-ში. სანოტარო დოკუმენტები რომ უკეთ ყოფილიყო დაცული, საქალაქო სტატუტებით სასტიკად ისჯებოდა (500-600 სოლიდით) ის პიროვნება, რომელიც გაყიდდა, გააჩუქებდა, ან სხვაგვარად გამოიყენებდა ამ დოკუმენტებს ნოტარიუსთა კორპორაციის ნებართვის გარეშე. ასევე ნოტარიუსებს ეკრძალებოდათ ძველი პერგამენტების გადაფხეკა დამატი გამოყენება ახალი ჩანაწერებისათვის.

დოკუმენტების შენახვის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენდა აგრეთვე მათი შეტანა რეგისტრატურის წიგნში. ზოგჯერ, თუ საქმე ესეოდა მნიშვნელოვან დოკუმენტებს, ნოტარიუსს დოკუმენტები და მათი ზუსტი ასლები მისი ხელმოწერითა და ბეჭდით უნდა წაეღო საქალაქო კანცელარიაში, ან სახელმწიფო დაწესებულების წიგნში შესანახად, რომელსაც ეწოდებოდა „registrare instrumentum". ვერონაში არსებობდა სპეციალური დაწესებულება დოკუმენტების რეგისტრაციისათვის - „oficium registri". ამ დაწესებულების ხელმძღვანელობაში შედიოდა suprastastans-ი და თორმეტი ნოტარიუსი, რომელ-

თაგან ოთხი, რომლებსაც თეითონ ნოტარიუსები ირჩევდნენ, უშუალოდ ასრულებდნენ რეგისტრაციის წიგნში დოკუმენტების შეტანის ფუნქციას. ამგვარი ფუნქციის ნოტარიუსებს ირჩევდნენ მხოლოდ ერთი წლით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დაწესებულებების შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლებოდა. ამ კომისიაში ნოტარიუსთა მონაწილეობას განაპირობებდა მატერიალური დაინტერესებაც, რადგან რეგისტრაციისათვის განკუთვნილი გადასახადები მათ გადაეცემოდათ. ნოტარიუსის მიერ შესრულებული დოკუმენტებიდან, რომლებისთვისაც სავალდებულო იყო რეგისტრაცია, განსაკუთრებით გამოყოფილი იყო: ანდერძი, მეურვეის დანიშვნა და არასრულწლოვანთა ქონების აღწერა-შენახვა.

რეგისტრაციის პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობდა: პირველ რიგში გამოკვლეული უნდა ყოფილიყო ნოტარიუსის უფლებამოსილება - იყო თუ არა ატესტირებული, ანუ იყო თუ არა ნოტარიუსთა კორპორაციის წევრი და დაცული იყო თუ არა მის მიერ გარიგებათა დადების კანონით გათვალისწინებული წესი. თუ არც ერთი და არც მეორე გარემოება ეჭვს არ იწვევდა, ამის შემდეგ საგანგებო წარმომადგენელს „officii registri"-ს დოკუმენტები შეჰქონდა სპეციალურ წიგნში. იქ, სადაც არ იყო სპეციალური წარმომადგენლობა რეგისტრაციისათვის, წიგნი ინახებოდა ქალაქის მმართველობის კანცელარიაში. ყოველთვის, როდესაც ვინმეს დასჭირდებოდა სანოტარო დოკუმენტების ასლის დამზადება, ან ძირითადი დოკუმენტების ასლის დამზადება, ან ძირითადი დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში დუბლიკატის აღება, ვალდებული იყო მიეღო სპეციალური ნებართვა კანცელარიის უფროსისაგან.

თუ რეგისტრაციის დროს დაშვებული იყო შეცდომა, პირი, რომელიც დაინტერესებული იყო ამ შეცდომის გამოსწორებით, მიმართავდა ნოტარიუსთა თორმეტკაციან კოლეგიას. თუ შეცდომა დამტკიცდებოდა, ნოტარიუსს, რომელმაც დოკუმენტი შეცდომით შეიტანა რეგისტრაციის წიგნში, უნდა გადაეხადა საკმაოდ სოლიდური ჯარიმა.

თუ ნოტარიუსი, რომელმაც დაიწყო სანოტარო მოქმედება, გარდაიცვალა მის დასრულებამდე, საქმეს ამთავრებდა გარდაცვლილის მიერ თავის მემკვიდრედ (სანოტარო საქმიანობაში) დანიშნული პიროვნება, ან ნოტარიუსთა კორპორაციის მიერ სპეციალურად ამ საქმისთვის გამოყოფილი ნოტარიუსი. ყოველ ნოტარიუსს ჰქონდა უფლება თავისი დაწყებული საქმეები ანდერძით დაეტოვე-

ბინა თავისი მემკვიდრისათვის, ოღონდ ეს მემკვიდრე უნდა ყოფილიყო აუცილებლად ატესტირებული იმ ქალაქში, რომელშიც მოანდერძე მოღვაწეობდა. თუ ანდერძი არ იქნებოდა დატოვებული, მაშინ მისი საქმეები გადავიდოდა შვილებზე, შვილიშვილებზე და შვილთაშვილებზე, თუ ისინი იქნებოდნენ იმავე ქალაქის ნოტარიუსთა კორპორაციის წევრები. ხოლო თუ გარდაცვლილ ნოტარიუსს არ დარჩეოდა არც კანონისმიერი და არც ანდერძისმიერი მემკვიდრეები, მაშინ მისი საქმეების გასაგრძელებლად ნოტარიუსთა კორპორაცია ნიშნავდა სპეციალურ წარმომადგენლებს.

ქალაქ ბოლონიის სტატუტებით ყველა სანოტარო პროტოკოლი და საქმიანი ქაღალდი, რომლებიც დარჩებოდა ნოტარიუსის გარდაცვალების შემდეგ, პიროვნების გარდაცვალებიდან ათი დღის ვადაში უნდა გადასცემოდა კორპორაციას. რომის სტატუტებით ეს ვადა შემცირებული იყო სამ დღემდე. ამავე დროს, სტატუტები სენატორს ავალებდა ყურადღება მიექცია, რომ დოკუმენტები არ მოხვედრილიყო კერძო პირთა ხელში. ნოტარიუსის მემკვიდრეს იმისათვის, რომ დაეკავებინა გარდაცვლილის ადგილი, კორპორაციის ნებართვის გარდა სჭირდებოდა სასამართლოს დეკრეტი.

რომის სტატუტების შესაბამისად, ნოტარიუსთა კორპორაცია ვალდებული იყო ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ აერჩია სპეციალური კომისია, რომელიც გააგრძელებდა უმემკვიდროდ გარდაცვლილი ნოტარიუსების საქმეებს. ამ კომისიას სათავეში ედგა judex ordinarius paiatinus. მოგვიანებით, ამ წესს ცვლის სასამართლოს დეკრეტი. ვერონის სტატუტით სასამართლოს დეკრეტის გარდა საჭირო იყო ამ პროცესში მონაწილეობა მიეღო ორ ნოტარიუსს, რომელთაგან ერთი მხოლოდ წერილობით ფორმას აძლევდა დოკუმენტს, ხოლო მეორე - აწერდა ხელს.

დღევანდელი გადასახედიდან ალბათ რთული ასახსნელია, თუ რატომ იყო ამ პროცესში ორი ნოტარიუსის მონაწილეობა აუცილებელი, როდესაც ერთი მხოლო ტექსტს წერდა, ხოლო მეორე მხოლოდ ხელს აწერდა. შესაძლოა საქმე გვქონდეს შეცდომის გამორიცხვის სურვილთან, რადგან საქმე და საქმის მასალები მაინც სხვა ნოტარიუსის მიერ იყო დაწყებული და მომზადებული. ზოგჯერ ნოტარიუსთა კორპორაციებს უფლება ეძლეოდათ სასამართლოს დეკრეტის გარეშეც მიენიჭებინათ უფლება კორპორაციის ამა თუ იმ წევრისათვის გაეგრძელებინა გარდაცვლილი ნოტარიუსის საქმიანობა. ამაზე მეტყველებს 1331 წ. პარმისა და ბოლონიის სტატუტები.

რომის სტატუტების შესაბამისად, კორპორაციას დოკუმენტების ოფიციალურად მიღებამდე, უნდა გაეკეთებინა დოკუმენტების აღწერა, რომელსაც გადასცემდნენ გარდაცვლილი ნოტარიუსის ნათესავებს, ხოლო თვით დოკუმენტები იგზავნებოდა არქივში, საიდანაც საჭიროებისამებრ გაიცემოდა სანოტარო მოქმედებათა გასაგრძელებლად. მაგრამ, რადგან ასეთი გზა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ბოლონიის სტატუტების თანახმად, დოკუმენტები არქივში კი აღარ იგზავნებოდა, არამედ გადაეცემოდა კორპორაციის მიერ არჩეულ ნოტარიუსს რომელსაც მისი დანიშვნიდან ათი დღის განმავლობაში უნდა დაედო ხელწერილი, რომ მისთვის მინდობილი დოკუმენტები დაცული იქნებოდა სათანადო წესით, ხოლო დასამთავრებელი სანოტარო მოქმედებები დასრულებული იქნებოდა. დანიშნული ნოტარიუსის პიროვნებაც და მისი ხელწერილიც შეჰქონდათ კორპორაციის სპეციალურ სააქტო წიგნში.

ყველა პროტოკოლი და დოკუმენტი, რომლებშიც სანოტარო მოქმედებები დასრულებული იყო, ინახებოდა მხოლოდ არქივში. ეს დოკუმენტები ნოტარიუსებს გასაცნობად გადაეცემოდათ მხოლოდ ქალაქის მმართველობის ორგანოების სპეციალური ნებართვით.

*§6. ნოტარიატი რუსეთში* პირველი წერილობითი სახის საკანონმდებლო ძეგლები რუსეთში მოხსენიებულია IX საუკუნეში, თუმცა ცალკეული დოკუმენტები უფრო ადრეულ პერიოდსაც განეკუთვნება. ასეთებად რუსი მეცნიერები თვლიან თავადი ოლეგის (912 წლის) და თავადი ოლეღის (945 წლის) ხელშეკრულებებს ბერძნებთან, რომლებიც შეიცავენ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების იურიდიულ ხასიათს: „თუ რუსი დაარტყამს ბერძენს, ან ბერძენი რუსს მახვილით, შუბით ან სხვა იარაღით, დამნაშავე ვალდებულია დაზარალებულს გადაუხადოს ვერცხლი რუსული კანონმდებლობის მიხედვით."

X საუკუნეში წმინდა ვლადიმირის დროს მოხსენიებულია უკვე მკვლელობის დროს გამოსასყიდი თანხის გადახდაზე. რუსი მეცნიერები წერილობითი სახით გაფორმებულ ამ დოკუმენტებს მიიჩნევენ რუსული ნოტარიატის წინა პირობად, თუმცა ჩვენი აზრით ეს შეხედულება არ შეიძლება მივიჩნიოთ ჭეშმარიტებად, რადგან საკანონმდებლო ძეგლი და მისი ცალკეული მუხლები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სანოტარო დოკუმენტად თუნდაც მას ზოგადად ხელშეკრულება ერქვას. ივანე III ვასილის ძის სახელთან არის დაკავშირე-

ბული რუსული ნოტარიატის როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ივანე ვასილის ძემ1497 წლის ძეგლის დებით პირდაპირ განსაზღვრა, რომ მოსკოვის სამეფოში ნოტარიუსის მიერ წერილობითი სახით უნდა გაფორმებულიყო ნებისმიერი გარიგება.

ივანე IV მრისხანემ გააგრძელა მისი პაპის ივანე III-ის მიერ დაწყებული რეფორმები და მის დროს უკლებლივ ყველა ხელშეკრულება, რომელიც უძრავ ქონებასთან იყო დაკავშირებული წერილობითი სახით უნდა გაფორმებულიყო.

1613 წელს ტახტზე ადის მეფე მიხეილ თეოდორეს ძე, რომელიც სათავეს უდებს რუსეთში რომანოვების 300 წლიან დინასტიას. სწორედ მათ დროს დაიწყო რუსული ნოტარიატის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მშენებლობა, რომელიც დამთავრდა 1866 წლის 14 აპრილს იმპერატორ ალექსანდრე მეორის „Нотариальным Положением“.

ნოტარიატის ისტორია რუსეთში პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად, რომელთაგან პირველი იწყება მე-16 საუკუნეში და მთავრდება „სობორნი ულოჟენიეს“ მიღებით 1649 წელს. ეს პერიოდი ხასიათდება სანოტარო ორგანოების ფორმირებითა და იმ გარემოებით, რომ ნოტარიუსის საქმიანობა წესრიგდება არა ერთიანი საკანონმდებლო აქტით, არამედ მეფის მიერ გამოცემული ცალკეული ბრძანებულებებით.

ამ დროს რუსეთში ჩამოყალიბდა მოედნის გადამწერების (“подьячи“) კორპორაციები, რომლებიც გარკვეული საზღაურის საფასურად მოსახლეობის სხვადასხვა ფენას ეხმარებოდნენ სამოქალაქო გარიგებების დადებაში. გადამწერებს ნიშნავდნენ მოედანზე (“площадь“) მეფის ბრძანებით. გადამწერების საქმიანობაზე კონტროლი ფაქტიურად არ ხორციელდება. იმ პირს, რომელსაც სურდა „მოედნის გადამწერის“ (“площады подьячи“) თანამდებობის მიღება, თხოვნით უნდა მიემართა მეფისათვის. თხოვნის შემდეგ მოედნის არჩევით მამასახლისს მეფის წინაშე უნდა დაეხასიათებინა კანდიდატის მორალური და საქმიანი თვისებები, ხოლო მთელი მოედნის გადამწერთა კორპორაცია იღებდა ახალი წევრის საქმიანობით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას. გადამწერის საქმიანობა იმდენად სარფიანი იყო, რომ მისი დაკარგვა მძიმე სასჯელს წარმოადგენდა. ასეთ სარფიან საქმიანობაზე სახელმწიფომ თანდათან დაიწყო კონტროლის დაწესება. მამასახლისებს უფლება ენიჭებოდათ განეხორციელებინათ კონტროლი

მოედნის გადამწერების საქმიანობაზე, „Чтобы воровски не писали поставных, заочных крепостей, чтобы в том пошлина не пропадала". მეფე იოანე ფეოდორის ძემ 1597 წელს გამოსცა ბრძანება, რომლსი შესაბამისად ზოგიერთ სახის ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ ცნობა აუცილებლად უნდა შეტანილიყო „в холāпьем приказе".

რას წარმოადგენდა ეს ცნობა?

ეს იყო მოწმეთა დაკითხვის ოქმი, რომლის მიხედვითაც მოწმდებოდა ხელშეკრულების დადების კანონიერება და მხარეთა ნების გამოხატულება. ხელშეკრულების კანონიერება და მხარეთა ნების გამოხატულება, „პრიკაზების წიგნში" შეტანის, ორივე მხარის ხელმოწერისა და ხელშეკრულებაზე ბეჭდის დასმის ფაქტი.

რუსული ნოტარიატის განვითარების მეორე ეტაპი მოიცავს პერიოდს 1649 წლიდან 1866 წლამდე. ალექსეი მიხეილის ძის 1649 წლის ძეგლისდებამ ასე თუ ისე ერთიან სისტემაში მოაქცია მანამდე არსებული თითქმის ყველა ის ბრძანებულება, რომლებიც მხარეებს აიძულებდნენ ყველა სამოქალაქო გარიგება დაედოთ მხოლოდ მოედნის გადამწერია საშუალებით და შემდეგ კი საადგილმამულო „Приказ"-შიშ ჩაეწერათ იგი. ამრიგად, 1649 წლის ძეგლისდება პირველი სამართლის ძეგლი იყო, რომელიც ასხვავებდა და ფუნქციებს უმიჯნავდა გარიგების დამდებ და მარეგისტრირებელ ორგანოებს.

მესამე ეტაპი იწყება 1866 წლის 14 აპრილს და მთავრდება 1917 წლის 29 ოქტომბერს მიწის შესახებ დეკრეტის მიღებით.

მე-187 და მე-18 საუკუნეებში სანოტარო საქმიანობამ რუსეთში უდიდესი ცვლილებები განიცადა. 1699 წელს საადგილმამულო საქმეები გადაეცათ რატუშებს, მაგრამ რატუშის ჩინოვნიკთა მექრთამეობამ და არაკვალიფიციურობამ პეტრე პირველი აიძულა სამოქალაქო გარიგებების დამოწმების კომპეტენცია ისევ მოედნის გადამწერებისთვის დაებრუნებინა. მე-18 საუკუნეში სანოტარო ფუნქციების შესრულება არაერთხელ გადაეცა სღვახასხვა ორგანოს: სამოქალაქო დაწესებულებებს, სამაზრო სასამართლოებს, სამოქალაქო საქმეთა სასამართლოების საექსპედიციო განყოფილებებს...

სანოტარო ინსტიტუტები საფუძვლიანად გარდაიქმნა ალექსანდრე II-ის 1866 წელს გამოცემული ბრძანებით, რომლითაც ნოტარიატი გამოცხადდა სასამართლო სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, ხოლო ნოტარიატის რეფორმა იმ რეფორმის ნაწილად, რომელიც 1864 წელს სასამართლო სისტემაში განხორციელდა.

გასული საუკუნის ბოლოს რუსეთში ჩამოყალიბდა ოთხი ჯგუფი იმ ორგანოებისა და თანამდებობის პირთა, რომლებიც ასრულებდნენ სანოტარო ფუნქციებს: 1. საჯარო (ქალაქის) ნოტარიუსები; 2. საბირჟო მაკლერები და ნოტარიუსები, ხომალდის მაკლერები; 3. ვიწრო სპეციალობის მაკლერები, ანუ ისეთი მაკლერები, რომლებიც ემსახურებოდნენ ბანკებს, ხელოსანთა გაერთიანებებს, სხვადასხვა მსხვილ საამქროებს, კრონშტადტის თავისუფალ მეზღვაურთა გაერთიანებებს და სხვა; 4. მაგისტრები, რატუშის, სათათბიროსა და საბაჟო ჩინოვნიკები, რომლებიც ასრულებდნენ ნოტარიუსის ფუნქციებს ნოტარიუსის ან მაკლერის არყოფნის პერიოდში.

კანდიდატები ნოტარიუსის ან მაკლერის თანამდებობაზე შეირჩეოდა საკონკურსო წესით განსაკუთრებით პატიოსანი ჩინოვნიკების შემადგენლობიდან. საკონკურსო შერჩევის შემდეგ ისინი დებდნენ ფიცს, რომ პატიოსნად ემსახურებოდნენ სახელმწიფოს და ხალხს. ფიცის დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში ისინი თანამდებობაზე არ ინიშნებოდნენ.

ნოტარიატის ინსტიტუტების განვითარების პროცესი შეაჩერა და მისი ფუნქციონირება თითქმის ნულამდე დაიყვანა რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1917 წლის 29 ოქტომბერს მიღებულმა პირველივე დეკრეტმა „მიწის შესახებ" და როგორც ჩვენი რუსი კოლეგები აღნიშნავენ, ნოტარიატის განვითარება განახლდა მხოლოდ 1993 წელს მიღებული კანონით „Основы законодательства Российской Федерации о нотариате".

ამჯერად შევეხებით 1866 წლის 14 აპრილის აქტს „Временные положение о нотариальной части". რადგან, თუ რუსი მეცნიერების აზრს გავითვალისწინებთ, სწორედ ამ აქტის საფუძველზე ჩამოყალიბდა რუსეთში ნოტარიატი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დებულება სრულად შეესაბამებოდა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობას და წარმოადგენდა ამ კანონმდებლობის რეცეფციას.

***ნოტარიატის მოწყობის საკითხები*** ნოტარიუსები და სანოტარო არქივებში მიღვაწე უფროსი ნოტარიუსები სანოტარო საქმიანობას ეწეოდნენ სასამართლო ხელისუფლების ზედამხედველობით.

ნოტარიუსები ინიშნებოდნენ დედაქალაქებში, საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში. ნოტარიუსის თანამდებობათა რაოდენობა

განისაზღვრებოდა ქალაქის სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში - სპეციალური ბრძანებით.

ნოტარიუსებად შეიძლება დანიშნულიყვნენ მხოლოდ სახელმწიფოს სრულწლოვანი ქვეშევრდომები, რომელთა მიმართ არ არსებობდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლებიც არ იყვნენ საზოგადოებაში სახელგატეხილი პიროვნებები და რომლებსაც არ ეკავათ რაიმე თანამდებობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

პიროვნება, რომელსაც სურდა ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნა, ვალდებული იყო საოლქო სასამართლოში შეეტანა გარკვეული თანხა - წინდი (залог), რომელიც პერიოდულად უნდა შევსებულიყო. ეს თანხა გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევისათვის, როდესაც ნოტარიუსს მის მიერ დაშვებული შეცდომის გამო უხდებოდა მოქალაქისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

ნოტარიუსის თანამდებობაზე პირი ინიშნებოდა მხოლოდ გამოცდის ჩაბარების შემდეგ. გამოცდას იღებდნენ საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, უფროსი ნოტარიუსი ან პროკურორი. გამოსაცდელს მოეთხოვებოდა სანოტარო აქტების სწორად შედგენა, სანოტარო საქმისწარმოებისა და შესაბამისი კანონმდებლობის ცოდნა.

ნოტარიუსებს თანამდებობაზე ნიშნავდნენ და თანამდებობიდან ათავისუფლებდნენ სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით. დანიშვნის შემდეგ ნოტარიუსი დებდა ფიცს სასამართლოს წინაშე.

ნოტარიუსები თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდნენ ნამდვილ სახელმწიფო მოსამსახურეებად, როდესაც მათ მიენიჭებოდათ იუსტიციის მე-8 კლასის საკვალიფიკაციო ჩინი.

ნოტარიუსებს ეკრძალებოდათ ნაფიც მსაჯულთა ფუნქციის შესრულება.

ნოტარიუსები შედიოდნენ იმ საოლქო სასამართლოთა იურისდიქციაში, რომელთა ოლქის ტერიტორიაზეც იმყოფებოდა მათი სამოქმედო ტერიტორია. სანოტარო საქმიანობას ნოტარიუსები სწორედ ამ ოლქის ფარგლებში ეწეოდნენ. ისინი სანოტარო მოქმედებას ასრულებდნენ სხვა ოლქის მცხოვრებლებისთვისაც, მაგრამ

ოლქის ფარგლებს გარეთ შესრულებული მოქმედება ცხადდებოდა ბათილად.

ნოტარიუსს აქტებისა და გარიგებების დასამოწმებლად ჰქონდა ბეჭედი, რომელზეც ამოტვიფრული იყო გუბერნიის გერბი და გარშემო ჰქონდა წარწერა: ბეჭედი ეკუთვნის ამა და ამ ქალაქის ან ოლქის ნოტარიუსს (მიეთითებოდა ნოტარიუსის გვარი, სახელი, მამის სახელი). ბეჭდის ანაბეჭდი და ნოტარიუსის ხელმოწერის ნიმუში ინახებოდა ადგილობრივ სანოტარო არქივში.

ნოტარიუსები ვალდებულნი იყვნენ ეწარმოებინათ სპეციალური ფორმის წიგნები და რეესტრები.

ნოტარიუსი ვალდებული იყო დაეცვა შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება. სანოტარო დოკუმენტის გამოთხოვა დაიშვებოდა მხოლოდ სასამართლოს დადგენილების საფუძველზე, ხოლო მხარეებს ჰქონდათ ასლების გამოთხოვის უფლება.

ნოტარიუსები ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ სამსახურში ყოფნის გრაფიკი. გრაფიკს ადგენდა სასამართლო და ამის შესახებ ეცნობებოდა მოსახლეობას. ნოტარიუსებს ყოველდღიურად უნდა ემუშავათ არანაკლებ ექვსი საათი. ცხადია, ნოტარიუსებს ჰქონდათ შესვენების უფლება.

ნოტარიუსს შეეძლო შვებულებით სარგებლობა მხოლოდ საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით და მხოლოდ მას შემდეგ, რიცა იგი სასამართლოს წარუდგენდა მის შემცვლელ პიროვნებას ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობით. შემცვლელი ასრულებდა ნოტარიუსის ფუნქციებს ნოტარიუსის შვებულებიდან დაბრუნებამდე. შემცვლელის მიერ მიყენებულ მატერიალურ ზარალზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ნოტარიუსს. ნოტარიუსის შეცვლის დადგენილი წესი გამოიყენებოდა აგრეთვე ნოტარიუსის ხანგრძლივი ავადმყოფის დროს.

ნოტარიუსის გარდაცვალების, ან მისი სამსახურიდან დათხოვის შემთხვევაში ნოტარიუსის სანოტარო აქტებს, რეესტრებს, ჟურნალებს და ბეჭედს ამოიღებდა სასამართლო და გადასცემდა ადგილობრივ სანოტარო არქივს, ხოლო ბეჭედი იჭრებოდა ჯვრის ფორმის შესაბამისად. სასამართლო ვალდებული იყო ნოტარიუსის გარდაცვალება ან მისი თანამდებობიდან გადაყენება დაუყოვნებლივ ეცნობებინა ახლომდებარე ყველა სანოტარო ბიუროსათვის, რათა მათ შეესრულებინათ გარდაცვლილი ნოტარიუსის ფუნქციები.

ნოტარიუსის თანამდებობაზე ვაკანსიის არსებობისას საოლქო სასამართლო აცხადებდა საჯარო კონკურსს, ხოლო თუ ვაკანსია არ შეივსებოდა და ამასთანავე, ამ სასამართლოს ტერიტორიაზე არ იყო სხვა ნოტარიუსი, სასამართლოს თავმჯდომარე ამის შესახებ აცნობებდა იუსტიციის სამინისტროს და თხოვდა, რომ დროებით ნოტარიუსის ფუნქცია შეესრულებინა სხვა საოლქო სასამართლოს ტერიტორიაზე მოღვაწე ნოტარიუსს.

იქ, სადაც არ არსებობდა ნოტარიუსის თანამდებობა, ნოტარიუსის ფუნქციის ნაწილს ასრულებდა მოსამართლე.

იმ ადგილებში, სადაც დაშვებული იყო ნოტარიუსის თანამდებობა, მაგრამ თანამდებობა ვაკანტური იყო, ნოტარიუსის შემცვლელად მთავრობის მიერ გარკვეული გასამრჯელოს საფასურად ინიშნებოდა პიროვნება, რომელიც თავისი უფლებამოსილებით უტოლდებოდა საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწეს.

ნოტარიუსის მოვალეობის შემსრულებლად სახელმწიფოს მიერ დანიშნული პირები და ნოტარიუსის ფუნქციების შემსრულებელი მოსამართლეები ვალდებულები არ იყვნენ სასამართლოში შეეტანათ გირაო მათ მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

ნოტარიუსების, ან უფროსი ნოტარიუსების მიერ ჩადენილი სამსახურებრივი დარღვევა ან დანაშაულის ჩადენა იწვევდა დისციპლინურ ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საჩივრები ნოტარიუსებისა და უფროსი ნოტარიუსების არამართლზომიერი ქმედების გამო განიხილებოდა საოლქო სასამართლოში. სანოტარო მოქმედების ან მოქმედების შესრულებაზე უარის გასაჩივრება დაიშვებოდა ორი კვირის ვადაში.

სანოტარო მოქმედების შესრულების წესები იგივე იყო, რაც დასავლეთ ევროპის ლათინური ნოტარიატის ტრადიციების ქვეყნებში.

## *§7. ნოტარიატი საქართველოში*

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ჟურნალ „საქართველოს ნოტარიატი"-ს პირველივე ნომრიდან დავიწყეთ ნარკვევების ციკლის გამოქვეყნება ნოტარიატის ისტორიიდან, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა იმ იურიდიული ინსტიტუტის მისი განვითარების ისტორიულ პროცესში წარმოჩენა. გვინდოდა გეჩვენებინა თუ როგორ ხდებოდა სანოტარო სამართლის ჩამოყალიბება და ხანგრძლივი მეტამორფოზების შემდეგ, მისი თანამედროვე ევროპულ

კოდექსებში ასახეა. ვისახავდით რა მიზანს, გვსურდა დახმარება გაგვეწია მომავალი ნოტარიუსებისათვის სამართლის ამ დარგის უკეთ შესწავლაში. თუმცა, უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ სამართლებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების ისტორიით წარსულში არ დაინტერესებულა იურისტ-მეცნიერთა ფართო წრე და ამდენად, ნაშრომებიც თითზე ჩამოსათვლელია, როგორც ევროპაში, ასევე რუსეთში რაც შეეხება საქართველოს, ეს ინსტიტუტი საერთოდ არ ყოფილა შესწავლის საგანი. აღნიშნული ინსტიტუტით ჩვენი დაინტერესება პირველ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ქართული სამართლის ისტორიაში. ამდენად, დაზღვეული არა ვართ გარკვეული ხარვეზებისაგან, რისთვისაც მკითხველს წინასწარ ვუხდით ბოდიშს.

სიტყვა „ნოტარიუსის" წარმოშობა დაკავშირებულია მწერლების მიერ ტექსტის კარნახით (სტენოგრაფიული) ჩაწერისას სპეციალური ნიშნების (notae) გამოყენებასთან, რის შესახებაც ნახსენებია ასევე დიგესტებშიც. ამ ნიშნებს, რომლებმაც შემდგომში სპეციალური სახელი (notae tironianae) ეწოდა, იყენებდნენ არა მხოლოდ მონა მწერლები, არამედ სახელმწიფო სამსახურში მყოფი scribae-ებიც. რომის იურისპრუდენციამ, უფლება მიანიჭა სახელმწიფოს წარმომდაგენლებს რომაელი მოქალაქეების მიერ დადებული სამართლებრივი გარიგებებისათვის მიეცათ წერილობითი, დოკუმენტური ფორმა. იმ იურიდიული აქტების რედაქცია, რომლებიც სასამართლოს გარეთ იდებოდა და რომელსაც სჭირდებოდა მკაცრად განსაზღვრული იურიდიული ფორმის მიცემა, წარმოადგენდა რომაელი იურისკონსულტის საპატიო ფუნქციას რესპუბლიკის პერიოდსა და იმპერიის დასაწყისში. ამ შემოქმედ პირთა გვერდით იდგა მეორე ჯგუფი პირებისა, მექანიკური სამუშაოს შემსრულებელი მასა, უბრალო გადამწერები. წერის ხელოვნებას ქართულად დამწერლობა ეწოდებოდა. მწერლობას, წერა-კითხვას და მწერლობითგანათლებას ძველ საქართველოში „მწიგნობრობა" ეწოდებოდა. მაგალითად, იოანე საბანისძეს აბო თბილელის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ სანამ აბო თავის სამშობლო ქვეყანაში არაბთა შორის ცხოვრობდა, უკვე „სწავლული იყო მწიგნობრებითა სარკინოზთითა", ე.ი. არაბული წერა-კითხვა და განათლება შეთვისებული ჰქონდაო. ხოლო როდესაც ერისთავთერისთავე ნერსეს ქართლში წამოჰყვა მაშინ „შეიძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ხსნილად", ე.ი. ქართული წერა-კითხვა და განათლებაც შეისწავ-

ლაო. გიორგი მერჩულის სიტყვითაც, გრიგოლ ხანძთელმა ბავშეობიდანვე მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და ხმითა სასწავლელი სწავლაი საეკლესიოი სამოძღუროი ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაიცა ისწავლა მრავალი ენათაი"[1].

როგორ წერდნენ საქართველოში? შოთა რუსთაველი ამაზე გვპასუხობს: „დაჯდა წერად ანდერძისა საბრალოსა საუბრისად"-ო (ვეფხისტყაოსანი, სტროფი 725). გიორგი მთაწმინდელის სიტყვითაც რაკი ქართველი ბერები სწუხდნენ, რომ წინამძღვრობის მრავალგვარი მოვალეობა ექვთიმე მთაწმინდელს სამწერლობო მოღვაწეობას უშლიდა, მონასტრის მამასახლისობას თავი დაანებებინეს „და ესრეთ მოიცალა და თვისსა სენაკსა დაჯდა... და თავადი წიგნითა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა და ფრიადნი წიგნნი თარგმნნა".

მაგრამ ყოველთვის და ყველგან მჯდომარე არ წერდა დამწერელი ან მწიგნობარი. მაგალითად; ბარამიანის ავტორი, პირდაპირ ამბობს, რომ „მწიგნობარს მართებს მეფეთა წინ დაჩოქილთა წერანი"-ო. სპარსთა შემოსევის გამო თბილისიდან დუშეთში შეხიზნული ერთი დამწერთაგანი მოგვითხრობს, რომ „უმეტესად მუხლთა ზედა... ვსწერენ კაბადონნი ამისნი"-ო[2].

ის ფაქტი, თუ როგორ წერდა დამწერელი დოკუმენტს არ არის აღნიშნული რომაული, ბიზანტიური, ფრანგული, გერმანული და იტალიური ნოტარიატის ისტორიაში.

იმ ადამიანს, რომელსაც წარწერას, ტვიფრს ამოაჭრევინებდნენ თუ გამოაქანდაკებინებდნენ, „წარმწერელი" ერქვა, ხოლო ვინც ხელით აწერდა „დამწერელი", „მწერალი" და „მწიგნობარი" ეწოდებოდა.

მაგალითად, ათონის დაბადების 978 წ. ხელნაწერში ნათქვამია: „დაესრულა წინასწარმეტყუელებაი ესაიაი... ქრისტე, შეიწყალე თორნიკ პატრიკი და გლახაკი მიქაელ (მქ/ლ) მწერალი". „დაიწერა წ/ი ესე წიგნი ხელითა სამთა მწერალთა[ითა]: მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანეისითა... ოდეს ესე წიგნი დაიწერა ქორონიკონი იყო 1008 წ." ხელნაწერში ნათქვამია: „ბრძანებითა... მამისა ჩ/ნისა ეფთვმესითა ჩუენ გლახაკნი და ცოდვილნი არსენი ნინოწმინდელი და იოვანე გრძელიძე და ოქროპირი ღირს ვიქმენით დაწერად ხელითა ჩ/ნითა წ/თა ამათ წიგნითა თარგმანებულთა განმანათლებუ-

---

1 იჳ. ჯავახიშვილი, თხზულებანი XII ტ. ტ. IX, გვ. 37
2 იხ. იქვე, გვ. 57

ლისა წ/ისა მამისა ჩ/ნისა ეფთვმესითა ბერძნულისაგან ქართულად (გეეედრებით) ჩუენ მწერალნი... მოგვიხსენიოთ"-ო[3].

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის XI საუკუნის ხელნაწერის ერთ მინაწერში აღნიშნულია: „ქ/ეშ/ე სული სტეფანესი, იმის წიგნისა დამწერელისაი". იერემიას ქართულ თარგმანში წერია: „შეპყრობა ბარუქისი მწიგნობრისაი". ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ქართულ თარგმანში „მწიგნობარი" გრამატეუსის" მნიშვნელობით არის ნახმარი, რაც ბერძნულად მღიევან-მწიგნობარს, გადამწერელსა და შემდგომში საღმრთო წერილის მეცნიერს ეწოდებოდა.

ძველ ქართულ მწერლობასა და სახელმწიფოებრიობაში „მწიგნობარი" სიგელ-გუჯრებისა და სხვა საბუთების შემდგენელ-დამწერელ მოხელეს ეწოდებოდა. ათონის ქართველთა მონასტრის XII ს. აღაპში „დიდი აღმწერალი"-ს თანამდებობაც იხსენიება. ნათქვამია: ვალის გარდაუხდელობის გამო იყო „სოფელნი დაჭერილნი... დიდისა აღმწერალისაგან სამეფოითა ბრძანებითა... აღიღო წიგნი სიმტკიცისაი რომელსა ზედა არის ბეჭედი პროტონოტარისაი და დიდისა აღმწერელისა"[4].

ივანე ჯავახიშვილის აზრით, აქ მოხსენიებული მოხელე ბიზანტიის კეისრის თანამდებობის პირი ყოფილა და როგორც ჩანს, სახელმწიფო საჭურჭლის ხელისუფალი უნდა ყოფილიყო.

ღმერთმა დაგვიფაროს ბატონ ივანესთან დავისაგან, მაგრამ ჩვენი სუბიექტური აზრით, აქ მოხსენიებული მოხელე ბიზანტიის კეისრის თანამდებობის პირი კი არის, მაგრამ იგი უფრო კეისრის კანცელარიის თანამშრომელი და ნოტარიუსის ფუნქციის შემსრულებელი უნდა იყოს.

ადამიანთა ნააზრევისათვის, თუ მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობისათვის იურიდიული ფორმის მიცემას, ქართულად „წერაის" ცალკეულ „დამწერელთან", „მწერალთან" თუ „მწიგნობართან" ერთად, „მწერალთა" ჯგუფებიც აწარმოებდნენ. ქართული ძველი ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები უამრავ მასალას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდებოდა ერთი ხელნაწერი დოკუმენტი ორი და მეტი პირის მიერ. როგორც ბატონი ივანე ჯავახიშვილი ფიქრობს, აქ საქმე უნდა გვქონდეს ერთი განსწავლულო-

---

[3] იხ. იქვე, გვ. 57

[4] იხ. იქვე, გვ. 58

ბისა და სკოლის წარმომადგენლებთან, რომელთაც ამ ხელოვნების ყველა მოთხოვნილება ერთნაირად ესმითა[5].

ოშკ ათონის 978 წლის დაბადების ანდერძში ნათქვამია: „დაიწერა წ/ი ესე წიგნი ხელითა სამთა მწერალთა(ითა)-მიქაელისათა, გიორგისათა და სტეფანესითა"-ო. ტბეთის 995 წლის სახარებაც დაწერილი ყოფილა „ხელითა ორთა მწერალთა(ი)თა-დ/თ გლახაკისათა და გლახაკისა ოქროპირისათა". იოანე ოქროპირის სახარების თარგმანების შემცველელ ათონის მონასტრის 1008 წლის ხელნაწერიც „დაიწერა მეორე ეს წიგნი ხელითა ჩუენ ცოდვილთა - არსენი, იოანე და ოქროპირისაითა". მაგალითისათვის ამდაგვარი შინაარსის ამონაწერების მოყვანა მრავლად შეიძლება[6].

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, გადამწერთაგან ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი და უფროსი უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა შორის დამოკიდებულება გარკვეული წესებით იქნებოდა მოგვარებული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს უნდა ყოფილიყო „დამწერელთა", „მწერალთა" ამხანაგობა. „მწერალთა" ამგვარი ამხანაგობა ჩვენთვის ასოცირებას იწვევს ძველი რომის „გადამწერთა" და XII საუკუნის იტალიის, საფრანგეთის, გერმანიისა და ბიზანტიის ნოტარიუსთა კორპორაციასთან და მათ ორგანიზაციებთან, სადაც მკაფიოდ იყო განსაზღვრული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა და მისი წევრების ფუნქციები და უფლება მოვალეობანი. აღნიშნული ვარაუდი ალბათ არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. თუ ივანე ჯაეახიშეილის მოსაზრებებს დავეყრდნობით, XI-XII საუკუნეებში, როდესაც საქართველოს კულტურულმა და სამართლებრივმა განვითარებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია, გადამწერლების (ნოტარიუსთა) ამხანაგობათა (კორპორაციების) არსებობა და საზოგადოდ ამ პროფესიის (ხელობის) ერთობლივად წარმოება სავაჭრო, სამოქალაქო სფეროში უკეთ მომსახურებისათვის, ბუნებრივად უნდა იგულისხმებოდეს. თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, საკითხსი შესასწავლად ამ პერიოდის საჭირო ცნობები არ მოგვეპოვებიაო. არც ის ვიცით, თუ რა ეწოდებოდა მაშინ ამგვარ გადამწერლებს, ამხანაგობებს. მხოლოდ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ერთ წიგნში გვხვდება ამ საგულისხმო საკითხის შესახებ საყურადღებო ცნობა. ციხის გულანში

---

5 იხ. იქვე. გვ. 64

6 იხ. იქვე, გვ. 64

სახელდობრ ნათქვამია: „მე ცოდეილმან მღვდელმან საბაი ხელ-ვყავ პატიოსნისა გულანისა ამის აღწერა ბრძანებითა პატიოსნის ნაკაშიძის ბეჟანისათა... ესე წ/ა პატიოსანი სრული გულანი ჩემის ცოდეილის ხელით დამიწერია... ამის წერაშიდ ჯუმათის გულანი გა-ვაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა-"ო. „თაბუნი" და „ასნაფი" ერთი და იგივე სიტყვაა და XVII-XVIII სს-ში ამქრის მნიშვნელობით იხმარე-ბოდა. აქედან ცხადი ხდება, რომ გადამწერთა ამხანაგობას „თაბუ-ნი" პრქმევია. თუ ასეთი, რამ საქართველოს ამ კულტურული დაქვეითების ხანაში ყოფილა, მით უმეტეს საგულისხმებელია X-XII სს-ში, ჩვენი ქვეყნის კულტურული აყვავების ხანაში[7].

ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში წერი-ლობითი ძეგლების ყოველი დარგისათვის გარკვეული მოთხოვნი-ლებები არსებობდა და თითოეულისათვის უნდა ყოფილიყო შესაფე-რისი „საკადრისი ხელი". როდესაც შეუძლებელი იყო უკვე ცნობი-ლი დოკუმენტების შემდგენი პირის მოძებნა, სანამ ვინმეს რომელი-მე დოკუმენტისა თუ საბუთის შედგენას თუ გადაწერას მიანდობდ-ნენ, ჯერ დამწერლის „ხელის სიკეთე"-ს თუ „ხელის სიავეს" არკვევდნენ ხოლმე. როცა მწერალი შესაფერის ხელს „გამოიჩენ-და" და არაფერი „დაეწუნებოდა", მაშინ მიანდობდნენ ხოლმე სამუ-შაოს.

დაწერილისა და ხელის თვისებების მიხედვით, თვით წერის პროცესის აღნიშვნისთვისაც სხვადასხვა გამონათქვამი იხმარეოდა. ჩვეულებრივი „წერის" გარდა, დამწერელთა ანდერძებში გვხვდება ტერმინები „მომად წერაი", „უცბად წერაი"[8].

ერთს X-XI ს.ს. მინაწერში მაგ. ნათქვამია „აწ რომელი წითლითა წერილ არს მარტოდ– იუწყება რიცხუსა [თაეთა?] განწე-სებისა... ხოლო რომელი იგი მელნითა არს ქუემოწერილი... არს კათოლიკე რიცხვ"-ო რაკი „წითელი", ცხადია წიტელი საწერ-სალე-ბავის აღმნიშვნელია. ამიტომ „მელანი" შავი საწერ-სალებავის აღ-სანიშნავი ტერმინი უნდა ყოფილიყო. „მელანი" ბერძნული სიტყვაა შავს, მუქს, ბნელსა ნიშნავდა. ჩვენმა წინაპრებმა არამცთუ მარტო X-XI ს.ს-ში, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს,

---

7 იხ. იქვე, გვ. 65
8 იხ. იქვე, გვ. 59

იცოდნენ, რომ „მელანი“ შავსა ნიშნავდა და შავი საწერ-სარებავის სახელი იყო[9].

რაკი ტექსტი სათაურებსა და საზენაო ასოებს გარდა მთლად შავი საწერ-სარებავით იწერებოდა ხოლმე, ამიტომ ქართულში მელანი საწერ-საღებაეის ზოგად სახელად იქცა.

მელანისა და წითელის გარდა, საწერ-სარებავის ტერმინად ძეელ ხელნაწერებში ხშირად სიტყვა „სინგური“-ც გვხვდება. თუმცა ზოგჯერ „სინგური“-ს მაგიერად ისევ წითელი სარებავიც ისმარება. თუმცა როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს სინგური ყოველ წითელ საწერ-საღებავს არ ეწოდება, არამედ განსაკუთრებული შედგენილობისა და თვისებისა უნდა ყოფილიყო[10]. თვით სინგურით ნაწერის ფერიცა და განსაკუთრებული ბრწყინვალება ცხადად გაინირჩევა ჩვეულებრივ წითელი მელნით ნაწერის თვისებებისაგან.

სინგურითა და წითლით მარტო სათბურები და საზედაო ასოები კი არ იწერებოდა, არამედ ბიზანტიის კეისრები სინგურს საბუთების ხელმოსაწერადაც ხმარობდნენ ხოლმე. ამ წესიდან გამონაკლისი არც ალბათ ქართველი მეფეები იქნებოდნენ. გადამწერლობა ისეთივე ხელობა იყო, როგორც სხვა ხელობებიც. რასაკვირველია ყოველ განათლებულ ადამიანს შეეძლო თავისთვის რომელიმე წიგნი გადაეწერა ან რაიმე დოკუმენტი შეედგინა, მაგრამ ყველას არ ჰქონდა ამისათვის საჭირო მოცლილობა და მეტადრე ცოდნა, ამიტომ არსებობდა ადამიანთა ისეთი კატეგორია, რომელთაც გადამწერლობა ხელობად ჰქონდათ არჩეული და მთელ ან თავისუფალ დროს ამ ხელობას ანდომებდნენ. ისინი ორ კატეგორიად იყოფოდნენ, პირველნი რომლებიც სახელმწიფოს სამსახურში იყვნენ და მეორენი რომლებიც კერძო პირებს ემსახურებოდნენ. მათ ჩვენი აზრით კიდევ უნდა დაემატოს მონაზენები და ბერები რომლებიც თავდაპირველადმხოლოდ და მხოლოდ სასულიერისამეცნიერო თხზულებებს ამზადებდნენ, და თანაც უფასოდ. მაგრამ რაკი დამწერლობა ხელობა იყო და არსებობის თუ შემოსავლის სახსარს შეადგენდა ამიტომ უსასყიდლოდ არავინ არაეის მოემსახურებოდა და უსასყიდლოდ არავინ არაეის არავითარ დოკუმენტს არ შეუდგენდა. აქედან გამომდინარე მართალია სასულიერო თხზულებათა გადაწერა და საეკლესიო დოკუმენტების შედგენა მათ

---

9 იხ. იქვე გვ.54

10 იხ. იქვე გვ.54

ხელობას წარმოადგენდა. მაგრამ სასყიდელზე უარს არც ისინი ამბობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სამონასტრო წესებით მათ გასამრჯელოს აღება აკრძალული ჰქონდათ. უფასოდ რომ ასეთი სახის მომსახურებას არავინ არ გასწევდა ამის დამამტკიცებელი ცნობა ერთ ხელნაწერშიც არის შენახული მისი დამწერელი საზოგადოებას შენდობას სთხოვს: „მართალია, ჩემი წიგნი ასეთი ცუდი ხელით არის დაწერილი, მაგრამ რა ვქნა, „სხვა ღონე არა მქონდა, საფარისაგან გლახაკ ყოვლად ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდაო“-ო“.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში, ნოტარიატის შესახებ საკანონმდებლო ბაზის შექმნაში საქართველო ფაქტობრივად არ მონაწილეობდა და რუსეთის იმპერიის კანონმდებლობაზე იყო დამოკიდებული.

1917 წლის სასამართლოს შესახებ დეკრეტით გაუქმდა მეფის რუსეთის სასამართლო სისტემა — სასამართლო, პროკურატურა, გამოძიება, ადვოკატურა, მაგრამ არ შეხებია ნოტარიატს, თუმცა შექმნილი მდგომარეობით ნოტარიატებმა ფაქტობრივადე შეწყვიტეს ფუნქციონირება. შემდგომ კი ადგილობრივი საბჭოების დადგენილებით, გაუქმდა ისინი. სანოტარო მოქმედებათა შესრულება კი ადგილობრივი საბჭოების იუსტიციის განყოფილებებს, სოციალური უზრუნველყოფის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ და სხვა ორგანოებს დაეკისრათ იმის მიხედვით თუ რა სახის სანოტარო მოქმედება იქნებოდა შესრულებული.

რევოლუციის შემდგომ წლებში სახელმწიფოში სამოქალაქო ბრუნვა ფაქტობრიეად შეწყდა. სრულდებოდა ისეთი სანოტარო მოქმედებები, როგორიცაა დოკუმენტის დედანიდან ასლის დადასტურება, ხელმოწერის სისწორის დადასტურება და სხვა. ამიტომ არც სახელმწიფოს მხრივ არსებობდა დაინტერესება, ამ ურთიერთობების საკანონმდებლო წესით მოსაწესრიგებლად.

პირველი საკავშირო ნორმატიული აქტი ნოტარიატის შესახებ არის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1926 წლის 14 მაისის ერთობლივი დადგენილება „სახელმწიფო ნოტარიატის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებმა შეიმუშავეს და მიიღეს დებულება „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“. სამოქალაქო ურთიერთობის განვითარების კვალობაზე

მოკავშირე რესპუბლიკებს ამ დებულებაში შეჰქონდათ შესაბამისი დამატებები. ომის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1942 წლის 15 სექტემბერს მიიღო დადგენილება „ომის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეთა მინდობილობებისა და ანდერძების დამოწმების წესის შესახებ“. დადგენილება უფლებას აძლევდა სამხედრო ნაწილების უფროსებს, დაემოწმებინათ სამხედრო მოსამსახურეების მიერ გაცემული მინდობილობები და ანდერძები.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში საბჭოთა კავშირში დიდი საკოდიფიკაციო მუშაობა მიმდინარეობდა. შემუშავებული და მიღებული იქნა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძლები“. სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლები და სხვა. შემდგომში ეს საკანონმდებლო აქტები საფუძვლად დაედო მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებას. ყველა ამ აქტმა, და საერთოდ, იმ წლებში სსრ კავშირში გაშლილმა დიდმა საკოდიფიკაციო სამუშაოებმა განაპირობეს ნოტარიატის შესახებ საერთო საკავშირო აქტის მიღების აუცილებლობა. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ სსრ კავშირის კანონი მიღებული იქნა 1973 წლის 19 ივლისს, ხოლო მის საფუძველზე 1974 წლის 27 დეკემბერს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“, რომელიც მოქმედებდა 1996 წლის 1 აგვისტომდე. ამით დასრულდა რუსეთის იმპერიის მიერ თავსმოხვეული სანოტარო კანონმდებლობის მოქმედება საქართველოში დაამოქმედდა პირველი დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტი ნოტარიატის შესახებ.

---

დავით სუხიტაშვილი – საქართველოს სანოტარო სამართალი. თბილისი 2002 წ. გვ. 32-33.

# თემა მესამე

## ნოტარიატის საქმიანობის ძირითადი ორგანიზაციული პრინციპები.

## ლექცია III – ნოტარიატის ორგანიზაცია საქართველოში.

ნოტარიატის ორგანიზაცია საქართველოში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (წევრობა, ცალსახად), საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ორგანიზაცია, პალატის გამგეობა, გამგეობის შემადგენლობა, თავმჯდომარე, გამგეობის კომპეტენცია, ანგარიშვალდებულება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინაშე, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საფინანსო-სარევიზიო კომისია, სადისციპლინო კომისია, ნოტარიუსთა პალატის ხარჯთაღრიცხვა, სახელმწიფო კონტროლი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატები, ნოტარიუსი, ნოტარიუსის თანამდებობაზე მიღების პირობები, კონკურსი, სანოტარო ბიურო, ნოტარიუსის თანამდებობაზე მუშაობის დაწყება, სანოტარო საქმიანობის პრინციპები, ნოტარიუსის ძირითადი ვალდებულებები, ნოტარიუსის სამუშაოზე გამოუცხადებლობა, შენაცვლება, პასუხისმგებლობა.

***ნოტარიატის ორგანოთა სისტემა საქართველოში.*** საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონით "ნოტარიატის შესახებ" ნოტარიატი მოწოდებულია დაიცვას მოქალაქეთა და იურიდიული პირების უფლებები და მოვალეობები იმ ფარგლებში, რაც მას დელეგირებული აქვს სახელმწიფოს მიერ.

ნოტარიატი საქართველოში წარმოადგენს იუსტიციის ორგანოთა სისტემას, რომლის ძირითად რგოლს წარმოადგენს ნოტარიუსთა პალატა: ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად აღასრულებს თავის უფლებებს და ვალდებულებებს. ნოტარიუსი, (რომელიც ამავე დროს აუცილებლად არის ნოტარიუსთა პალატის წევრი) იურისტი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში დელეგირებული აქვს სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ყველა სანოტარო მოქმედებას.

ნოტარიატის სისტემაში გარკვეული ადგილი უკავია თვითმმართველობას. ადგილობრივ ორგანიზაციებს, საკონსულო დაწესებულებებს და სახელმწიფო დაწესებულებათა ცალკეულ თანამდებობის პირებს.

ნოტარიუსის შესახებ კანონის 42-ე მუხლში "სანოტარო მოქმედებები, რომლებსაც ასრულებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები" ჩამოთვლილია: დასახლებულ პუნქტებში, სადაც სანოტარო ბიუროები არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს: ა) ადასტურებენ ანდერძებს, ბ) იღებენ ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად; გ) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედნებთან; დ) გადასცემენ პირთა განცხადებებს და ცნობებს სხვა პირებს; ე) ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს; ვ) შესანახად იღებენ დოკუმენტებს.

სანოტარო მოქმედებები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნოტარიუსის გარდა შეუძლიათ შეასრულონ საქართველოს საკონსულო დაწესებულებების სათანადოთ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულო დაწესებულებების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებით და სანოტარო ქმედების შესრულებისადმი ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით (მუხლი 43).

ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებს უთანაბრდება: 1) საავადმყოფოში, სხვა სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებაში, სანატორიუმში სამკურნალოდ მყოფ ან მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საავადმყოფოს, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის ან მორიგე ექიმის მიერ, აგრეთვე მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების დირექტორისა და მთავარი ექიმის მიერ; 2) საქართველოს ალმით მცურავ საზღვაო გემზე ან საჰაერო ხომალდზე მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ გემის კაპიტნის ან საჰაერო ჰომალდის მეთაურის მიერ; 3) სამძებრო-სადაზვერვო და სხვა მათ მსგავს ექსპედიციაში მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ ექსპედიციის უფროსის მიერ; 4) ჰოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებაში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ანდერძები და რწმუნებულებები, რომლებიც

დადასტურებულია ამ ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებების უფროსის, სამედიციო ნაწილში მისი მოადგილის, უფროსი და მორიგე ექიმის მიერ; 5) სამხედრო მოსამსახურეთა ანდერძები და რწმუნებულებანი, ხოლო ამ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო ბიუროები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსის მიერ); 6) თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის მიერ (მუხლი 44).

ნოტარიატი, როგორც სანოტარო მოქმედებების შემსრულებელი ორგანოს, თანამდებობის პირებს და ორგანოების სისტემას წარმოადგენს, სადაც ნოტარიუსი თუმცა ძირითად, მაგრამ მაინც დაბალ რგოლს წარმოადგენს ამიტომაც ნოტარიატის ორგანიზაციული სისტემის განხილვა მასზე უფრო ზემდგომი ნოტარიუსთა პალატის განხილვით დაეიწყოთ.

***საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. პალატის წევრობა. საწევრო გადასახადი.***

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა არის ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ახორციელებს თავის უფლებებსა და ვალდებულებებს. იგი ანგარიშვალდებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინაშე ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონითა და ამ წესდების ფარგლებში და წესით. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა შექმნილია ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საქმის წარმოების ენაა ქართული ენა.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატას აქვს ემბლემა და ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, საბანკო ანგარიშები (მათ შორის, სავალუტო ანგარიში), იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. საქართვეოს ნოტარიუსთა პალატის ადგილსამყოფელი ქ. თბილისია.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრია ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშნული ყველა ნოტარიუსი. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატის წევრები იმავდროულად არიან საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრები. ნოტარიუსი პალატის წევრი ხდება თანამდებობაზე დანიშვნისთანავე. პალატის წევრობა წყდება ნოტარიუსის თანამდებობიდან განთავისუფლების თანავე.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ყველა წევრი ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიური საწევრო გადასახადი ამ წესდებით დადგენილი წესით.

საწევროს განაკვეთია ნოტარიუსის საერთო შემოსავლის (ბრუნვის) 3%. საერთო შემოსავალში იგულისხმება თანხა, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო სანოტარო მოქმედების შესრულების შედეგად. დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოკლებით. საწევროს ოდენობა ერთიანია ყველა ნოტარიუსისათვის. დაუშვებელია აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატის მიერ საწევროს ოდენობის გაზრდა. ამასთანავე ამ პალატის წევრი ნოტარიუსები ვალდებულნი არიან საწევროს 30% გადარიცხონ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ანგარიშზე, ხოლო 70% შესაბამისი რეგიონალური პალატის ანგარიშზე.

ნოტარიუსი ვალდებულია საწევრო გადაიხადოს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია საწევროსთან ერთად გადაიხადოს საურავი გადასახდელი თანხის 0,2% ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. საურავის დარიცხვა წარმოებს სამი თვის განმავლობაში. არასაპატიო მიზეზით საწევროს სამი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში საქართველოს ნოტარიუსთა პალატის (რეგიონალური პალატის) გამგეობა ვალდებულია აღძრას ნოტარიუსის მიმართ დისციპლინარული დევნა. ნოტარიუსი, რომელსაც შეუჩერდა უფლებამოსილება არ იხდის საწევროს უფლებამოსილების შეწყვეტის განმავლობაში. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (რეგიონალური პალატა) უფლებამოსილია შეამოწმოს ნოტარიუსის მიერ საწევროს გადახდის სისწორე და ამ მიზნით გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია ნოტარიუსისაგან. იმ შემთხვევაში, თუ ნოტარიუსმა შეამცირა საწევროს ოდენობა, იგი ვალდებულია შემცირების ფაქტის დადგენიდან ერთი თვის ვადაში გადაიხადოს თანხა, რომლითაც შემცირდა საწევროს ოდენობა.

გადაიხადოს ზემოთ მოყვანილი საურავი ყოველი დღისათვის საწევროს გადახდის ვალდებულების წარმოშობიდან დავალიანების დაფარვის დღემდე.

ნოტარიუსის მიერ საწევროს ზედმეტი ოდენობით გადახდის შემთხვევაში ნოტარიუსი უფლებამოსილია დაიბრუნოს ზედმეტად გადახდილი თანხა ან ჩაითვალოს მოდევნო თვეების საწევრის ანგარიშში.

***საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ორგანიზაცია.*** საქართველოს ნოტარიუსთა პალატის უმაღლესი მმართველი ორგანოა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება. საერთო კრება შედგება საქართველოს ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშნული ყველა ნოტარიუსისაგან.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება, როგორც წესი, ტარდება ქ.თბილისში. ამასთანავე, შესაძლებელია კრების ჩატარება საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტში საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მოტივირებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების კომპეტენცია განისაზღვრება შემდეგი საკითხებით: ა) ამტკიცებს პალატის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში. წესდებისა და მასში შესატანი ცვლილებების პროექტს ამზადებს პალატის გამგეობა და იწონებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

ბ) განიხილავს ნოტარიატის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ წინადადებებს, საკითხებსა და პრობლემებს.

გ) ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს და გასული წლის ბალანსს, რომელთა წარადგენს პალატის გამგეობა.

დ) ამტკიცებს ნოტარიუსთა საქმიანობის ანგარიშგების სტატისტკურ ფორმებს, რომლის ფორმებს შეიმუშავებს პალატის გამგეობა.

ე) განიხილავს სხვა საკითხებს საქართველოს კანონმდებლობის და წესდების შესაბამისად.

წლიური საერთო კრება ტარდება ყოველი წლის თებერვლის ბოლო კვირაში.

რიგგარეშე კრება მოიწვევა: ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინადადებით; ბ) პალატის გამგეობის გადაწყვეტილებით; გამგეობის გადაწყვეტილებით უნდა დადგინდეს კრების თარიღი და

დღის წესრიგი; გ) პალატის წევრთა საერთო რიცხვის ერთი მეხუთედის მოთხოვნით; დ) წესდებით დადგენილ შემთხვევაში და წესით.

პალატის გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის მიღებიდან სამი კალენდარული დღის ვადაში დანიშნოს რიგგარეშე კრების თარიღი. რიგგარეშე კრება უნდა ჩატარდეს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. ამასთანავე გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია კრების დღის წესრიგში შეიტანოს ის საკითხი, რომლის განხილვასაც ითხოვს რიგგარეშე კრების მოწვევის ინიციატორი.

საერთო კრების მოწვევის ვალდებულება ეკისრება პალატის გამგეობის თავმჯდომარეს. იგი ვალდებულია კრება მოიწვიოს დაზღვეული წერილით კრების თარიღამდე არანაკლებ 12 დღით ადრე. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების ჩატარების თარიღი, ადგილი, დრო და დღის წესრიგი, აგრეთვე კრების მოწვევის ინიციატორი. კრების მუშაობაში ნოტარიუსი მონაწილეობს პირადად, ან იმ წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც პალატის წევრია. წარმომადგენლობა ფორმდება წერილობით. ამასთანავე ნოტარიუსი ვალდებულია პალატის გამგეობას წერილობით აცნობოს კრებაზე პირადად დაუსწრებლობის მიზეზი.

გადამდგარი ნოტარიუსი უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს კრებას, მათ შორის დახურულ კრებას. კრების მოწვევის შესახებ წესდებით დადგენილი პროცედურა დაცული უნდა იყოს გადამდგარი ნოტარიუსების მიმართაც. წლიური და რიგგარეშე საერთო კრება უფლებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. თუ საერთო კრება არაუფლებაუნარიანია, მაშინ მესამე შაბათს იმავე დღის წესრიგით ტარდება განმეორებითი კრება. კრებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. კრება ტარდება ღიად და საჯაროდ. იმ შემთხვევაში, თუ კრება იხილავს საკითხს, რომლის გახმაურება კანონით აკრძალულია, კრების გადაწყვეტილებით კრება ან რომელიმე მისი ნაწილი ცხადდება დახურულად. კრების ოქმს ადგენს მდივანი და მას ხელს აწერენ გამგეობის თავმჯდომარე და მდივანი.

***საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა, გამგეობის შემადგენლობა, გამგეობის კომპეტენცია, გამგეობის თავმჯდომარე, გამგეობის სხდომა, ანგარიშვალდებულება საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინაშე.***

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა არის საერთო კრების აღმასრულებელი ორგანო. პალატის გამგეობის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და სამი წევრისაგან, რომელთაც სამი წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება. გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია არჩევნების ჩატარებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს გამგეობის ახლად არჩეულ წევრთა სია, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში". გამგეობის უფლებამოსილება იწყება გამგეობის შემადგენლობის ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ამასთანავე უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება გამგეობის ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე.

გამგეობის წევრს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება: ა) თუ გამგეობის წევრს, როგორც ნოტარიუსს, შეუჩერდა, ან შეუწყდა უფლებამოსილება. გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობისთანავე.

ბ) გადადგომის შემთხვევაში გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადება შეიძლება წარედგინოს გამგეობას, ან საერთო კრებას. გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება გადადგომის შესახებ განცხადების წარმოდგენის დღიდან.

გ) საერთო კრების გადაწყვეტილებით.

გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია გამგეობის წევრის ვაკანსიის წარმოშობიდან 45 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს საერთო კრების ჩატარება და გამგეობის ახალი წევრის არჩევა გამგეობის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, ერთი თვის ვადაში ტარდება გამგეობის მთელი შემადგენლობის არჩევნები. ამასთანავე, გამგეობის დარჩენილი წევრები თავიანთ უფლებამოსილებას ასრულებენ ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე. განსაკუთრებულ

შემთხვევაში, როცა გამგეობის ყველა წევრს შეუწყდება უფლებამოსილება, ან გამგეობა სრულიად ქმედუუნაროა, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ერთი თვის ვადაში ატარებს გამგეობის ახალ არჩევნებს.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა: ა) წარმოადგენს საქართველოს ნოტარიატს, იცავს საქართველოს ნოტარიატისა და თითოეული ნოტარიუსის ინტერესებს საჯარო ხელისუფლების ყველა ორგანოსა და სასამართლოში; ბ) იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან რამდენიმე ნოტარიუსის (რომელთაც აქვთ უფლება ინდივიდუალურად დაიცვან თავიანთი უფლებები) მიმართ დაწყებულია სასამართლო პროცესი ნოტარიატის შესახებ კანონმდებლობის, ან მომიჯნავე კანონმდებლობის დარღვევის საფუძელით, გამგეობა უფლებამოსილია ჩაერთოს სასამართლო პროცესში დამოუკიდებლად, ან ჩაერთოს სასამართლო პროცესში, რომელიც დაწყებულია ნოტარიუსის მიერ; გ) ამზადებს ნოტარიატის ფუნქციონირების შესახებ თავის მოსაზრებებს და წინადადებებს და წარუდგენს მათ საქართველოს იუსტიციის მინისტრს; დ) სწავლობს ნოტარიატის წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებელ შემდეგ საკითხებს: სოციალური დაზღვევა, სოლიდარობის ფონდი, ფინანსური დახმარება იმ ნოტარიუსებისათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის კოლექტიური დაზღვევა; ავტონომიური საპენსიო ფონდი და უზრუნველყოფს ამ საკითხებისა და სხვა მსგავსი საკითხების გადაწყვეტას; ე) ზრუნავს ნოტარიუსთა პროფესიული მომზადების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ამ მიზნით ატარებს სემინარებს, კონფერენციებს, კოლოქვიუმებს და სხვა მსგავს ღონისძიებებს, გამოსცემს სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს; ვ) აკონტროლებს ნოტარიუსთა რეგიონალური პალატების (აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატების) სათანადოდ ფუნქციონირებას, ატარებს სპეციალურ ინსპექტირებას რეგიონალური პალატების მუშაობის შესამოწმებლად; ზ) იცავს ნოტარიუსის პროფესიონალურ ღირსებას; თ) ამზადებს პროექტს სანოტარო მომსახურების ტარიფების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედამხედველობს ნოტარიუსის მიერ სანოტარო ნამსახურების საზღაურის გადახდევინების სისწორეს; ი) შეიმუშავებს ნოტარიუსთა ეთიკურ კოდექსსა და დეონტოლოგიის ნორმებს და პალატის საერთო კრების მოწონების შემდეგ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრს; კ) საკუთარი ინიციატივით ან

კომპეტენტური ორგანოების თხოვნით გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ნორმატიული აქტების პროექტების შესახებ; ლ) აწარმოებს საქართველოს ყველა ნოტარიუსის პირად საქმეს, სადაც აღინიშნება ყველა ინფორმაცია ნოტარიუსის საქმიანობის შესახებ (მათ შორის ნოტარიუსის საქმიანობის შემოწმების შედეგები, ნოტარიუსისათვის შეფარდებული დისციპლინარული სასჯელები); ნ) ამტკიცებს სტაჟიორთა სწავლების პროგრამას; ო) ასრულებს წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

გამგეობის თავმჯდომარე წარმოადგენს საქართველოს ნოტარიატსა და გამგეობას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში, ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებსა და საერთო კრებებს, ასრულებს მათ გადაწყვეტილებებსა და ახორციელებს ყველა სხვა საქმიანობას, რომელიც გამგეობის ფუნქციებთან არის დაკავშირებული.

თავმჯდომარე უფლებამოსილია საგანგებო შემთხვევაში, როცა შეუძლებელია გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევა და დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ნოტარიატის ინტერესებს, შეასრულოს გამგეობის ფუნქციები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები, დასამტკიცებლად წარუდგინოს გამგეობის პირველსავე სხდომას.

თავმჯდომარის არყოფნისას მის ფუნქციებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე. თავმჯდომარის მოადგილის არყოფნისას მის ფუნქციებს ასრულებს გამგეობის უხუცესი წევრი. თავმჯდომარე თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

გამგეობის სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც. გამგეობის სხდომას წერილობით იწვევს თავმჯდომარე, სხდომამდე არანაკლებ 5 დღით ადრე. თუ თავმჯდომარის აზრით საჭიროა საკითხის სასწრაფოდ განხილვა, იგი უფლებამოსილია სხდომა მოიწვიოს სხდომამდე 2 დღით ადრე ფაქსის, დეპეშის ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. გამგეობის წევრი ვალდებულია დაესწროს გამგეობის სხდომას. წევრს, რომელიც სამჯერ ზედიზედ არასაპატიო მიზნით არ ესწრებოდა გამგეობის სხდომას ავტომატურად უწყდება გამგეობის წევრის უფლებამოსილება.

სხდომა უფლებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ ნახევარი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

გამგეობის სხდომისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა ვალდებულია არა უგვიანეს ყოველი წლის მარტის თვის პირველი კვირისა საქართველოს იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს გამგეობისა და რეგიონალური პალატების საქმიანობის წერილობითი წლიური ანგარიში და მიაწოდოს მოსაზრებები ნოტარიატის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემების, სადისციპლინო პრაქტიკის შესახებ, აგრეთვე იმ წინადადებების შესახებ, რომელთა რეალიზაცია საჭიროა ნოტარიატის ფუნქციონირების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატისა და რეგიონალური პალატების ორგანოებში არჩეული თითოეული ნოტარიუსი ვალდებულია თავისი უფლებამოსილება შასრულოს უსასყიდლოთ.

ნოტარიუსს უფლება აქვს სასამართლო წესით გაასაჩივროს მის მიმართ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობისა და რეგიონული პალატის გამგეობის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.

***საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საფინანსო-სარევიზიო კომისია, სადისციპლინო კომისია, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი), სახელმწიფო კონტროლი.***

საფინანსო-სარევიზიო კომისია არის ნოტარიუსთა პალატის კონტროლის ორგანო, რომელიც ამოწმებს პალატის გამგეობის საფინანსო საქმიანობისა და საბუღალტრო აღრიცხვის კანონიერებას.

კომისია აირჩევა პალატის საერთო კრების მიერ ფარული კენჭისყრით სამი წლის ვადით. კომისია შედგება ხუთი წევრისაგან. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს კომისიის უფლებამოსილების ვადით. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პალატის სხვა ორგანოს წევრი.

საერთო კრება უფლებამოსილია ვადამდე გაიწვიოს კომისიის წევრი, ან გადააყენოს სარევიზიო კომისიის მთელი შემადგენლობა, თუ სარევიზიო კომისია ჯეროვნად არ ასრულებს თავის მოვალეობას. კომისიის წევრი უფლებამოსილია გადადგეს.

კომისიის წევრს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება: ა) თუ წევრს, როგორც ნოტარიუსს, შეუჩერდა ან შეუწყდა უფლებამოსილება; წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება

უფლებამოსილების საფუძვლის წარმოშობისთანავე; ბ) გადადგომის შემთხვევაში გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადება შეიძლება წარედგინოს გამგეობას, ან საერთო კრებას; გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება გადადგომის შესახებ განცხადების წარდგენის დღიდან.

საერთო კრების გადაწყვეტილებით კომისიის წევრის ვაკანსიის შევსება ხდება მომდევნო საერთო კრებაზე. ახალი წევრები აირჩევა კომისიის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრთა ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, 30 დღის ვადაში ტარდება კომისიის მთელი შემადგენლობის არჩევნები, ამასთანავე, კომისიის დარჩენილი წევრები თავიანთ უფლებამოსილებას ასრულებენ ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა კომისიის ყველა წევრს შეუწყდება უფლებამოსილება, ან კომისია სრულიად ქმედუუნაროა, პალატის გამგეობის თავმჯდომარე 30 დღის ვადაში უზრუნველყოფს რიგგარეშე კრების მოწვევასა და კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევნებს კომისიის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

სარევიზიო კომისია ვალდებულია ყოველთვიურად შეამოწმოს პალატის გამგეობისა და გამგეობის თემჯდომარის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონიერება და შესაბამისობა საერთო კრების მიერ დადგენილ ხარჯთაღრიცხვასთან (ბიუჯეტთან). სარევიზიო კომისია უფლებამოსილია გამგეობისაგან გამოითხოვოს პალატის გამგეობის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია, მათ შორის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაცია და მოითხოვოს ახსნა-განმარტებანი როგორც პალატის გამგეობის წევრების, ისე აპარატის თანამშრომლებისაგან. აუცილებლობის შემთხვევაში სარევიზიო კომისია უფლემოსილია მოიწვიოს სპეციალისტი (აუდიტორი). სპეციალისტის შრომის ანაზღაურება ხდება პალატის ხარჯზე გონივრულ ფარგლებში. პალატის გამგეობა ვალდებულია საფინანსო-სარევიზიო კომისიას შეუქმნას სამუშაო პირობები.

სარევიზიო კომისიის სხდომა იმართება თვეში არანაკლებ ერთხელ. სარევიზიო კომისიის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის მიერ თავისი ინიციატივით ან არანაკლებ ორი წევრის წერილობითი მოთხოვნით. კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია სხდომა მოიწვიოს მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს სამი დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე სხდომას არ

იწვევს ამ მუხლით დადგენილ ვადაში, კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს საკუთარი ინიციატივით და ჩაატაროს სხდომა. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამი წევრი მაინც. დაუშვებელია წარმომადგენლობა. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. კომისია ვალდებულია თავისი გადაწყვეტილების ასლები გაუგზავნოს პალატის გამგეობას. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე. სარევიზიო კომისია ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს წლიურ საერთო კრებას. ამასთანავე სარევიზიო კომისია ვალდებულია წლიური ანგარიში მოამზადოს იმ ვადაში, რომ შესაძლებელი იყოს ამ ანგარიშის წინასწარ გაცნობა ნოტარიუსებისათვის. სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიში პერიოდულად უნდა გამოქვეყნდეს პალატის ჟურნალში "საქართველოს ნოტარიატი".

სადისციპლინო კომისიის ფუნქციაა პალატის კომპეტენციაში არსებული სადისციპლინო საკითხების განხილვა. სადისციპლინო კომისიას ირჩევს საერთო კრება ხუთი წევრის შემადგენლობით. სადისციპლინო კომისიის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის საკითხები წესრიგდება ამ წესდებით საფინანსო-სარევიზიო კომისიისათვის დადგენილი ნორმებით. სადისციპლინო კომისიის კომპეტენცია და მუშაობის წესი დგინდება დებულებით ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ხარჯთაღრიცხვა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ბიუჯეტის ფორმირების წყაროებია: ა) ნოტარიუსთა სავალდებულო საწევრო გადასახადი; ბ) შემოწირულობა; გ) გრანტები და სხვა სახის დახმარებები; დ) პალატის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი; ე) სხვა შემოსავლები, რომელთა მიღება არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

პალატის ყოველწლიური შემოსავლები და გასავლები აისახება ყოველწლიურ ბიუჯეტში. ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს ამზადებს პალატის გამგეობა. გამგეობა ვალდებულია მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად გაუგზავნოს ნოტარიუსებს ერთი თვით ადრე ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისამდე. ყოველწლიურ ბიუჯეტში აუცილებლად უნდა აისახოს შემოსავლების სავარაუდო ოდენობა, განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმია ნოტარიუსთა სავალდებულო საწევრო გადასახადების გადახდით მიღებული შემოსავლების ოდენობა.

სახელმწიფო კონტროლი.

საქართველოს ნოტარიუსთა საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, რომელსაც უფლება აქვს, კონტროლის განსახორციელებლად მოითხოვოს საჭირო მასალები და ინფორმაცია, იუსტიციის მინისტრს შეუძლია კონტროლის განხორციელება დაავალოს იუსტიციის სამინისტროს სამსახურს, ან თეით ნოტარიუსთა პალატის აღმასრულებელ ორგანოს – გამგეობას. შემოწმების მასალებზე დაყრდნობით, იუსტიციის მინისტრს შეუძლია შეაჩეროს ან გააუქმოს ნოტარიუსთა პალატის (საერთო კრებისა და გამგეობის და არა ნოტარიუსის) არამართლზომიერი დადგენილებები.

***აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატები.***

ნოტარიუსის სახელმწიფო რეგულირებას კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრების, რომლებიც სანოტარო საქმიანობას აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეწევიან, ერთდროულად არიან შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური პალატის წევრებიც და ქმნიან აფხაზეთისა და აჭარის ნოტარიუსთა პალატებს.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატები იქმნება "საქართველოს კანონით ნოტარიუსის შესახებ" საფუძველზე. მათ აქვთ თავიანთი წესდება, რომელსაც იღებს შესაბამისი ნოტარიუსთა პალატის კრება. წესდება რეგისტრაციას ექვემდებარება შესაბამისი იუსტიციის სამინისტროში საზოგადოებრივი გაერთიანების რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატები არიან იურიდიული პირები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ თვითმმართველობის პირობებით. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატის გამგეობათა თავმჯდომარეები თანამდებობრივად საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯომარის მოადგილეები არიან.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატები მონაწილეობენ ნოტარიუსთა საქმიანობაზე

ზედამხედველობის განხორციელებაში და აწარმოებენ კონტროლს ნოტარიუსების მიერ პროფესიული ეთიკის მოთხოვნათა დაცვაზე.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატები ვალდებული არიან, წლიური ანგარიში წარუდგინონ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატას.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებას წელიწადში არანაკლებ ერთჯერ მოიწვევს აფხაზეთისა და აჭარის ნოტარიუსთა პალატის გამგეობები. ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა საერთო კრება უფლებამოსილია განიხილოს ყველა საკითხი, გარდა იმ საკითხებისა, რომელიც საქართველოს ნოტარიუსთა პალატის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

***სანოტარო სამსახური. ნოტარიუსი, ნოტარიუსის თანამდებობაზე მიღების პირობები, ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება კონკურსით, სანოტარო ბიურო, ნოტარიუსის თანამდებობაზე მუშაობის დაწყება.***

ნოტარიუსი არის იურისტი, რომელსაც კა-ნონმდებლობით დადგე-ნილ ფარგლებში აქვს სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება და რომელიც ასრულებს საჯარო ფუნქციებს.

ნოტარიუსის ძირითადი ფუნქციებია: ა) იმ აქტების შედგენა და დამოწმება, რომელთა სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა ამ აქტების ნამდვილობისა და მათთვის უდაეო ხასიათის მინიჭებისათვის; ბ) იმ აქტების შედგენა და დამოწმება, რომელთა სანოტარო წესით დამოწმება არ არის სავალდებულო; მაგრამ პირს ნოტარიალური დამოწმებით სურს ამ აქტებისათვის უდავო ხასიათის მინიჭება; გ) ხელმოწერათა ნამდეილობის დადასტურება; დ) ნოტარიუსი არის თავისი კლიენტის მიუკერძოებელი იურიდიული მრჩეველი.

ნოტარიუსის თანამდებობა კანონით დადგენილი წესით შეიძლება მიიღოს საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გაიელის სტაჟირებას და ნოტარიუსის კვალიფიკაციის მისაღებად ჩააბარებს გამოცდას საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია პარიტეტულ საწყისებზე იქმნება იუსტიციის სამინისტროსა და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლობისაგან სწაელული იურისტებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-ნოტარიუსების შემადგენლობით.

საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია შეიძლება შეიქმნას აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის იუსტიციის სამინისტროებთან და შესაბამის ნოტარიუსთა პალატებთან. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლებს შეუძლიათ სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მუშაობაში. პირი განთავისუფლდება ნოტარიუსის კვალიფიკაციის მისაღებად გამოცდის ჩაბარების მოთხოვნისაგან, თუ მას აქვს სამეცნიერო ხარისხი სამოქალაქო, საერთაშორისო, საერთაშორისო კერძო სამართლის, კერძო სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალობით.

საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებას შეიმუშავებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა და ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნოტარიუსის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ თანამდებობის დაკავება ხდება კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების პირობებს და წესს ადგენს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა და ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, კანონმდებლობით დადგენილი წესით. კონკურსის გავლის შემდეგ ნოტარიუსს თანამდებობაზე ნიშნავს იუსტიციის მინისტრი. თანამდებობაზე დანიშვნისას ნოტარიუსს ეძლევა სამსახურებრივი მოწმობა და განესაზღვრება სამუშაო უბანი. მის სამუშაო უბანში ნოტარიუსმა უნდა მოიწყოს სანოტარო ბიურო, რომელიც მისი სამუშაო ადგილი უნდა იყოს. ნოტარიუსი ვალდებულია ანგარიში ჰქონდეს ბანკში, მას უფლება აქვს სამუშაოზე აიყვანოს და გაათავისუფლოს მუშაკები შრომის კანონმდებლობის მიხედვით და განკარგოს ჩატარებული სანოტარო მოქმედებებით მიღებული შემოსავლები. ნოტარიუსს შეუძლია თავის სამუშაო უბანში გახსნას ერთი ან რამდენიმე ბიურო და ამის შესახებ აცნობოს ნოტარიუსთა პალატას. ორ ან მეტ ნოტარიუსს, რომლებიც დანიშნულნი არიან ერთ სამუშაო უბანში, ნოტარიუსთა პალატის შუამდგომლობით, შეიძლება ჰქონდეთ საერთო ბიურო. ნიტარიუსების უფლებები და მოვალეობები საერთო ბიუროს მიმართ განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრუ;ლებით. საერთო ბიუროში თითოეული ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებებს ასრულებს საკუთარი სახელით და პირადად აგებს პასუხს თავისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის. სანოტარო ბიუროსათვის გამოყოფილი ფართი იზოლირებული უნდა იყოს. სანოტარო ბიურო სამუშაო დღეებში უნდა მუშაობდეს ხუთი საათი მაინც. ნოტარიუსი

თანამდებობაზე მუშაობას უნდა შეუდგეს დანიშვნიდან სამი თვის ვადაში.

ნოტარიუსი მოვალეა თანამდებობაზე მუშაობის დაწყებამდე იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს თავისი სამსახურებრივი ბეჭედი, ხელმოწერის ნიმუში და სასამსახურო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი. ნოტარიუსმა სანოტარო სამსახურთან ერთად არ შეიძლება იმსახუროს სხვა საშტატო თანამდებობაზე და შეასრულოს სხვა ანაზღაურებადი სამუშაოები, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო შემოქმედებითი საქმიანობისა. ნოტარიუსს პასუხისმგებლობა ეკისრება პირდაპირი ქონებრივი ზიანისთვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის განზრახ ან გაუთვალისწინებელმა ქმედობამ.

ნოტარიუსის მიერ სამართლებრივი და ტექნიკური სამსახურის გაწევა ფასიანია. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, ასლებისა და დუბლიკატების გაცემისათვის ნოტარიუსი საზღაურს ახდევინებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ტარიფებით. მიღებული საზღაური რჩება ნოტარიუსის განკარგულებაში. თუ გარიგება არ მოითხოვა სავალდებულო სანოტარო ფორმას, სანოტარო მოქმედების ანაზღაურების განაკვეთი განისაზღვრება ნოტარიუსის და იმ პირის შეთანხმებით, ვინც შუამდგომლობს სანოტარო მოქმედების შესრულებას.

ნოტარიუსის შემოსავალი სამსახურებრივი საქმიანობისაგან შეადგენს თანხას, რომელიც ნოტარიუსს რჩება სანოტარო ბიუროს შენახვის ხარჯების, კანონით დადგენილი გადასახადების და ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სავალდებულო გადახდების გადახდის შემდეგ იმ თანხიდან, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო საზღაურის სახით. ნოტარიუსის შემოსავალს აგრეთვე შეიძლება შეადგენდეს სხვა ფინანსური შემონატანები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ნოტარიუსს პასუხისმგებლობა ეკისრება პირდაპირი ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის განზრახ ან გაუფრთხილებელმა მოქმედებამ. ამ ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება გარანტირებულ პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისას.

ნოტარიუსის სასამსახურო დაზღვევის არსებით პირობებსა და სადაზღვევო თანხის მინიმალურ ზღვარს ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი,

ნოტარიუსთა პალატამ შეუძლია დადოს დამატებითი დამღვევის ხელშეკრულება მისი წევრების მიერ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

***სანოტარო საქმიანობის პრინციპები, სანოტარო მოქმედების შესრულება სხვა თანამდებობის პირის მიერ, ნოტარიუსის ძირითადი უფლებები. ნოტარიუსის ძირითადი ვალდებულებები, უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, სანოტარო მოქმედების შეზღუდვა, პროფესიული საიდუმლოება, ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობის გარანტიები, სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი, ნოტარიუსის ბეჭედი და ხელმოწერა.***

სანოტარო საქმიანობა ხორციელდება დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის, პროფესიული მიუკერძოებლობის, კანონიერების გარანტიის, ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ზუსტი და ნათელი დოკუმენტების შედგენის, ნოტარიუსის საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კონტროლის, ნოტარიუსის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების პრინციპების, აგრეთვე კანონმდებლობიდან გამომდინარე სხვა საფუძველზე.

ნოტარიუსს უფლება აქვს: ა)შეასრულოს თავისი ფუნქციები ყოველგვარი ჩარჩოების და დაბრკოლებების გარეშე. ნოტარიუსს, რომელსაც ხელს უშლიან თავისი ფუნქციების შესრულებაში, უფლება აქვს სამართალდამცავ ორგანოებს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითება დაბრკოლების დაუყონებლივ აღკვეთის მოთხოვნით; ბ) გამოითხოვოს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ცნობები და დოკუმენტები ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, სახელმწიფოსა და საჯარო სამართლის სხვა ნებისმიერი ინსტიტუტებისაგან, ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენლისაგან; გ) მიიღოს პონორარი (საზღაური სანოტარო მომსახურებისათვის) და აინაზრაუროს სანოტარო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც დადგენილია კანონმდებლობით; დ) ისარგებლოს ნებისმიერი სხვა უფლებით, რაც აუცილებელია თავისი ვალდებულების ეფექტური შესრულებისათვის, ნოტარიუსის ღირსებებისა და სანოტარო ბიუროს ხელშეუვალობის დასაცავად.

სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი ვალდებულია იყოს მიუკერძოებული და შეასრულოს თავისი პრფესიული ვალდებულებები საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული

აქტების შესაბამისად, დაიცვას ნოტარიუსის ქცევის ეთიკური წესები, დაადგინოს კლიენტის პირადობა, უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა, ნების თავისუფალი გამოვლენის ნამდვილობა, განუმარტოს მისი უფლებები და ვალდებულებები, გააფრთხილოს სანოტარო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ, რათა პირის იურიდიული გაუცნობიერებლობა არ იქნას გამოყენებული მის საზიანოდ. სისტემატურად აიმაღლოს მისი პროფესიული მომზადების ხარისხი. დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. არ შეასრულოს სანოტარო მოქმედება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, მორალს, საზოგადოებრივ წესრიგსა და/ან კეთილ ჩვეულებებს. დროულად გადაიხადოს საწევრო შენატანები. ნოტარიუსს ეკრძალება სანოტარო საქმიანობასთან დაკავშირებული თანამშრომლობის, ან პარტნიორობის შესახებ გარიგებების დადება; ამასთანავე ერთი და იგივე სანოტარო დასახლებულ პუნქტში დანიშნული ნოტარიუსები უფლებამოსილები არიან შექმნან საერთო სანოტარო ბიურო, გაინაწილონ პროფესიული საქმეები და შემოსავლები. საერთო სანოტარო ბიუროს შექმნის შემთხვევაში თითოეული ნოტარიუსი ინდივიდუალურად აგებს პასუხს თავისი საქმიანობისათვის.

ნოტარიუსს ეკრძალება: ა) შუამავლობა თავის კლიენტებს შორის, გარიგების დადებისას და/ან გარანტიის მიცემა ერთ-ერთი მხარისათვის; ბ) სანოტარო აქტში შეიტანის თუნდაც ერთი პუნქტი მიმართული საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

ნოტარიუსი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს თავისი სანოტარო ბიუროს თანამშრომლებს და აანაზღაუროს თავისი თანამშრომლების მიერ კლიენტებისათვის მიყენებული ზიანი. ნოტარიუსს აქვს რეგრესის უფლება თანამშრომელთა მიმართ.

ნოტარიუსი ვალდებულია შეკითხვის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში დაზღვეული წერილით გასცეს ამომწურავი წერილობითი პასუხი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მოსამართლის, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის შეკითხვას და მიაწოდოს მათ აუცილებელი ინფორმაცია არა ხუთი დღის, არამედ არა უგვიანეს სამი დღის ვადაში. გარდა პროფესიული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა ნოტარიუსს ეკრძალება უსაფუძვლო უარის თქმა სანოტარო აქტის შესრულებასა და/ან პროფესიული მომსახურების გაწევაზე.

სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში დაინტერესებული პირის მოთხოვნით ნოტარიუსი ვალდებულია მი-

ილოს წერილობითი დადგენილება, რომელშიც მიეთითება: ა) ნოტარიუსის სახელი და გვარი, სანოტარო ბიუროს მისამართი; ბ) დადგენილების მიღების თარიღი; გ) იმ პირის მონაცემები, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე; დ) საქმის გარემოებები და სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის საფუძვლები; ე) გასაჩივრების წესი.

დადგენილება უნდა გაიცეს მოთხოვნიდან ხუთი დღის ვადაში. ნოტარიუსსა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელ სხვა პირს ეკრძალება სანოტარო მოქმედების შესრულება ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის 48-ე მუხლით დადგენილ შემთხვევაში.

ნოტარიუსი და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა პირი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს კლიენტის პირადი ცხოვრების ყველა ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა ნოტარიუსის ფუნქციების შესრულებისას. ეს ვალდებულება ძალაში რჩება ნოტარიუსის თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგაც.

ანდერძის შესახებ ნებისმიერი ცნობა ან ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ იმ პირობით, თუ წარდგენილი იქნება მოანდერძის გარდაცვალების მოწმობა ან ანდერძი ოფიციალურად გამოქვეყნდება.

საზოგადოებრივი წესრიგის დამცველნი ვალდებულნი არიან დაიცვან სანოტარო ბიურო, როგორც საჯარო დაწესებულება.

ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს თავის სანოტარო ბიუროში. ამასთანავე ნოტარიუსი უფლებამოსილია კლიენტის მოთხოვნით, კლიენტის მოთხოვნიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედება შეასრულოს სანოტარო ბიუროს ფარგლებს გარეთ. იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო მოქმედება სრულდება სანოტარო ბიუროს გარეთ, აქტში უნდა მიეთითოს სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი.

სანოტარო ბიურო უნდა განთავსდეს იმ უბანში, რომელიც განესაზღვრა ნოტარიუსს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო ბიუროს შეცვლის შესახებ წინასწარ აცნობოს საქართველოს იუსტიციის მინისტრს და წარუდგინოს ბიუროს ფართის საკუთრების ან სარგებლობის უფლების დამამტკიცებელი დოკუმენტი (დამოწმებული ასლი), მონაცემები სანოტარო ბიუროს ფართისა და დაცულობის (დამცავი აღჭურვილობის) შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო ბიუროსათვის განკუთვნილი ფართი ვერ უზრუნველყოფს სანოტარო ბიუროს გამართულ ფუნქციონირე-

ბას (სანოტარო დოკუმენტების შენახვა და დაცვა, სანოტარო მოქმედებათა საიდუმლოების დაცვა, დამხმარე პერსონალის განთავსება, კლიენტების შეუფერხებელი მიღება) საქართველოს იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს ნოტარიუსს შეუჩეროს უფლებამოსილება.

აკრძალულია სანოტარო ბიუროს განთავსება იმ შენობაში, რომელიც უკავია ბანკს, ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებს, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებს, საქართველოს ნოტარიუსთა პალატას, ან რეგიონულ პალატას, გასართობ დაწესებულებებს (რესტორანი, სამორინე, კაფე-ბარი და სხვა).

სანოტარო ბიუროს ფართი უნდა იყოს იზოლირებული. აკრძალულია სანოტარო ბიუროში სხვა სამსახურის დაწესებულებისა და/ან ორგანიზაციის (მათი წარმომადგენლობის) განთავსება, იმ ფიზიკურ პირთა მუშაობა, რომლებიც ეწევიან სხვა საქმიანობას.

ნოტარიუსი უფლებამოსილია სანოტარო ბიუროს ფილიალი გახსნას მხოლოდ თავის სამუშაო უბანში, სანოტარო ბიუროს გახსნისათვის დადგენილი წესით. ამასთანავე, ფილიალის გახსნა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მოითხოვს მოქალაქეთა შეუფერხებელი მომსახურების აუცილებლობა.

ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო ბიუროს შესასვლელში გამოსაჩენ ადგილას გამოაკრას აბრა. აკრძალულია ნოტარიუსის აბრაზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსება. აბრაზე შეიძლება გამოსახული იყოს მხოლოდ სანოტარო ბიუროს მისამართი (განთავსების ადგილი), ნოტარიუსის სახელი და გვარი, საქართველოს სახელმწიფო გერბი, სანოტარო ბიუროს ტელეფონი და ფაქსი.

ნოტარიუსი უფლებამოსილია დაიქირაოს სანოტარო ბიუროს თანამშრომელი. ამასთანავე, ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო ბიუროს თანამშრომელთან დადოს წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც აღინიშნება სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის შესახებ თანამშრომლის ვალდებულების შესახებ.

ნოტარიუსს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ბეჭედი, რომლის ანაბეჭდის ნიმუში უნდა ინახებოდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, ხოლო ბეჭდის ანაბეჭდის ნიმუში იმ ნოტარიუსებისა, რომლებსაც სანოტარო ბიუროები აქვთ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, უნდა ინახებოდეს აგრეთვე შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის

რეგიონულ პალატაშიც. იგივე წესით უნდა ინახებოდეს ხელმოწერის ნიმუში.

ნოტარიუსმა დამატებით დოკუმენტის გაყალბებისაგან დაცვის მიზნით შეიძლება გამოიყენოს რელიეფური (ტვიფრული ბეჭედი), რომლის გამოყენების შესახებ ნოტარიუსი ვალდებულია წინასწარ აცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ნოტარიუსთა პალატას.

აკრძალულია ნოტარიუსის ხელმოწერის დასმა მექანიკური საშუალებების გამოყენებით. ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო აქტს დაუსვას თავისი ბეჭედი და ხელმოწერა. აქტს ბეჭდისა და ხელმოწერის გარეშე ძალა არა აქვს. ნოტარიუსი ვალდებულია გულმოდგინეთ შეინახოს ბეჭედი. აკრძალულია ბეჭდის გადაცემა სხვა პირისათვის. ბეჭდის დაკარგვის შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს პოლიციას ქვემდებარეობის მიხედვით და საქართველოს ნოტარიუსთა პალატას (რეგიონულ პალატას), ვალდებულია ცნობა ბეჭდის დაკარგვის შესახებ გამოაქვეყნოს პრესაში. ბეჭდის დაკარგვის შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ დაკარგული ბეჭდის სანაცვლოდ ნოტარიუსი ვალდებულია დადგენილი წესით დაამზადოს ბეჭედი, რომელსაც უნდა ჰქონდეს დაკარგული ბეჭდისაგან განსხვავებული მცირე დეტალი. ახალი ბეჭდის დამზადების შემდეგ დაკარგული ბეჭდის პოვნის შემთხვევაში ნაპოვნი ბეჭედი უნდა გაიჭრას ორ ნაწილად. ბეჭდის გაჭრილი ნაწილები ინახება საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში (რეგიონულ პალატებში). აღწერილი პროცედურის შესახებ უნდა შედგეს ბეჭდის განადგურების და შენახვის აქტი. ბეჭდის დაჭრილი ნაწილები უნდა მოთავსდეს კონვერტში და კონვერტი უნდა დაილუქოს. ბეჭდის განადგურებას უნდა ესწრებოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (აფხაზეთის და აჭარის იუსტიციის სამინისტროების) ნოტარიატის განყოფილების წარმომადგენლები, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის (რეგიონული პალატების) თავმჯდომარე, ნოტარიუსი, რომლის ბეჭედი დაიკარგა, აგრეთვე ერთი ნოტარიუსი.

ნოტარიუსი, რომელსაც შეუჩერდა ან შეუწყდა უფლებამოსილება, ვალდებულია თავისი ბეჭედი დაუყოვნებლივ ჩააბაროს საქართველოს ნოტარიუსთა პალატას (რეგიონულ პალატას). ჩაბარებული ბეჭედი უნდა განადგურდეს. უნდა განადგურდეს ის ბეჭედი, რომელიც აღარ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მიზეზების (ნოტარიუსის

გვარის, სახელის, ბიუროს მისამართისშეცვლა და სხვა გარემოებები) გამო.

*ნოტარიუსის სამუშაოზე გამოუცხადებლობა, ნოტარიუსის შენაცვლება, ნოტარიუსის შემცვლელი პირი, ნოტარიუსის შემცვლელი პირის შრომის ანაზღაურება, ნოტარიუსის შემცვლელი პირის ქონებრივი პასუხისმგებლობა, ნოტარიუსობის კანდიდატი, სტაჟირება, სანოტარიუსო გამოცდა, სტაჟირების შეწყვეტა, ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნა.*

ნოტარიუსი მოვალეა სამუშაოზე ხუთ დღეზე მეტი ვადის განმაელობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში აცნობოს იუსტიციის მინისტრს. ერთ თვეზე მეტი ვადით სამუშაოზე არყოფნისათვის, გარდა ავადმყოფობისა, საჭიროა იუსტიციის მინისტრის ნებართვა.

ნოტარიუსის სამუშაოზე არყოფნის დროისათვის ნოტარიუსის შუამდგომლობით იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით ნიშნავს პირს, რომელიც ნოტარიუსს შეენაცვლება არა უმეტეს ერთი წლის ვადით. ნოტარიუსს ეკრძალება სანოტარო მოქმედებათა შესრულება იმ პერიოდში, როცა სამსახურებრივ საქმიანობის მისი შემცვლელი პირი ასრულებს. იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს ნოტარიუსთა პალატის წინადადებით დანიშნოს ნოტარიუსის შემცვლელი პირი ერთ წლამდე ვადით, თუ ნოტარიუსის თანამდებობა დროებით ვაკანტურია.

ნოტარიუსი შეიძლება შეცვალოს პენსიაზე მყოფმა სხვა ნოტარიუსმა, ან ნოტარიუსობის კანდიდატმა. ნოტარიუსის შემცვლელი პირი ხელმძღვანელობს „კანონით ნოტარიუსის შესახებ". ნოტარიუსის შემცვლელი პირი სამსახურებრივ უფლებებს და მოვალეობებს იძენს მისი შემცვლელად დანიშვნის დღიდან და ეს უფლებები და მოვალეობები წყდება მისი ამ თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ. ნოტარიუსის შემცვლელი პირი, რომელიც დანიშნულია ნოტარიუსის შუამდგომლობით, ანაზღაურებას იღებს იმ ნოტარიუსისაგან რომელსაც იგი ცვლის. ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს ნოტარიუსი, ხოლო ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას – ნოტარიუსთა პალატა.

ნოტარიუსის შემცვლელი პირი, რომელიც დანიშნულია ნოტარიუსთა პალატის წარდგინებით ანაზღაურებას იღებს ნოტარიუსთა პალატისაგან, მისი განსაზღვრული ოდენობით. ანაზღაურება ნოტარიუსის შემცვლელი პირის შესრულებული სანოტარო მოქმედები-

ბისათვის შედის ნოტარიუსთა პალატაში. სანოტარო ბიურის შესანახ ხარჯებს დაფარავს ნოტარიუსთა პალატა.

პასუხისმგებლობას ქონებრივი ზიანისთვის, რომელიც გამოიწვეია ნოტარიუსის შუამდგომლობით დანიშნული ნოტარიუსის შემცვლელი პირის არასწორმა სამსახურეობრივმა მოქმედებამ ეკისრება ნოტარიუსს. პასუხისმგებლობა ქონებრივი ზიანისთვის, რომელიც გამოიწვეია ნოტარიუსთა პალატის შუამდგომლობით დანიშნული ნოტარიუსის შემცვლელი პირის არასწორმა სამსახურებრივმა მოქმედებამ ეკისრება ნოტარიუსთა პალატას.

ნოტარიუსს ან ნოტარიუსთა პალატას აქვს ნოტარიუსის შემცვლელი პირისაგან უკუმოთხოვნის უფლება კომპენსაციის ოდენობით.

ნოტარიუსობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ცნობილი არ არის ნოტარიუსად მუშაობისათვის შეუფერებლობის დამადასტურებელი ფაქტები.

ნოტარიუსის თანამდებობის დაკავებამდე საჭიროა პირმა ნოტარიუსთან სტაჟირება გაიაროს. სტაჟირება არის ნოტარიუსთა პალატის მიერ დადგენილი პროგრამით სწავლება და ნოტარიუსთა პალატის დავალების შესრულება. სტაჟიორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე. პირს სტაჟიორად ნოტარიუსთა პალატის გამგეობის წინადადებით ერთი წლის ვადით ნიშნავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, თუმცა ნოტარიუსთა პალატის წარდგილებით და ხელმძღვანელ ნოტარიუსის დახასიათებით მინისტრს შეუძლია შეცვალოს სტაჟირების ვადა. სტაჟიორი სტაჟირების ვადას გაივლის იმ ნოტარიუსთან, რომელთანაც იგი განაწილებული იქნება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის ბრძანებით. ნოტარიუსი, ვისთანაც განაწილებულია სტაჟიორი, ვალდებულია დაეხმაროს ამ უკანასკნელს პრაქტიკული ჩვევების შეძენასა და თეორიული ცოდნის გაღრმავებაში.

ნოტარიუსის სტაჟიორი სტაჟირებას გადის ნოტარიუსთა პალატის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სამუშაო პროგრამის მიხედვით. ხელმძღვანელი ნოტარიუსი და სტაჟიორი ვალდებულები არიან პერიოდულად ანგარიში ჩააბარონ ნოტარიუსთა პალატის გამგეობას.

სტაჟიორის მიერ სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ ის და მისი ხელმძღვანელი ნოტარიუსი საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში

წარადგენენ ერთი ანგარიშს, ხოლო მეორე სტაჟიორის დახასიათებას. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა მოისმენს მათ ანგარიშს და დახასიათებას და, თუ გამგეობა მათ მუშაობას დადებითად შეაფასებს, იგი გამოიტანს დასაბუთებულ დადგენილებას რომლითაც სტაჟიორი ნოტარიუსის კანდიდატათ იქნება ცნობილი და უფლება ეძლევა კონკურსში მიიღოს მონაწილეობა.

ნოტარიუსის კანდიდატი ნოტარიუსის ხელმძღვანელობით მონაწილეობს სანოტარო მოქმედების შესრულებაში. მას უფლება არა აქვს შეასრულოს სანოტარო მოქმედება თავისი სახელით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დანიშნულია ნოტარიუსის შემცვლელ პირად.

ნოტარიუსის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნისათვის კანდიდატის პროფესიული დონის შემოწმების მიზნით, საკვალიფიკაციო გამოცდების და კონკურსების ჩასატარებლად იუსტიციის სამინისტროსა და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლებისაგან პარიტეტულ საწყისებზე იქმნება საკვალიფიკაციო-საკონკურსო კომისია. კომისიის წევრების პერსონალურ შემადგენლობას იუსტიციის სამინისტროდან განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი, ხოლო საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან – პალატის თავმჯდომარე.

ნოტარიუსობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი ნოტარიუსთა პალატასთან ერთად უნდა გამოაცხადოს იუსტიციის მინისტრმა. კონკურსი ცხადდება ოფიციალურ ბეჭდეით ორგანოში, სადაც უნდა აღინიშნოს კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი, უნდა განისაზღეროს განაცხადების შეტანისა და საკვალიფიკაციო გამოცდების ვადა. ნოტარიუსის საკვალიფიკაციო კონკურსი მოეწყობა ნოტარიუსის თანამდებობის ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში.

ნოტარიუსის საკვალიფიკაციო კონკურსი მოიცავს საკვალიფიკაციო გამოცდასა და თვით კონკურსს ნოტარიუსის საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ტესტური ან წერითი ფორმით, რასაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ერთობლიეად წყვეტენ იუსტიციის მინისტრი და საქართველოს ნოტარიუსთა პალათის თავმჯდომარე. საკვალიფიკაციო-საგამოცდო საკითხთა პროგრამას ასევე ერთობლივად შეიმუშავებს ნოტარიუსთა პალატა და იუსტიციის სამინისტრო. პროგრამა ექვემდებარება გამოქვეყნებას. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს სტაჟირება დადგენილი წესით და ფლობს სახელმწიფო ენას. ტესტური ან წერითი გამოცდის ჩატარების შემდეგ კომისია კანდიდატურის სა-

კონკურსო განხილვის მიზნით დანიშნავს სხდომას. საკონკურსო განხილვას გაივლის ის კანდიდატი, რომელმაც გაიარა ტესტური ან წერითი გამოცდა და მიიღო დადებითი შეფასება.

*დისციპლინური წარმოება, წარმოების დაწყების ფორმალური საფუძვლები, დისციპლინური კომისია, კომისიის მუშაობის წესი, დისციპლინური წარმოება იუსტიციის მინისტრის მიერ, უფლებამოსილების შეჩერება, თანამდებობიდან გადაყენება.*

დისციპლინური წარმოების დაწყების ფორმალური საფუძველია: ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობაზე ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები; პირის განცხადება ან საჩივარი; სხვა დოკუმენტი ან ცნობა (ინფორმაცია), რომელიც ქმნის ნოტარიუსის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის საფუძველს.

დისციპლინური წარმოების დაწყების უფლება აქვს: საქართველოს იუსტიციის მინისტრს; აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრებს; საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობას; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატის გამგეობას.

დისციპლინური წარმოების დაწყება ფორმდება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით; პალატის გამგეობის გადაწყვეტილებით. დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებული მასალების წინასწარი შემოწმებით იკვეთება ნოტარიუსის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ბრძანების (გადაწყვეტილების) გამოტხოვა (გაუქმება) დაიშვება მხოლოდ დისციპლინური კომიის მიერ საქმის მოსმენის დანიშვნამდე.

საქართველოს (აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების) ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება ქმნის დისციპლინურ კომისიას. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დისციპლინურ კომისიაში შედის 5 წევრი, ხოლო რეგიონული პალატების კომოისიაში – 3 წევრი. კომისიის წევრები ვალდებულები არიან არჩევისთანავე თავისი შემადგენლობიდან აირჩიონ კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე (ხოლო მისი არყოფნისას მოადგილე).

საქმის მომზადების სტადიაზე კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს საქმის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს ახსნა-განმარტებანი ნოტარიუსისაგან და სხვა პირებისაგან. საქმის მომზადების დასრულების შემდეგ კომისია ნიშნავს საქმის განხილვის დღეს, რომელსაც წერილობით აცნობებს ნოტარიუსს და იმ პირებს, რომელთა მოწვევას კომისია მიზანშეწონილად თვლის. საქმის მოსმენას უნდა ესწრებოდეს ნოტარიუსი. არასაპატიო მიზეზით ნოტარიუსის დაუსწრებლობა არ არის საქმის მოსმენის გადადების საფუძველი.

კომისია საქმის შესახებ იღებს დასკვნას, დასკვნა მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის სხდომის მიმდინარეობის და დასკვნის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის დასკვნას, უფლება აქვს დასკვნას დაურთოს თავისი განსაკუთრებული აზრი. კომისიის დასკვნა მისი მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში წარედგინება პალატის გამგეობის თავმჯდომარეს. კომისია საქმეს განიხილავს საქმის წარმოებაში მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში; პალატის გამგეობა საქმის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღისა. გამგეობის სხდომას უნდა დაესწროს ნოტარიუსი. არასაპატიო მიზეზით ნოტარიუსის დაუსწრებლობა არ არის საქმის მოსმენის გადადების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას დადგინდება, რომ ნოტარიუსის გადაცდომის სიმძიმის ხარისხის გამო ნოტარიუსთა პალატას არა აქვს დისციპლინური სასჯელის შეფარდების უფლება, პალატის გამგეობა ვალდებულია დისციპლინური საქმის წარმოების მასალები გადაუგზავნოს საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

იუსტიციის მინისტრის მიერ დისციპლინური წარმოების დაწყების შემდეგ საქმე განსახილველად გადაეცემა კომისიას. კომისიაში შედის სამი წევრი. კომისიის წევრებს ნიშნავს იუსტიციის მინისტრი. კომისიის ერთი წევრი მაინც უნდა იყოს ნოტარიუსი.

კომისიის დასკვნის მიღების შემდეგ იუსტიციის მინისტრი გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც დადასტურებულად თვლის დისციპლინურ გადაცდომას და ნოტარიუსს უფარდებს დისციპლინურ სასჯელს; დადასტურებულად არ მიიჩნევს დისციპლინური გადაცდომის ფაქტს და წყვეტს დევნას. იუსტიციის მინისტრმა ბრძანების გამოცემამდე უნდა მოისმინოს ნოტარიუსისა და ნოტარიუსთა პალატის აზრი.

მინისტრის ბრძანების ასლი დაუყოვნებლივ უნდა გადეგზავნოს ნოტარიუსს, რომლის მიმართაც იყო აღძრული დისციპლინური დევნა. ბრძანების ასლი უნდა გაეგზავნოს აგრეთვე საქართველოს ნოტარიუსთა პალატასა და რეგიონულ პალატებს. იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას დადგინდება, რომ ნოტარიუსს გადაცდომის სიმძიმის ხარისხის შესაბამისად უნდა შეეფარდოს სასჯელი, რომლის შეფარდების უფლება აქვს ნოტარიუსთა პალატას, მასალები ეგზავნება ნოტარიუსთა პალატას.

ნოტარიუსს უფლებამოსილება შეუჩერდება მძიმე ხარისხის გადაცდომისათვის. უფლებამოსილების შეჩერება ნიშნავს განსაზღვრული ვადით სანოტარო მოქმედებათა შესრულების აკრძალვას, უფლებამოსილების შეჩერების ვადაა არანაკლებ ერთი თვე და არაუმეტეს ერთი წელი. უფლებამოსილების შეჩერების ვადა დგინდება გადაცდომის სიმძიმის შესაბამისად. ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერების უფლება აქვს საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

ნოტარიუსი თანამდებობიდან გადაყენებული იქნება ძალიან მძიმე ხარისხის გადაცდომისათვის. თანამდებობიდან გადაყენება ნიშნავს ნოტარიუსის თანამდებობიდან საბოლოო დათხოვნას. ნოტარიუსის თანამდებობიდან გადაყენების უფლება აქვს საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკი უთანაბრდება სახელმწიფო სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს. იუსტიციის მინისტრს, მისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს ნოტარიუსს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელოს არაუმეტეს 5 წლისა, ნოტარიუსის თხოვნისა და ნოტარიუსთა პალატის წინადადების საფუძველზე.

## თემა მეოთხე.

## სანოტარო მოქმედებათა შესრულების ძირითადი წესები.

### ლექცია IV – სანოტარო მოქმედებათა შესრულების ფორმალური წესები.

სანოტარო მოქმედებათა შესრულრბის ფორმალური წესები, სანოტარო წერის ენა. სანოტარო აქტებზე ხელმოწერის წესი, სანოტარო აქტის მონაწილის პირადობის დადგენა, მოწმეები, სანოტარო აქტის სავალდებულო რეკვიზიტები, სანოტარო აქტების რაოდენობა, შენახვა, გაცემა, სანოტარო აქტის შეპირობება, სანოტარო აქტის გაფორმება ყრუ და/ან მუნჯი პირის მონაწილეობით, სანოტარო აქტების რაოდენობა, სანოტარო მოქმედებათა რეესტრები და მათი წარმოება.

***სანოტარო მოქმედებათა შესრულების ფორმალური წესები.***

ნოტარიატის შესახებ საქართველოს 1996 წლის კანონის 41-ე მუხლის თანახმად ნოტარიუსი ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

ადასტურებს გარიგებებს (ხელშეკრულებებს, ანდერძებს, რწმუნებულებებს და სხვა);

გასცემს მემკვიდრეობის უფლების მოწმობას;

გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას ქონების ნაწილზე;

გასცემს მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობას;

იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად; ამოწმებს დოკუმენტის პირისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან;

ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას;

ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორეს;

ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;

ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან; ადასტურებს დოკუმენტის წარდგენის დროს;

გადასცემს პირის განცხადებას და ცნობას სხვა პირს;

დეპოზიტში იღებს ფულს, ფასიან ქაღალდებს და ფასეულობას;

ასრულებს სააღსრულო წარწერას;

ასრულებს თამასუქის პროტესტს;

გასანაღდებლად წარადგენს ჩეკს და ადასტურებს ჩეკის გაუნაღდებლობას;

შესანახად იღებს დოკუმენტებს;

ადასტურებს მტკიცებულებაბს; ასრულებს საზღვაო პროტესტს;

ამ მუხლის გათვალისწინებულ ზოგიერთ სანოტარო მოქმედებას (ანდერძი, მემკვიდრეობა) ასრულებს სამუშაო უბნის მიხედვით;

ამ კანონით გათვალისწინებული მოქმედებების გარდა ასრულებს აგრეთვე საქართველოს კანონმდებლონით გათვალისწინებულ სხვა სანოტარო მოქმედებებს;

სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით ნოტარიუსი სამართლებრივ დახმარებას უწევს პირებს და მათი შუამდგომლობით ადგენს დოკუმენტების პროექტებს.

სანოტარო მოქმედება შეიძლება პირის თხოვნით შეასრულოს ნებისმიერმა ნოტარიუსმა, გარდა იმ შემთხვევის, როცა კანონით დადგენილია, რომ მოცემული სახის სანოტარო მოქმედების შესრულება შეუძლია მხოლოდ ნოტარიუსს, რომელიც განსაზღვრულ უბანს ემსახურება. სანოტარო მოქმედებას ნოტარისი ასრულებს თავის სანოტარო ბიუროში.

იმ პირის სურვილით, რომელიც შუამდგომლობს სანოტარო მოქმედების შესრულებას, ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს პირის მიერ მითითებულ ადგილას. სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენისას და გათვალისწინებული გადასახადის შეტანის შემდეგ.

სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს: თუ გამოთხოვილია დამატებითი მონაცემები ან დოკუმენტები, მათ შემოსვლამდე;

თუ ტარდება ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე, დაინტერესებული პირის თხოვნით, რომელსაც სურს მიმართოს სასამართლოს იმ უფლებაზე ან ფაქტზე შედავებისათვის, რომლის დადასტურებასაც ითხოვს მეორე პირი. ამ შემთხვევაში ნოტარიუსს უფლება აქვს გადადოს სანოტარო მოქმედების შესრულება არაუმეტეს ათი დღის ვადით. თუ ნოტარიუსის მიერ დადგენილ ვადაში სასამართლოდან არ იქნება მიღებული ცნობა დაინტერესებული მოქალაქის განცხადების შეტანის შესახებ ნოტარიუსი ასრულებს სანოტარო მოქმედებას. სანოტარო მოქმედება ჩერდება სასამართლოს შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე, სასამართლოში სამართლებრივი

დაეის გადაწყვეტამდე. სანოტარო მოქმედების გადადების ან შეჩერებისას ნოტარიუსი არ გასცემს სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს ან მოწმობას, საჭიროების შემთხვევაში ნოტარიუსი სანოტარო დოკუმენტში აღნიშნავს, რომ შემოწმებულია პირთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

ნოტარიუსს და თანამდებობის პირს, რომლებსაც აქვთ სანოტარო მოქმედების ჩატარების უფლება, ეკრძალებათ შეასრულონ სანოტარო მოქმედება, რომელშიც მონაწილეობენ თვითონ, მეუღლე ან მეუღლის მშობლები, შვილები, პაპები, ბებიები, ძმები ან დები. ნოტარიუსს უფლება არა აქვს დაადასტუროს გარიგება, რომელშიც მონაწილეობს საწარმო ან კომერციული გაერთიანება, რომლებიც დაფუძნებულია ნოტარიუსის მეუღლის, მშობლების ან შვილების კუთვნილ კაპიტალზე.

იმ შემთხვევაში, როცა ნოტარიუსს უფლება არა აქვს შეასრულოს სანოტარო მოქმედება, სანოტარო მოქმედების უფლებამოსილებას იუსტიციის მინისტრი დააკისრებს სხვა ნოტარიუსს.

ნოტარიუსი ვალდებულია შეისწავლოს სანოტარო აქტის მონაწილის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებებლი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ ნოტარიუსი პირადად იცნობს სანოტარო აქტის მონაწილეს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა საჭირო არ არის. პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტათ მიიჩნევა მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი და პასპორტის შემცველელი სხვა დოკუმენტი. უცხოელი მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნევა შესაბამისი ქვეყნის მიერ გაცემული პასპორტი. დასაშვებია მძღოლის ერთიანი ნიმუშის ეროვნული ან საერთაშორისო მოწმობა. თუ ნოტარიუსს ეჭვი ეპარება წარმოდგენილი დოკუმენტის წარმომდგენისადმი კუთვნილებაში, იგი ვალდებულია მოიწვიოს ორი მოწმე, რომლებიც პირადად იცნობენ დოკუმენტის წარმდგენს და რომლებიც დაადასტურებენ დოკუმენტის წარმდგენის პირადობას. მოწმეებად დაიშვებიან მხოლოდ ის ქმედუნარიანი პირები, რომელთაც ნოტარიუსი პირადად იცნობს. ამ შემთხვევაში საქორწინო და ნათესაური ურთიერთობები, აგრეთვე ნოტარიუსთან შრომითი ურთიერთობების არსებობა არ არის მოწმეობის დამაბრკოლებელი გარემოება. თუ შეუძლებელია აღწერილი მოთხოვნების შესრულება, ნოტარიუსი ვალდებულია არ შეასრულოს სანოტარო მოქმედება.

16 წლამდე არასრულწლოვანის პირადობა, რომელსაც არა აქვს პირადობის მოწმობა. პირადობის დასადგენად ნოტარიუსი ვალდებულია გამოითხოვოს არასრულწლოვანის დაბადეს მოწმობა, მოიწვიოს არასრულწლოვანის ორივე მშობელი (მეურვე, მზრუნველი) და ერთი მოწმე მაინც, რომელიც პირადად იცნობს არასრულწლოვანს. ნოტარიუსი პირადად უნდა იცნობდეს მოწმეს. ნოტარიუსისა და მოწმის ნათესაური ან შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობები არ არის მოწმეობის დამბრკოლებელი გარემოება. ნოტარიუსი ვალდებულია მშობლების (მეურვის, მზრუნველის) და მოწმის, აგრეთვე არასრულწლოვანის განცხადებანი შეიტანოს სანოტარო აქტში. ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარი აქტში მიუთითოს სანოტარო აქტის მონაწილეთა სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, რეკვიზიტები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა, რომლითაც დადგინდა სანოტარო აქტის მონაწილის პირადობა.

მოწმეთა დასწრება სანოტარო აქტის შედგენისას სავალდებულოა, თუ მოწმდება აქტი, რომლის ერთ-ერთი მონაწილე არის ყრუმუნჯი, ყრუ, ბრმა, წერა-კითხვის უცოდინარი. მოწმეთა დასწრება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ მოწმის დასწრებას მოითხოვს ნოტარიუსი ან სანოტარო აქტის რომელიმე მონაწილე. ნოტარიუსი ვალდებულია მოწმეთა დასწრების ან მოწმეთა დასწრებაზე უარის თქმის შესახებ ნებისმიერი განცხადება შეიტანოს სანოტარო აქტში. მოწმე შეიძლება იყოს მხოლოდ სრულწლოვანი, ქმედუნარიანი და წერა-კითხვის მცოდნე პირი. იგი არ შეიძლება იყოს დაინტერესებული სანოტარო აქტით. მოწმე არ შეიძლება იყოს სანოტარო აქტის მონაწილე, რომელიმე მხარის ან ნოტარიუსის ნათესავი აღმავალი და დაღმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით და არ უნდა იყოს დაინტერესებული სანოტარო აქტით.

სანოტარო აქტის მონაწილე წერა-კითხვის მცოდნე ყრუმ თავად უნდა წაიკითხოს აქტი და მკაფიოდ უნდა განაცხადოს, რომ დოკუმენტი თავად წაიკითხა, აქტი შეესაბამება მის ნებას და იგი იწონებს აქტს. სანოტარო აქტის მონაწილე წერა-კითხვის მცოდნე ყრუმუნჯმა თავად უნდა წაიკითხოს აქტი და აქტის ბოლოს ნოტარიუსის ხელწერამდე თავისი ხელით უნდა დაწეროს, რომ დოკუმენტი თავად წაიკითხა, აქტი შეესაბამება მის ნებას და იგი იწონებს აქტს. ნოტარიუსი ვალდებულია დადგენილი წესების დაცვის შესახებ მიუთითოს სანოტარო აქტში.

თუ სანოტარო აქტი ფორმდება წერა-კითხვის არ მცოდნე ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი პირის მონაწილეობით, ნოტარიუსი ვალდებულია მოწმის გარდა მოიწვიოს სპეციალისტი, რომელმაც იცის ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი პირის ენა. ეს პირი ითვლება მოწმედ. იგი არ შეიძლება იყოს ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი, პირის ნათესავი ან დაინტერესებული სანოტარო აქტით.

მოწმე შეიძლება იყოს წერა-კითხვის არ მცოდნე. მოწმემ უნდა დაადგინოს ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი პირის ნება და აცნობოს ნოტარიუსს, რომ აქტი შეესაბამება ყრუ, მუნჯი, ყრუ-მუნჯი პირის ნებას ყოველგვარი ცვლილებებისა და დაზუსტების გარეშე. ნოტარიუსი ვალდებულია დადგენილი წესით დაადგინოს მოწმის პირადობა. იგი უნდა დარწმუნდეს, რომ მოწმემ იცის ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი პირის ენა. ნოტარიუსმა თავისი რწმენის შესახებ უნდა აღნიშნოს სანოტარო აქტში.

ნოტარიუსი აფრთხილებს მოწვეულ პირს არასწორი თარგმანისათვის ამ უკანასკნელი პასუხისმგებლობის შესახებ. ამ პროცედურის შესახებ უნდა აღინიშნოს სანოტარო აქტში.

ნოტარიუსი ვალდებულია შეადგინოს სანოტარო აქტის იმდენი ეგზემპლიარი, რამდენსაც მოითხოვენ მხარეები. აქტის ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუსთან, გარდა ასლებისა და იმ დოკუმენტებისა რომლებიც მოწმდება ხელმოწერეთა ნამდვილობის დამოწმებით. ნოტარიუსი უფლებამოსილია საკუთარი სურვილით ან მხარის მოთხოვნით სანოტარო არქივში დაიტოვოს ის აქტებიც, რომელთა შენახვა სანოტარო არქივში არ არის სავალდებულო. ნოტარიუსს უფლება აქვს სანოტარო აქტის ეგზემპლიარი, რომელიც ინახება ნოტარიუსთან, შესაბამისი განჩინების საფუძველზე დროებით გადასცეს მხოლოდ სასამართლოს. სასამართლო ვალდებულია ნოტარიუსს მისცეს ცნობა სანოტარო აქტის დედნის მიღების შესახებ. ნოტარიუსი ვალდებულია დედნის ადგილზე მოათავსოს დედნის დამოწმებული ასლი, რომელზედაც უნდა აღინიშნოს: სასამართლოს დასახელება, რომელსაც გადაეცა დედანი, სასამართლოს იმ განჩინების თარიღი და ნომერი, რომლის საფუძველზეც გაიცა აქტის დედანი. სასამართლო ვალდებულია უმოკლეს დროში დაუბრუნოს ნოტარიუსს სანოტარო აქტის დედანი.

სასამართლოსაგან სანოტარო აქტის დედნის მიღების შემდეგ ნოტარიუსი ვალდებულია სასამართლოს დაუბრუნოს ცნობა და დედანი მოათავსოს არქივში მისთვის განკუთვნილ ადგილზე. ნოტა-

რიუსი უფლებამოსილია გასცეს სასამართლოსათვის დროებით გადაცემული დედნის დამოწმებული ასლის ასლი. ნოტარიუსის არქივში ან სხვა საჯარო არქივში დაცული სანოტარო აქტის დამოწმებულ აქტს აქვს დედნის იურიდიული ძალა.

სანოტარო აქტის შეპირობებისას ნოტარიუსი ვალდებულია დაადგინოს მხარეების უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა; უფლებამოსილების დასადგენად ნოტარიუსი ვალდებულია გამოითხოვოს ყველა ის დოკუმენტი, რომელთა გამოთხოვა აუცილებელია საკანონმდებლო აქტებითა და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე; მიზანი, რომლის მიღწევა სურთ მხარეებს; განუმარტოს მხარეებს სანოტარო აქტის შედეგები, დარწმუნდეს მხარეთა განზრახვის სერიოზულობასა და მხარეთა ნებასთან ამ სანოტარო აქტის შესაბამისობაში.

ნოტარიუსი ვალდებულია მხარეებს წაუკითხოს სანოტარო აქტის ტექსტი. ნოტარიუსი უფლებამოსილია წაკითხვა დაავალოს თავისი ბიუროს თანამშრომელს იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო აქტი შეადგინა ნოტარიუსმა. თუ სანოტარო აქტი შეადგინა თავისი სანოტარო ბიუროს თანამშრომელმა, ნოტარიუსი ვალდებულია მხარეებს პირადად წაუკითხოს აქტის ტექსტი. წამკითხველმა აქტის ტექსტი უნდა წაიკითხოს გარკვევით, ზუსტად, გამოტოვებისა და შემოკლების გარეშე. წაკითხვისას ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს, რომ აქტი შეესაბამება მხარეთა ნებას და მხარეები იწონებენ აქტს. აქტის ტექსტთან ერთად სავალდებულოა სანოტარო აქტის დანართის წაკითხვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეებმა გარკვევით თქვეს უარი დანართის წაკითხვაზე და განაცხადეს, რომ უშუალოდ უკვე წაიკითხეს აქტის დანართი. ნოტარიუსი ვალდებულია ამ განცხადების შესახებ მიუთითოს სანოტარო აქტის ბოლოს მხარეთა ხელმოწერამდე.

პირს, რომლის ინტერესებსაც შეეხება სანოტარო მოქმედება, ან პირს, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, შეუძლია სანოტარო მოქმედება ან უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე გაასაჩივროს სასამართლოში სანოტარო ბიუროს ადგილსამყოფელის მიხედვით. საჩივარს, ნოტარიუსის იმ საქმიანობაზე, რომელიც გათვალისწინებული არ არის ზემოთ მოყვანილი გარემოებების გამო განიხილავს იუსტიციის მინისტრი ან მისი დავალებით ნოტარიუსთა პალატა.

სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არ მქონე პირებს შეუძლიათ პირადათ ან წარმომადგენლის მეშვეობით მოით-

ხოვონ სანოტარო მოქმედების შესრულება იმავე წესით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეებმა.

სხვა სახელმწიფოებში გაცემულ დოკუმენტებს ნოტარიუსი მიიღებს, თუ ისინი ლეგალიზირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1961 წლის 5 ოქტომბერს ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის მეცხრე სესიაზე წარმოდგენილმა უცხოეთის მრავალმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა კონვენციას, რომლითაც გააუქმეს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების დიპლომატიური ან საკონსულო ლეგალიზაციის მოთხოვნა. კონვენცია ვრცელდება ოფიციალურ დოკუმენტებზე, რომლებიც შესრულებულია ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და წარმოდგენილი უნდა იყოს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

კონვენცია არ ვრცელდება მხოლოდ დიპლომატიური ან საკონსულო აგენტების მიერ შესრულებულ დოკუმენტებზე და უშუალოდ კომერციულ ან საბაჟო ოპერაციებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ დოკუმენტებზე. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ჰააგის ამ კონვენციას ჯერ არ მიერთებია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, როგორც კურსის წინა ნაწილში გვქონდა მითითებული და როგორც კანონში ნოტარიატის შესახებ არის მითითებული, დასახლებულ პუნქტებში, სადაც სანოტარო ბიუროები არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ასრულებენ კანონში მითითებულ სანოტარო მოქმედებებს. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ კანონი არ აზუსტებს თუ კონკრეტულად, რომელმა თვითმმართველობის ორგანომ (საკრებულომ თუ გამგეობამ) და რომელმა თანამდებობის პირმა უნდა შეასრულოს მათი კომპეტენციის ფარგლებში განკუთვნილი სანოტარო მოქმედებები. ეს შესაძლებლობას აძლევს თვითმმართველობის ორგანოების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თვითონ განსაზღვრონ და დაავალონ კონკრეტულ თანამდებობის პირს ამ მოქმედების შესრულება. როგორც წესი, პრაქტიკულად გამგეობის დადგენილებით სანოტარო მოქმედებათა შესრულება ეკისრება გამგებლის მოადგილეს ან აპარატის უფროსს. გამგეობის დადგენილების გარეშე თვითმმართველობის არც ერთ თანამდებობის პირს არა აქვს უფლება შეასრულოს სანოტარო მოქმედება.

რაც შეეხება საკონსულო დაწესებულებების კომპეტენციას კანონი ნოტარიატის შესახებ მეტად მწირ ცნობებს იძლევა საკონსულო დაწესებულების კომპეტენციასთან დაკავშირებით. ამ საკითხს კანონის მხოლოდ 43-ე მუხლი ეძღვნება, სადაც ნათქვამია, რომ სანოტარო მოქმედებები, ნოტარიუსის გარდა შეუძლიათ შეასრულონ საქართველოს საკონსულო დაწესებულებების სათანადო უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულო დაწესებულებების საქმიანობას მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებით და სანოტარო მოქმედების შესრულებისადმი კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით. აღნიშნულიდან გამომდინარე სანოტარო მოქმედებების შესრულების საქმეში საკონსულო დაწესებულების კომპეტენციასთან დაკავშირებით სრულყოფილ წარმოდგენას მოგვცემს და უნდა ვიხელმძღვანელოთ საკონსულო დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივი აქტებით, დიპლომატიური საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით, საკონსულო წესდებით, საკონსულო დაწესებულებებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების შორის დადებულ კონვენციებით[1].

როგორც წინა თავებში გვქონდა მითითებული სანოტარო აქტი უნდა შედგას სახელმწიფო ენაზე, ამასთანავე კლიენტის (კლიენტები) მიერ სახელმწიფო ენის ან მისი დამწერლობის არცოდნის შემთხვევაში, ნოტარიუსი უფლებამოსილია სანოტარო აქტი შეადგინოს კლიენტისათვის (კლიენტებისათვის) გასაგებ სხვა ენაზე (ენებზე), თუ მან კარგად იცის ეს ენა (ენები).

ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო აქტში მიუთითოს, რომ მან იცის შესაბამისი ენა და ტექსტი შეადგინა თვით ნოტარიუსმა. სანოტარო აქტის შედგენაში თარჯიმნის მონაწილეობა სავალდებულოა კლიენტის (კლიენტების) მიერ სახელმწიფო ენის ან მისი დამწერლობის არცოდნისა და ნოტარიუსის მიერ კლიენტის (კლიენტების) გასაგები ენის არცოდნის შემთხვევაში. თარჯიმანი უნდა აირჩიოს კლიენტმა, ხოლო რამდენიმე მხარის არსებობისას თარჯიმნის არჩევისათვის აუცილებელია ყველა კლიენტის ერთსულოვანი თანხმობა.

2003 წლის 6 ივნისს საქარტველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ". კანონის მიღების აუცილებლობა

---

[1] იხ. დ. სუხიტაშვილი

გამოწვეული გახლდათ ევროპის საბჭოს წინაშე საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები, რომელიც გამოიხატებოდა საქართველოში დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების გამოვლენის, იდენტიფიცირების, სამოქალაქო ბრუნვაში მათი მონაწილეობის აღკვეთისათვის ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შემუშავების აუცილებლობით. აღნიშნული კანონის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური. 2003 წლის 25 დეკემბერს სამსახურის მიერ დამტკიცებული იქნა დებულება ნოტარიუსების მიერ ინფორმაციის მიღების, აღრიცხვის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის შესახებ.

"უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" კანონის მე-3 მუხლით განისაზღვრება საქართველოში მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომელთა შორისაც გათვალისწინებულია ნოტარიუსიც. კანონის მიხედვით მონიტორინგის განხორციელება გულისხმობს გარიგების მონაწილე პირების იდენტიფიკაციას, გარიგების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა-სისტემატიზაციას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და წესით ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის საეჭვო გარიგებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ნოტარიუსის ამ ჩამონათვალში მოხვედრა, როგორც ჩანს, განპირობებულია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის მე-12 რეკომენდაციით (სულ ასეთი რეკომენდაცია ორმოცია), რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მონიტორინგის განხორციელების ვალდებულება, გარდა საბანკო და საფინანსო სექტორებისა, გაევრცელებინათ არასაფინანსო ინსტიტუტებსა და თავისუფალ პროფესიებზე, მათ შორის ნოტარიუსებზეც. რეკომენდაციის თანახმად ნოტარიუსებზე ეს ვალდებულება უნდა გავრცელდეს იმ გარიგებებისათვის, რომელიც ეხება: უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, კლიენტის ფულის, საბანკო ანგარიშებისა თუ სხვა ქონების მართვასა და განკარგვას, კომპანიების დაფუძნებას, საწარმოებისა თუ საწარმოში წილების განკარგვას.

"უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსის მონიტორინგს დაექვემდებარა ქონების ყიდვა-გაყიდვასთან ან სხვაგვარად განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებანი და მისი დაწევრების

მიზნით განხორციელებულ გარიგებათა ერთობლიობა, თუ ამ გარიგებას ან გარიგებათა ერთობლიობის ფასი არ აღემატება 20000 ლარს ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში და 40000 ლარს უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში და ამავდროულად გარიგება საეჭვოა. მიმდინარე წლის 25 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით მიღებულ იქნა ცვლილებები და დამატებები "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელის შეწყობის შესახებ" კანონში და სხვა მასთან კავშირში მყოფ საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის "ნოტარიატის შესახებ" კანონშიც შეტანილ სხვა ცვლილებებთან ერთად შეიცვალა მისი მე-5 მუხლის (მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები) რედაქცია. ახალი რედაქციის მიხედვით: "ამ კანონის მიზნებისათვის მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ანდა გარიგებების (გარიგების თანხის) დანაწევრების მიზნით განხორციელებულ გარიგებათა ერთობლიობა, თუ ა) გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30000 ლარს, ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში (როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში) ან/და ბ) გარიგება საეჭვოა (მიუხედავად მისი თანხისა)[2].

"ნოტარიატის შესახებ" საქართველოს 1996 წლის კანონმა პრინციპული ცვლილებები შეიტანა სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის გადახდევინებაში. ამ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის პირი საზღაურს იხდიდა სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონით დადგენილი ნიხრის მიხედვით, რაც პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხებოდა, ხოლო ნოტარიუსი, როგორც სახელმწიფო მოხელე, გასამრჯელოს ხელფასის სახით ღებულობდა. 1996 წლის აგვისტოდან კი კანონის საქმედოდ შემოღების შემდეგ სანოტარო მომსახურებისათვის გადახდილი საზღაური ირიცხება არა სახელმწიფოს ბიუჯეტში, არამედ ნოტარიუსის ანგარიშზე. 1998 წლამდე სანოტარო მომსახურებისათვის საზღაურის ოდენობა განისაზღვრებოდა სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონით დადგენილი ნიხრით. 1998 წლის ივნისში მიიღეს სპეცისლური კანონი "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" რომელიც ადგენს სანოტარო მოქმედებისათვის აგრეთვე ამ მოქმედებასთან დაკავშირებული

---

[2] ის. დავით ოყრომიძე

სამართლებრივი კონსულტაციისა და ტექნიკური სამუშაოსათვის განკუთვნილი საზღაურის ოდენობისა და გადახდევინების წესს.

კანონის თანახმად, სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაურის ოდენობა ორი კრიტერიუმით განისაზღვრება. ესენია: საზღაურის ოდენობის დადგენა გარიგების საგნის ღირებულების საფუძველზე და გარიგების ღირებულებისაგან დამოუკიდებლად ფიქსირებული გადასახადი ნოტარიუსს უფლება არა აქვს დადოს შეთანხმება კანონით დაწესებული საზღაურის ოდენობისა და გადახდევინების წესის შეცვლის შესახებ.

კლიენტი ვალდებულია სანოტარო მომსახურებისათვის საზღაური გადაიხადოს სანოტარო მოქმედების შესრულების- თანავე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნოტარიუსი უფლებამოსილია არ გასცეს სანოტარო დოკუმენტი.

***სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაცია და შენახვა, რეესტრის კოდი, რეესტრის გაცემის წესი, ჩანაწერი რეესტრში, სანოტარო აქტებისა და რეესტრების შენახვა, იმ ნოტარიუსის სანოტარო აქტების ფულისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შენახვა, რომელსაც შეუჩერდა, ან შეუწყდა უფლებამოსილება, ან რომლის სანოტარო ბიურო გადაავსდა სხვა დასახლებულ პუნქტში, დაკარგული დოკუმენტების მოძიება. ასლის ამონაწერის, ცნობის გაცემა, ანდერძის გამოქვეყნება.***

ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო აქტები დანომროს პროგრესირებადი და განგრძობადი ნუმერაციით და იგივე ნომრით ჩაწეროს (გაატაროს რეგისტრაციაში) სანოტარო მოქმედებათა რეესტრში. ნუმერაციაში შეცდომის დაშვების შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია შეცდომის შესახებ აღნიშნოს რეესტრის ყდის შიდა მხარეს ყდის მეორე გვერდზე. ერთი და იგივე სანოტარო აქტის ყველა ეგზემპლიარს უნდა მიანიჭოს ერთი ნომერი.

აკრძალულია სხვადასხვა სანოტარო აქტისათვის ერთი და იგივე ნომრის მინიჭება. აქტი, რომელიც არ არის რეგისტრირებული რეესტრში ბათილია. ნოტარიუსი ვალდებულია ჰქონდეს სანოტარო მოქმედებათა შემდეგი რეესტრები:

ა) საერთო რეესტრი, რომელშიც აღირიცხება ყველა სანოტარო აქტი;

ბ) სამემკვიდრეო საქმეთა რეესტრი; მასში შეიტანება სამემკვიდრეო საქმის წარმოებასთან დაკავშირებით შესრულებული ყველა სანოტარო მოქმედება (განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ, დადგენილება სამკვიდროს მმართველის დანიშვნის შესახებ, სამკვიდროს მოწმობა);

გ) ანდერძების რეესტრი; მასში შეიტანება ანდერძები, ანდერძების გაუქმების აქტები და სხვა მოქმედებები რომლებიც დაკავშირებულია ანდერძებთან.

ანდერძების რეესტრიც შედგება ორი ნაწილისაგან.

დ) ფულისა და სხვა ფასიანი ქაღალდების რეესტრი. მასში შეიტანება ფულისა და სხვა ფასიანი ქაღალდების დეპოზიტებში შენახვისა და გადაცემის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებები. იგი შედგება იგივე სვეტებისაგან, რაც დადგენილია საერთო რეესტრისათვის.

ე) თამასუქისა და ჩეკების გაპროცენტების რეესტრი. მასში შეიტანება თამასუქებისა და ჩეკების გაპროცენტების აქტები და მასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებები. იგი შედგება იგივე სვეტებისაგან, რაც საერთო რეესტრი.

თითოეულ რეესტრს აქვს ინდექსი. სანოტარო აქტზე უნდა მიეთითოს იმ რეესტრის ინდექსის ნომერი, რომელშიც გატარდა რეგისტრაციაში სანოტარო აქტი და რეესტრში ჩანაწერის რიგითი ნომერი. ინდექსისა და ჩანაწერის რიგით ნომერს შორის უნდა დაისვას ტირე. ინდექსისა და ჩანაწერის რიგითი ნომრები ერთობლივად ქმნის სანოტარო აქტის (მოქმედების) სარეგისტრაციო ნომერს.

რეესტრი უნდა იყოს ზონარგაყრილი, ხოლო ზონარი კვანძის შეკვრის ადგილზე – ფურცლით დაწებებული და ბეჭდით დაბეჭდილი: ბეჭდის ნაწილი უნდა აისახოს დაწებებულ ფურცელზე, ხოლო ნაწილი რეესტრის ყდაზე. თითოეული ფურცელი უნდა დაინომროს, ხოლო ყდის მესამე გვერდზე სიტყვებით უნდა დაიწეროს ფურცლების რაოდენობა. ყდის მესამე გვერდზე ხელი უნდა მოაწეროს რეესტრის გაცემაზე უფლებამოსილმა პირმა. თითოეულ სანოტარო მოქმედებათა რეესტრს აქვს კოდი. რეესტრის გამცემი ორგანო ვალდებულია გაცემისას რეესტრს მიანიჭოს კოდი. კოდი უნდა დაიწეროს რეესტრის ყდის შიდა მხარეს, ყდის მესამე გვერდზე. რეესტრს გასცემს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა.

რეესტრში ჩანაწერს ასრულებს ნოტარიუსი ან სანოტარო ბიუროს თანამშრომელი სინათლემედეგი ან წყალმედეგი მელნით.

დაუშვებელია რეესტრში ჩანაწერების გაკეთება ფანქრით. რეესტრში ჩანაწერი კეთდება მხოლოდ სანოტარო აქტის შედგენის დასრულების შემდეგ, აქტზე ნოტარიუსის ხელმოწერისთანავე. რეესტრში ხელს აწერს სანოტარო აქტის მიმღები პირი. დასაშვებია რეესტრში ხელი მოაწეროს სანოტარო აქტის მონაწილე სხვა პირმაც.

თითოეულ რეესტრში შეტანილ სანოტარო აქტს უნდა მიენიჭოს რიგითი ნომერი. ნუმერაცია იწყება ერთიდან, ყოველი წლის დასაწყისში ნუმერაცია იწყება თავიდან. ჩანაწერები რეესტრში უნდა გაკეთდეს მჭიდროდ იმდაგვარად, რომ გამოირიცხოს ორ ჩანაწერს შორის სხვა ჩანაწერის გაკეთების შესაძლებლობა.

რეესტრში ჩანაწერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ შესაძლებელი იყოს მისი ადვილად წაკითხვა.

სანოტარო აქტები და სანოტარო რეესტრები ინახება სამუდამოდ. სანოტარო აქტები და სანოტარო მოქმედებათა რეესტრები, აგრეთვე კლიენტების ალფაბეტური ჟურნალი ნოტარიუსთან ინახება თანამდებობაზე ყოფნის ვადით. შემდეგ გადაეცემა სახელმწიფო სანოტარო არქივს, ხოლო სახელმწიფო სანოტარო არქივის ჩამოყალიბებამდე – საქართველოს ნოტარიუსთა პალატას (რეგიონალურ პალატას).

ნოტარიუსი ვალდებულია არქივში სანოტარო აქტები დაალაგოს პროგრესირებადი ნუმერაციისა და რეესტრის სახეების შესაბამისად.

არქივის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დადგენილი წესით გასცეს ცნობები, არქივში დაცული სანოტარო აქტების ასლები და ამონაწერები, გამოაქვეყნოს ანდერძი და შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი პროცედურები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 15 მარტის ბრძანებით №196 „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხას, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და აღრიცხვის ფორმებს (დოკუმენტებს) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

მკაცრი აღრიცხის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხაში შეტანილი ცვლილებებით მკაცრი აღრიცხვის ჟურნალებს დაემატა აგრეთვე:

1) სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის საერთო რეესტრი;

2) სამემკვიდრეო საქმეთა საერთო ფრეესტრი;
3) ანდერძების საერთო რეესტრი;
4) თამასუქებისა და ჩეკების გაპროტესტების რეესტრი;
5) ფულისა და სხვა ფასიანი ქაღალდების რეესტრი.

# თემა მეხუთე

## სანოტარო მოქმედებების ცალკეულ სახეობათა შესრულების წესები

### ლექცია V - სანოტარო მოქმედებების ცალკეულ სახეობათა შესრულების წესები.

სანოტარო მოქმედებები უდავო უფლების დამოწმების შესახებ, გარიგებათა დამოწმება, კერძო სამართლის იურიდიული პირობების წესდებებისა და სადამფუძნებლო დოკუმენტების სანოტარო დამოწმება, სანოტარო მოქმედებები უდავო ფაქტების დადასტურების შესახებ, სავალო და საგადასახადო დოკუმენტებისათვის სააღსრულებო ძალის მინიჭება, საქართველოს სანოტარო კანონმდებლობის გამოყენება, უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ უცხოეთის კანონმდებლობის გამოყენება. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებანი.

*სამკვიდრო მოწმობის გაცემა* ახალმა სამოქალაქო კოდექსმა, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წ. 26 ივნისს და ძალაში შევიდა 1997 წ. 25 ნოემბერს, მოაწესრიგა მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების გათვალისწინებით გააფართოვა მასში მონაწილე სუბიექტთა უფლებამოსილებანი. მემკვიდრეობის სამართალს ეძღვნება VI წიგნი. ზ. ახვლედიანის აზრით, "სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის წესსა და ფარგლებს, შეადგენენ სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ნაწილს, რომელსაც მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება. პირის მემკვიდრედ მოწვევასა და სამკვიდროს მიღების უფლებას კი - მემკვიდრეობის უფლება ეწოდება". მისი ძირითადი დებულება მოცემულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 21-ე მუხლში, რომლის თანახმადა, "საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება".

სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის მისედვით, "გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემ-

(მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძელით".

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია განვსაზღვროთ მემკვიდრეობის სამართლის სუბიექტები, კერძოდ თუ ვინ არის მამკვიდრებელი და მემკვიდრე.

მამკვიდრებელი - ეს არის პირი, რომლის ქონებაც მემკვიდრეობით გადადის მემკვიდრეებზე. მამკვიდრებელი კანონით მემკვიდრეობის დროს შეიძლება იყოს სრულწლოვანი, არასრულწლოვანი, ქმედუუნარო პირი; ხოლო ანდერძით მემკვიდრეობისას მამკვიდრებელი უნდა იყოს სრულწლოვანი; ქმედუნარიანი.

მემკვიდრე - არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც მიიღო მამკვიდრებლის ქონება მემკვიდრეობით. კანონით მემკვიდრეობის დროს - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხლები დაიბადებიან. ანდერძით მემკვიდრეობისას - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები (სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი).

კანონმდებელი გარკვეულ გამონაკლისს უშვებს, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობას ვერ მიიღებს ის პირიდა ვერ იქნება მემკვიდრე სამკვიდრო ქონების, ვინც სასამართლოს მიერ ცნობილი იქნება უღირს მემკვიდრედ, თუ იგი განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში ან თუ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს 5 წლის ვადაში წარადგინოს სარჩელი პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ, მას შემდეგ, რაც მემკვიდრე შეუდგება სამკვიდროს ცნობას.

მაგრამ არსებობს შემთხვევებიც, როდესაც მემკვიდრეები სამკვიდროს გახსნის შემდეგ შეიძლება ცნობილ იქნენ უღირს მემკვიდრეებად. თუ მათ ამ დროისათვის მიღებული აქვთ სამკვიდრო, მაშინ ისინი მოვალენი არიან დააბრუნონ ყველაფერი, რაც მათ მიიღეს მემკვიდრეობით. როგორც სამკვიდრო ქონება, ასევე ნაყოფი და შემოსავალი, რაც მათ მიიღეს სამკვიდროდან მის დაბრუნებამდე.

მემკვიდრეობის სამართალში განსაზღვრულია, რომ მემკვიდრეები არ შეიძლება იყვნენ მშობლები, რომლებსაც ჩამოერთვათ მშობლის უფლება და არ არიან სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ამ უფლებაში აღდგენილნი. "მშობლის უფლების ჩამორთმევა ეხებაე მხოლოდ იმ შვილებს, რომელთა მიმართ მშობლები (ან ერთ-ერთი მათგანი) უხეშად არღვევენ თავიანთ მოვალეობებს. ამიტომ მშობლების მემკვიდრეობის საკითხი იმ შვილების გარდაცვალების შემდეგ, რომელთა მიმართაც მშობლის უფლება ჩამორთმეული არ ჰქონდათ, დადებითად უნდა გადაწყდეს. მშობლები იმ შვილების მემკვიდრეები არიან, რომელთა მიმართაც არ ჰქონდათ ჩამორთმეულიო მშობლის უფლება".

მემკვიდრეობის სამართალში განსაზღვრულია, თუ რა არის სამკვიდრო. ეს არის ქონება, რომლეიც გადადის მემკეიდრეობით. სამკვიდრო მოიცავს გარკვეული ქონებრიეი უფლებებისა (სამკვიდრო აქტივის) და მოვალეობების (სამკვიდრო პასივის) ერთობლიობას, რომელიც გააჩნდა მამკეიდრებელს (სკ. 1328-ე მუხლი).

სამკვიდროს გახსნის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მამკეიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება. სწორედ ამის შემდეგ წარმოიშობა მემკვიდრეობითი ურთიერთობები და გაიხსნებასამკვიდრო.

სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლის თანახმად "სამკვიდროს გახსნის დროდ ითელება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე".

მემკვიდრეობის სამართალი მემკვიდრეობას ჰყოფს ორ ნაწილად: 1) მემკვიდრეობა კანონით და 2) მემკვიდრეობა ანდერძით. მოკლედ გავაანალიზებთ და დავახასიათებთ თითოეულ მათგანს.

1) კანონმდებელი ადგენს კანონით მემკვიდრეთა ხუთ რიგს. ფიზიკურ პირთა მემკვიდრეებად მოწვევის თანამიმდევრობას კანონი ადგენს მამკვიდრებელთან ნათესაური კავშირის სიახლოვის მიხედვით. კერძოდ, პირველ რიგს მიეკუთვნებიან - გარდაცვალებულის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები )მშვილებლები), ასევე ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებულნი არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან; მეორე რიგს - გარდაცვლილის დები და ძმები; მესამე რიგს ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა,

როგორც დედის, ისე მამის მხრიდან; მეოთხე რიგს - ბიძები, დეიდები, მამიდები; მეხუთე რიგში - ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები. აქვე ამ საკითხთან დაკავშირებით ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წინა რიგის ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა, გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.

2) ანდერძით მემკვიდრეობის ნებას განსამღერავს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: "ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ანმისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც." ამ დროს აუცილებელი გასათვალისწინებელი პირობაა, რომ მამკვიდრებელი იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც შეეძლო გონიერულად განესაჯა საკუთარი მოქმედება ანდერძის შედგენის პერიოდში. მოანდერძემ აუცილებლად პირადად უნდა შეადგინოს ანდერძი, მასვე შეუძლია ანდერძის მეშვეობით ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას როგორც ერთ, ან რამდენიმეს, ასევე ყველა კანონით მემკვიდრეს.

კანონმდებელი უშვებს ასეთ პირობასაც, რომლის მიხედვითაც მამკვიდრებელმა შეიძლება ანდერძში გაითვალისწინოს ის ქონება, რომელიც მას ჯერ კიდევ არ გააჩნდა ანდერძის შედგენისას.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ არსებობს გარკვეული ქონება, რომელიც არ შედის სამკვიდროში და რომლის გაყოფა მემკვიდრეთა შორის არ შეიძლება. მათ რიცხვს კი მიეკუთვნება: საგვარეულო წიგნები (ან ჩანაწერები), ოჯახური მატიანე, სულის მოსახსენებელი და სხვა საკულტო საგნები და ასევე საფლავიც.

კანონით მემკვიდრეობა უფრო ხშირია, ვიდრე ანდერძით. ჯერ ერთი ეს იმითაც არის განპირობებული, რომ უმეტესობა ქონებას არ ანაწილებს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ეს შეესაბამება არსებულ მემკვიდრეობის სამართალს. მეორე - სიკვდილი ყოველთვის მოულოდნელი მოვლენაა და ამ დროს პირი ვერ ასწრებს ანდერძის დაწერას.

კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის გარდა, კანონი ითვალისწინებს მემკვიდრეობის კიდევ ერთ სახეს, უმკვიდრო ქონების მემკვიდრეობას, როდესაც მამკვიდრებელს არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ ჰყავს, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება. ამ შემთხვევაში, სამკვიდრო ქონება გადადის სახინაზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელი მოხუცთა,

ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ სამკვიდრო ქონება გადადის ამ დაწესებულებათა საკუთრებაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულია სამკვიდროს მიღებისა და მის მიღებაზე უარის თქმის წესები. მემკვიდრეობის სამართლით,მემკვიდროეობას იღებს მემკვიდრე დაარა აქვს მნიშვნელობა ის კანონით მემკვიდრეა, თუ ანდერძით მემკვიდრე. სამკვიდროს მიღების უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. როგორც ზ. ახვლედიანი განმარტავს, "თავისი სამართლებრივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. იგი ისეთი იურიდიული მოქმედებაა, რომელიც გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, ნებას. მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ მოითხოვს კანონი სამკვიდროს მისაღებად სამკვიდროს მიღების ნებას. ეს ხდება მაშინ, როცა სამკვიდრო ხაზინის საკუთრებაში გადადის. სამკვიდროს გადასვლა ხაზინაზე სახელმწიფოს ამა თუ იმ ორგანოს სურვილის მიუხედავად ხდება".

არსებობს სამკვიდროს მიღების ორი საშუალება: 1) სამკვიდრო მიღებულად ჩაითვლება, როდესაც მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით. სანოტარო ბიუროში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ, და 2) როდესაც მემკვიდრე შეუდგება სამკვიდროს ფლობასა და მართვას. სწორედ ეს არის ის ორი საფუძველი, რომელიც მოწმობს სამკვიდროს მიღების ფაქტს. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ სამკვიდროს პირადად მიღების უფლება აქვს მხოლოდ ქმედუნარიან პირს, ხოლო რაც შეეხება შეზღუდულქმედზუნარიან დაქმედუუნარო პირებს, ისინი სამკვიდროს იღებენ აუცილებლად მათი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით. სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს სამკვიდროს მიღების ვადას და 1424-ე მუხლის მიხედვით: "სამკვიდრო მიღებული უნდა იქნეს 6 თვის განმაველოშბაში სამკვიდროს გახსნის დღიდან".

იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ მის მიღებამდე მემკვიდრე გარდაიცვლება, მაშინ მისი წილის მიღების უფლება აქვს მემკვიდრის მემკვიდრეს. ამ უფლებას სამოქალაქო სამართალი უწოდებსტრანსმისიას, ხოლო "მემკვიდრეს, რომლის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს მიღების უფლება გადადის სხვა პირზე - ტრანსმიტენტს, ხოლო პირს, რომელზედაც სამკვიდროს მიღების უფლება გადადის - ტრანსმისარს".

კანონით დადგენილია სამკვიდროს მიღების 6 თვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ უნდა მიიღოს სამკვიდრო, რომელიც წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ მემკვიდრეს არა აქვს სამკვიდროს მიღების უფლება, თუმცა შესაძლებელია, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში,ეს ვადა გაგრძელებული იქნეს სასამართლოს მიერ.

მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო მის საკუთრებად ითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან, სწორედ ამ დღიდან ის ვალდებულია გასწიოს სამკვიდროსათვის საჭირო ყველა ხარჯი.

მემკვიდრემ სამკვიდრო ქონებაზე უარი უნდა განაცხადოს სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მემკვიდრემ შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მიღებაზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც არსებობს გამონაკლისიც, როდესაც სასამართლოს შეუძლია საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში გადაწიოს ეს ვადა არაუმეტეს ორი თვით.

მემკვიდრეთა წერილობითი განცხადებით ნოტარიუსი სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით გასცემს სამკვიდრო მოწმობას.

განცხადებაზე მემკვიდრის ხელმოწერის ნამდვილობას ადასტურებს ნოტარიუსი ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი.

ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება საჭირო არ არის, თუ მემკვიდრე პირადად გამოცხადდება ნოტარიუსთან სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით და შეიტანა განცხადება. ამ შემთხვევაში ნოტარიუსი დაადგენს მემკვიდრის ვინაობას და შეამოწმებს ხელმოწერის ნამდვილობას, რასაც აღნიშნავს განცხადებაზე და ჩაიწერს ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელებას, მემკვიდრის ინიციალებს, გვარს, დაბადების წელს.

თუ განცხადება, რომელზეც მემკვიდრის ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული არ არის, ფოსტით შევიდა ანსხვა პირმა შეიტანა, ნოტარიუსი მიიღებს მას, ხოლო მემკვიდრეებს წინადადებას მისცემს გამოუგზავნონ სათანადოდ გაფორმებული განცხადება ან პირადად გამოცხადდნენ მასთან.

სამკვიდრო მოწმობა ეძლევათ მემკვიდრეებს სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს.

ექვს თვეზე ადრე სამკვიდრო მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ნოტარიუსს (ან კონსულს) მოეპოვება ცნობა სხვა მემკვიდრეების არარსებობის თაობაზე.

სამკვიდრო მოწმობა მიეცემათ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა, ე.ი. ფაქტობრივად ფლობენ ანმართავენ სამკვიდრო ქონებას ან შეიტანეს განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ ნოტარიუსთან სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით.

ქონების მფლობელობის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს ცნობა, რომელიც ადასტურებს მამკვიდრებელთან ერთად მემკვიდრის ცხოვრების ფაქტს ან მონაცემები იმის თაობაზე, რომ მემკვიდრემ აიღო სამკვიდროს დამტოვებლის ქონება; ქვითარი გადასახადის გადახდის შესახებ; კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ასლი და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ფაქტს მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის დამტოვებელი ქონების ფლობის ფაქტი.

სამკვიდრო ქონების მფლობელობის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ანაბრის წიგნაკი იმ პირობით, თუ ნოტარიუსს მოეპოვება მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ წიგნაკის მიღებას მემკვიდრეობის მიღებისათვის კანონით დადგენილ ვადაში (იმ დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს დოკუმენტი, რომელმაც სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ქონების აღწერა ჩაატარა; ნოტარიუსის დოკუმენტი, რომელმაც მიიღო ზომები სამკვიდრო ქონების დასაცავად, მემკვიდრეობისათვის საანაბრო წიგნაკის მიცემის დრო, საანაბრო წიგნაკში შეტანილი აღნიშვნები ან შემნახველი ბანკის ცნობა მემკვიდრის მიერ შემნახველი სალაროდან ფულის მიღების შესახებ; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ცნობა, რომ მემკვიდრეს განსაზღვრულ დროს მიეცა სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი საანაბრო წიგნაკი, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დოკუმენტი ან ცნობა წიგნაკის ფოსტით გადაგზავნის შესახებ და ა.შ.).

მემკვიდრეები, როლმებსაც კანონით დადგენილ ვადაში არ მიუღიათ სამკვიდრო, შეიძლება შეტანილ იქნენ სამკვიდრო მოწმობაში ყველა იმ მემკვიდრის თანხმობით, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს. თანხმობა წერილობით უნდა იქნეს განცხადებული სამკვიდრო მოწმობის გაცემამდე. განცხადებამდე მათი ხელმოწერის ნამდვილობა მოწმდება ამ ინსტრუქციაში გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

კანონისმიერ მემკვიდრეებზე სამკვიდრო მოწმობის გაცემისას ნოტარიუსი ამოწმებს: სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების

ფაქტს; სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს; სამკვიდროს დამტოვებელთან იმ პირთა ნათესაურ ან სხვა დამოკიდებულებას, რომლებმაც შეიტანეს განცხადება სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ; იმ სამკვიდრო ქონების შემადგენლობასა და ადგილსამყოფელს, რომელზეც უნდა გაიცეს სამკვიდრო მოწმობა. ამ გარემოებათა დასადასტურებლად ნოტარიუსი მემკვიდრეებს მოსთხოვს შესაბამის მტკიცებულებებს.

მამკვიდრებლის გარდაცვალების ფაქტი და სამკვიდროს გახსნის დრო დასტურდება მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოების მოწმობით.

სამკვიდროს გახსნის ადგილი დასტურდება ადგილობრივი ორგანოების ან გარდაცელილის სამუშაო ადგილის მიერ გაცემული ცნობით მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ხოლო თუ გარდაცელილის საცხოვრებელი ადგილი უცნობია (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემულიც ნობით ან სხვა დოკუმენტით) სამკვიდრო ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როცა მემკვიდრეებს არ მოეპოვებათ აღნიშნული დოკუმენტები, ნოტარიუსი მოითხოვს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების ასლს სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ.

სამკვიდროს დამტოვებელთან მემკვიდრეთა ნათესაური და სხვა ურთიერთობის მტკიცებლებად ჩაითვლება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოს მოწმობა, ამონაწერი სააქტო ჩანაწერთა რეგისტრაციის წიგნიდან, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ასლი ნათესაური ფაქტის დადგენის შესახებ. ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება მიღებული იქნეს დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაცემულიცნობები, თუ ისინი სხვა დოკუმენტებთან ერთად ადასტურებენ სამკვიდროს დამტოვებელთან მემკვიდრეთა ნათესაურ ან სხვა ურთიერთობას.

თუ ერთ ან რამდენიმე კანონით მემკვიდრეს საშუალება არა აქვს წარმოადგინოს ნათესაური ან სხვა ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც საფუძველს ქმნის მათ მემკვიდრეებად მოსაწვევად, ისინი შეიძლება ჩაწერილი იქნენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა იმ დანარჩენი მემკვიდრის წერილობი-

თი თანხმობით, რომლებმაც მიიღეს ეს მემკვიდრეობა და წარადგინეს შესაბამისი მტკიცებულებანი. მემკვიდრეთა ეს თანხმობა წერილობით უნდა გაფორმდეს დამასზე დანარჩენ მემკვიდრეთა ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დამოწმდეს ინსტრუქციაში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად.

ანდერძით მემკვიდრეობისას სამკვიდრო მოწმობის გაცემის დროს ნოტარიუსი შესაბამის მტკიცებულებათა გამოთხოვის გზით ამოწმებს მამკვიდრებლის გარდაცვალების ფაქტს, ანდერძის არსებობას, სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს, იმ სამკვიდრო ქონების შემადგენლობასა და ადგილსამყოფელს, რომელზეც უნდა გაიცეს მოწმობა, არკვევს იმ პირთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ სავალდებულო წილზე სამკვიდრო ქონებაში (სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი), აგრეთვე ამოწმებს ხომ არ არის იგი გაუქმებული იმ ნოტარიუსის მიერ, ვინც დაადასტურა ანდერძი.

თუ ანდერძით მემკვიდრეობისას სამკვიდრო მოწმობაში აღნიშნულია მემკვიდრეთა ნათესაური ან სხვა ურთიერთობა სამკვიდროს დამტოვებელთან (მემკვიდრეთა სურვილისამებრ), ნოტარიუსი გამოითხოვს ამ ურთიერთობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის დროს მემკვიდრის მიერ წარმოდგენილი ანდერძის დედანი ან ასლი რჩება ნოტარიუსთან.

მემკვიდრის სურვილისამებრ სამკვიდრო მოწმობას შეიძლება დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძის დედანი ან მისი ასლი.

თუ სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შედის მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი, ბინა (ანმათი ნაწილი), ნოტარიუსი მესაკუთრისაგან მოითხოვს უფლების განმსაზღვრელ დოკუმენტის ამონაწერს საჯარო რეესტრიდან. თუ სამკვიდრო ქონება დატვირთულია სხვა პირთა უფლებებით ნოტარიუსი ამის შესახებ აცნობებს სესხის გამცემს, რომ სესხის მიმღების მემკვიდრეებს მიეცათ სამკვიდრო მოწმობა.

თუ სახლზე ყადაღა სასამართლომ დაადო, სამკვიდრო მოწმობის გაცემა ჩერდება ყადაღის მოხსნამდე.

იმ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემისას, რომელიც სპეციალურ რეგისტრაციას საჭიროებს (ავტომობილები,მოტოციკლეტები, მოტორიანი ნავებიდა ა.შ.) ნოტარიუსი ამოწმებს ეკუთვნის თუ არა ეს ქონება სამკვიდროს დამტოვებელს (ტექნიკური

პასპორტი, გემის მოწმობა და სხვა), რასაც აღნიშნავს განცხადებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ.

ნოტარიუსი, დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მიწის ნაკვეთზე,საცხოვრებელ სახლზე სამკვიდრო მოწმობა რეგისტრირებულ უნდაიქნას საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით საჯარო რეესტრში, ხოლო სამკვიდრო მოწმობა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე - ავტოინსპექციის ორგანოებში.

სამკვიდრო მოწმობა მიეცემა ყველა მემკვიდრეს ერთად ან თითოეულს ცალ-ცალკე მათი სურვილისამებრ.

მოწმობის მისაღებად მემკვიდრის პირადად გამოცხადება სავალდებულო არ არის.

არასრულწლოვან, არაქმედუნარიან ანშეზღუდულ ქმედუნარიან მემკვიდრეთა სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის შემთხვევაში, მათი ქონებრივი ინტერესის დაცვის მიზნით, ნოტარიუსი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ასლს უგზავნის სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს მემკვიდრეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო მოწმობა სამკვიდრო ქონების განსაზღვრულ ნაწილზე, შემდგომში ეძლევათ სამკვიდრო მოწმობა ქონების სხვა იმ ნაწილზეც, რაც მითითებული არ არის თავდაპირველად გაცემულ მოწმობაში.

სხვა ქონებაზე დამატებითი სამკვიდრო მოწმობის გაცემის დროს, თუ გამოცხადდნენ მემკვიდრეები, რომლებიც შეყვანილი არ ყოფილან ადრე გაცემულ მოწმობაში, ისინიც შეიძლება შეყვანილი იქნენ დამატებით სამკვიდრო მოწმობაში, მხოლოდ ყველა იმ მემკვიდრის წერილობითი თანხმობით, რომლებმაც მემკვიდრეობა მიიღეს. განცხადებაზე მათი ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმდება ინსტრუქციაში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად.

ნოტარიუსს უნდა ჰქონდეს მემკვიდრეობის საქმეთა სანოტარო დავთარი.

მემკვიდრეობის საქმეთა სააღრიცხვო დავთარში აღირიცხება განცხადებები მემკვიდრეობის მიღების, სამკვიდრო მოწმობათა გაცემის, სამკვიდრო ქონების ანგარიშში ხარჯების გაწევის განკარგულებათა მიცემის, მემკვიდრეობაზე უარის თქმის შესახებ, კრედიტორთა პრეტენზიები, აგრეთვე განცხადებანი სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღების შესახებ.

შემოაღნიშნულ განცხადებათა საფუძველზე გარდაცვლილის სახელზე დგება საქმე, რომელიც აღირიცხება მემკვიდრეობის საქმეთა აღრიცხვის ანბანურ დავთარში და მიეცემა ცალკე ნომერი.

ყველა შემდგომი განცხადება (დამატებითი, სხვა მემკვიდრეთა და კრედიტორთაგან შემოსული), აგრეთვე აღირიცხება მემკვიდრეობის საქმეთა აღრიცხვის დავთარში.

ყველა განცხადებაზე აღინიშნება მათი შემოსვლის დრო და სამემკვიდრეო საქმის ნომერი.

სამემკვიდრეო საქმეში მემკვიდრეთაგან, სხვა პირთა და დაწესებულებათაგან გამოთხოვილი დოკუმენტები და მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ეგზემპლარი[1].

ნოტარიუსი პრევენტული მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, სამკვიდროს გახსნის და სამკვიდრო მოწმობის შედგენის დროს ადასტურებს მრავალ იურიდიულ ფაქტს, მათ შორის ადგენს სამკვიდროს გახსნის ადგილს და ადასტურებს, რომ სამკვიდრო გაიხსნა კონკრეტულ მისამართზე.

სამკვიდროს გახსნის ადგილის სწორად განსაზღვრას ნოტარიუსისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორი თვალსაზრისით. პირველი, სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით ნოტარიუსი ადგენს კონკრეტული სამკვიდრო საქმე არის თუ არა კონკრეტული ნოტარიუსის შესასრულებელი. "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-2 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს მემკვიდრეობის საქმის წარმოების პირობას: აღნიშნულ სანოტარო მოქმედებას ნოტარიუსი ასრულებს სამუშაო უბნის მიხედვით.

ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 15 ივნისის №44 4 ბრძანებით "ნოტარიუსთა სამუშაო უბნების შესახებ" განსაზღვრულია ნოტარიუსთა სამუშაო უბნები სამკვიდრო საქმის წარმოებასთან დაკავშირებით.

და მეორე: სამკვიდროს გახსნის ადგილის სწორად განსაზღვრა განაპირობებს უდაო ხასიათის სამკვიდრო მოწმობის გაცემასაც.

სამოქალაქო კოდექსის 1324-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის -ს ამკვიდროს ადგილსამყოფელი.

---

[1] ნინო გადელია - მემკვიდრეების სამართლის ზოგადი მიმოხილვა საქართველოს ნოტარიატი 2003 წ. გვ. 3-4 გვ. 21-22

შევჩერდებით სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენასთან დაკავშირებულ პრობლემაზე.

ნოტარიუსი, როგორც პრევენტული მართლმსაჯული, რომლის მიერ შესრულებული სანოტარო აქტი წარმოადგენს უდავო დამამტკიცებელ საბუთს, ეყრდნობა მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომელთა სისწორეში და უტყუარობაში მას ეჭვი არ ეპარება. "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 58-ე მუხლის მე-3 პუნქტი ნოტარიუსს ავალებს, რომ სამკვიდროს გახსნის ადგილი დაადასტუროს სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით.

ეს დოკუმენტი თავისი შინაარსითა და ფორმით უნდა აკმაყოფილებდეს დოკუმენტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. დოკუმენტი, რომლითაც დგინდება მოქალაქის გარდაცვალების ფაქტი, არის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოს მიერ გაცემული მოქალაქის გარდაცვალების მოწმობა. იგი წარმოადგენს მტკიცებულებას მოქალაქის გარდაცვალების შესახებ, მაგრამ იგი არ შეიცავს ყველა იმ საჭირო რეკვიზიტს, რომელიც ნოტარიუსს ესაჭიროება ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად. გარდაცვალების მოწმობის საფუძველზე ნოტარიუსი ადგენს გარდაცვლილი პირის იდენტიფიკაციის მონაცემებს: სახელს, გვარს, ასაკს, გარდაცვალების თარიღს, ადგილს, გარდაცვალების მიზეზს, გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციის ადგილს. იგი არ გვაძლევს ინფორმაციას გარდაცვლილის ბოლო საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

პირის საცხოვრებელი ადგილის დადასტურების წესი დადგენილია "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ" საქართველოს კანონით. ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად "საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრები უცხოელები ვალდებულნი არიან გაიარონრეგისტრაცია თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხხედვით, ხოლო მათ გააჩნიათ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით". ე.ი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში ნოტარიუსმა უნდა იხელმძღვანელოს გარდაცვლილის იმ საცხოვრებელი ადგილით, რომელიც ითვლება მისი რეგისტრაციის ადგილად, რასაც ადასტურებს აგრეთვე ამავე მუხლის მე-2 პუნქტი: "პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი საცხოვრებლად ირჩევს".

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო, ნებისმიერი სხვა დაწესებულება ან იურიდიული პირი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირის საცხოვრებელი ადგილის დადასტურების მიზნით, მოითხოვოს მხოლოდ რეგისტრაციის მოწმობის ან მისი ასლის წარდგენა, რომელიც არ საჭიროებს სანოტარო წესით დადასტურებას, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია პირისათვის საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის მოთხოვნა.

როგორ მოიქცეს ნოტარიუსი, როცა ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გარდაცვლილი პირის პირადობის მოწმობა უნდა ჩაბარდეს შინაგან საქმეთა ორგანოებს?

იმისათვის, რომ ნოტარიუსმა ოფიციალური დოკუმენტით დაადასტუროს სამკვიდროს გახსნის ადგილი, სანოტარო პრაქტიკაში დაინერგა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებიდან გარდაცვალების აქტის ჩანაწერის აქტის გამოთხოვა, სადაც მითითებულია გარდაცვლილის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, ან ინფორმაციის გამოთხოვა სამისამართო ბიუროდან. თუმცა მიმაჩნია, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უტყუარ დოკუმენტთან, ვინაიდან "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 თავის 86-ე მუხლის თანახმად, გარდაცვალების რეგისტრაციის საფუძველია: ა) გარდაცვალების შესახებ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი; ბ) გარდაცვალების ფაქტის დადგენის, მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების სასამართლოს გადაწყვეტილება; გ) სასჯელის მომხდელი პირის გარდაცვალების შესახებ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის უწყება.

როგორც წესი, გარდაცვალების აქტების რეგისტრაციის უმრავლესობა ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთით, რომელიც ხშირ შემთხვევაში გაიცემა გარდაცვლილის ახლობელთა ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე და არა ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით. ასეთ დოკუმენტებზე დაყრდნობით შესრულებული სანოტარო აქტი კი ნამდვილად ვერ შეძლებს იყოს უდაო ხასიათის.

მოქალაქეობრივი აქტების რეგისტრაციის ორგანოებში განხორციელებული სიახლეების შესაბამისად, აღნიშნული ორგანოები სადღეისოდ უარს აცხადებენ ისეთი დოკუმენტის გაცემაზე (იგუ-

ლისხმება გარდაცვლილის სააქტო ჩანაწერის ასლი), რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვლილის საცხოვრებელი ადგილი, რაც აიხსნება მარტივი მიზეზით: "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის 90-ე მუხლის თანახმად, გარდაცვალების აქტის ჩანაწერი შეიცავს შემდეგ მონაცემებს: გარდაცვლილის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი, ასაკი, სქესი, გარდაცვალების თარიღი და ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, უკანასკნელი სამუშაო ადგილი და თანამდებობა". ამ ჩამონათვალში არ არის მითითებული გარდაცვლილის საცხოვრებელი ადგილი და მათი უარიც სავსებით გასაგებია.

რაც შეეხება სანოტარო პრაქტიკაში დანერგილ მეორე ხერხს - სამისამართო ბიუროდან ინფორმაციის გამოთხოვას- აქაც ვხვდებით გარკვეულ სირთულეებს. პირის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია იგზავნება სამისამართო ბიუროში. პირის გარდაცვალება უტოლდება რეგისტრაციიდან მოხსნას. პირის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის სამისამართო ბიუროში რეგისტრაციისას - გარდაცვლილი პირის რეგისტრაცია გაუქმებულად ითვლება და როგორც აგვიხსნეს სამისამართო ბიუროს თანამშრომლებმა, ამ რეგისტრაციიდან 6 წლის განმავლობაში ინახება გარდაცვლილი პირის რეგისტრაციის მონაცემები, ხოლო ექვსი წლის შემდეგ ეს მონაცემები ნადგურდება.

იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას და მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგ გადაწყვიტა თავისი სამემკვიდრეო უფლებების დაკანონება, მას გაუჭირდება ამტკიცოს მამკვიდრებლის ბოლო საცხოვრებელი ადგილი და ასევე, სირთულე შეექმნება იმის მტკიცებაში, რომ იგი გარდაცვლილის თანამცხოვრები მემკვიდრეა და ფაქტობრივად ფლობს დანატოვარ სამკვიდრო ქონებას. მემკვიდრეს შეუძლია ადვილად მოიპოვოს ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია სერვისული ცენტრების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, რაციგიეეა, რაც ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, რომლის გაცემასაც კრძალავს საქართველოს კანონი "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ" და რომელსაც ვფიქრობ არავითარი ლეგალური საფუძველი არ აქვს.

შექმნილი პრობლემის გადაჭრისათვის მიმაჩნია, რომ უფრო კანონზომიერი იქნება, თუ პრაქტიკაში დავნერგავთ აღნიშნული

ინფორმაციის გამოთხოვას შინაგან საქმეთა ორგანოების საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურებიდან.

ალნიშნული სამსახურის ხელმძღვანელობის განცხადებით, ისინი უფლებამოსილნი არიან, გასცენ ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია ნოტარიუსის ოფიციალური მიმართვის საფუძველზე. ვიმედოვნებ, რომ ამ ორგანოებიდან მიღებულ ინფორმაციას ნამდვილად ექნება უტყუარობისა და სიზუსტის პრეტენზია[2].

სამკვიდროს დაცვა.

1. ნოტარიუსი ვალდებულია მიიღოს ზომები სამკვიდროს დასაცავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში.

2. სამკვიდროს დაცვის მიზნით ნოტარიუსი ვალდებულია აღწეროს სამკვიდრო ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

3. თუ სამკვიდრო ან მისი ნაწილი არ იმყოფება იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც გაიხსნა მემკვიდრეობა, მაშინ ნოტარიუსი ქონების აღწერას ავალებს იმ ნოტარიუსს, რომელიც თავის ფუნქციებს ასრულებს დასახლებულ პუნქტში, სადაც იმყოფება სამკვიდრო ან მისი ნაწილი. ნოტარიუსი, რომელმაც მიიღო დავალება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აღწეროს სამკვიდრო (მისი ნაწილი) და ქონების აღწერის აქტი ჩაწეროს სამემკვიდრეო საქმეთა რეესტრის პირველ ნაწილში. ამ შემთხვევაში ქონების აღწერის აქტის ერთი ეგზემპლარი უნდა გაეგზავნოს ნოტარიუსს, რომლის დავალებითაც აღიწერა სამკვიდრო, ხოლო მეორე ეგზემპლარი - შენახულ უნდა იქნეს სამკვიდროს (მისი ნაწილის) აღმწერი ნოტარიუსის არქივში.

დადგენილება სამკვიდროს დაცვის შესახებ.

1. სამკვიდროს აღწერის შესახებ ნოტარიუსი ვალდებულია მიიღოს დადგენილება სამკვიდროს დაცვის მიზნით ქონების აღწერის შესახებ, დადგენილება აღირიცხება რეესტრში.

2. დადგენილებაში უნდა მიეთითოს: დადგენილების მიღების თარიღი, დადგენილების მიმღები ნოტარიუსის სახელი და გვარი, სანოტარო ბიუროს მისამართი, დადგენილების მიღების საფუძვლები, სამკვიდროს ადგილმდებარეობა.

ქონების აღწერა.

---

2 ნანი სიდამონიძე- სამემკვიდრეო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს ნოტარიუსი 2003 №5-6, 31-23-33

1. ნოტარიუსი ვალდებულია შეადგინოს ქონების აღწერის აქტი, რომელშიც უნდა მიუთითოს:

ა) აქტის შედგენის დრო და ადგილი;

ბ) ნოტარიუსის სახელი და გვარი, სანოტარო ბიუროს მისამართი;

გ) აქტის შედგენის საფუძველი (დადგენილება, რომლის საფუძველზეც ხდება აღწერა);

დ) აღწერის დამსწრე პირების სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების რეკვიზიტები;

ე) მამკვიდრებლის ვინაობა;

ვ) აქტში შეტანილი თითოეული საგნის დასახელება, მათი განმასხვავებელი ნიშნები (წონა, მეტრაჟი, ცვეთა და სხვა);

ზ) აქტში შეტანილი თითოეული საგნის ცალკე შეფასება და მთელი ქონების შეფასება;

თ) თუ საგნები ან/და სადგომები დაილუქა - რომელი საგნები ან/და სადგომები დაილუქა და რამდენი ბეჭედი დაედო ლუქს;

ი) იმ პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტები, ვისაც გადაეცა ქონება შესანახად;

კ) აღწერილი ქონების შენახვის ვადა;

ლ) განმარტება, რომ ქონების შემნახველს ნოტარიუსმა განუმარტა მისი მოვალეობა ქონების შენახვისა და გადაცემული ქონების გასხვისების, გაფლანგვის ან გადამალვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ;

მ) აღწერის დამსწრე პირების შენიშვნები და განცხადებანი. ამ შენიშვნაზე ნოტარიუსის განკარგულებანი;

ნ) აღწერის დაწყებისა და დასრულების დრო.

2. ქონების აღწერისას ქონებას აფასებს ნოტარიუსი ჩვეულებრივი საბაზრო ფასებით. ნოტარიუსს უფლება აქვს შეფასება დაავალოს ექსპერტს და/ან აუდიტორს.

3. ქონების აღწერის აქტს ხელი უნდა მოაწეროს აღწერაზე დამსწრე პირებმა და ნოტარიუსმა.

4. ქონების აღწერას ნოტარიუსის გარდა უნდა დაესწროს ის პირი, რომლის განცხადებითაც მიღებულ იქნა დადგენილება ქონების აღწერის შესახებ, აგრეთვე ორი ნეიტრალური პირი, რომელიც აკმაყოფილებს მოწმისათვის დადგენილ კრიტერიუმებს.

5. თუ ქონების აღწერა გრძელდება რამდენიმე დღის განმავლობაში ან წყდება, აღწერის აქტში უნდა მიეთითოს აღწერის შეწყ-

ვეტისა და განახლების მიზეზები და დრო, აგრეთვე ლუქისა და ბეჭდის მდგომარეობა აღწერის განახლებისას.

6. აღწერის აქტი დგება არანაკლებ სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ერთი გადაეცემა დაინტერესებულ პირს, ვისი განცხადებითაც მოხდა ქონების აღწერა, ხოლო ერთი გადაეცემა ქონების შემნახველ პირს.

ბრუნვიდან ამოღებული ნივთები.

ნოტარიუსი ვალდებულია აღწერის აქტში შეიტანოს აღწერისას აღმოჩენილი ნივთები, რომლებიც ამოღებულია ბრუნვიდან. ამასთანავე, იგი ვალდებულია აღნიშნული ნივთები მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს პოლიციის ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით.

სამკვიდროს მმართველის დანიშვნა.

1. ნოტარიუსი ვალდებულია დანიშნოს სამკვიდროს მმართველი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

2. სამკვიდროს მმართველი ინიშნება ნოტარიუსის დადგენილებით. დადგენილებაში უნდა მიეთითოს:

ა) დადგენილების მიღების თარიღი;

ბ) დადგენილების მიმღები ნოტარიუსის სახელი და გვარი, სანოტარო ბიუროს მისამართი;

გ) დადგენილების მიღების საფუძვლები;

დ) სამკვიდროს ადგილმდებარეობა და აღწერა;

ე) მმართველის სახელი, გვარი, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი ადგილი;

ე) მმართველის უფლებები და ვალდებულებები, აგრეთვე ნოტარიუსის განმარტება სამკვიდროს გაფლანგვის, გადამალვის, გასხვისების შესახებ მმართველის პასუხისმგებლობის შესახებ;

ზ) სამკვიდროს მართვის ვადა.

3. დადგენილებას თან ერთვის მმართველის თანხმობა მმართველად დანიშვნის შესახებ.

*მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების გაცემა*

მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა დასაშვებია, როგორც ქორწინების, ისე ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. ქორწინების პერიოდში საერთო ქორწინებაში წილზე საკუთრების უფლებას მოწმობს გასაცემად მეუღლეები ერთობლივი წერილობითი განცხადებით მიმართავენ ნოტარიუსს. ასეთ პირობებში მეუღლეები თვითონ განსაზღვრავენ თითოეული მათგა-

ნის წილს და იმ ქონების შემადგენლობას, რომელზეც უნდა გაიცეს საკუთრების მოწმობა.

მეუღლეთა ერთობლივი წერილობითი განცხადების საფუძველზე, ორივეს ან ერთ-ერთ მათგანს, ეძლევა მოწმობა ქორწინების განმავლობაში შეძენილ საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების შესახებ. საკუთრების უფლების მოწმობა გაიცემა მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც მეუღლეთა ერთობლივი საკუთრება (თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) და არსებობს მოწმობის გაცემის დღისათვის. მოწმობის გაცემისას ნოტარიუსი მოითხოვს საქორწინო ურთიერთობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ქორწინების მოწმობას, საქორწინო ხელშეკრულება).

თუ იმ ქონების შემადგენლობაში, რომლის წილზეც გაიცემა მოწმობა შედის მიწის ნაკვეთი. საცხოვრებელი სახლი, ბინა (ან მისი ნაწილი), სააგარაკო, სამშენებლო ამხანაგობა და სხვა ქონება. ნოტარიუსი ამოწმებს, ეკუთენით თუ არა აღნიშნული ქონება მეუღლეებს.

მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელ სახლზე, ბინაზე (ან მათ ნაწილზე) საკუთრების უფლების გაცემის დროს საჭიროა რეესტრის ამონაწერი. საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის შესახებ აღინიშნება მიწის ნაკვეთზე ან სახლზე უფლების გამსაღებელ დოკუმენტზე. მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელ სახლზე ბინაზე (ან მათ ნაწილზე) საკუთრების უფლების მომწობას გასცემს ის ნოტარიუსი, რომლის სამუშაო უბანშიც მდებარეობს მიწის ნაკვეთი ან სახლი.

საკუთრების უფლების მოწმობას გასცემს ის ნოტარიუსი, რომლის სამუშაო უბანშიც მდებარეობს მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობა ცოცხლად დარჩენილი მეუღლის განცხადებით გაიცემა სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით, რის შესახებაც განემარტებათ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა.

შეტყობინებაში აღინიშნება მეუღლეთა საერთო ქონების შემადგენლობა, რომლის წილზე ცოცხლად დარჩენილი მეუღლე მოითხოვს საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას, აგრეთვე განმარტებულია უფლება, თუ როგორც უნდა მიმართოს მემკვიდრემ ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ქონებრივი მოთხოვნის სადავოდ გახდის შემთხვევაში სასამართლოს. შეტყობინება იგზავნება ფოსტით, ხოლო სანოტარო ბიუროში გამოცხადებულ მემკვიდრეებს ნოტარიუსი სიტყვი-

რად ატყობინებს, რის შესახებაც აღინიშნება ცოცხლად დარჩენილი მეუღლის განცხადებაზე მემკვიდრეებს ხელმოწერით.

თუ მემკვიდრეთა შორის არიან არასრულწლოვანი, არაქმედუნარიანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანი, შეტყობინება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობა ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეიძლება მიეცეს ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების ნახევარზე, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობის მიცემისას საჭიროა მეუღლის გარდაცვალების მოწმობა. გარდაცვალებულ მეუღლესთან განმცხადებლის საქორწინო ურთიერთობების დამადასტურებელი დოკუმენტი, მეუღლეთა ქონებაზე საერთო საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (საორწინო ხელშეკრულება ან მეუღლის განცხადება, რომ საქორწინო კონტრაქტი მეუღლეთა შორის არ არსებობს).

ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებისას საკუთრების უფლების მოწმობას გასცემს ნოტარიუსის სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით.

ცოცხლად დარჩენილი მეუღლის თანხმობით მემკვიდრეთა წერილობითი განცხადებით, რომელთაც მიიღეს მემკვიდრეობა, შეიძლება განისაზღვროს გარდაცვლილი მეუღლის წილიც საერთო ქონებაში.

ნოტარიუსი განმარტავს, რომ მიწის ნაკვეთზე, სახლზე, ბინაზე (ან მათ ნაწილზე) საკუთრების უფლების მოწმობა რეგისტრირებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრში, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საკუთრების უფლების მოწმობა სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოში.

***გარიგებათა დამოწმება, გარიგებათა დამოწმების ზოგადი პირობები***

გარიგების დამოწმება ეწოდება სანოტარო მოქმედებას, რომლის დროსაც ნოტარიუსი ამოწმებს დასამოწმებელ გარიგების (დოკუმენტების) მთელშინაარსს, მის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და გარიგების მონაწილეთა ნების შესატყვისობას მოქმედ სამართალთან.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სავალდებულო სანოტარო დამოწმებას ექვემდებარება:

ა) კავშირისა და ფონდის წესდებები(სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლი);

ბ) ცვლილებები კავშირისა და ფონდის წესდებებში (სამოქალაქო კოდექსის 34-ე მუხლი);

გ) გარიგებაზე ხელის მოწერის გადანდობა სხვა პირისათვის (სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლი);

დ) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, გაცვლა, ჩუქება და მათთან გათანაბრებული გარიგებები (სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი);

ე) ბინაზე საკუთრების უფლების გასხვისება, შეძენა, გაცვლა და მათთან გათანაბრებული გარიგებები (სამოქალაქო კოდექსის 210-ე მუხლი);

ვ) აღნაგობის უფლების წარმოშობა, შეძენა, შეცვლა და მათთან გათანაბრებული გარიგებები (სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხლი);

ზ) უზუფრუქტის დადგენა, შეცვლა და მათთან გათანაბრებული გარიგებანი (სამოქალაქო კოდექსის 243-ე მუხლი);

თ) იპოთეკის წარმოშობა, შეძენა, შეცვლა და მათთან გარიგებანი (სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლი);

ი) ჩუქების დაპირება (სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლი);

კ) სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლი);

ლ) ინდივიდუალური საწარმოსა და სამეწარმეო საზოგადოებათა დამფუძნებელი დოკუმენტები (მეწარმეთა შესახებ კანონის 2-7 და 52 მუხლები), წესდებების ცვლილებები;

მ) სამეწარმეო საზოგადოებაში წილთა გასხვისების დათმობის და სხვა ხელშეკრულებები;

ნ) სახელობითი აქციათა გასხვისება, თუ აქცია არ არის სააქციო ბარათის ფორმით გაცემული (მეწარმეთა კანონის 52.1 მუხლი);

ო) კოოპერატივში გაწევრიანების შესახებ განცხადების დამოწმება (მეწარმეთა შესახებ კანონის 61,2 მუხლი);

საქორწინო ხელშეკრულება ექვემდებარება სანოტარო წესით დადასტურებას, რომლის დროსაც ნოტარიუსი ვალდებულია მხარეებს განუმარტოს მათი უფლებები და მოვალეობები კანონით დადგენილი წესით (სამოქალაქო კოდექსის 1174-ე მუხლი);

მხარეთა სურვილისამებრ შეიძლება დამოწმდეს სხვა ისეთი გარიგებებიც, რომლებისთვისაც კანონმდებლობით დადგენილი არ არის სავალდებულო სანოტარო დამოწმება.

ნოტარიუსი მოვალეა სანოტარო მოქმედების შესრულებისას განუმარტოს მხარეებს სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები, შეამოწმოს შეესაბამება თუ არა წარმოდგენილ გარიგებათა პროექტების შინაარსი მხარეთა ნამდვილ ნება-სურვილს. ნოტარიუსი მოვალეა იზრუნოს, რათა არ შეილახოს იმ პირთა ინტერესები, რომლებმაც კანონი არ იციან და საჭიროებენ სამართლებრივ დახმარებას ("ნოტარიატის შესახებ" კანონის 50-ე მუხლი).

გარიგებანი იმ ქონების გასხვისებისა და გირავნობის შესახებ, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება, შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება გასასხვისებელ ან დასაგირავებელ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

გარიგების მონაწილეთა ასაკით ქმედუნარიანობის გამორკვევისას ნოტარიუსი გამოითხოვს დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია გარიგების მონაწილეთა ასაკი (იხ. ამ დებულების მე-19 პუნქტი).

თუ ნოტარიუსს საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ გარიგების რომელიმე მონაწილეს სულით ავადმყოფის ან ჭკუასუსტობის გამო არ შესწევს უნარი გაიგოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და შედეგი, ხოლო ცნობები ამ პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ არ არსებობს, ნოტარიუსი ამ დებულების 49-ე მუხლის შესაბამისად გადადებს გარიგების შესრულებას და გამოარკვევს, არსებობს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება პირის ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ. თუ ასეთი გადაწყვეტილება სასამართლოს არ გამოუტანია, ნოტარიუსი თავისი ვარაუდის შესახებ ატყობინებს პირს ან ორგანიზაციას, რომლებსაც შეუძლიათ აღძრან სასამართლოს წინაშე საკითხი ამ პირის ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ. თავის წერილში ნოტარიუსი სთხოვს შეატყობინონ მას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კომპეტენტური თანამდებობის პირის ან ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ნოტარიუსი ან დაამოწმებს გარიგებას, ანდა შეაჩერებს სანოტარო მოქმედების შესრულებას სასამართლოში საქმის განხილვამდე.

გარიგებანი 7 წლამდე ასაკის მცირეწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებული პირის სახელით, აგრეთვე იმ პირთა სახელით, რომლებიც სასამართლოს წესით აღიარებულნი არიან ქმედუუნაროდ შეიძლება დადონ მათმა მშობლებმა, მშვილებლებმა ან მეურვეებმა.

7-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა სახელით დადებული გარიგებანი შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ მშობელთა, მშვილებელთა ან მზრუნველთა თანხმობით.

თუ მშობლებს (მშვილებლებს), მეურვეებს ან მზრუნველებს რაიმე მიზეზით (იმყოფებიან მივლინებაში, ცხოვრობენ სხვა ადგილზე და ა.შ.) არ შეუძლიათ მისცენ თანხმობა გარიგების დასამოწმებლად, იგი შეიძლება დამოწმდეს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით. ამასთან, დაცულ უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1287-1305 მუხლების მოთხოვნები.

ნოტარიუსი ითხოვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვას (მეურვის უფლებით დადონ და მზრუნველის უფლებით თანხმობა განაცხადონ) სამზრუნველო ან სამეურვეო პირის სახელით ისეთი გარიგებანი, რომლებიც სცილდება საყოფაცხოვრებო გარიგებათა ფარგლებს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვაა საჭირო სანოტარო წესით დასამოწმებელ ხელშეკრულებათა დასადებად, როგორიცაა სამეურვეო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმა, ქონების გაყოფა, საცხოვრებელი სადგომის გაცვლა და ქონების გასხვისება.

სასამართლოს წესით შეზღუდულქმედუნარიან პირად აღიარებულის მიერ დადებულ გარიგებათა (გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებებისა) ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდულქმედუნარიანი პირი გარიგებით იღებს სარგებელს.

არ დაიშვება სამეურვეო პირის სახელით ჩუქების ან ჩუქების დაპირების ხელშეკრულების დამოწმება.

ეს წესები ვრცელდება ამ გარიგებებზეც, რომელსაც თავიანთი არასრულწლოვანი შვილების სახელით სდებენ მშობლები (მშვილებლები), როგორც მეურვეები (მზრუნველები).

სასამართლოს წესით შეზღუდულ ქმედუნარიან პირად აღიარებულის მიერ დადებულ გარიგებათა (გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებისა) ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი

წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდულ-ქმედუნარიანი პირი გარიგებით იღებს სარგებელს.

გარიგებაში მონაწილე იურიდიულ პირთა ქმედუნარიანობის შემოწმებისას, ნოტარიუსები მოვალენი არიან გაეცნონ იურიდიული პირის წესდებას და დებულებას და შეამოწმონ, შეესაბამება თუ არა შესასრულებელი მოქმედება წესდებით ან დებულებით იურიდიული პირის ხელმძღვანელისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

წარმომადგენლის უფლებამოსილება დადასტურდება მის სახელზე გაცემული რწმუნებულებით. ნოტარიუსები არ მოითხოვენ რწმუნებულების გარიგებას და სხვა მოქმედების შესასრულებლად იმ იურიდიულ პირთა ხელმძღვანელებისაგან, რომელთაც კანონით, წესდებით ან დებულებით მინიჭებული აქვთ გარიგების დადების უფლება. ასეთ შემთხვევაში მათ მოთხოვნებით მხოლოდ თანამდებობრივი მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

თუ იურიდიული პირის მართვა კოლეგიური ორგანოს მიერ ხდება, ამ ორგანოს ხელმძღვანელს მოეთხოვება საბუთი თანამდებობის პირის არჩევისა და მათ შორის უფლება-მოვალეობების განაწილების შესახებ.

გარიგებები იმ ქონების გასხვისებისა და დაგირავების შესახებ, რომლებიც რეგისტრაციას ექვემდებარება, შეიძლება დამოწმდეს თუ წარმოდგენილი იქნება გასხვისებული ან დასაგირავებელი ქონების საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთი.

შეთანხმება ქონების გასხვისების ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეიძლება გაფორმდეს, როგორც ხელშეკრულებაზე თანდართული ცალკე დოკუმენტის შედგენით, ისე მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ყველა ეგზემპლარზე შესაბამისი წარწერითაც.

შეთანხმება ქონების გასხვისების იმ ხელშეკრულებათა მოშლის შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის რეგისტრირებული შესაბამის ორგანოში, მხარეთა განცხადების საფუძველზე ფორმდება როგორც ხელშეკრულებაზე თანდართული ცალკე დოკუმენტის შედგენით, ისე მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ყველა ეგზემპლარზე შესაბამისი წარწერითაც.

იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილება ქონების გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, ნოტარიუსი ამას აღნიშნავს რეესტრში და ხელშეკრულების იმ ეგზემპლარზე, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში.

ქონების გასხვისების ხელშეკრულების მოშლის შემდეგ გამყიდველს (გამსხვისებელს) მისი მოთხოვნით უბრუნდება სანოტარო ბიუროში არსებული უფლების განსაზღვრული დოკუმენტი (ან მისი დუბლიკატი), რომელიც გამყიდველს (გამსხვისებელს) ჰქონდა ქონების გასხვისების შესახებ მოსაშლელბი ხელშეკრულების დადებამდე.

ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლისას მხარეთა მიერ გადახდილი საზღაური დაბრუნებას არ ექვემდებარება.

საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი, ბინა და სხვა) გასხვისების შესახებ ხელშეკრულებათა მოშლის თაობაზე რეგისტრაციისათვის წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება და მოშლილი ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტები, რასაც ნოტარიუსი აღნიშნავს დამადასტურებელ წარწერაში და განუმარტავს მხარეებს, კერძოდ, მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, ბინის (ან მათი ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულება სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრში, ხოლო ხელშეკრულება ავტომატო-სატრანსპორტო საშუალებათა გასხვისების შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ავტოინსპექციაში ამ საშუალებათა რეგისტრაციისა და აღრიცხვისათვის.

ხელშეკრულებები, ანდერძები, რწმუნებულები და სხვა დოკუმენტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სანოტარო წესით დასადასტურებელ ან დასამოწმებელ გარიგებათა შინაარსი, ნოტარიუსებს წარედგინებათ სულ ცოტა, ორ ეგზემპლარად მაინც, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო საქმისწარმოებაში.

გარიგების მონაწილენი ხელს აწერენ ხელშეკრულების ყველა ეგზემპლარს. დამადასტურებელი წარწერა ასევე კეთდება ყველა ეგზემპლარზე. გარიგების მონაწილეებს, სურვილისამებრ, მიეცემა თითო ეგზემპლარი.

გარიგების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება გარიგების საგანზე (ნივთზე ან უფლებაზე) სხვა ვალდებულების ან უფლების არსებობის ფაქტი.

მხარეთა მიერ საგნის (ნივთის ან უფლების) შეუსაბამო ფასის განცხადების შემთხვევაში, გარიგების ღირებულების საფუძვლად მიიჩნევა, ამ საგანზე (ნივთზე ან უფლებაზე) შესაბამისი იდენტური (ერთგვაროვანი) გარიგების შესახებ არსებული ინფორმაცია. კერძოდ:

ა) საჯარო რეესტრის მონაცემები;

ბ) ნივთის ან უფლების დაზღვევის ფასი;

გ) სხვა სარმწუნო მონაცემებით დადგენილი ფასი (საბირჟო კოდირების შესახებ მონაცემები, სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის ცნობები, დამოუკიდებელი ექსპერტიზის (აუდიტის) დასკვნები და სხვა.

*უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებები* - უძრავ ქონებასთან გარიგებების დამოწმების წესი

1. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების (ნასყიდობა, უზუფრუქტი, აღნაგობა, ქირავნობა, იჯარა) შედგენისას ნოტარიუსი ვალდებულია გამოითხოვოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

გ) ცნობა ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

2. თუ უძრავი ქონების მესაკუთრე იურიდიული პირია ნოტარიუსი ვალდებულია გამოითხოვოს ამ ინსტრუქციის 36-ე მუხლით დადგენილი დოკუმენტაციაც.

3. იმ შემთხვევაში, როცა გარიგების საგანია მიწასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობა, ნოტარიუსი ვალდებულია გამოითხოვოს როგორც შენობა-ნაგებობის, ისე მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ მიწა და შენობა-ნაგებობა სხვადასხვა სუბიექტის საკუთრებაა, მაშინ ნოდარიუსი ვალდებულია გამოითხოვოს მიწით სარგებლობის დამადასტურებელი ხელშეკრულება, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრში.

4. იმ შემთხვევაში თუ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სანოტარო აქტით არ იცვლება უძრავი ქონების მესაკუთრე, ნოტარიუსი ვალდებულია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შეინახოს სანოტარო არქივში, ხოლო უძრავი ქონების მესაკუთრეს მოთხოვნის შემთხვევაში მისცეს ცნობა იმის შესახებ, რომ საჯარო რეესტრიდან ამონაწერი ინახება სანოტარო არქივში, როგორც შესაბამისი ხელშეკრულების დანართი. ცნობაში უნდა მიუთითოს ამონაწერის რეკვიზიტები იმ ხელშეკრულების რეკვიზიტები, რომელსაც თან ერთვის ამონაწერი.

პრივატიზაციის ხელშეკრულებათა დამოწმების წესი.

1. პრივატიზაციის ხელშეკრულებები უნდა დამოწმდეს საპრივატიზაციო ობიექტების სახეებისათვის დადგენილი გასხვისების წესების დაცვით.

2. პრივატიზების უფლების მქონე პირის მიერ თავის უფლებაზე უარის თქმა უნდა განხორციელდეს სანოტარო წესით დადასტურებული განცხადების საფუძველზე. ნოტარიუსი ვალდებულია განუმარტოს უფლებაზე უარის განმცხადებელს უარის თქმის შედეგები, კერძოდ, ის გარემოება, რომ იგი უარის თქმით კარგავს საკუთრების შეძენის უფლებას პრივატიზებულ ბინაზე.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების) სახლებში არსებულ ბინებზე საკუთრების უფლების დადასტურება.

1. ნოტარიუსი ვალდებულია გასცეს საკუთრების მოწმობა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების) სახლებში არსებულ იმ ბინაზე, რომლებიც, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილების შესაბამისად, საკუთრებაში გადაეცათ ამ ბინების მფლობელებს და რომლებიც ამ ინსტრუქციის ძალაში შესვლამდე არ არის აღრიცხული ამ ბინების მფლობელთა საკუთრებაში.

2. საკუთრების მოწმობა გაიცემა ბინის მფლობელთა განცხადების საფუძველზე. განცხადებაზე ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

3. საკუთრების მოწმობის მიღების უფლება აქვს ორდერში შეტანილ ყველა პირს, ან იმ პირებს, რომლებიც ცნობილნი არიან ორდერში შეტანილი პირების მემკვიდრეებად. უფლებაზე უარის თქმა დაიშვება ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით.

4. განმცხადებელი ვალდებულია ნოტარიუსს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბინაზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბინის ორდერი ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მეპაიეწევრად ცნობის შესახებ, ან სამკვიდრო მოწმობა, ან სასამართლოს გადაწყვეტილება, ან სხვა აქტი, რომელიც გაცემულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც ადასტურებს უფლებას ბინაზე);

ბ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

გ) ცნობა ბინაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

უძრავი ქონებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მოძრავი ქონების მესაკუთრე.

საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია. აკრძალულია სანოტარო მოქმედების

შესრულებისას უძრავი ქონებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მოძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრურებული პირის გარდა სხვა პირის თანხმობის გამოთხოვა.

***სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისებისა და მათი სხვაგვარი დატვირთვის შესახებ გარიგების დამოწმება***

მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობამდე, ფაქტობრივად ის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული იყო და ერთადერთი შემთხვევა, როცა ის გარიგების ობიექტად მოიაზრებოდა, იყო საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების "გაგების" ხელშეკრულება. "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს 1996 წლის კანონმა "ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" საქართველოს 1998 წლის 29 ოქტომბრის კანონმა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა საბოლოოდ გაუხსნა გზა,სრული მოცულობით ჩართულიყომიწა სამოქალაქო ბრუნვაში. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მიეყიდებათ კონკურსით, ან აუქციონის წესით. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გაცემაზე, კონკურსის ან აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანო.

სახელმწიფო მიწის ნაკვეთების კონკურსით ან აუქციონის წესით გაყიდვა ხდება დადგენილი წესით დამტკიცებული რაიონული დაგეგმარების სქემებისა და პროექტების, ქალაქებისა და სხვა დასახლებათა გენერალური სქემების, გეგმებისა და განვითარების ქალაქმშენებლობათა პროგრამების საფუძველზე.

კონკურსში (აუქციონზე) გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ შედგება შემაჯამებელი ოქმი. ის უნდა შეიცავდეს საკონკურსო კომისიის დასკვნას, რაც სხვა საბუთებთან ერთად დასამტკიცებლად წარედგინება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, ოქმის დამტკიცების შემდეგ კონკურსში (აუქციონზე) გამარჯვებულს ეგზავნება

შეტყობინება მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე კონკურსში (აუქციონზე) გამარჯვებულ საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირსა და მეორეს მხრივ, სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს შორის (წარმომადგენელი - საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანოები) ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით.

მიწის ნაკვეთის ნასყიდობსი ხელშეკრულების დამოწმებისათვის ნოტარიუსი ითხოვს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებას სახელმწიფო მიწის გაცემისათვის კონკურსის ან აუქციონის ჩატარების შესახებ; ქალაქებისა და სხვა დასახელებული პუნქტების დადგენილი წესით დამტკიცებული გენერალური გეგმით გათვალისწინებული პერსპექტიული განაშენიანების გეგმებსა და პროექტებს; იმავე ადგილობრივი ორგანოს მიერ დამტკიცებულ საკონკურსო კომისიის ოქმს. ხელშეკრულების დამოწმებისას ნოტარიუსი განუმარტავს მხარეებს, რომ უფლების რეგისტრაცია უნდა მოხდეს საჯარო რეესტრში.

ასეთივე წესია გათვალისწინებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აღნაგობის უფლებით გაცემისათვის დასაიჯარო ხელშეკრულების დამოწმებისათვის.

ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გასხვისება დაშვებულია იმავე წესით, რაც ჩვეულებრივ უძრავი ქონების გასხვისებისათვისაა გათვალისწინებული, ამასთან ამ მიწების დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დანიშნულების გამო კანონი აწესებს კერძოსამართლებრივ დასაჯარო სამართლებრივ შეზღუდვებს, რის გათვალისწინებაც აუცილებელია ნოტარიუსის მიერ ასეთი მიწების გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისათვის.

კომლის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ან საადგილმამულო მეურნეობის გასხვისების შესახებ ხელშეკრულების დამოწმებასთან დაკავშირებით ნოტარიუსი მოითხოვს კომლის ყველა წევრის სანოტარო წესით დამოწმებულ

თანხმობას ან განუმარტავს, რომ პირადად გამოცხადდნენ მასთანთანხმობის დასადასტურებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მიწის ნაკვეთის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილება. ნოტარიუსმა უნდა გაარკვიოს ასევე, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას თუ საადგილმამულო მეურნეობას, რისთვისაც შესაბამისი მტკიცებულება უნდა იყოს გაცემულ საჯარო რეესტრის მიერ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და საადგილმამულო მეურნეობის შესყიდვის უპირატესი უფლება აქეთ მოიჯარეებსა და წილის მესაკუთრეებს, ამასთან ეს უფლება უპირობო არ არის.

საადგილმამულო მეურნეობის გასხვისებისას, მოიჯარეს, თუ საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ათი წელი უძღვება ამ მეურნეობის შესყიდვის უპირატესი უფლება აქვს, ამის გასარკვევად მოიჯარემ, რომელიც შესყიდვის უპირატეს უფლებას თხოულობს, ნოტარიუსს უნდა წარუდგინოს საიჯარო ხელშეკრულება;

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გასხვისებისას მოიჯარეს შესყიდვის უპირატესი უფლება აქვს თუ მოიჯარე უკვე არის გასასხვისებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მომიჯნავე საადგილმამულო მეურნეობის მესაკუთრე ან მოიჯარე. ამის განსამღერისათვის ნოტარიუსმა, საკუთრების მოწმობასთან და საიჯარო ხელშეკრულებასთან ერთად, უნდა მოითხოვოს გასასხვისებელი სასოფლო-სამეურნეო მიწისა და მისი მომიჯნავე საადგილმამულო მეურნეობის ტოპოგრაფიული გეგმა.

საადგილმამულო მეურნეობაზე საერთო საკუთრების წილის გასხვისებისას შესყიდვის უპირატესი უფლება აქვს ნებისმიერ თანამესაკუთრეს, რომელსაც სურს, თვითონ გაუძღვეს მეურნეობას. ამჯერად ნოტარიუსმა უნდა გაარკვიოს, პირი, რომელიც მოითხოვს საადგილმამულო მეურნეობის წილის შესყიდვის უპირატეს უფლებას, არის თუ არა თანამესაკუთრე და უნდა ჩამოართვას წერილობითი თანხმობა, რომ მას სურს გაუძღვეს მეურნეობას.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საეროთ საკუთარი წილის გასხვისებისას შესყიდვის უპირატესი უფლება აქვს ნებისმიერ თანამესაკუთრეს, რომელიც ამავე დროს არის გასასხვისებელი მიწის ნაკვეთის მომიჯნავე საადგილმამულო მეურნეობის მესაკუთრე, ან სხვა უფლებით უძღვება ამ მეურნეობას. ასეთი მიწის ნაკვეთის გასხვისების ხელშეკრულების დასამოწმებლად ნოტარიუს-

მა უნდა გაარკვიოს, რომ განმცხადებელი, რომელიც ითხოვს შესყიდვის უპირატესი უფლების აღიარებას, არის თუ არა გასასხვისებელი მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრე და ამ მიწის ნაკვეთის მომიჯნავე სააღგილმამულო მეურნეობის მეურნე-მესაკუთრე ან მოიჯარე.

ყველა ქვეყნის სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს და მის სამოქალაქო ბრუნვაზე კონტროლს აწესებს სახელმწიფო, რათა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები არ არის გამოყენებული არამიზნობრივად და არ შემცირდეს სახნავ-სათესი მიწების მოცულობა, მათი ეფექტურობა. ამ მიზნით "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს 1996 წლის კანონის მე-15 მუხლის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება და ხელშეკრულების საფუძველზე მიწის ნაკვეთის სხვა პირზე გადაცემა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის საჭიროებს სპეციალურ ნებართვას. ასეთ ნებართვას გასცემს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ადგილობრივი ორგანოები. სათანადო სამსახური ნებართვის გაცემის გადაწყვეტილებას მიიღებს განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. თუ ამ ხნის განმაელობაში მიწის მართვის სახელმწიფო სამსახური ვერ მოასწრებს განცხადების შემოწმებასა და განხილვას, ის უფლებამოსილია ერთი თვით გააგრძელოს ეს ვადა, რის შესახებაც აცნობებს განმცხადებელს. თუამ ვადაშიც ვერ მოასწრეს განცხადებაზე პასუხის გაცემა, ნებართვა გაცემულად ითვლება. მიწის მართვის სხაელმწიფო სამსხაურის უარი ნებართვის გაცემაზე, ან ასეთი ნებართვა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნოტარიუსი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისათვის სხვა მტკიცებულებებთან ერთად მოითხოვს სპეციალურ ნებართვას, რომელიც გაცემული უნდა იყოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამსახურის მიერ. ამასთან, მხარეებს განუმარტავს, რომ ხელშეკრულებასთან ერთად საჯარო რეესტრში რეგისტრაციაში უნდა გაატარონ ნებართვაც[3].

---

[3] დავით სუხიტაშვილი - საქართველოს სანოტარო სამართალი თბ. 2002, გვ. 138-142.

***მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, ბინის (ან მათი ნაწილის) გასხვისების დამოწმება***

მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, ბინის (ან მათი ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულებების დამოწმებისას ნოტარიუსმა უნდა შეამოწმოს, ეკუთვნის თუ არა გასასხვისებელი ობიექტი გამსხვისებელს. გასასხვისებელ მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელ სახლზე ან ბინაზე საკუთრების უფლება დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

- საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის 1948 წლის 26 აგვისტომდე სანოტარო წესით დამოწმებული აღნაგობის ხელშეკრულებით (საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 72-ე მუხლი);
- სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობის წესით გამოყოფის შესახებ;
- სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ;
- სანოტარო წესით დამოწმებული გარიგებით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის შესახებ;
- საჯარო ვაჭრობით საცხოვრებელი სახლის შეძენის აქტის ან ოქმის ასლი;
- სახლის დემუნიციპალიზაციის შესახებ აქტით;
- მემკვიდრეობის უფლების მოწმობა;
- მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობით;
- სახლზე საკუთრების უფლების დამადასტურებელ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით;
- უძრავი ქონების საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობით

ა) მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა ადრე მოქმედი სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი შემოიღო უძრავი ქონების მიმართ. თუ ადრე მიწა სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მასზე გაშენებული საცხოვრებელი სახლი მოქალაქის პირად საკუთრებას შეადგენდა, მოქმედმა სამოქალაქო

კოდექსმა 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით შენობა ნაგებობა მიწის არსებით შემადგენელ ნაწილად აღიარა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება თავისთავად გულისხმობს, რომ ამ მიწის ნაკვეთზე გაშენებული შენობა-ნაგებობებიც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ეკუთვნის.

ამასთან ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რაც გამოთქმული იყო სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ 1998 წლის ინსტრუქციის 37-ე მუხლში, რომ "საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულება მოწმდება მიწის ნაკვეთთან ერთად" და რომ "საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაშინოტარიუსმა უნდა მიუთითოს, რომ იყიდება როგორც სახლი, ისე ამ სახლის კუთვნილი მიწის ნაკვეთი". სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის ასეთი ინტერპრეტაცია ქმნის შთაბეჭდილებას, რომ შენობა-ნაგებობა კი არ არის მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი, არამედ პირიქით. რა თქმა უნდა, სასურველი იქნება, თუკი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ნოტარიუსი დეტალურად მიუთითებს გასასხვისებელ მიწის ნაკვეთზეც და იმ შენობა-ნაგებობაზე, რაც ამ მიწის ნაკვეთზეა განლაგებული, მაგრამ ამის აუცილებლობა ყოველთვის არ არსებობს, მაგალითად, თუ იყიდება 300 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი და მასზე გაშენებული საცხოვრებელი სახლი, ნასყიდობის ხელშეკრულებაში საკმარისია ნოტარიუსმა მიუთითოს, რომ იყიდება 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და სხვა რაიმე დათქმა არ გააკეთოს. ეს ნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთის მსყიდველი სახლის მესაკუთრეც ხდება; მაგრამ სხვა შემთხვევაში; მაგალითად პირს აქვს 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. აქედან 100 კვ. მეტრზე გაშენებული საცხოვრებელი სახლი. მესაკუთრეს სურს, გაყიდოს მხოლოდ საცხოვრებელი სახლი, ხოლო დანარჩენი მიწის ნაკვეთი მანვე დაიტოვოს საკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსმა ნასყიდობის ხელშეკრულების ობიექტად უნდა განსაზღვროს ის 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც საცხოვრებელი სახლი გაშენებული და თვის საცხოვრებელი სახლი და არა მთლიანად 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ამასთან ნოტარიუსმა უნდა გამოარკვიოს და განუმარტოს მხარეებს, რომ თუ სახლის ახალი მესაკუთრე ვერ ისარგებლებს სახლის დამატებითი მიწის ნაკვეთის ექსპლუატაციის გარეშე, ახალ მესაკუთრეს სერვიტუტის უფლება წარმოეშობა იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც ძველ მესაკუთრის საკუთრებაში დარჩა.

მიწის ნაკვეთის ან საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისას ნოტარიუსმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მიწის რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, უძრავი ქონების პირველადი რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს ორი საფუძვლით:მიწისა და სხვა უძრავი ქონების ობიექტებზე უფლებების დადგენისა და ამ ქონებაზე უფლებების გადასვლის საფუძველზე. მიწისა და სხვა უძრავი ქონების პირველადი რეგისტრაცია ხდება სარეგისტრაციო ბარათის შედგენით, ხოლო განსაზღვრული ვადისგასვლის შემდეგ თუ ამ ობიექტებზე არ იქნება განცხადებული პრეტენზიები, მიწა და ყველა სხვა უძრავი ქონება რეგისტრირებულ იქნება სააღრიცხვო ბარათებსა და კადასტრულ რუკებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე და დასახელებული კანონის მე-10 მუხლის თანახმად, 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ, სამოქალაქო კოდექსის სამოქმედო შემოღებასთან დაკავშირებით, ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ საპრივატიზაციო ხელშეკრულებაში მითითებულ უნდა იყოს ამ ბინაზე უფლების მქონე ყველა პირის სახელი და გვარი. სარეგისტრაციო ბარათის ჩანაწერებით გადატვირთვის თავიდან აცილებისათვის განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ოჯახის წევრები სხვა პირისათვის ხელის შეშლის მიზნით შეგნებულად აჭიანურებენ ბინის პრივატიზაციის პროცესს, ნოტარიუსს შეუძლია ხელშეკრულებაში გააკეთოს შენიშვნა, რომ პირი, რომელიც მოითხოვს ბინის პრივატიზაციას, რეგისტრირებული იყოს "მესაკუთრის" გრაფაში, ხოლო ოჯახის წევრები, რომლებიც ხელს უშლიან პრივატიზაციის პროცესს, - "შეზღუდვის" გრაფაში. ამასთან უნდა განუმარტოს მხარეებს, რომ დაინტერესებულმა პირმა პრეტენზია განაცხადოს ამ უფლების სააღრიცხვო ბარათებსა და კადასტრულ რუკებზე რეგისტრაციამდე.

1997 წლის 25 ნოემბრამდე უძრავი ქონების სარეგისტრაციო ორგანოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიურო წარმოადგენდა, ამიტომ მანამდე რეგისტრირებული ბინების ხელახალი გასხვისების გარიგებების დამოწმებისათვის ნოტარიუსმა შესაბამისი ცნობა ტექბიუროდან უნდა გამოითხოვოს, ხოლო პრივატიზებული ბინის გასხვისებისათვის ნოტარიუსმა დამატებით უნდა მოითხოვოს პრივატიზაციის დროისათვის ბინაზე უფლების მქონე ოჯახის სრულწლოვანი წევრების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა. 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ ნოტარიუსთან დამოწმებული უძრავიქონების

საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრში.

ბ) პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ გაცემულ ცნობაში ან საჯარო რეესტრის მიერ გაცემულ სარეგისტრაციო მოწმობაში აღნიშნული მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონების ფართობი უფრო მეტია, ვიდრე ესუფლების დამდგენ დოკუმენტშია აღნიშნული, ნოტარიუსმა უნდა გაარკვიოს, თუ რის შედეგადაა ასეთი სხვაობა. როცა ტექბიუროს ცნობიდან ან საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ ეს სხვაობა მესაკუთრის მიერ საცხოვრებელ სახლზე მიშენება დაშენების შედეგითაა გამოწვეული, ნოტარიუსი მოითხოვს წარუდგინონ მას ადგილობრივი მმართველობის (თვითმმართველობის) ორგანოს გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის ფართობის შეცვლის, მიშენების (დაშენების) ან გადაკეთების ნებართვის შესახებ. თუ ასეთი მტკიცებულებები ვერ იქნა მოპოვებული, მიწის ნაკვეთის ან საცხოვრებელი სახლის ფართობის გასხვისების ხელშეკრულებაში აღინიშნება საკუთრების უფლების განმსაზღვრელი დოკუმენტის მიხედვით; ხოლო თუ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ გაცემულ ცნობაში ან საჯარო რეესტრის ამონაწერში მიწის ნაკვეთის ან საცხოვრებელი სახლის ფაროთბი უფრო ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე ეს საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტშია მითითებული, გასხვისების ხელშეკრულებაში მაით ფართობი აღინიშნება ტექბიუროს მიერ გაცემულიცნობით ან საჯარო რეესტრის ამონაწერში მიწის ნაკვეთის ან საცხოვრებელი სახლის ფართობი უფრო ნაკლები აღმოჩნდება,ვიდრე ეს საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტშია მითითებული, გასხვისების ხელშეკრულებაში მათი ფართობი აღინიშნება ტექბიუროს მიერ გაცემულიცნობით ან საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად.

გ) მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, ბინის ან მათი ნაწილის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისას ნოტარიუსი ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ არის ეს ობიექტები დატვირთული სანივთო უფლებებით (აღნაგობით, იპოთეკით, სერვიტუტით და ა.შ.). თუ მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება დატვირთულია სანივთო უფლებით, მისი განმეორებით დატვირთვა სხვა სანივთო უფლებით, ან მისი გასხვისება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი თანახმაა ამგვარი უფლებრივი დატვირთვის, ხოლო შემძენი თანახმაა შეიძინოს ნივთი ამგვარი უფლებრივი დატვირთვით, რის

შესახებაც კრედიტორი და შემძენი წინასწარ უნდა იყოს გაფრთხილებული და განიმარტოს სამართლებრივი შედეგები. როცა მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელ სახლს ან ბინას ყადაღა ადევს, მისი დატვირთვა სანივთო უფლებით, ან გასხვისება დასაშვებია მხოლოდ ყადაღისაგან მისი გათავისუფლების შემდეგ.

დ) ხელშეკრულება იმ მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, ბინის გასხვისების შესახებ, რომელიც შეძენილია ქორწინების პერიოდში და მეუღლეთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს, შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ მეორე მეუღლის (ქმრის, ცოლის) წერილობითი თანხმობის საფუძველზე თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გასხვისებაზე მეუღლის თანხმობა დადასტურებული უნდა იყოს სანოტარო წესით. ასეთი დადასტურება საჭირო არ არის, თუ მეუღლე პირადად გამოცხადდება სანოტარო ბიუროში და პირადად ჩააბარებს ნოტარიუსს გასხვისებაზე თანხმობის განცხადებას. ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსი დაადგენს მეუღხლის ვინაობას და ადასტურებს განცხადებაზე ხელმოწერის ნამდვილობას. თუ მეუღლე უძრავი ნივთის გასხვისების თანხმობის შესახებ განცხადებაში კონკრეტულად მიუთითებს ფიზიკური პირის სახელსა და გვარს, ან იურიდიულ პირს, ვისზედაც უნდა გასხვისდეს ქორწინების პერიოდში შეძენილი მიწის ნაკვეთი, საცხოერებელი სახლი ან ბინა, ან აღნიშნულია გაყიდვის ფასი და ხელშეკრულების სხვა არსებითი პირობები, ნოტარიუსმა გასსვისების ხელშეკრულების დამოწმებისას უნდა შეამოწმოს, დაცულია თუ არა მეუღლის მიერ განცხადებული პირობები.

თუ მეუღლეს, რომლის სახელზეც არის რეგისტრირებული უძრავი ქონება, სურს, გაასხვისოს იგი და უფლების დამდგენი დოკუმენტიდან ირკვევა მასზე უფლების წარმოშობის დრო ან საფუძველი, ნოტარიუსმა უნდა გამოიძახოს მეორე მეუღლე ამ ქონებაზე მისი უფლების გარკვევის მიზნით. სანოტარო ბიუროში გამოცხადებისათვის ნოტარიუსმა უნდა განუსაზღვროს გონივრული ვადა და თუ ამ ვადაში არ გამოცხადდება და არ აცნობებს ნოტარიუსს ამასთანდაკავშირებულ თავის მოსაზრებებს, ნოტარიუსს შეუძლია, დაამოწმოს მიწის ნაკუვეთის, საცხოვრებელი სახლის ან ბინის გასხვისების ხელშეკრულება იმ მეუღლის სახელით, ვისზედაც ირიცხება გასხვისებული ობიექტი.

მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, ბინის გასხვისების შელშეკრულების დამოწმება შეიძლება მეორე მეუღლის თანხმობის

გარეშე, თუ საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტით, ქორწინებსი მოწმობით, საქორწინო ხელშეკრულებით ან სხვა დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გასასხვისებელი ობიექტი მეუღლეთა საერთო საკუთრებას არ წარმოადგენს და არის ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება- შეძენილია ქორწინებამდე, მიღებულია მემკვიდრეობით ან ნაჩუქრობის ხელშეკრულებით, წარმოდგენილია მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობა, საქორწინო ხელშეკრულებით გასასხვისებელი ობიექტი ეკუთვნის ერთ-ერთ მეუღლეს.

უძრავი ქონების ხელშერკულება მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე შეიძლება დამოწმდეს მაშინაც, როცა მისი საცხოვრებელი ადგილი უცნობია და სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზოუკვლოდ დაკარგულად. აღნიშნულის დასადასტურებლად სანოტარო ბიუროში წარდგენილი უნდა იყოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ.

როცა მიწის ნაკვეთის, სახლის, ბინის მესაკუთრე ნოტარიუსს წარუდგენს განცხადებას იმის შესახებ, რომ მას არ ჰყავს მეუღლე, ნოტარიუსი ამას აცნობებს გარიგების მეორე მონაწილეს, რომელიც იმის დასტურად, რომ აღნიშნული გარემოება მისთვის ცნობილია, ხელს აწერს განცხადებაზე. ეს განცხადება უნდა გამომდინარეობდეს პირადად მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, ბინის გამსხვისებელი პირისაგან.

ე) ქონებისა და მათ შორის მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლისა და ბინის გასხვისების ხელშეკრულების დასამოწმებლად ნოტარიუსი არკვევს, ხომ არ არსებობს ამ ქონების შესყიდვის უპირატესი უფლების მქონე პირი. სამოქალაქო კანონმდებლობა შესყიდვის უპირატესი უფლების რამდენიმე შემთხვევას იცნობს. მათგან მნიშვნელოვანია საერთო წილადი მესაკუთრის შესყიდვის უპირატესი უფლება, ნივთის ტიტულოვანი მფლობელისა და ბინის დამქირავებლის შესყიდვის უპირატესი უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, მფლობელს, რომელიც სამართლებრივი საფუძვლით ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფლობდა და იყენებდა ნივთს, აქვს ამ ნივთის შესყიდვის უპირატესი უფლება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ მუხლით გ ათვალისწინებული შესყიდვის უპირატესი უფლების ფაქტს ნოტარიუსი არკვევს იმ გარიგებით (ან მისი ასლით),

რომელიც საფუძლად დაედო გასასხვისებელი ნივთის მფლობელობას.

დასახელებულიკოდექსის 209-ე მუხლის თანახმად, ბინის დამქირავებელს, რომელმაც სამ წელზე მეტ ხანს იცხოვრა ბინაში, აქვს ბინის შესყიდვის უპირატესი უფლება. ამ გარემოების გამოსარკვევად ნოტარიუსი თხოულობს ბინის ქირავნობის ხელშეკრულებას (ან მის ასლს), ამავე კოდექსის 173-ე მუხლი კი ადგენს საერთო წილადის მესაკუთრის შესყიდვის უპირატეს უფლებას. ასეთი ხელშეკრულების დამოწმებისათვის საჭიროა, ნოტარიუსმა გაარკვიოს, ნამდვილად არსებობს თუ არა საერთო წილადი საკუთრების უფლება, რისთვისაც ნოტარიუსი ნივთის შესყიდვის უპირატესი უფლების მქონე პირს სთხოვს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის, ასევე სარეგისტრაციო მოწმობის წარმოდგენას.

მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, ბინის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებამდე ნოტარიუსმა უნდა გამოარკვიოს და განუმარტოს მხარეებს, რომ არ არსებობს შესყიდვის უპირატესი უფლების მქონე პირი და რომ ასეთი უფლება წარმოიშობა მაშინ, თუ ვალდებული პირი, იგივე გამსხვისებელი, გარიგებას დებს მესამე პირთან ანუ იმ პირთან, ვისაც შესყიდვის უპირატესი უფლება არა აქვს. დაინტერესებულ პირებს უნდა განემარტოთ, რომ ეს უფლება არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის (სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლი).

უპირატესი შესყიდვის უფლებისმქონე უფლებამოსილი პირის ინტერესების დაცვის მიზნით, ნოტარიუსმა უნდა გაარკვიოს, უფლებამოსილი პირი ინფორმირებულია თუ არა იმის შესახებ, რომ გამყიდველი მესამე პირთან აპირებს ხელშეკრულების დადებას. სამოქალაქო კოდექსის 517-ე მუხლის თანახმად ნივთის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ შეტყობინების მოვალეობა ევალება გამყიდველს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შესყიდვის უპირატესი უფლების მქონე პირს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს მესამე პირთან. უფლებამოსილი პირისათვის შეტყობინების (განცხადების) გადაცემა უნდა განხორციელდეს ნოტარიუსის შესახებ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის "ო" პუნქტის შესაბამისად, ანუ გამყიდველმა განცხადება უფლებამოსილი პირისათვის გადასაცემად უნდა ჩააბაროს ნოტარიუსს, რომელიც თავის მხრივ, გასცემს მოწომბას განცხადების გადაცემის შესახებ, რაც იმის დამადასტურებელი საბუთია, რომ შესყიდვის უპირატესი უფლების

მქონე პირმა ნოტარიუსისაგან ჩაიბარა ეს განცხადება. თუ აღნიშნულ განცხადებას უფლებამოსილ პირს გადასცემს ნოტარიუსი, რომელიც ამოწმებს ხელშეკრულებას, მაშინ განცხადების გადაცემის შესახებ მოწმობის გაცემა აღარ არის საჭირო და მხოლოდ განცხადების ეგზემპლარი დაერთვის სანოტარო საქმეს.

უფლებამოსილი პირისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში გამყიდველმა უნდა განსაზღვროს გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს შესყიდვის უპირატესი უფლება. უფლებამოსილმა პირმა თუ ამ ვადაში არ გამოთქვა ნება შესყიდვის უპირატესი უფლების განხორციელებისა, ნოტარიუსს შეუძლია, დაამოწმოს გამყიდველსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგება. ცალკეულ შემთხვევებში ამ ვადის გასვლამდეც შეუძლია ნოტარიუსს, დაამოწმოს გარიგება მესამე პირთან, თუკი არსებობს უფლებამოსილი პირის წერილობითი განცხადება შესყიდვის უპირატეს უფლებაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ განცხადებაზე ხელმოწერა დადასტურებული უნდა იყოს სათანადო წესით ან უფლებამოსილმა პირმა პირადად უნდა ჩააბაროს იგი ნოტარიუსს, რომელიც ამოწმებს გარიგებას.

უფლებამოსილი პირებისათვის შეტყობინების გაგზავნა არ არის საჭირო, თუ გასასხვისებელ ნივთს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე სხვა პირი ყიდულობს ან გასხვისება ხდება ნაჩუქრობის, სამისდღეშიო რჩენის, გაცვლის გარიგებით, ან საჯარო ვაჭრობით. დაბოლოს, სამოქალაქო კოდექსის 519-ე მუხლის თანახმად, თუ მესამე პირმა ხელშეკრულებით იკისრა დამატებითი ვალდებულება, რომლის შესრულების შესაძლებლობა შესყიდვის უპირატესი უფლების მქონეს არა აქვს, მაშინ მან დამატებითი ვალდებულების ნაცვლად უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება, ხოლო თუ დამატებითი ვალდებულების შეფასება შეუძლებელია, შესყიდვის უპირატესი უფლების გამოყენებაც არ შეიძლება. მაგალითად, მყიდველმა ცნობილმა მხატვარმა, დამატებითი ვალდებულების შესრულება იკისრა, რომ გამყიდველის ოჯახის წევრების პორტრეტს დახატავს.

ვ) იმ მიწის ნაკვეთების, საცხოვრებელი სახლებისა და ბინების გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისას, რომლებიც სამეურვეო და სამზრუნველო პირებს ეკუთვნით, ნოტარიუსმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს. ჩვეულებრივ სამეურვეო და სამზრუნველო პირების კანონიერი წარმომადგენლები- მეურვეები და მზრუნველები ფართო უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი, მაგრამ

ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც სამეურვეო და სამზრუნველო პირის მნიშვნელოვანი ობიექტის - მიწის ნაკვეთის, სახლის, ბინის გასხვისებას ეხება გარიგება, კანონმდებელი მეურვესა და მზრუნველის ასეთი გარიგების დადების ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას კრძალავს და მათზე კონტროლის განხორციელებას თვით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ავალებს. მეურვისა და მზრუნველის მიერ სამეურვეო და სამზრუნველო პირის კუთვნილი მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის ან ბინის გასხვისების გარიგების დამოწმებისათვის ნოტარიუსმა უნდა შეამოწმოს, სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლის შესაბამისად, არსებობს თუ არა ამ გარიგებათა დასადებად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების შესაბამისი თანხმობა. ნოტარიუსმა საერთოდ არ უნდა დაამოწმოს და უარი უნდა უთხრას მეურვესა და მზრუნველს სამეურვეო და სამზრუნველო პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დამოწმებაზე.

ზ) სამოქალაქო სამართალი განასხვავებს ორი სახის საერთო საკუთრებას - წილთა განსაზღვრით (წილად საკუთრებას) და წილთა განუსაზღვრელად (თანაზიარ საკუთრებას). მათ შორის განსხვავება ის არის, რომ წილადი საკუთრების დროს თითოეულ მესაკუთრეს აქვს მკაცრად განსაზღვრული წილი, რომელზეც საერთო საკუთრების მონაწილე ახორციელებს თავის უფლებამოსილებას სხვა მესაკუთრეებთან შეთანხმებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც საერთო საკუთრებისათვის დამახასიათებელია ობიექტის ერთიანობა, წილადი საკუთრება ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ გარიგებაში და საერთოდ, უნდა გამოიხატოს არითმეტიკული და არა ნატურალური წილით. წილადი საკუთრებისაგან განსხვავებით თანაზიარი საკუთრების სუბიექტები მესაკუთრის უფლებამოსილებას ახორციელებენ მთლიან ქონებაზე თანაბრად. ამის გათვალისწინებით ნოტარიუსმა გარიგების ტექსტში მკაფიოდ უნდა გამოხატოს შემძენის უფლება - ის იძენს ინდივიდუალური საკუთრების უფლებას, თანაზიარს თუ წილადი საკუთრების უფლებას.

ხშირად, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლის ან ბინის საერთო მესაკუთრეებს, ყოველგვარი დავის გარეშე უჩნდებათ სურვილი, საერთო საკუთრების ობიექტის სარგებლობის წესის განსაზღვრის ან წილის ნატურად გაყოფის შესახებ. მხარეებს, რომლებიც მიმართავენ ნოტარიუსს ასეთი გარიგების დასამოწმებლად, ნოტარიუსმა უნდა მოსთხოვოს, წარმოადგინონ ტექნიკური დასკვნა ობიექტის ნატურად

გაყოფის შესაძლებლობის შესახებ და შესაბამისი ნებართვა მმართველობის ადგილობრივი ორგანოებიდან. ზოგჯერ ნოტარიუსები საერთო საკუთრების ობიექტის სარგებლობის წესის განსაზღვრის ან წილის ნატურად გამოყოფის შესახებ გარიგებების ნაცვლად ამოწმებენ ე.წ. "სარგებლობისა და საკუთრების" ხელშეკრულებებს, ომლებიც იმდენად უხარისხოა, რომ გაუგებარია, ვის რა უფლება წარმოეშვა, ამიტომ მათი სათანადო რეგისტრაცია ვერ ხორციელდება.

საერთო მესაკუთრეთა შორის "სარგებლობის წესის განსაზღვრა" და "წილის წილი ნატურად გამოიყოფა" სრულიად განსხვავებული გარიგებებია. მართალია, ტექნიკური თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში რეალურად გამოცალკევდება მთლიანი ობიექტიდან რაღაც განსაზღვრული წილი და ზედაპირულად ცალკე ობიექტად წარმოგვიდგება, მაგრამ სამართლებრივად განსხვავებული შედეგები დადგება. თუ მოხდა მაგალითდა, საეროთ საკუთრების საცხოვრებელი სახლის სარგებლობის წესის განსაზღვრა, მთელი სახლი კვლავ საერთო საკუთრების ერთ ობიექტად დარჩება; წილის ნატურად გაყოფის (გამოყოფის) შემთხვევაში კი ის ორ დამოუკიდებელ საკუთრების ობიექტად გადაიქცევა. ამიტომ მათი ურთიერთგამიჯვნისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ტექნიკური, არამედ იურიდიული კრიტერიუმებით.

როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაში ნოტარიუსმა მხარეებს უნდა განუმარტოს, რომ მოახდინონ ამ გარიგებების სათანადო რეგისტრაცია. ამის აუცილებლობა კი იმით არის გამოწვეული, რომ სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლის თანახმად "თუ მონაწილეებმა განსაზღვრეს საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, მაშინ ეს წესი გამოიყენება უფლებამონაცვლის მიმართაც". საერთო წესის მიხედვით კი თუ უძრავ ქონებაზე ეს უფლებები არ იქნა რეგისტრირებული, ის უფლებამონაცვლეზე ვერ გადავა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო საკუთრების საცხოვრებელი სახლის (ან სხვა უძრავი ქონების) სარგებლობის წესის განსაზღვრის შესახებ ხელშეკრულების რეგისტრაცია დღეს პრაქტიკულად ვერ განხორციელდება, რადგან საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის მისთვის სპეციალური ფორმულარები არ არის შემუშავებული, რითაც ირღვევა სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლით წარმოშობილი უფლებების განხორციელების შესაძლებლობები.

საერთო საკუთრების საცხოვრებელი სახლის ან სხვა უძრავი ქონების) მესაკუთრეთა შორის სარგებლობის წესის განსაზღვრისათვის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით ან ოთახებით, სველი წერტილებით, სართულით და ა.შ. სარგებლობის წესი შეიძლება გათვალისწინებული იყოს წილის გასხვისების შესახებ ხელშეკრულებაშიც.

საერთო საკუთრების ერთ-ერთი მონაწილის კუთვნილი წილის გასხვისების ხელშეკრულებაში შეიძლება განისაზღვროს სარგებლობის წესი მაშინაც, თუ უკვე არსებობს საერთო მესაკუთრეთა შორის სახლის (ან სხვა უძრავი ქონების) სარგებლობის წესის შესახებ ხელშეკრულება ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, სახლის კონკრეტული ნაწილებით სარგებლობის შესახებ.

საერთო საკუთრების საცხოვრებელ სახლში (ან სხვა უძრავ ქონებაში) შეიძლება სხვადასხვა გარემოებათა გამო საჭირო შეიქმნას საერთო წილად მესაკუთრეთა შორის არითმეტიკული წილის შეცვლა, მაგალითად, ერთ-ერთმა წილადმა მესაკუთრემ საერთო საკუთრების სახლს მიაშენა ან დააშენა, რის შედეგადაც უნდა გაიზარდოს მისი წილი. ასეთი ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს ცალკე დამოუკიდებელი ხელშეკრულების დამოწმებით ან საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებებით. თუ საერთო საკუთრებაში წილის შეცვლა გამოწვეულია მასზე მიშენება-დაშენებით და მისთ; ნოტარიუსმა ასეთი სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის მხარეებს უნდა მოსთხოვოს მმართველობის ორგანოების ნებართვა მშენებლობის განხორციელების შესახებ და მშენებლობის პროექტი[1].

*საქორწინო ხელშეკრულების დამოწმება* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის თანახმად, მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. ვინაიდან, ძალიან მწირია შემთხვევები მსგავსი ხელშეკრულებების დამოწმებისა, ძნელია იმსჯელო, თუ რა სახის

---

[1] დავით სუხიტაშვილი - საქართველოს სანოტარო სამართალი თბ. 2002, გვ. 143-145.

რეჟიმს ირჩევენ მხარეები. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ,საქორწინო ხელშეკრულებას ძირითადად დებენ ის მოქალაქეები, რომლებიც ხელმეორედ ქორწინდებიან. როგორც წესი, ეს ხდება, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში ქორწინების რეგისტრაციამდე და ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მხარე უკვე ფლობს გარკვეული უძრავი სახის ქონებას და სურთ შემდგომშიც ჰქონდეთ მასზე სრული უფლება.

ნოტარიუსის საქმიანობის კლასიკურ სფეროს წარმოადგენს საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც მთელი რიგი ინტერპრეტაციისა და კანონით დადგენილი ტიპიური მოთხოვნების მოდიფიცირების საშუალებას იძლევა. საქორწინო ხელშეკრულება იდება ქორწინების რეგისტრაციამდე ან მის შემდეგ ნებისმიერ დროს. როგორც წესი, ეს ხელშეკრულებები ძირითადად მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს განსაზღვრავს. აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 თავი.

მოქალაქეთა ძირითად სიმდიდრეს რეალურად უძრავი ქონება წარმოადგენს, უმეტესობის სურვილია, რომ განქორწინების შემთხვევაში შეინარჩუნოს იგი და კვლავ მის მესაკუთრედ დარჩეს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი. როგორც წესი, ადრე მშობლები შვილებს ბინებს ან სხვა ქონებას ნაჩუქრობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ კანონმდებლობა იცავდა ქორწინებამდე შეძენილ ქონებას და განქორწინების შემთხვევაში რჩებოდა მის პირველ მესაკუთრეს. ამ ეტაპზე მსგავსი თადარიგის დაჭერა არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. პრობლემის მოგვარება შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულების დადებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის თანახმად, თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა (გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული. მაგალითად ქორწინებამდე სახლი იყო ერთ სართულიანი, ხოლო ქორწინების პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი ნაწილის დამატება - 2 სართულის დაშენება, ევრორემონტის გაკეთება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სახლის საბაზრო ღი-

რებულება. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი (1176. 2). აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი მეუღლის მიერ მნიშვნელოვანი თანხის დაბანდების მიუხედავად, მეუღლეები არ გამოთქვამენ პრეტენზიას ქორწინებამდე შეძენილ ქონებაზე და იგი რჩება პირველ მფლობელს.

როგორც წესი, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ ორივე მხარის თანდასწრებით. წარმომადგენლის მიერ საქორწინო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა დასაშვებია მხოლოდ სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში. არის თუ არა ვალდებული ნოტარიუსი, მოთხოვოს მათ ქორწინების დამადასტურებელი რაიმე საბუთი? იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში აღინიშნება, რომ მხარეებმა ხელშეკრულება დაამოწმეს ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, სასურველია ნოტარიუსმა სანოტარო საქმეს დაურთოს ქორწინების მოწმობის დამოწმებული ფოტოასლი.

მნიშვნელოვანია ქორწინების განმავლობაში შეძენილი ძვირფასეულობისა და საიუველირო ნაკეთობების სარგებლობის რეჟიმის განსაზღვრის საკითხი. ნოტარიუსმა მხარეებს დაწვრილებით უნდა აუხსნას ქორწინების განმავლობაში შეძენილი ინდივიდუალური ნივთების სარგებლობის წესი, რომელიც იმ მეუღლის საკუთრებად ჩაითვალება, რომელიც ამ ნივთებით სარგებლობდა. რაც შეეხება ძვირფასეულობისა და ასეთი ხასიათის სხვა ნივთებს, ისინი ითვლება საერთო საკუთრებად. იმავდროულად, კონტრაქტის საშუალებით შეიძლება განისაზღვროს, რომ ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში ეს ნივთები დარჩება იმ მეუღლის საკუთრებაში, ვინც ამით სარგებლობდა.

ლათინური ნოტარიატის ქვეყნების კანონმდებლობა საქორწინო ხელშეკრულების დადებისას ნოტარიუსს ავალდებულებს, გაარკვიოს, არსებობს თუ არა მხარეთა შორის რაიმე სახის ქონებრივი ვალდებულებები, ჰქონდათ თუ არა მათ დადებული ადრე საქორწინო კონტრაქტი, რათა გამოირიცხოს არასასურველი იურიდიული შედეგის დადგომა. ასევე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ქორწინებამდელი ქონების რეჟიმი. ნოტარიუსთან მისულ მოქალაქეებს ესაჭიროებათ საფუძვლიანი და ამომწურავი კონსულტაცია, რათა მათ გაიაზრონ ის ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც აპირებენ. ნოტარიუსმა მხარეები უნდა გაარკვიოს საქორწინო კონტრაქტის ყველა თავისებურებაში, ასევე უპასუხოს მათთვის საინტერესო კითხვებს. განსაკუთ-

რებით საოუთი საკითხია ქორწინებამდელი ქონება. მსგავსი კონსულტაციების შედეგად, კონტრაქტის გასაფორმებლად მისულმა მხარეებმა შეიძლება საერთოდ უარი განაცხადონ მის შედგენაზე, ან დაამატონ სხვა პირობები. აქედან გამომდინარე, მოვლენებისნების-მიერი განვითარების შემთხვევაში, მოქალაქე ვერ დაადანაშაულებს ნოტარიუსს არაკვალიფიციურობასა და უყურადღებობაში.

საინტერესოა უცხო ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ყოველი მეორე წყვილი მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში ქორწინების რეგისტრაციამდე დებს საქორწინო ხელშეკრულებას. ეს გამოწვეულია მათიცხოვრების დონითა და სოციალური მდგომარეობით. ყველა მოქალაქის უკან დგას საკმაოდ ღირებული უძრავი თუ მოძრავი ქონება, რიმლის საერთო წესით გაზიარება ვინმესთვის, თუნდაც მეუღლისთვის, მიუღებელია. ის ფენა, რომლებიც ადრეულ ასაკში ქორწინდება, არ დებს საქორწინო ხელშეკრულებას, ვინაიდან მათ ჯერ არ გააჩნიათ სერიოზული კაპიტალი. ერთად ცხოვრების პერიოდში, მეუღლეთა უმეტესობა მათი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, აკითხავს ნოტარიუსს საქორწინო კონტრაქტის გაფორმების მიზნით. საინტერესოა თვალი გადავავლოთ იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც საქორწინო ხელშეკრულებებში ფიქსირდება.

ა) მეუღლეებმა განსაზღვრეს ქორწინებამდე შეძენილი ქონების რეჟიმი, ხოლო ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე დაადგინეს განცალკევებული რეჟიმი - ამ პერიოდში თეითოეული მეუღლის მიერ შეძენილი ქონება ითვლება მის საკუთრებად.

ბ) კონტრაქტი შედგენილია ქორწინების პერიოდში, ასაკოვანი მეუღლეების მიერ. მათ აქვთ დიდი ქონება. მათ აირჩიეს ქონებრივი ურთიერთობის განცალკევებული რეჟიმი, მაგრამ ქმარმა ნებაყოფილობით აიღო თავის თავზე მოვალეობა ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, გაეწია თავისი მეუღლისთვის მატერიალური დახმარება იმ შემთხვევაში, თუ იგი უმუშევარი იქნებოდა. მათ მიერ დადგენილ იქნა თანხის ოდენობა, რომელიც მისი (ქმრის) პენსიის იდენტურია.

გ) საქორწინო კონტრაქტით სააგარაკე მიწის ნაკვეთი ეკუთვნის ერთ-ერთ მეუღლეს. ამავე ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ნაკვეთის მეორე მეუღლის ხარჯზე გადაგეგმარების, მისი საბაზრო ღირებულების მნიშვნელოვანწილად გაზრდის შემთხვევაშიც კი, მიწის ნაკვეთი და შენობა რჩება ამ მეუღლის საკუთრებაში. განქორწინების შემთხვევაშიც, მეორე მეუღლეს არ აქვს მასზე არანაირი უფლება.

დ) ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, ერთი მეუღლე იღებს ვალდებულებას, გაუწიოს მეორე მეუღლეს მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება რამოდენიმე წლის განმავლობაში, სანამ იგი არ შეძლებს აღიდგინოს თავისი პროფესიული ჩვევები ან სანამ ხელმეორედ არ შექმნის ოჯახს.

ე) თუ ერთ-ერთი მეუღლე მიიღებს გადაწყვეტილებას ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასვლაზე, ხოლო მეორე მეუღლე დარჩება სამშობლოში, განქორწინების ან თუნდაც ერთად ცხოვრების პერიოდში იგი იღებს ვალდებულებას, სამშობლოში დარჩენილი მეუღლის ბინით უზრუნველყოფის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქორწინო ხელშეკრულებაში შეიძლება ჩაიდოს მეტად არაორდინალური მოთხოვნები, რომლებიც იმავდროულად, არ უნდა ლახავდეს მეორე მხარის უფლებებს, მის თავისუფალ ნებას. საქართველოს ნოტარიუსებისთვის ეფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს სხვა ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა საქორწინო ხელშეკრულებების დამოწმებასთან დაკავშირებით. ჩვენი საკანონმდებლო სივრცე მეტ-ნაკლებად გაჯერებულია გერმანიის სამართლით უკვე გამოცდილი, მრავალსაუკუნოვანი სამოქალაქო აქტებით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი, სამართლის ცალკე ნორმად ითვალისწინებს განქორწინების ხელშეკრულების ფორმას. თუ ხელშეკრულება მოწმდება სპეცია-

ლურად განქორწინებისათვის, მას ეწოდება "შეთანხმება განქორწინების შემთხვევაში". ამ ფორმით საკითხის მოწესრიგების ტიპიურ ფორმას წარმოადგენს ალიმენტის სიდიდის, მისი გადახდის ვადის განსაზღვრა, აგრეთვე იმ საკითხების გადაჭრა, რომელიც ეხება ერთობლივი ცხოვრების დასრულების შემდგომ პერიოდში ქონების განაწილებას. ასეთი მოთხოვნების სრული და ამომწურავი სახით განსაზღვრა, როგორც წესი, მეუღლეებს შორის დასაშვებია. ნოტარიუსი მონაწილე მხარეებთან ერთად დაწვრილებით განიხილავს, თუ როგორი შეთანხმებაა მათთვის ყველაზე უფრო მისაღები და იმავდროულად მიუთითებს მათ კანონმდებლობით დადგენილ ზღვარზე.

ნებისმიერი მსგავსი სახის ხელშეკრულებები აუცილებელია იმ შემთხვევებისთვის, თუ კანონით დადგენილი ნორმები მონაწილე მხარეთა სურვილებს არ ეთანხმება.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა "კანონით გათვალისწინებული მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი". ეს რეჟიმიავტომატურად შედის ძალაში ქორწინების რეგისტრაციისას იმ პირობით, თუ ხელშეკრულებით მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგების სხვა რაიმე სახის სპეციალური პირობები არ არის გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობა მოგვარებულია შემდეგნაირად: ქორწინებისას მეუღლეები ინარჩუნებენ თავიანთქონებას, ხოლო ქორწინების პერიოდში შეძენილი ნებისმიერი ქონება ითვლება საერთო საკუთრებად.აქ, ჩვეულებრივ, მოქმედებს პრინციპი, რომლის დროსაც მეუღლეები რჩებიან თავიანთი ქონების ერთპიროვნულ მესაკუთრეებად და განკარგავენ მას თავიანთი შეხედულებისამებრ. გაყრის შემთხვევაში (აქ იგულისხმება თითოეული მეუღლის ქორწინებამდელი და შემდგომ პერიოდში შეძენილი ქონება), ერთი მეუღლის გაზრდილი ქონება შეედრება მეორისას და ნამატი სხვაობა მათ შორის კომპენსირდება ნახევრად ფულადი სახით. ქორწინების პერიოდში ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთი მეუღლის ხარჯზე. განქორწინების შემთხვევაში ამ გარემოებას არ ექცევა არანაირი ყურადღება.

ეს რეჟიმი ყველაზე მეტად შეესაბამება ისეთი სახის ქორწინებას, როდესაც ორივე მეუღლეს გააჩნია ერთნაირი ქონება ან

საერთოდ არ გააჩნიათ ის, ან ქორწინებისას თუ ორივე მეუღლე მუშაობს და აქვთ იდენტური შემოსავლები. ასევე, თუ ერთ-ერთი მეუღლე მუშაობს, ხოლო მეორე დაკავებულია სახლის საქმეებით და ბავშვის აღზრდით. ამ შემთხვევაში, განქორწინებისას ქორწინებამდე და მის განმავლობაში მომუშავე მეუღლის მიერ შეძენილი ნამატი ქონება კომპენსირდება არამომუშავე მეუღლის სასარგებლოდ. გერმანელი სპეციალისტები თვლიან, რომ ასეთი რეჟიმი ხშირ შემთხვევაშიაღიქმება როგორც არასამართლიანი; კერძოდ, ქორწინებისას ან ქორწინების პერიოდში ერთ-ერთი მეუღლის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ან ნაჩუქარი ქონება, რომლის ღირებულებაც ბევრად აღემატება მეორე მეუღლის ქონებას და ამით იზრდება იმ ქონების ღირებულება, რომელიც შეძენილია ქორწინებამდე, ამ რეჟიმის პირობებში, ექცევა ქორწინებამდელი და ქორწინების პერიოდში შეძენილი საკუთარი ქონების ღირებულების ნამატში.

ასევე პრობლემატურია განქორწინების შემთხვევაში მეუღლეთა ქონების გაყოფის საკითხი, რომლის დროსაც მხედველობაში იღებენ ორივე მეუღლის ქორწინებამდელი და ქორწინების პერიოდში საწარმოდან მიღებული ან თავისუფალი პროფესიის მქონე პირის მიერ დაგროვილი ქონების ღირებულებას. როგორც წესი, ამ სფეროში დაგროვილი თანხის ოდენობა საკმაოდ სერიოზულია და ხშირ შემთხვედვაში მნიშვნელოვნად აჭარბებს სასიცოცხლო მოთხოვნებისათვის დადგენილ ნორმებს. ამ შემთხვევაში განქორწინებისას, როდესაც აუცილებელია თითოეული მეუღლის მიერ ქორწინებამდე და ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების ნამატის ნახევარი ოდენობის გადახდა, საწარმოს არსებობის შემთხვევაში, მისი მფლობელი შეიძლება გაკოტრებამდე მიიყვანოს და იგი იძულებული შეიქნეს გაყიდოს ან იპოთეკით დატვირთოს საწარმოს ქონება. მსგავსი არასასურველი შედეგის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები რჩევისთვის მიმართავენ ნოტარიუსს, საკითხის დარეგულირების თვალსაზრისით. ნოტარიუსი მონაწილე პირებთან ერთად დეტალურად განიხილავს მათ სიტუაციას და აუცილებლობის შემთხვევაში, მათი სურვილების გათვალისწინებით სთავაზობს პრობლემის მოგვარების ყველაზე საუკეთესო ვარიანტს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობით პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ საქორწინო ხელშეკრულება იდება ორივე მხარის თანდასწრებით. ამ დროს ნოტარიუსს, მხარე-

თა სურვილების გათვალისწინებით, ეძლევა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებში ლავირების საშუალება. მხარეებს ხელშეკრულებაში შეუძლიათ აღნიშნონ, რომ განქორწინების შემთხვევაში, არ იმოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი თითოეული მეუღლის მიერ ქორწინებამდე და ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების ღირებულების ნამატის ნახევარი ოდენობით გადახდის რეჟიმი, საწარმოს არსებობის შემთხვევაში. ასევე არსებობს მეუღლეთაქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის შეცვლის შესაძლებლობა. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ე.წ. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ამორჩევის რეჟიმებს. მაგალითად, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის განცალკევებული და საერთო რეჟიმი. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ეს რეჟიმები წარმოადგენენ საკითხის დარეგულირების ისეთ მოდელს, რომელიც გერმანიის ტრადიციებიდან წარმოიშვა. კანონმდებელმა ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართლის კოდექსში ასახა მოსახლეობაში ყველაზე უფრო გავრცელებული, მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობის ფორმები.

მეუღლეთა განცალკევებული ქონებრივი ურთიერთობისას, დაუშვებელია მეუღლეთა ქონების გაყოფის მოთხოვნა, როდესაც მხედველობაში იღებენ ქორწინებამდელი და ქორწინების პერიოდში შეძენილი თითოეული მეუღლის ქონების ღირებულებას ნამატის ნახევარი ოდენობით. სწორედ განცალკევებული ქონებრივი რეჟიმის შესახებ საქორწინო ხელშეკრულების დადებისას, ნოტარიუსმა დაწვრილებით უნდა ასახოს პირობები და იმავდროულად ის სამართლებრივი შედეგები, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს ამ ფორმით დადებული გარიგებიდან.

რაც შეეხება მეუღლეთა საერთო ქონებრივ ურთიერთობებს, ცალსახად აშკარაა, რომ ნებისმიერი ქონება, შეძენილი ქორწინების პერიოდში ან შეძენილი ერთ-ერთი მეუღლის მიერ, წარმოადგენს ორივეს თანასაკუთრებას. მეორეს მხრივ, ისინი თავიანთი საერთო ქონებრივი მდგომარეობის ფარგლებში, იღებენ პასუხისმგებლობას ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის ყველა ვალზე. ამ შემთხვევაშიც, ნოტარიუსი ვალდებულია გაუმახვილოს ყურადღება მხარეებს მათ მიერ არჩეული მსგავსი შეთანხმების რისკსა და ამით გამოწვეულ შედეგებზე.

ლათინური ტიპის ნოტარიატის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მათი კანონმდებლობის მოთხოვნების საქართველოს

კანონმდებლობაზე მორგება, კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებს საქორწინო ხელშეკრულების პირობებს. ნოტარიუსი ყოველთვის მომზადებული უნდა იყოს ისეთი არაორდინალური ტარიფების დამოწმებისთვის, როგორიცაა საქორწინო ხელშეკრულება. პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური ნოტარიუსი, თავისი პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე, ზედმიწევნით კარგად უნდა ფლობდეს სანოტარო მოქმედების შესრულების თავისებურებებს და ასრულებდეს ნებისმიერი სირთულის სანოტარო მოქმედებას, რათა არ დაირღვეს მოქალაქის უფლებები[1].

*ანდერძის დადასტურება* სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ანდერძს ადასტურებენ ნოტარიუსები და "ნოტარიატის შესახებ" კანონის 42-44-ე მუხლებით გათვალისწინებული პირები. ანდერძის სანოტარო ფორმა მოითხოვს, ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ.

ანდერძი, ქმედუნარიანმა მოქალაქემ პირადად უნდა წარუდგინოს ნოტარიუსს. ერთი ანდერძის დადასტურება რამდენიმე პირის სახელით, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება.

ანდერძი უნდა შედგეს წერილობით, მისი შედგენის ადგილისა და დროის აღნიშვნით და მოანდერძემ თვითონ უნდა მოაწეროს მასზე ხელი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 551 მუხლი).

ნოტარიუსმა მოანდერძის სიტყვებით შეიძლება ჩაიწეროს ანდერძის ორი მოწმის თანდასწრებით, ანდერძის ჩაწერისას შეიძლება გამოყენებული იქნეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებები, როგორიცაა, დიქტოფონი, საბეჭდი მანქანა, კომპიუტერი და ა.შ.

მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსის და მოწმის თანდასწრებით მოაწერსო ხელი.

თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით თვითონ ვერ აწერს ხელს ანდერძს, შეიძლება მისი თხოვნით ხელი მოაწეროს სხვა პირმა, ამასთან, ნოტარიუსმა უნდა აღნიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა.

---

[1] თეა აბრამიძე - საქორწინო ხელშეკურლება, საქართველოს ნოტარიატი, 2003 წ. 3-4 გვ. 34-35

მოქალაქეს რომელსაც უანდერძებენ ქონებას, უფლება არ აქვს დაესწროს ანდერძის შედგენას და ხელი მოაწეროს მას მოანდერძის მაგიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას თვით მოანდერძე ითხოვს, ამ შემთხვევაში, ანდერძის ორივე ეგზემპლიარზე კეთდება აღნიშვნა მოანდერძის თხოვნის შესახებ, რაც დამოწმებული უნდა იქნას მოანდერძის (ან მისი დავალებით ანდერძზე ხელის მომწერი პირის), ნოტარიუსის ხელმოწერით და ნოტარიუსის ბეჭდით.

ანდერძის დადასტურება წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება. თუ მოანდერძე ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯია, ან წერა-კითხვის უცოდინარია, საანდერძო განკარგულება მან უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან ორი მოწმისა და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელის მოწერით, რომ ანდერძის შინაარსი შეესაბამება მოანდერძის ნებას.

მოანდერძემ, რომელიც ბრმაა ან არ შეუძლია წერა-კითხვა, საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, რომლეიც მას უნდა წაეკითხოს და აღნიშნულის თაობაზე აღინიშნოს სანოტარო დოკუმენტში.

ჩამწერი და წამკითხველი შეიძლება იყვნენ მოწმეებიც, მაგრამ ჩამწერი არ უნდა იყოს წამკითხველი.

ჩანაწერში მითითებული უნდა იქნას, თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა.

ანდერძის მოწმეებად არ შეიძლება იყვნენ არასრულწლოვანები, ქმედუუნაროდ აღიარებული პირები, ანდერძით მემკვიდრე და მისი ნათესავები დაღმავალი და აღმავალი ხაზით, დები, ძმები, მეუღლე და საანდერძო დანაკისრის მიმღები(ლეგატორი). შესაბამისად, მოწმეებს განემარტებათ სამოქალაქო კოდექსის 1362-1363 მუხლები, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს ანდერძზე გაკეთებულ დამადასტურებელ წარწერაში, ამასთან, ნოტარიუსი და მოწმეები, მოანდერძის სურვილის არსებობის შემთხვევაში და "ნოტარიატის შესახებ" კანონის მე-9 მუხლით დადგენილ შემთხვევაში, შესაძლებელია განთავისუფლდნენ საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან.

ნოტარიუსს, რომელმაც დაადასტურა ანდერძი, მოწმეს, ასევე პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად უფლება არ აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ

ცნობები, რომლებიც შეეხება ანდერძის შინაარსს, მის შედგენას, შეცვლას ან გაუქმებას.

მოანდერძემ, სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის თანახმად ანდერძი შეიძლება შეადგინოს ნოტარიუსის გარეშეც და მოაწეროს მას ხელი (შინაურული ანდერძი). მოანდერძეს შეუძლია ასეთი ანდერძი დალუქული კონვერტით გადასცეს ნოტარიუსს სამი მოწმის თანდასწრებით, რაც უნდა დადასტურდეს კონვერტზე ხელის მოწერით. ნოტარიუსი ვალდებულია შინაურული ანდერძი მიიღოს შესანახად - ოფიციალური დეპონირებისათვის.

ანდერძის დადასტურებისათვის საზღაური იანგარიშება როგორც ერთი სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის. მოწმეთა ხელმოწერები და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები აისახება სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციი სწიგნში. მაგრამ მათ არ მიენიჭებათ დამოუკიდებელი სანოტარო მოქმედებისათვის კუთვნილი რიგითინომერი.

ანდერძის ტექსტი შეიძლება გამოიცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, როგორც კომპიუტერი, საბეჭდი მანქანა და ა.შ. მაგრამ ყველა შემთხვევაში ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ, მოანდერძისა და ორივე მოწმის თანდასწრებით ანდერძზე სათანადო წარწერის გაკეთებით, მოწმეთა სახელის, გვარის და საცხოვრებელი ადგილის მითითებით.

ანდერძის დადასტურებისას მოანდერძეს უნდა განემარტოს სამოქალაქო კოდექსის 1372 მუხლი და აღნიშნულმა ასახვამ უნდა ჰპოვოს ანდერძის ტექსტში.

ნოტარიუსმა ანდერძის დადასტურებისას უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ ანდერძში მითითებული იყოს მისი შედგენის თარიღი. თარიღის არ არსებობა იწვევს ანდერძის ბათილობას მხოლოდ მაშინ, თუ ვერ გაქარწყლდება ანდერძის შედგენის,შეცვლის ან გაუქმებისას, ასევე რამდენიმე ანდერძის არსებობისას მოანდერძისქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ეჭვი.

ანდერძის დადასტურებისას მოანდერძეს არ მოეთხოვება მტკიცებულებათა წარდგენა, რომლებიც ადასტურებენ მის უფლებას საანდერძო ქონებაზე.

"ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნოტარიუსის მიერ დადასტურებული ანდერძი ტარდება რეესტრში და აღირიცხება სანოტარო ბიუროში არსებული ანდერძის აღრიცხვის ანბანურ დავთარში. ანდერძის აღრიცხვის ალფაბეტურ დავთარში აღირიცხება აგრეთვე ნოტარიუსისათვის შესანახად გაცემული შინაურული ანდერძები და ის ანდერძები, რომლებიც დამოწმებულია "ნოტარიატის შესახებ". კანონის 43-44-ე და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1359-ე მუხლებით გათვალისწინებული თანამდებობის პირების მიერ.

თუ ნოტარიუსმა მიიღო განცხადება დადასტურებული ანდერძის გაუქმების შესახებ ან ახალი ანდერძი, რომელიც აუქმებს ან ცვლის ადრე დადასტურებულ ანდერძს, ნოტარიუსი ამის თაობაზე აღნიშვნას აკეთებს სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში, ანდერძის ანბანურ დავთარში და ანდერძის იმ ეგზემპლიარზე, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში. თუ მოანდერძე წარმოადგენს მის ხელთ არსებულ ეგზემპლარს, აღნიშვნა ანდერძის გაუქმების შესახებ კეთდება იმ ეგზემპლიარზეც, რის შემდეგ იგი განცხადებასთან ერთად (თუ ანდერძი გაუქმებულია განცხადებით) თან დაერთვის სანოტარო ბიუროში შენახულ ეგზემპლიარს.

ანდერძის გაუქმების შესახებ განცხადებაზე ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით.

თუ ანდერძი დადასტურებულია სხვა სანოტარო ბიუროში (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ან საკონსულოში), მოანდერძე ან ნოტარიუსი სანოტარო წესით დადასტურებულ განცხადებას მისი გაუქმების შესახებ უგზავნის ანდერძის დამადასტურებელ ნოტარიუსს (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საკონსულოს) ან მოანდერძის ბოლო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მომუშავე ნოტარიუსს, რომელსაც "ნოტარიატის შესახებ" კანონის 41-ე მუხლის "ბ-ვ" პუნქტების შესასრულებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისი სამუშაო უბანი (და სადაც - თავს იყრის "ნოტარიატის შესახებ" კანონის 43-44-ე მუხლების შესაბამისად დადასტურებული ანდერძები).

ნოტარიუსის მიერ მოანდერძეს უნდა განემარტოს სამოქალაქო კოდექსის 1414-1420-ე მუხლებიდა აღნიშნულმა ასახვა უნდა ჰპოვოს საანდერძო და ნაკისრში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს, რომლის არსიც იმაშია, რომ ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც (სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლი).

მოანდერძეს შესაძლებლობა აქვს ანდერძის მეშვეობით შეცვალოს როგორც კანონით დადგენილ მემკვიდრეთა რიგითობა, ისე იმ წილთა მოცულობა რომელსაც მიიღებდა თითოეული მემკვიდრე კანონით მემკვიდრეობის დროს.

მოანდერძე (მამკვიდრებელი) შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება (სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლი). ქმედუნარიანობის დაკარგვა ანდერძის შედგენის შემდეგ, ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს. შესაძლებელია ქმედუნარიანი პირი ანდერძის შედგენის მომენტში ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ არშეეძლო გონივრულად განესაჯა თავისი მოქმედება და ნათლად გამოეხატა თავისი ნება (ასეთი შეიძლება გამოიწვიოს დიდმა ფიზიკურმა ტკივილმა, ძლიერმა სულიერმა განცდამ და სხვა). ამიტომ კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ანდერძის შედგენის მომენტში პირს უნდა შეეძლოს თავისი მოქმედების გონივრულად განსჯა და თავისი ნების ნათლად გამოხატვა.

ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ, ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება. ანდერძი მხოლოდ ერთი მამკვიდრებლის განკარგულებას უნდა შეიცავდეს, არ დაიშვება ერთობლივი ანდერძი, ე.ი. ერთი ანდერძის შედგენა ორი ან მეტი პირის მიერ. ამ წესიდან მხოლოდ ერთი გამონაკლისია დაშვებული- ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ ერთობლივი ანდერძი შეუძლიათ შეადგინონ მეუღლეებმა. ასეთი ანდერძი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ურთიერთმემკვიდრეობას, ე.ი. მემკვიდრეობას ერთმანეთის შემდეგ- იგი არ შეიძლება ეხებოდეს სხვა მემკვიდრეებს. მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი შეიძლება გაუქმ-

დეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ - ჯერ კიდევ ორივე მეუღლის სიცოცხლეში (სამოქალაქო კოდექსის 1347-ე მუხლი).

ანდერძი შეიძლება შეეხოს მთელ სამკვიდროს ან მის ნაწილს. როცა ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მოანდერძეს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს თითოეული ანდერძით მემკვიდრის წილი სამკვიდროდან. თუ ანდერძით თითოეული მემკვიდრის წილი განსაზღვრული არ არის, მაშინ სამკვიდრო თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში მხოლოდ ერთი მათგანის წილია განსაზღვრული, სხვების კი - არა, მაშინ ეს უკანასკნელნი თანაბრად მიიღებენ დანარჩენ ქონებას.

თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული და ერთ-ერთი მემკვიდრისათვის განსაზღვრული ქონება მთელ სამკვიდროს მოიცავს, მაშინ ყველა ანდერძით მემკვიდრემ თანაბარი წილი უნდა მიიღოს. მაგალითად, მოანდერძემ ანდერძში მიუთითა ქონებაზე ერთი მემკვიდრის სასარგებლოდ, მაგრამ მეტი ქონება სამკვიდროში არ აღმოჩნდა.

ქონების ნაწილზე რომელსაც ანდერძი არ შეხებია. ე.წ. ანდერძის გარეთ დარჩენილ ქონებაზე, განხორციელდება კანონით მემკვიდრეობა და განაწილდება კანონით მემკვიდრეთა შორის, რომელთა რიცხეში შედიან ის კანონით მემკვიდრეებიც, რომლებსაც ეანდერძათ ქონების ნაწილი, თუ ანდერძით მემკვიდრემ ანდერძით მიიღო ქონების ნაწილი. იგი ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთმა კანონით მემკვიდრემ ანდერძით მიიღო ქონების ნაწილი, იგი ანდერძით გარეთ დარჩენილ ქონებიდანაც მიიღებს წილს, როგორც კანონით მემკვიდრე. მდგომარეობა შეიცვლება, თუ ანდერძით გათვალისწინებული იქნება, რომ ქონების ანდერძით გაუთვალისწინებელინაწილი უნდა განაწილდეს სხვა კანონით მემკვიდრეებზე. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრე, რომელმაც ანდერძით მიიღო ქონების ნაწილი, დანარჩენი ნაწილიდან წილს ვერ მიიღებს (სამოქალაქო კოდექსის 1351-ე მუხლი).

თუ კანონით მემკვიდრეები არ არიან და არიან მხოლოდ ანდერძით დანიშნული მემკვიდრეები, რომლებსაც ანდერძით განსაზღვრული აქვთ თავიანთი წილი, მაგრამ ყველას წილი არ ამოწურავს სამკვიდროს მთლიანად, მაშინ მათი წილი თანაზომიერად გაიზრდება. მაგალითად, თუ მოანდერძემ ორი მემკვიდრე და-

ნიშნა და თითოეულს უანდერძა სამკვიდროს ერთი მესამედი, მაშინ ანდერძით გაუნაწილებელი რჩება კიდევ ერთი მესამედი, რომელიც ანდერძით მემკვიდრეებზე უნდა განაწილდეს, თუ კანონით მემკვიდრეები არ არიან (სამოქალაქო კოდექსის 1351-ე მუხლი).

მოანდერძემ თვითონ უნდა განსაზღვროს მემკვიდრეები და მათთვის გადასაცემი წილის ოდენობა.მოანდერძეს არ შეუძლია დაავალოს სხვა პირს იმის განსაზღვრა, თუ ვინ უნდა მიიღოს წილი სამკვიდროდან და რა რაოდენობით.

შესაძლებელია ანდერძში მემკვიდრის პიროვნება განსაზღვრული იქნეს ისეთი ნიშნებით, რომლებიც შეიძლება რამდენიმე პირს მიუდგეს და შეუძლებელი გახდეს დადგენა თუ რომელი ჰყავდა მხედველობაში მოანდერძეს. ასეთ შემთხვევაში ისინი ყველანი ჩაითვლებიან მემკვიდრეებად თანასწორი წილის უფლებით, მაგალითად, მოანდერძემ ანდერძში მიუთითა, რომ ქონებას უანდერძებს დისშვილს, მაგრამ მას ყავს მეორე დისშვილი, რომელსაც იგივე სახელი და გვარი აქვს. ასეთ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, თუ რომელი დის შვილიჰყავდა მხედველობაში მამკვიდრებელს, ორივე დისშვილი მემკვიდრედ ჩაითვლება თანაბარი წილის უფლებით.

მოანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მოტივზე. ამ მიზნით, მან შეიძლება პირდაპირ მიუთითოს იმ კანონით მემკვიდრეებზე, რომლებსაც მემკვიდრეობასართმევს ან საერთოდ არ მოიხსენიოს ისინი ანდერძში. მაგალითად, თუ ანდერძში ნათქვამია, რომ მოანდერძე მთელ თავის ქონებას უტოვებს მეუღლეს და არაფერია ნათქვამი შვილებზე, იგულისხმება რომ შვილებს მემკვიდრეობა ჩამოერთვათ, მაშასადამე, მამკვიდრებელს კანონით მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა შეუძლია ორი საშუალებით:

1. ანდერძში იმის პირდაპირი მითითებით, რომ გარკვეულ პირს (პირებს) ერთმევა მემკვიდრეობა; 2. ანდერძით ქონების განაწილებისას გარკვეული პირისათვის (კანონით მემკვიდრეობისათვის) გვერდის ავლით.

პირი რომელსაც ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთვა მემკვიდრეობა, ვერც კანონით მემკვიდრე ვერ იქნება ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ანდერძში არ შესულა, ასევე მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მაშა-

სადამე, აღნიშნულ შემთხვევაში, კანონით მემკვიდრე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიიღებს წილს სამკვიდროდან.

კანონით მემკვიდრეები რომლებიც მითითებული არ არის ანდერძში, ინარჩუნებენ მემკვიდრეობის უფლებას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელსაც ანდერძი არ შეხებია. ისინი აგრეთვე მიიღებენ ანდერძით გათვალისწინებულ ქონებასაც, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხლები არ არიან ანდერძით მემკვიდრეები, ან ყოველმა მათგანმა უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე (სამოქალაქო კოდექსის 1355-ე მუხლი).

თუ მთელი სამკვიდრო ანდერძით იყო განაწილებული და ერთ-ერთმა ანდერძით. მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე ისე, რომ არ მიუთითა ვის სასარგებლოდ ამბობს უარს, მისი წილი სხვა ანდერძით მემკვიდრეებზე გადავა და არა კანონით მემკვიდრეებზე. ასეთ შემთხვევაში, კანონით მემკვიდრეთა მოწვევა სამკვიდროს მისაღებად მოანდერძის ნების საწინააღმდეგოდ იქნება, რადგან ასეთიანდერძი აშკარად მიუთითებს, რომ მოანდერძეს არ სურდა ქონების დატოვება კანონით მემკვიდრეობისათვის, განსხვაევებულად უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა მოანდერძემ მთელი ქონება გაანაწილა ანდერძით მემკვიდრეთა შორის, მაგრამ ერთ-ერთი ანდერძით მემკვიდრის მიმართ ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში, იმ მემკვიდრის წილი, რომლის მიმართაც ანდერძი გაბათილდა, გადავა კანონით მემკვიდრეებზე.

კანონი აღმატებულ მოთხოვნებს უყენებს ანდერძის ფორმას. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ პირი, რომლის ნებაც ანდერძშია გამოხატული, როცა ანდერძი ძალას იძენს, უკვე ცოცხალი აღარ არის, ხოლო მისი "უკანასკნელი ნების" დადგენა შეიძლება თუ დაცულია ანდერძის კანონით დადგენილი ფორმა.

საქართველოს საქალაქო კოდექსი ანდერძის მხოლოდ წერილობით ფორმას ითვალისწინებს ამასთან წერილობითი ანდერძი თავის მხრივ შეიძლება ორი სახის იყოს: სანოტარო წესით დადასტურების გარეშე სამოქალაქო კოდექსის (1357-ე მუხლი).

თითოეული სახის ანდერძი შეიძლება განსხვავებული წესით იქნეს შედგენილი, მაგალითად კანონი ითვალისწინებს სანოტარო ანდერძის შედგენის ორ განსხვავებულ წესს:

1. ანდერძს ადგენს და ხელს აწერს მოანდერძე და ადასტურებს ნოტარიუსი, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის - თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანო ასეთი წესით ანდერძის შედგენის

თავისებურება უპირატესად იმაშია, რომ ანდერძს თვით მოანდერძე ადგენს. ის ნოტარიუსს წარუდგენს ანდერძის ტექსტს და მისი თანდასწრებით მოაწერს ხელს.

2. ანდერძს მოანდერძის სიტყვებით ჩაიწერს ნოტარიუსი ორი მოწმის თანდასწრებით. ანდერძის ჩაწერის დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებები. მოანდერძეს სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმეების თანდასწრებით მოაწესროს ხელი(სამოქალაქო კოდექსის 1358-ე მუხლი).

როგორც აღნიშნული იყო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძის გარდა ითვალისწინებს ანდერძის სანოტარო წესით დადასტურების გარეშე. ასეთი ანდერძიც შეიძლება შედგენილი ქნეს ორი განსხვავებული წესით:

1. მოანდერძეს შეუძლია თაეისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს (სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლი).

აქ კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ანდერძი მოანდერძის ხელით უნდა იყოს დაწერილი. ასეთ ანდერძს შინაურულ ანდერძს უწოდებენ. იგი მოანდერძესთან ინახება, მაგრამ მოანდერძეს შეუძლია ასეთი ანდერძი დალუქული კონვერტით გადასცეს ნოტარიუსს.ნოტარიუსისათვის კონვერტის გადაცემას უნდა ესწრებოდეს სამი მოწმე, რომლებიც ხელს აწერენკონვერტზე. ასეთ შემთხვევაში ანდერძის შენახვა უზრუნველყოფილი უნდაიქნეს მისი ოფიციალური დეპონირებით ნოტარიუსთან.

2. მოანდერძეს შეუძლია ანდერძის ტექსტი გადმოსცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებებით და მოაწეროს ხელი, მაგრამ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელისმოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით. მოწმეები ადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყოს მათი თანდასწრებით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მოწმეების მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოსდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ ანდერძზე სათანადო წარწერის გაკეთებით, მოწმეთა სახელის, გვარის და საცხოვრებელი ადგილის მითითებით. თუ მოანდერძეს სურს, რომ ასეთი ანდერძის შინაარსი არ გააცნოს მოწმეებს, მაშინ მოწმეებმა ანდერძი უნდა დაადასტურონ ისე, რომ არ გაეცნონ მის შინაარსს, ასეთ შემთხვევაში მოწმეები უნდა დაესწრონ ანდერძის

შედგენას და მოანდერძის ხელისმოწერის დადასტურებისას უნდა მიუთითონ, რომ ანდერძი შედგენილი იყო პირადად მოანდერძის მიერ მათ თანდასწრებით, მაგრამ არ გასცნობიან მის შინაარსს. ასეთ ანდერძს დახურულ ანდერძს უწოდებენ (სამოქალაქო კოდექსის 1367-ე მუხლი).

ანდერძის ფორმას უკავშირდება ანდერძის შეცვლისა და მოშლის საკითხი, მოანდერძე სიცოცხლეში სარგებლობს ანდერძში მოხსენებულ ქონებაზე შეუზღუდავი უფლებებით, მას ყოველთვის შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი (სამოქალაქო კოდექსის 1398-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსი ანდერძის შეცვლის ან მოშლის რამდენიმე საშუალებას ითვალისწინებს. მოანდერძეს შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი.

1. ახალი ანდერძის შედგენით. ახალი ანდერძი პირდაპირ აუქმებს წინა ანდერძს ან მის იმ ნაწილს, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება. მაშასადამე მოანდერძეს შეუძლია შემდგომი ანდერძით მთლიანად შეიცვალოს ადრინდელი ან მიუთითოს, თუ რა ცვლილებები შეაქვს მასში თუ ახალ ანდერძში ცვლილებებზე მითითებული არ არის, მაშინ გაუქმებულად ჩაითვლება წინა ანდერძის ის ნაწილი, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება. შემდგომმა ანდერძმა შეიძლება კი არ გააუქმოს ან შეცვალოს ადრე შედგენილი ანდერძი, არამედ შეავსოს იგი. თუ მოანდერძემ რამდენიმე ანდერძი შეადგინა, მაგრამ ისინი ავსებენ და მთლიანად არ ცვლიან ერთმანეთს მაშინ ყველა ანდერძი ინარჩუნებს ძალას. წინა ანდერძი ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი განკარგულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ანდერძით (სამოქალაქო კოდექსის 1400-ე მუხლი). მაგალითად, თუ ადრე შედგენილი ანდერძით მოანდერძემ გაითვალისწინა მხოლოდ სამკვიდროს ნაწილი, ხოლო დანარჩენი ქონება უფრო გვიან შედგენილი ანდერძით, მაშინ მოანდერძის, გარდაცვალების შემდეგ ძალაში დარჩება როგორც თავდაპირველი, ისე შემდგომი ანდერძი.

ანდერძის შეცვლასთან ან მოშლასთან დაკავშირებით, კანონი უპირატესობას აძლევს სანოტარო ანდერძს. ერთი პირის მიერ შედგენილი რამდენიმე ანდერძს შორის, რომელთაგანერთ-ერთი სანოტარო ფორმითაა შედგენილი, დანარჩენი კი არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს ეძლევა (სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლი). აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ თუ

მოანდერძემ პირველი ანდერძი სანოტარო ფორმით შეადგინა, შემდგომი კი სანოტარო ფორმის გარეშე, პირველი ანდერძი ძალაში დარჩება, რადგან ის არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმის ანდერძით. სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი შეიძლება შეიცვალოს ან მოიშალოს მხოლოდ სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძით ან სანოტარო ორგანოში განცხადებების შეტანით. შინაურული ანდერძი კი შეიძლება შეიცვალოს ან მოიშალოს როგორც ნოტარიული, ისე შინაურული ანდერძით.

თუ ნოტარიულად დადასტურებული ანდერძით მთელი სამკვიდრო არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება შემდგომ იქნა გათვალისწინებული სხვა ფორმის ანდერძით, მშაინ ეს ანდერძი ძალაში რჩება, რამდენადაც ის კი არ აუქმებს ან ცვლის ნოტარიულად დადასტურებულ ანდერძს, არამედ ავსებს მას.

2. განცხადების შეტანით მოანდერძეს შეუძლია მოიშალოს ანდერძი სანოტარო ორგანოში (თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოში) განცხადების შეტანის გზით განცხადებაზე ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით.

3. ანდერძის ყველა ეგზემპლიარის მოსპობით მოანდერძის მიერ ან ნოტარიუსის მიერ, მოანდერძის განკარგულებით. ანდერძის შეცვლასა და მოშლასთან ერთად კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ანდერძი ძალას კარგავს თუ:

ა. პირი რომლის სასარგებლოდაც შედგენილი იყო ანდერძი გარდაიცვალა მოანდერძეზე ადრე:

ბ. ნაანდერძევი ქონება დაიკარგა მოანდერძის სიცოცხლეში ან მოანდერძემ გაასხვისა იგი (მაგალითად, სახლი, რომელიც მოანდერძემ სხვას უანდერძა, ანდერძის შედგენის შემდეგ დაიწვა ან მოანდერძემ გაყიდა იგი. ასეთ შემთხვევაში ანდერძი უსაგნოდ რჩება და ძალას კარგავს. თუ ხანძრისგან სახლის ნაწილი დაიწვა ან მოანდერძემ სახლის ნაწილი გაყიდა, მაშინ ფაქტობრივადხდება ანდერძის შეცვლა).

გ. ერთადერთი მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე (სამოქალაქო კოდექსის 1402-ე მუხლი).

ანდერძი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი დადგენილია, რომ ანდერძი ბათილად ჩაითვლება იმ პირობების არსებობისას რომლებიც იწვევენ გარიგების ბათილობას საეროთდ ბათილია საანდერძო განკარგულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს ან საზოგა-

დოებრივ ინტერესებს, აგრეთვე ისეთი განკარგულებები, რომლებიც გაუგებარია ან ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით ასევე ისეთ მდგომარეობაში, როცა პირს არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი (სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლი).

აღნიშნულის გარდა, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ზოგიერთ სხვა გარემოებას, რომელიც ანდერძის ბათილობას იწვევს. ბათილია საანდერძო განკარგულება, რომლის საფუძველზეც ხდება ისეთ ნივთზე მემკვიდრედ მოწვევა, რომელიც არ არის სამკვიდროში. ბათილი ქნება ასევე განკარგულება, რომლითაც ვინმეს უანდერძა ფულადი თანხა, რომელიც არ არის სამკვიდროში. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს არ შეუძლია მოითხოვოს, რომ ანდერძში მითითებული თანხა აუნაზღაურდეს სხვა ქონებიდან.

ბათილი იქნება საანდერძო განკარგულება იმის შესახებ, რომ მემკვიდრე სამკვიდროს განსაზღვრული დროით შეიძენს (მაგალითად ანდერძში იმის მითითება რომ უფლება ავტომობილზე მემკვიდრეზე გადავა სამი წლის ვადით). ან მემკვიდრე სამკვიდროს შეიძენს არა მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტიდან არამედ უფრო გვიან )მაგალითად, ანდერძში იმის გათვალისწინება რომ მემკვიდრე სამკვიდროს მიღებას მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ).

ბათილად შეიძლება ცნობილი ქნეს არა მხოლოდ მთელი ანდერძი, არამედ მოანდერძის ზოგიერთი განკარგულება. ასეთ შემთხვევაში ანდერძის დანარჩენი განკარგულებები ძალაში რჩება სამოქალაქო კოდექსის 1406-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ რამდენიმე საანდერძო განკარგულებიდან ერთ-ერთი ბათილია ან ძალა დაკარგა და მამკვიდრებელს სხვა განკარგულება არ დაუტოვებია, მაშინ სხვა საანდეძრო განკარგულებები ძალაში რჩება.

რამდენიმე ანდერძის არსებობის შემთხვევაში, თუ ანდერძიდან და სხვა გარემოებებიდან შეუძლებელია იმის დადგენა, რომელია უფრო ადრე ან გვიან შედგენილი და ამასთან, ურთიერთსაწინააღმდეგო განკარგულებებს შეიცავენ, მაშინ ყველა ანდერძი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

როგორც ცნობილია მოანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს. თუ ანდერძი, რომლითაც მემკვიდრეს მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთვა, ბათი-

ლად იქნება ცნობილი, მაშინ მემკვიდრე, რომელსაც ამ ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოერთვა, სამკვიდროს მიიღებს საერთო საფუძვლებით (სამოქალაქო კოდექსის 1407-ე მუხლი).

1. ანდერძი, რომელიც დაამოწმა ნოტარიუსმა ან რომელიც შესანახად გადაეცა ნოტარიუსს, უნდა მოთავსდეს A4 ფორმატის კონვერტში და იგი უნდა დაილუქოს. კონვერტზე ხელი უნდა მოაწეროს მოანდერძემ, მოწმეებმა (მათ არსებობის შემთხვევაში) და ნოტარიუსმა. კონვერტის დაწებების ადგილზე უნდა დაისვას ნოტარიუსის ბეჭედი და ამავე ადგილზე ხელი უნდა მოაწერონ მოანდერძემ, მოწმეებმა (მათი არსებობის შემთხვევაში) და ნოტარიუსმა.

2. მოანდერძის გარდაცვალების მოწმობის წარდგენის შემდეგ ნოტარიუსი ვალდებულია დანიშნოს ანდერძის გამოქვეყნების დღე და მოიწვიოს დაინტერესებული პირები.

3. კონვერტი უნდა გაიხსნას მოწვეული პირების თანდასწრებით.

4. ნოტარიუსი ვალდებულია ანდერძის გამოქვეყნების შესახებ შეადგინოს ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს: ნოტარიუსის სახელი და გვარი, ოქმის შედგენის თარიღი, მოწვეული და დამსწრე პირების ვინაობა და იდენტიფიკაციის სხვა მონაცემები, ინფორმაცია კონვერტის მთლიანობის შესახებ, ანდერძის შესახებ ინფორმაცია (მოანდერძის ვინაობა, ანდერძის შედგენის თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი, ანდერძის შინაარსი).

5. ოქმს ხელი უნდა მოაწერონ დამსწრე პირებმა და ნოტარიუსმა. ოქმის დამოწმებული ასლის მიღების უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს.

6. ანდერძი, რომელიც გამოქვეყნდა, უნდა დარჩეს ნოტარიუსთან, რომელთანაც იგი ინახებოდა, ხოლო ანდერძისმიერ მემკვიდრეს, ან სხვა დაინტერესებულ პირს უნდა მიეცეს ანდერძის დამოწმებული ასლი[2].

*რწმუნებულებათა დადასტურება* გარიგების დადება თუ სხვა მართლზომიერი მოქმედების შესრულება პირს შეუძლია, როგორც უშუალოდ, პირადად ისე წარმომადგენლის მეშვეობით. ცხადია, უმჯობესია, პირმა პირადად

---

2 ზურაბ ახვლედიანი - ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - ტასისი, 1998 წელი, მეორე-მესამე კვარტალი, გვ. 79-80-81

შეასრულოს ყველა მართლზომიერი მოქმედება, მაგრამ საკმაოდ ხშირად მას ამის საშუალება არ გააჩნია (არაქმედუნარიანია, ავადაა, ადგილზე არ იმყოფება, არ გააჩნია საკმაო ცოდნა და გამოცდილება). ამიტომ კანონმდებელმა დააწესა წარმომადგენლობის ინსტიტუტი.

წარმომადგენლობა არის სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის თანახმადაც გარიგება თუ სხვა მართლზომიერი იურიდიული მოქმედება, რომელსაც ასრულებს ერთი პირი (წარმომადგენელი) მეორე პირის (წარმოდგენილის) სახელით, უშუალოდ წარმოშობს, ცვლის, ან სპობს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს ამ მეორე პირის (წარმომადგენლის) მიმართ.

წარმომადგენლობაში მონაწილეობს ორი პირი: წარმომადგენელი და წარმოდგენილი. პირი, რომელიც მოქმედებს სხვისი სახელით, იწოდება წარმომადგენლად, ხოლო მეორე პირი, ვისი სახელითაც მოქმედებენ - წარმოდგენილად. პირველს უფლება აქვს იმოქმედოს მეორის სახელით, ხოლო მეორე - წარმოდგენილი მოვალეა მიიღოს თავის თავზე ყველაზე ის უფლება და მოვალეობა, რაც გამომდინარეობს წარმომადგენლის მოქმედებიდან, მის მიერ დადებული გარიგებიდან. წარმომადგენელი მოქმედებს თავისინებით და არა წარმოდგენილი პირის სურვილით.

წარმომადგენლობაში წარმომდგენელთან და წარმოდგენილ პირთან ერთად მონაწილეობს მესამე სუბიექტიც. ეს არის მესამე პირი, რომელთანაც წარმომადგენლობის მეშვეობით მყარდება სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი წარმომადგენელი უნდა იყოს ქმედუნარიანი.

სამოქალაქო კოდექსი ამ წესიდან აწესებს გამონაკლისს და მიუთითებს, რომ წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა წარმომადგენელი შეზღუდული ქმედუნარიანი იყო. ეს წესი გამოიყენება უმთავრესად მაშინ, როცა იურიდიული პირის წარმომადგენელი ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში სრულწლოვანებას მიღწეული არ არის, მაგრამ შრომით ურთიერთობაში მონაწილეობს. გარდა ამისა ზოგიერთ პირს შეიძლება პირდაპირ ჰქონდეს აკრძალული წარმომადგენლად გამოსვლა (მაგალითად, ადვოკატთა კოლეგიიდან გარიცხული ადვოკატი, მთავარი ბუღალტრის მიერ სამუშაო ადგილზე ბანკიდან ფულის აკრძალვა და სხვა).

მესამე პირის სახით წარმომადგენლობაში, რომელთანაც წარმომადგენელი სდებს გარიგებას წარმომადგენლის სახელით, შეიძლება გამოდიოდეს სამოქალაქო სამართლისნებისმიერი სუბიექტი ერთადერთი გამონაკლისი დაშვებულია კანონით, როცა წარმომადგენელს არ შეუძლია დადოს გარიგება თავის თავთან.

წარმომადგენლობა გარეგნულად მსგავსია ისეთი სამართლებრივი ურთიერთობებისა, როგორიცაა: კომისიონერი, შუამავლობა (ბროკერობა, წარგზავნილობა). მიუხედავად მსგავსებისა, მათი იურიდიული ბუნება იმდენად განსხვაევებულია, რომ არ შეიძლება რომელიმე მათგანის გაიგივება წარმომადგენლობასთან.

წარმომადგენლობის სახეებია: სავალდებულო ანუ კანონიერი წარმომადგენლობა და ნებაყოფლობითი ანუ სახელშეკრულებო წარმომადგენლობა.

სავალდებულო (კანონიერი) წარმომადგენლობა - არის ისეთი წარმომადგენლობა, რომელიც ვინმეს სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ თვით კანონითაა განსაზღვრული არა მარტო ის, თუ ვინ უნდა იყოს წარმოდგენილი, არამედ რა უფლებამოსილება აქვს ამ წარმომადგენელს. ასეთი წარმომადგენლობის მაგალითია ყველა არაქმედუნარიანი პირი, როგორც ჯანმრთელობის, ისე ასაკის გამო. ასეთად ცნობილ პირებს ჰყავთ კანონიერი წარმომადგენელი სამოქალაქო ურთიერთობებში.

ნებაყოფლობითი (სახელშეკრულებო) წარმომადგენლობა არის ისეთი წარმომადგენლობა, რომელიც წარმოიშობა წარმოდგენილი პირის სურვილით, რომელიც ირჩევს, თუ ვინ იქნება მისი წარმომადგენელი და რა უფლებაომსილება უნდა გადასცეს მას. ასეთ წარმომადგენელთან წარმოდგენილი პირი აფორმებს შეთანხმებას, რომლითაც განისაზღვრება, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მან მესამე პირებთან ურთიერთობაში.

არსებობს აგრეთვე ე.წ. კომერციული წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ეს სახე განსხვავდება ჩვეულებრივი წარმომადგენლობისაგან. კომერციული წარმომადგენელი არის პირი, რომელიც მუდმივად და დამოუკიდებლად გამოდის მეწარმეთა სახელით.

კომერციული წარმომადგენლის უფლებამოსილება პირდაპირ უნდა აისახოს ხელშეკრულებაში, რომელიც წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს, ანდა აღინიშნოს მისთვის მიცემულ მინდობილობაში.

წარმომადგენლობის შეწყვეტა ნიშნავს იმ უფლებამოსილების გაქარწყლებას, რომელიც წარმომადგენელს უფლებას აძლევდა ემოქმედა წარმოდგენილი პირის სახელით და რომლის შემდეგ ამ მოქმედებას აღარ მოჰყვება სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. წარმომადგენლობა შეიძლება შეწყდეს მხარეთა ნებით ან მათი ნების გარეშე, შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში ან ამ ვადის გასვლამდე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 109 მუხლში მითითებულია წარმომადგენლობის გაქარწყლების კანონიერი საფუძვლები:

1. იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება;
2. უფლებამოსილი პირის უარი;
3. უფლებამოსილების გამცემის მიერ უფლებამოსილების გაუქმება;
4. უფლებამოსილების გამცემის სიკვდილი ან მისი არაქმედუნარიანობის დადგომა, თუ კი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
5. უფლებამოსილების შესრულება.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნოტარიუსები ადასტურებენ რწმუნებულებს ერთი ან რამდენიმე პირის სახელით, ერთ ან რამდენიმე პირის სახელზე.

რწმუნებულების ტექსტში უნდა აღინიშნოს მისი შედგენის (ხელმოწერის) ადგილი და თარიღი, რწმუნებულების გამცემი პირის და იმ პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (იურიდიული პირის სრული დასახელება) და საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული პირის ადგილსამყოფელი), რომლის სახელზეც გაცემულია იგი, აგრეთვე საჭირო შემთხვევაში - მათ მიერ დაკავებული თანამდებობაც. ადვოკატთა სახელზე გაცემულ რწმუნებულებებში აღინიშნება მათი მუშაობის ადგილი (ადვოკატურა, ადვოკატთა ბიურო, ფირმა).

რწმუნებულების მოქმედების ვადა აღინიშნება სიტყვებით.

თუ რწმუნებულებაში ვადა აღნიშნული არ არის, იგი ქარწყლდება სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლითგათვალისწინებული წესით.

სანოტარო მოქმედების შესრულება მინდობილობის (რწმუნებულების, დაავალების ხელშეკრულების) საფუძველზე.

1. მინდობილობის (რწმუნებულების, დავალების ხელშეკრულების) საფუძველზე სანოტარო მოქმედების შესრულებისას მინდობილობის დედანი ან დამოწმებული ასლი თან უნდა დაერთოს იმ

სანოტარო აქტს, რომელიც ინახება ნოტარიუსთან. სანოტარო აქტის ყველა ეგზემპლარში სავალდებულოა მიეთითოს იმ მინდობილობის (რწმუნებულების, დავალების ხელშეკრულების) რეკვიზიტები, რომლის საფუძველზეც შესრულდა სანოტარო მოქმედება.

2. თუ მინდობილობა უკვე ინახება ნოტარიუსის არქივში, მინდობილობის ხელახალი წარდგენა არ არის სავალდებულო; ამ შემთხვევაში სანოტარო აქტს მინდობილობა არ დაერთვის და სანოტარო აქტში მიეთითება ნოტარიუსის არქივში არსებული მინდობილობის რეკვიზიტები.

3. გადანდობის უფლებამოსილების საფუძველზე შედგენილი მინდობილობის (რწმუნებულების, დავალების ხელშეკრულების) მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელ იმ დოკუმენტში დათქმულ უფლებამოსილების ვადას, რომლის საფუძველზეც ხორციელდება გადანდობა. სანოტარო აქტს, რომელიც რჩება ნოტარიუსის არქივში, თან უნდა დაერთოს ის მინდობილობა ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, რომლის საფუძველზეც შესრულდა სანოტარო მოქმედება.

4. თუ სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს სხვა პირის თანხმობის საფუძველზე, თანხმობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

5. ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები. იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში პირდაპირ და არაორაზროვნად არ არის მითითებული წარმომადგენლის იმ კონკრეტული უფლებამოსილების (ქონების ვალდებულებით დატვირთვის, უფლებამოსილების მესამე პირისათვის გადაცემის, გაყიდვის, გაჩუქების...) შესახებ, რომლის ფარგლებშიც სურს წარმომადგენელს გარიგების დადება, ნოტარიუსს ეკრძალება სანოტარო მოქმედების შესრულება.

***ქონების იპოთეკით დატვირთვის ხელშეკრულების დამოწმება***

სპეციალურ ლიტერატურაში იპოთეკა განიხილება გირავნობის ნაირსახეობად. თავდაპირველად, ის, რომ იგი სამართალში, გირავნობის ობიექტს წარმოადგენდა, როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთი. გირავნობის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ ხელშეკრულების ობიექტი მესაკუთრის (მოვალის) მფლობელობიდან კრედიტორის მფლობე-

ლობაში უნდა გადასულიყო შედმგომი სოციალურ-ეკონომიური ძერების შედეგად ბერძნული სამართალის გაელენით, წარმოიშეა იპოთეკა, რომლის მიხედვითაც გირავნობის საგანი კვლავ მესაკუთრის მფლობელობაში ირჩებოდა და მოვალეს საშუალება ეძლეოდა დაემუშაეებინა მიწა.

უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ კრედიტორს მიეცეს უფლება სხვა კრედიტორთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან (იპოთეკა). იპოთეკა შეიძლება ასევე გამოყენებული იქნეს სამომავლო ან პირობით მოთხოვნებთან დაკავშირებით, თუკი იპოთეკის დადგენის მომენტისათვის შეიძლება ამ მოთხოვნის განსაზღვრა. ასევე შეიძლება განისაზღვროს ზღვრული თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს უძრავი ნივთიდან მოთხოვნის დაკმაყეოფილება. ეს თანხა განისაზღვრება საჯარო რეესტრში შეტანით.

ის მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია, რეესტრში.

იპოთეკა იყოფა ორ სახედ: საერთო იპოთეკა, და მესაკუთრის იპოთეკა. საერთო იპოთეკა თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია რამდენიმე უძრაე ნივთზე არსებული იპოთეკით (საერთო იპოთეკა), მაშინ საერთო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოიყენება ყოველი ნივთი, კრედიტორს შეუძლია სურვილისამებრ მოთხოვნა ნებისმიერი ნივთით დაიკმაყოფილოს.

მესაკუთრის იპოთეკა - თუ მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს იპოთეკა, არ წარმოშობილა, იგი ქარწყლდება ან გადადის უძრავი ნივთის მესათკუთრეზე. მაშინ იპოთეკაც გადადის ამ უკანასკნელზე (მესაკუთრის იპოთეკა).

იპოთეკა, როგორც აქცესორული უფლება, ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, მის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ეს კი გულისხმობს, რომ, იპოთეკის დადგენისათვის უკვე უნდა არსებობდეს ის მოთხოვნა (ვალდებულება), რის უზრუნველსაყოფადაც იტვირთება უძრავი ნივთი. ამიტომ იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს იმ ხელშეკრულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც დაიტვირთა უძრავი ნივთი იპოთეკით.

მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, ბინის (ან მათი ნაწილის) იპოთეკით დატვირთვის ხელშეკრულების დამოწმებისას ნოტარიუსი უფლების გამსაზღვრელი დოკუმენტის მიხედვით ამოწმებს, ეკუთვნის თუ არა მიწის ნაკვეთი, სახლი (სახლის ნაწილი), ბინა მესაკუთრეს (დამგირავებელს), გამოითხოვოს საჯარო რეესტრის ამონაწერს ან ყადაღის ცნობას.

იპოთეკა წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. რეგისტრაცია ხდება დადგენილი წესის მიხედვით უძრავი ნივთის მესაკუთრისა და იპოთეკარის მიერ სანოტარო წესით დამოწმებული საბუთების წარდგენით.

ერთი და იგივე უძრავი ნივთი შეიძლება რამდენჯერმე დაიტვირთოს იპოთეკით, რიგითობა განისაზღვრება იპოთეკის დადგენის დროის შესაბამისად.

თუ მოვალე გააჭიანაურებს იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც იპოთეკაა, იპოთეკარი უფლებამოსილია მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია.

***იურიდიული პირების მონაწილეობით სანოტარო აქტის შედგენის საფუძვლები, კომერციული იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში პარტნიორის (აქციონერის) წილთან (აქციასთან) დაკავშირებული გარიგებები, საწესდებო კაპიტალის ქონებრივი შენატანით შევსების წესი.***

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად გამოდიან არა მარტო ფიზიკური პირები ინდივიდუალურად, არამედ ამ პირთა გაერთიანება, ჯგუფები, კოლექტივები, რომელთაც იურიდიული პირები ეწოდებათ.

საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად განაპირობა იურიდიული პირების ფართოდ მონაწილეობა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში და საუკეთესო პირობების შექმნა მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სრულყოფისათვის. იურიდიული პირის კონსტრუქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება სამართლის ახალი სუბიექტი, რომლის ქონებაც განკერძოებულია მათი შემქმნელი პირების ქონებისაგან. ასეთ სუბიექტად ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოვიდეს ცალკეულ ფიზიკურ პირთა გაერთიანება კორპორაციების სახით, მეორე შემთხვევაში კი - ქონების გაერთიანების შედეგად წარმოშობილი ორგანიზაციული წარმონაქმნი ფონდების სახით. აქედან გამომდი-

ნარე, იურიდიული პირი არის პოზიტიური სამართლის აბსტრაქტული ცნება, რომელიც შესაძლებლობას ქმნის სამართლებრივ ურთიერთობებში ინდივიდუალური ფიზიკური პირების გარდა, ახალი წარმონაქმნების მონაწილეობის მისაღებად. ფიზიკურ პირთა და ქონებათა გაერთიანების ფორმების სიმრავლის პირობებში სამართალი არჩევს ყველაზე უფრო ოპტიმალურ ფორმას და მას აღიარებს იურიდიულ პირად ანუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ.

გაერთიანება, რომ ჩაითვალოს იურიდიულ პირად ე.ი. სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში გამოვიდეს როგორც სუბიექტი მას უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები:

1. ორგანიზაციული ერთიანობა.
2. ქონებრივი დამოუკიდებლობა.
3. დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა.
4. თავისი სახელით გამოსვლა სამოქალაქო ბრუნვასა და სასამართლოში.

იურიდიული პირების სიმრავლე,მათი ორგანიზაციისა და ფუნქციონერების არაერთგვაროვანი სამართლებრივი საფუძვლები განაპირობებს მათი სხვადასხვა სახეებად დაყოფის აუცილებლობას. კრიტერიუმებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი სისტემების სხვადასხვაობა და საქმიანობის ხასიათი. პირველი კრიტერიუმის მიხედვით იურიდიული პირები იყოფა კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. კერძო სამართლის იურიდიული პირები იქმნება დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენისა და ავტონომიურობის საფუძველზე. ამასთან კერძო სამართალში ზუსტადაა განსაზღვრული რა სახის იურიდიული პირების შექმნაა შესაძლებელი. საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნა სახელმწიფოს სპეციალური აქტის საფუძველზე ხდება და ამ მხრივ კანონი რაიმე შეზღუდვას არ ითვალისწინებს, ამიტომ საესებით ლოგიკურია მათი სიმრავლე.

მეორე კრიტერიუმის მიხედვით იურიდიული პირები იყოფა არაკომერციულ და კომერციულ იურიდიულ პირებად. არაკომერციულია ისეთი იურიდიული პირი, რომელიც არ მისდევს სამეწარმეო საქმიანობას და არც შესაბამისი მოგება გააჩნია. ისინი ძირითადად ორგანიზაციულ-მმართველობით სოციალურ-კულტურულ და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ფუნქციის შესრულებას ემსახურებიან. ამიტომ ისინი სახელმწიფო ბიუჯეტის ან სხვადასხვა

ნებაყოფლობითი შენატანებისა და შეწირულობათა ხარჯზე ანხორციელებენ თავიანთ საქმიანობას. კომერციული იურიდიული პირისათვის სამეწარმეო საქმიანობა და მოგების მიღება ძირითად მიზანს წარმოადგენს, ისინი საკუთარი ხარჯებით არსებობენ.

კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ, როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის სფეროში. უმეტესად საჯარო სამართლის იურიდიული პირები არაკომერციული ხასიათისაა. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომერციულ იურიდიულ პირებს. მათი სტატუსი განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ კანონით და შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმითაა წარმოდგენილი:

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს.პ.ს)
2. კომანდიტური საზოგადოება (კ.ს.)
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შ.პ.ს.)
4. სააქციო საზოგადოება (ს.ს.)
5. კოოპერატივი და სახაზინო საწარმო

რაც შეეხება კერძო სამართლის არაკომერციულ იურიდიულ პირებს, ისინი ძირითადად კავშირებისა და ფონდების სახით არსებობენ.

ნოტარიუსს ეკრძალება კომერციული იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში პარტნიორის (აქციონერის) წილის (აქციების) გასხვისებისას პარტნიორის (აქციონერის) მეუღლეთა თანხმობის გამოთხოვა.

მეწარმეთა შესახებ კანონის 30-ე მუხლის თანახმად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორს შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი კაპიტალი თუ ყველა დანარჩენი პარტნიორი წინასწარ თანხმობას განაცხადებს, ან თუ საზოგადოების წესდებით დაშვებულია გასესხება.

სოლიდარული პასუხისმგებლობისაგან განსხვაევებით კომანდეურ საზოგადოებაში კომანდიტის წილის გასხვისება დამკოიდებული არ არის საზოგადოების პარტიორის ნებაზე. თუ სზაოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის წილის გასხვისება შეიძლება, თუმცა საზოგადოების წესებით შეიძლება საჭირო გახდეს საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

იმ შემთხვევაში, როცა საწესდებო კაპიტალი უნდა შეივსოს ქონებრივი შენატანით და ქონებრივი შენატანი არის უძრავიქონება, ან საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ-მოძრავინ ივთი, ან სხვა სამეწარმეო იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში პარტნიორის (აქციონერის) წილი (აქცია) ნოტარიუსი ვალდებულია, შეადგინოს შესაბამისი ქონების საწესდებო კაპიატლში შეტანის აქტი იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია ქონების შესაბამისი გასხვისებისათვის.

***სანოტარო მოქმედებები კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებისა და მათი შემდგომი საქმიანობის პროცესში***

ა) კავშირისა და ფონდის წესდებათა სანოტარო დამოწმება

სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის თანახმად კავშირისა და ფონდის წესდება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. წესდებათა დამოწმების დროს ნოტარიუსმა უნდა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი წესდება კანონის მოხთოვნებს. კერძოდ შეიცავს თუ არა იგი:

ა) საქმიანობის მიზნებს;

ბ) კავშირის ან ფონდის სახელწოდებებს;

გ) ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);

დ) ქონების ლიკვიდაციისა და განაწილების წესს;

ე) კავშირის ან ფონდის დამფუძნებლების, შემომწირველების, გამგეობის ყველა წევრსი სახელს, გვარს, დაბადების თარიღსა და ადგილს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს, გამგეობის სხდომების დანიშვნისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების წესებს;

ე) კავშირის შემთხვევაში კავშირის წევრთა უფლებამოსილებას;

ზ) კავშირში წევრად მიღებისა და წევრობიდან გარიცხვის წესს.

ფონდის წესდების დამოწმებისას ნოტარიუსმა უნდა შეამოწმოს, შეიცავს თუ არა ფონდის წესდება შესაწირავის მინიმალურ ოდენობასა და სახეს, მითითებას თანხის გამოყენების შესახებ.

კავშირის დამფუძნებლები, რომლებიც შეიძლება იყვნენ როორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები და რომელთა როადენობაც არ უნდა იყოს ხუთზე ნაკლები, პირადად უნდა გამოცხადდენ ნოტარიუსთან. ნოტარიუსმა მათი თანდასწრებით ხმამაღლა უნდა

წაიკითხოს წესდების ტექსტი. ჰკითხოს მათ, ეთანხმებიან თუ არა წესდების დებულებებს და შემდეგ თითოეულ მათგანს ხელი მოაწერინოს წესდებაზე. ნოტარიუსი ვალდებულია იგივე პროცედურა ჩაატაროს მაშინაც, როცა წესდების ტექსტი თვით ნოტარიუსის მიერაა შედგენილი.

ფონდის წესდების დამოწმებისას ნოტარიუსი მოვალეა შეამოწმოს ფონდის დამფუძნებლის ან დამფუძნებლების პიროვნების იდენტიფიკაცია, წაუკითხოს მას (ან მათ), ეთანხმებიან თუ არა ისინი წესდების დებულებებს და შემდეგ მოაწერინოს წესდებაზე ხელი. ნოტარიუსი ვალდებულია იგივე პროცედურა ჩაატაროს მაშინაც, როცა წესდების ტექსტი თვით ნოტარიუსის მიერაა შედგენილი.

თუ ფონდის დამფუძნებელი იღებს ვალდებულებას შეიტანოს ფონდში არაფულადი ქონება, განსაკუთრებით უძრავი ნივთები და უძრავი ნივთების მსგავსი უფლებები, ნოტარიუსი ვალდებულია მოთხოვოს დამფუძნებელს (დამფუძნებლებს) მათზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი ის საბუთი, რომელიც აუცილებელია უძრავი ქონების გასხვისების გარიგებათა დამოწმებისას.

სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებში ყოველი ცვლილება ასევე უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ამ ცვლილებათა დამოწმებისას ნოტარიუსი იყენებს იგივე პროცედურას, რაც წესდების დამოწმებისათვის არის გათვალისწინებული.

ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევით დამოწმებული წესდება ჩაითვლება არაშემდგარ და აქედან წარმოშობილი ზიანისათვის ნოტარიუსი პირადად აგებს პასუხს.

ბ) კომერციული იურიდიული პირების წესდებსი დამოწმება

კომერციულ იურიდიული პირებს რომელთა წესდებები და სხვა დამფუძნებელი დოკუმენტები სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს, განეკუთვნება: სოლიდარულ პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი.

კომერციული იურიდიული პირების წესდებათა შედგენისა თუ დამოწმების დროს ნოტარიუსმა უნდა მოუსმინოს დამფუძნებელ პარტნიორებს. მან უნდა დააზუსტოს, რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს დაფუძნება სურთ მათ. განმარტოს, თუ როგორია პარტნიორების პასუხისმგებლობის საკითხი

იმის მიხედვით, აფუძნებენ ისინი ამხანაგობის ტიპის საზოგადოება (სას, კს), თუ კაპიტალური ტიპის საზოგადოება (შპს, სს, კოოპერატივი).

ყველა კომერციული იურიდიული პირის წესდება უნდა შეიცავდეს:

საფირმო სახელწოდებას (ფირმა). ნოტარიუსმა ყურადღება უნდა მიაქციოს შეესაბამება თუ არა ფირმა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;

ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);

საქმიანობის საგანს (საკმარისია საქმიანობის საგნის მოკლე აღწერა);

მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;

ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის (კოოპერატივის შემთხვევაში- არანაკლებ ორის) სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიას და საცხოვრებელ ადგილს, ხოლო თუ დამფუძნებელი იურიდიული პირთა რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მისი წარმომადგენლის მონაცემები);

წარმომადგენლობის უფლებაომსილებას კერძოდ, იმის, თუ რამდენი დირექტორი ან ხელმძღვანელი პარტნიორი ჰყავს საზოგადოებას და როგორია მათი უფლებამოსილება საზოგადოების წარმოდგენისას მესამე პირებთან ურთიერთობაში - ერთპიროვნულად, ორი ან რამდენიმე ერთობლივი, თუ ყველა ერთად.

კომანდიტური საზოგადოების წესდებაში დამატებით უნდა მიეთითოს ყოველი კანდიდატის შესატანის ოდენობა და შესატანის სახე (ფულადი, თუ არაფულადი).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის წესდებაში დამატებით უნდა აღინიშნოს:

საწესდებო კაპიტალის ოდენობა, მისი შეფასების ფორმა (ფულადი თუ არაფულადი). ნოტარიუსმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ საწესდებო კაპიტალის ნომინალური ოდენობა არ უნდა იყოს კანონით დადგენილზე ნაკლები: შპს - 2000 ლარი სს- 15000 ლარი, კოოპერატივის - 100 ლარი.

ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა და შესატანის სახე (ფულადი თუ არაფულადი). თუ პარტნიორს შეაქვს არაფულადი შესატანი, განსაკუთრებით უძრავი ქონება ან უძრავი ქონების მსგავსი უფლებები, ნოტარიუსმა მას უნდა მოთხოვოს ამ ქონებაზე. საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთი. შესატანის განხორციელებით კომერციულ იურიდიულ პირგზე გადადის საკუთრების უფლება ამ ქონებაზე. ნოტარიუსმა წესდების დამოწმებისას ეს უნდა აუხსნას მხარეებს. ასევე გააცნოს მათ მეწარმეთა შესახებ კანონის 3.3 მუხლის შინაარსი. ასევე მათ უნდა აუხსნას, რომ შესატანის სახით გამოყენებული უძრავი ქონება უნდა გატარდეს საჯარო რეესტრში რეგისტრაციაში იურიდიული პირის სახელზე.

ნოტარიუსი წესდების ტექსტს ხმამაღლა წაუკითხავს დამფუძნებელს, ჰკითხავს მათ ეთანხმებიან თუ არა ისინი წესდების დებულებებს, არკვევს დამფუძნებელთა ვინაობას და შემდეგ აწერინებს ხელს ყველა დამფუძნებელს წესდებაზე. თუ რომელიმე პარტნიორმა უარი თქვა ხელის მოწერაზე, ნოტარიუსმა ასეთი წესდება არ უნდა დაამოწმოს.

ნოტარიუსი ამოწმებს განცხადებას საწარმოს რეგისტრაციის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მეწარმეთა შესახებ კანონის 5.4 მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს.

ნოტარიუსი ამოწმებს კომერციული იურიდიული პირების ხელმძღვანელი ორგანოების დანიშვნისა და არჩევის ოქმებს, სააქციო საზოგადოებაში - სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის ოქმებს და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს, რომლის მიხედვითაც აირჩია სს-ის დირექტორი. იგივე პროცედურა გამოიყენება მაშინ, როცა შპს-ს აქვს სამეთვალყურეო საბჭო.

ნოტარიუსი ადასტურებს დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელი პარტნიორების ხელმოწერის ნიმუშს.

ნოტარიუსი ვალდებულია დაესწროს სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას და შეადგინოს ამ კრების ოქმი. ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს, დაცულია თუ არა აქციონერთა საერთო კრების მოწვევის კანონით ან წესდებით დადგენილი წესი, კერძოდ, გამოცხადდა თუ არა პრესაში განცხადება მოწვევის შესახებ, იყო თუ არა ამ განცხადებაში მითითებული დღის წესრიგი, გამოცხადდა თუ არა კრებაზე ხმის უფლების მქონე აქციონერთა ის

რაოდენობა, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ კრება გადაწყვეტილებაუნარიანად ჩაითვალოს.

თუ პირველი კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მეორე კრება მოწვეული უნდა იქნეს იმავე დღის წესრიგით სულ ცოტა რვა დღეში და მიუხედავად გამოცხადებული აქციონერების რაოდენობისა, იგი მაინც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება. ამის შესახებ ნოტარიუსმა უნდა განუმარტოს კრების მონაწილეებს.

ნოტარიუსი ადგენს აქციონერთა საერთო კრების ოქმს და აკეთებს წარწერას, რომ აქციონერთა საერთო კრების ოქმი შედგენილია მეწარმეთა შესახებ კანონის 54-4-ე მუხლის შესაბამისად.

სანოტარო აქტის შედგენა იურიდიული პირის მონაწილეობით.

1. თუ სანოტარო აქტის მონაწილე არის იურიდიული პირი, ნოტარიუსი ვალდებულია მოითხოვოს იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ამონაწერი კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების მარეგისტრირებელი ორგანოდან;

ბ) უცხოეთის ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული და კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებული აქტი იურიდიული პირის რეგისტრაციისა და უფლებამოსილი წარმომადგენლების ვინაობის შესახებ, თუ იურიდიული პირი არარეზიდენტია (ლეგისტრირებულია უცხოეთში).

გ) იურიდიული პირის წესდება (დებულება), რომელიც უნდა იყოს დედანი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.

2. არ მიიღება ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ამონაწერების გაცემიდან გასულია 15 დღეზე მეტი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოდან მიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებიდან, ან თუ ლეგალიზება სავალდებულო არ არის დოკუმენტის გაცემიდან 6 თვის ვადაში.

კომერციული იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში პარტნიორის (აქციონერის) წილთან (აქციასთან) დაკავშირებული გარიგებები.

1. კომერციული იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა (აქციონერთა) საკუთრებაში არსებული წილების

(აქციების) გასხვისების ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დამოწმებისათვის ნოტარიუსი ვალდებულია გამოითხოვოს:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) აქცია (სერტიფიკატი);

გ) უცხოეთის ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული და კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებული აქტი იურიდიული პირის რეგისტრაციისა და უფლებამოსილი წარმომადგენლის ვინაობის შესახებ, თუ იურიდიული პირი არარეზიდენტია (ლეგისტრირებულია უცხოეთში);

დ) იურიდიული პირის წესდება (დებულება), რომელიც უნდა იყოს დედანი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

ე) რეგისტრატორის მიერ გაცემული ამონაწერი, თუ გარიგების საგანი არის ანგარიშვალდებული საწარმოს აქცია და ანგარიშვალდებული საწარმოს აქციათა რეესტრს აწარმოებს რეგისტრატორი;

ვ) საწარმოს მიერ გაცემული ამონაწერი აქციათა რეესტრის წიგნიდან, თუ საწარმო არ არის ანგარიშვალდებული საწარმო და იგი დამოუკიდებლად აწარმოებს აქციათა რეესტრის წიგნს.

2. ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს, ხომ არ არის გასასხვისებელი წილი (აქცია) დატვირთული ან ყადაღადადებული, ნოტარიუსი ვალდებულია წილის უფლებრივი დატვირთვის ან წილზე ყადაღის დადების არსებობის შესახებ მონაცემები გამოითხოვოს საჯარო რეესტრიდან, ხოლო აქციების გასხვისების შემთხვევაში აგრეთვე აქციათა რეესტრის წიგნიდან.

საწესდებო კაპიტალის ქონებრივი შენატანით შევსების წესი.

1. იმ შემთხვევაში, როცა საწესდებო კაპიტალი უნდა შეივსოს ქონებრივი შენატანით და ქონებრივი შენატანი არის უძრავი ქონება, ნოტარიუსი ვალდებულია შეადგინოს შესაბამისი ქონების საწესდებო კაპიტალში შეტანის აქტი იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია ქონების შესაბამისი სახის გასხვისებისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით უნდა მოხდეს ერთობლივ საქმიანობაში (ამხანაგობაში) ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილის შენატანის სახით უძრავი ქონების შეტანა იმ შემთხვევაში, თუ შენატანი ხდება ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) საერთო საკუთრება.

*ფაქტებისა და განცხადებების დამოწმება და დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება*

ნოტარიუსი უფლებამოსილია კანონმდებლობის შესაბამისად

დაამოწმოს ფაქტები და განცხადებები. ნოტარიუსი ვალდებულია უარი თქვას დოკუმენტის დამოწმებაზე, თუ დოკუმენტი სშინაარსი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. ნოტარიუსი განცხადების დამოწმებისას ადასტურებს, რომ განცხადება ნამდვილად დოკუმენტზე ხელისმომწერს ეკუთვნის და დოკუმენტზე ხელი ნამდვილად განმცხადებელმა მოაწერა. ნოტარიუსიარ ადასტურებს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას.

ნოტარიუსი ფაქტების ნამდვილობას ადასტურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნოტარიუსი უშუალოდ ესწრებოდა ამ ფაქტის დადგომას. ფაქტების დამოწმებისას ნოტარიუსი პასუხს აგებს მიერ აღწერილი და დამოწმებული ფაქტების ნამდვილობაში. აკრძალულია ისეთი ფაქტების დამოწმება, რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს აქტი.

აკრძალულია გარიგების დამოწმება ფაქტებისა და განცხადების დამოწმების ფორმით. ნოტარიუსიადასტურებს ხელმოწერის ნამდვილობას დოკუმენტზე, თუ მისი შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებაზე, ანდერძზე, რწმუნებულებასა და სხვა დოკუმენტზე, რომელშიც გადმოცემულია გარიგების შინაარსი, გარიგების მონაწილე პირის მაგიერ სხვა პირის ხელმოწერა შეიძლება დადასტურდეს იმ შემთხვევაში, თუ მას არ შეუძლია გარიგების დოკუმენტზე ხელის მოწერა თავის ნაკლის, ავადმყოფბის ან სხვა პატივსადები მიზეზით. თუ ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფბის ან სხვა მიზეზის გამო ხელმოწერას ასრულებს სხვა პირი. ნოტარიუსი არკვევს, როგორც ხელმომწერი პირის, ასევე იმ პირის ვინაობას, რომლის მაგიერადაც ის აწერს ხელს.

არ შეიძლება დოკუმენტზე მოქალაქის ხელმოწერსი ნამდვილობის დადასტურება, თუ მასში დასტურდება ისეთი გარემოებანი, რომელთა დადასტურების უფლება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს გააჩნია (მაგალითად, დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების ფაქტი და სხვა).აღნიშნულ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობა შეიძლება დადასტურდეს იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტი გათვალისწინებულია უცხოეთის სახელმწიფო, სასამართლო ან სხვა ორგანოებში).

სახელმწიფო დაწესებულებას: საწარმოსა და ორგანიზაციას თუ საბანკო დაწესებულებას თანამდებობის პირთა მიერ საბანკო იმ ბარათებზე დელმოწერის ნიმუშებისდადასტურებისას, რომლებიც

წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო დაწესებულებაში, ნოტარიუსები ამოწმებენ მათი ხელმოწერის ნამდვილობას.

უფლებამოსილების დასადასტურებლად ნოტარიუსს უნდა წარედგინოს ბრძანება თანამდებობის პირის დანიშვნის შესახებ ან ოქმი მისი არჩევის (დანიშვნის) შესახებ, დადგენილი წესით დამტკიცებული წესდება (ან დებულება), ანდა ხელმძღვანელის სახელზე ზემდგომი ორგანიზაციის მიერ გაცემული რწმუნებულება.

***ფულისა და ფასიანი ქაღალდის დეპოზიტში მიღება***

ნოტარიუსი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამოუკიდებელ სადეპოზიტო ანგარიშზე იღებს მოვალისაგან ფულს და ფასიან ქაღალდებს კრედიტისათვის გადასაცემად.

ფულს ან ფასიან ქაღალდებს ნოტარიუსი დეპოზიტში მიიღებს ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით. ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრისას ნოტარიუსმა უნდა მიაქციოს ყურადღება არის თუ არა დაცული სამოქალაქო კოდექსის 362-363-ე მუხლების მოთხოვნები.

ფულისა და ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღებისას ნოტარიუსი წინადადებას აძლევს მოვალეს წერილობით ან სიტყვიერად აცნობოს თავისი სახელი, გვარი (ან ორგანიზაციის დასახელება) და მისამართი, იმ პირის დასახელება და ცნობილი მისამართი, რომლისთვისაც გადასაცემად შეტანილია ფული ან ფასიანი ქაღალდები და მიზეზი, თუ რატომ უშუალოდ არ შეასრულავალდებულება. მოვალეს არშეუძლია მიუთითოს დასაბუთება და ანგარიში, რომლის მიხედვითაც კეთდება შესატანი.

ნოტარიუსი იღებს რა სანოტარო ბიუროს დეპოზიტში ვალდებულების საგანს (ფული,ფასიანი ქაღალდები), არ ამოწმებს შენატანის საფუძველს, ე.ი. კრედიტორის უფლებათა და მოვალის ვალდებულებათა წარმოქმნის საფუძველს.

დეპოზიტში ფულის ან ფასიანი ქაღალდების შემტან პირს ნოტარიუსი აძლევს ქვითარს შენატანის შესახებ.

მოეალის თხოვნით წარწერა შეტანის შესახებ შეიძლება გაკეთდეს აგრეთვე წარმოდგენილ დოკუმენტზე, რომელიც ადასტურებს დავალიანებას.

ნოტარიუსი ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიღების შესახებ აცნობებს კრედიტორებს და მისი თხოვნით მისცემს მას კუთვნილ ფულს ან ფასიან ქაღალდს. ღთუ კრედიტორის მისამართი მოვალეს არ აღუნიშნავს და ნოტარიუსისათვის ეს მისამართი უცნობია, მოვალეს აფრთხილებენ, რომ ფულის ან ფასიანი ქაღალდების შეტანის შესახებ კრედიტორის შეტყობინება მას ეკისრება.

თუ ფული ან ფასიანი ქაღალდი ნოტარიუსმა ფოსტით ან საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით მიიღეს, მიღებული თანხიდან დაიქვითება სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დადგენილი საზღაური, ხოლო ნაშთი დეპოზიტში მიიღება.

ფულისა და ფასიანიქაღალდების იმ პირისათვის დაბრუნება, რომელმაც ისინი დეპოზიტში შეიტანა (დებიტორი), შეიძლება მხოლოდ იმ პირსი წერილობითი თანხმობით, რომლის სასარგებლოდაც შეიტანეს ფული ან ფასიანი ქაღალდი (კრედიტორი), ანდა სასამართლო დადგენილებით.

ნოტარიუსის სპეციალურ სადეპოზიტო ანგარიშზე სადეპოზიტო თანხების შენახვა განისაზღვრება შემდეგი ვადებით:

მოქალაქისადმი გადასაცემი სატეპოზიტო თანხები ექვსი წლის განმაელობაში;

იურიდიული პირისათვის - სამი წლის განმავლობაში;

სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისათვის გადასაცემი სადეპოზიტო თანხები ინახება იმ წლის 31 დეკემბრამდე, როცა ეს თანხები იქნა შეტანილი, ხოლო გადაუწყვეტელი სასამართლო საქმეების მიხედვით დეპოზიტში შეტანილი თანხები ინახება იმ წლის 31 დეკემბრამდე, როცა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება.

ამ ვადების გასვლის შემდეგ მოუკითხავი სადეპოზიტო თანხები ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში, გარდა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დაქვითული თანხისა

მოუკითხავი სადეპოზიტო თანხები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში გადაირიცხება აღნიშნული ვადების გასვლიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

სადეპოზიტო თანხების აღრიცხვა წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნოტარიუსი პირის თხოვნით დეპოზიტში დოკუმენტის მიღებისას გაღებულია შეადგინოს დოკუმენტის დეპონირების თქმა: ოქმში უნდა აღინიშნოს: ომქის შედგენის თარიღი და ადგილი, დეპონენტის

სრული რეკვიზიტები დოკუმენტის სრული რეკვიზიტბი, დოკუმენტის მდგომარეობა (ტექსტში არსებული ჩასწორებები, ლაქები და სხვა მსგავსი გარემოებები) და დეპონენტის განცხადება დოკუმენტის დაბრუნების შესახებ (განცხადების არსებობის შემთხვევაში) ოქმს და დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს ნოტარიუსმა და დეპონენტმა.

დოკუმენტი შეიძლება დაუბრუნდეს დეპონენტს ან მის მემკვიდრეებს, ან დეპონირების მომენტში დასახელებული სხვა პირს, თუ ამის შესახებდეპონენტმა განაცხადა დოკუმენტის დეპონირების მომენტში და განცხადება ასახულია დეპონირების ოქმში.

ნოტარიუსი ვალდებულია დოკუმენტის დაბრუნების შემთხვევაში შეადგინოს დოკუმენტის დაბრუნების ოქმი. ომქში უნდა აღინიშნოს ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი. დოკუდმენტის მიღების სრული რეკვიზიტები და დოკუმენტის მიღების საფუძეელი, დოკუმენტის სრული რეკვიზიტებიდოკუმენტის მდგომარეობა და მითითება იმის შესახებ, რომ დოკუმენტი იმყოფება იმავე მდგომარეობაში, როგორც დეპონირების დროს ოქმს ხელი უნდა მოაწეროს ნოტარიუსმა და დოკუმენტის მიმღებმა.

ნოტარიუსი ასევე ვალდებულია ფულის და/ან სხვა ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღებისას შეადგინოს ოქმი სადაც ასევე უნდა აღინიშნოს ომქსი შედგენის თარიღი, ადგილი გადამცემს სრული რეკვიზიტები, ფულის რაოდენობა, ფასიანი ქაღალდების სრული რეკვიზიტები, გადაცემის მიზეზი და ა.შ. ოქმს ხელს უნდა მოაწეროს ნოტარიუსმა და გადამცემმა. ნოტარიუსმა მიღების ოქმი უნდა შეინახოს თავის არქიეში, ხოლო ასლი უნდა გადასცეს გადამცედმს. ნოტარიუსი ვალდებულია მიღებული ფული და/ან სხვა ფასიანი ქაღალდები გაატაროს რეესტრში, სადაც აღინიშნება მიღებული ქონების დასახელება და ოდენობა, მიღებული ფული და/ან სხვა ფასიანი ქაღალდებიშეინახოს თავისი ფულის და/ან სხვა ფასიანი ქაღალდებისაგან განცალკევებით. თუ ნოტარიუსს მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ შეუძლია ფულის და/ან სხვა ფასიანი ქაღალდების მიმღებისათვის დადგენილ ვადაში გადაცემა. ამ ვადის ამოწურვამდე, ხოლო თუ ვადა დადგენილი არ არის ფულისა და სხვა ფასიანი ქაღალდების მიღებიდან 15 დღის შემდეგ. ნოტარიუსი ვალდებულია ფული და/ან სხვა ფასიანი ქაღალდები დაუბრუნოს გადამცემს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ნოტარიუსი ვალდებულია ფული და/ან სხვა ფასიანი ქაღალდები შესანახად გადასცეს სასამართლოს დაამის შესახებ დაზღეეული წერილით აცნობოს გადამცემს.

ფულისა და/ან სხვა ფასიანი ქაღალდების ნოტარიუსისათვის გადაცემას იგივე იურიდიული შედეგები აქვს რაც სასამართლოსათვის გადაცემას.

ნოტარიუსი იღებს რა დეპოზიტში ვალდებულია საგანს (ფული, ფასიანი ქაღალდები) არ ამოწმებს ვალდებულების წარმოქმნის საფუძველს

*საზღვაო პროტესტების შესრულება* ნოტარიუსები გემის მფლობელის უფლებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად მტკიცებულების უზრუნველყოფის მიზნით მიიღებენ გემის კაპიტნის განცხადებას იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც მოხდა ნაოსნობის ან ნავსადგურში დგომის და რომელიც შესაძლოა გახდეს მფლობელისათვის ქონებრივი მოთხოვნის წარდგენის საფუძველი.

განცხადება საზღვაო პროტესტის შესახებ უნდა შეიცაედეს შემთხვევის გარემოებათა და იმ ღონისძიებათა აღწერას, რომლებიც განახორციელა კაპიტანმა მისთვის მინდობილი ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად.

საზღვაო პროტესტის შესახებ განცხადებაში გადმოცემულ გარემოებათა დასადასტურებლად, გემის კაპიტანმა, ნავსადგურში გემის შესვლის მომენტიდან (თუ იგი ნავსადგურში მოხდა) არაუმეტეს შვიდი დღის ვადაში, განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს ნოტარიუსს მიმოხილვისათვის გემის ჟურნალი და კაპიტნის მიერ დამოწმებული ამონაწერი გემის ჟურნალიდან.

განცხადება საზღვაო პროტესტის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ნავსადგურში გემის შესვლის მომენტიდან 24 სთ-ის განმავლობაში. თუ შემთხვევა, რომლის გამოც აუცილებელი განცხადების შეტანა საზღვაო პროტესტის შესახებ, ნავსადგურში მოხდა, პროტესტი შეტანილ უნდა იქნეს შემთხვევის მომენტიდან 24 სთ-ის განმავლობაში.

თუ შეუძლებელი აღმოჩნდა პროტესტის შეტანა დაწესებულ ვადაში, ამის მიზეზები უნდა აღინიშნოს განცხადებაში საზღვაო პროტესტის შესახებ.

ნოტარიუსი კაპიტნის განცხადების, გემის ჟურნალის მონაცემების, აგრეთვე თვით კაპიტნის და შესაძლებლობისამებრ გემის მეთაურთა შემადგენლობიდან არანაკლებ ორი მოწმისა და გემის ეკიპაჟიდან ორი მოწმის გამოკითხვის საფუძველზე შეადგენს დაწე-

სებული ფორმის აქტს საზღვაო პროტესტის შესახებ და დაამოწმებს მას თავისი ხელმოწერითა და გერბიანი ბეჭდით. აქტის ეგზემპლარი მიეცემა კაპიტანს და უფლებამოსილ პირს,ხლო ეგზემპლარი, რომელსაც თან ერთვის კაპიტნის განცხადება და გემის ჟურნალის ამონაწერი, რჩება ნოტარიუსთან.

***ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან ფიზიკური პირის იგივეობის დადასტურება, დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება, ფიზიკური პირის ცოცხლად ყოფნის დადასტურება, მოთხოვნებისა და განცხადების გადაცემა, სხვა ფაქტების დადასტურება***

ნოტარიუსი ადასტურებს ფიზიკური პირის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან შესაბამისი მოწმობის გაცემით. ფოტოსურათზე გამოსახული პირის არასრულწლოვანთან იგივეობის დადასტურებისას. იმ არასრულწლოვანის პირადობა, რომელსაც არა აქვს პირადობის მოწმობა, პირადობის დასადგენად ნოტარიუსი ვალდებულია გამოითხოვოს არასრულწლოვანის დაბადების მოწმობა. მოიწვიოს არასრულწლოვანის ორივე მშობელი (მეურვე, მზრუნველი) და ერთი მოწმე მიანც, რომელიც პირადად იცნობს არასრულწლოვანს. ნოტარიუსი პირადად უნდა იცნობდეს მოწმეს. ნოტარიუსისა და მოწმის ნათესაური, ან შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობები არ არის მოწმეობის დამაბრკოლებელი გარემოება. ნოტარიუსი ვალდებულია მშობლების (მეურვის, მზრუნველისა) და მოწმის, აგრეთვე არასრულწლოვანის განცსადებანი შეიტანოს სანოტარო აქტში. მოწმობაში აუცილებლად უნდა მიეთითოს: ფოტოსურათზე გამოსახული პირის სახელი და გვარი. დაბადების თარიღი და ადგილი, სქესი, საცხოვრებელიო ადგილი, იმ დოკუმენტების რეკვიზიტები, რომლის საფუძველზეც დადგინდა ფოტოსურათზე გამოსახული პირის პირადობა. მოწმობის ზედა მარცხენა კუთხეში უნდა განთავსდეს ფოტოსურათი და მას უნდა დაესვას ნოტარიუსის ბეჭედი ისე, რომ ბეჭდის ნაწილი აისახოს ფოტოსურათის ქვედა მარჯვენა მხარეს, ხოლო ნაწილი იმ ფურცელზე, რომელზედაც განთავსებულია ფოტოსურათი.

ნოტარიუსი უფლებამოსილია დაადასტუროს ნოტარიუსისათვის, ან ნოტარიუსის თანდასწრებით სხვა პირისათვის დოკუმენტის გადაცემის დრო. ვალდებულია დაადგინოს დოკუმენტის გადამცემისა და დოკუმენტის მიმღების პირადობა და მიუთითოს, რა წესით

მოხდა დოკუმენტის გადაცემა. დოკუმენტის გადაცემის დროის შესახებ ნოტარიუსი გასცემს მოწმობას, რომელშიც უნდა მიეთითოს დოკუმენტის გამცემ და მიმღებ პირთა სახელები და გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, სქესი, საცხოვრებელი ადგილი, იმ დოკუმენტის რეკვიზიტები, რომლის საფუძველზეც დადგინდა ამ პირთა ვინაობა, გადაცემული დოკუმენტების დასახელება და მათი რეკვიზიტები. ნოტარიუსი უფლებამოსილია დაადასტუროს, რომ პირი ცოცხალია. თუ ეს პირი პირადად მივიდა ნოტარიუსთან, ნოტარიუსი ვალდებულია გასცეს მოწმობა, რომელშიც უნდა მიუთითოს: ცოცხლად მყოფი პირის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, სქესი, საცხოვრებელი ადგილი, იმ დოკუმენტების რეკვიზიტები, რომლის საფუძველზეც დადგინდა პირის პირადობა.

დაინტერესებული პირის მოთხოვნით ნოტარიუსიადგენს დოკუმენტის გადაცემის სანოტარო აქტს, რომელშიც სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს გადასაცემი დოკუმენტის (მოთხოვნა, განცხადება) ტექსტს, აღწერს გადასაცემ დოკუმენტში მითითებული საქმის განმეორებებს, არსს, დროსა და ადგილს, დოკუმენტის გადაცემის სანოტარო აქტს ხელს აწერს პირი, რომლის თხოვნითაც შედგა აქტი.

ნოტარიუსი ვალდებულია დოკუმენტის მიმღებს დათქმულ ადგილზე პირადად აუწყოს, რომ მას დაევალებული აქვს წაუკითხოს, ან გადასცეს გადასაცემი დოკუდმენტი, ხოლო შემდეგ პირადად წაუკითხოს, ან გადასცეს გადასაცემი დოკუმენტი. ამ პროცედური სშემსრულებელსა და დოკუმენტის მიმღების პასუხის შესახებ უნდა აღინიშნოს დოკუმენტის გადაცემის აქტში.

ნოტარიუსი ვალდებულია დაინტერესებული პირის თხოვნით კონტრაგენტს დოკუმენტი (განცხადება, მოთხოვნა) გადასცეს ფოსტის საშუალებით. დოკუმენტის გადაცემის შესახებ ნოტარიუსი გასცემს მოწმობას, რომელშიც უნდა მიეთითოს დოკუმენტის გამგზავნისა და მიმღების სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, გადაცემის ადგილი, დრო და წესი. გადაცემული დოკუმენტის შინაარსი, დოკუმენტის პასუხი. მოწმობას თან უნდა დაერთოს დოკუმენტის გადაცემის ფაქტის დამადასტურებელი საბუთი (დოკუმენტის გადაცემის სანოტარო აქტი ან საფოსტო ქვითარი).

ნოტარიუსი უფლებამოსილია გასცეს მოწმობები იურიდიული პირის არსებობის, ადგილსამყოფელის, წარმომადგენლის, იურიდიული სტატუსისა და სხვა გარემოებების შესახებ საჯარო რეესტრის (სამეწარმეო რეესტრის) მონაცემების საფუძველზე, მოწმობაში

უნდა მიეთითოს, რა დოკუმენტის საფუძველზე გაიცა მოწმობა და უნდა აღინიშნოს ამ დოკუმენტის სრული რეკვიზიტები.

***დოკუმენტის ასლებისა და მათი ამონაწერების სისწორის დადასტურება***

ნოტარიუსი ვალდებულია გასცეს თავის არქივში დაცული აქტების ასლები, აქტებიდან ამონაწერები და აქტების შესახებმოწმობები, გარდა ანდერძისა, რომლის გამოქვეყნების დრო არ არის დამდგარი.

ნოტარიუსი, ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად ნოტარიუსიადასტურებს დოკუმენტის პირისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან. დაუშვებელია პირადობის მოწმობის სამხედრო ბილეთის, დეპუტატის მოწმობის ასლების დამოწმება, გარდა თარგმანისა. ამონაწერის სისწორე დედანთან შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი, რომლიდანაც კეთდება ამონაწერი, შეიცავს რამდენიმე ცალკეული, ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტას, ამონაწერი უნდა ასახავდეს დოკუმენტის ნაწილის სრულ ტექსტს განსაზღვრულ საკითხზე.

დოკუმენტის ასლის სისწორეს ნოტარიუსი ადასტურებს იმ პირობით, თუ ასლის სისწორე დადასტურებულია სანოტარო წესით ან თუ დოკუმენტის ასლი გაცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოო-ორგანიზაციის მიერ, სადაც შედგენილია დოკუმენტის დედანი, უკანასკნელ შემთხვევაში დოკუმენტის ასლი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოცემული დაწესებულებების, საწარმოს, ორგანიზაციის ბლანკზე, დასმული უნდა ჰქონდეს ბეჭედი და აღნიშნული იყოს, რომ დოკუმენტის დედანი ინახება მოცემულ დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში, ასლის სისწორე უნდა დადასტურდეს დაწესებულებების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით.

დოკუმენტის დადასტურებული ასლი ან მისი ამონაწერი შეჯერდება დედანთან. მოქალაქის მიერ გაცემულიასლის სისწორე დადასტურდება იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტზე მოქალაქის ხელმოწერის ნამდვილობა დადასტურებულია ნოტარიუსის ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მოქალაქე მუშაობს ან სწავლობს.

ნოტარიუსის მიერ თავის არქივში დაცული აქტების ასლების მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა დავალებით ან ვის მიმართაც შესრულდა სანოტარო

მოქმედება, ან მათ წარმომადგენლებს. გამოძიების, ადვოკატი სან სასამართლოს მოთხოვნით ნოტარიუსი გასცემს ცნობებს სანოტარო მოქმედებების შესახებ იმ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, რომელიც გამოძიების ორგანოებს ან სასამართლოს წარმოებაშია. ნოტარიუსი მოვალეა, სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში საგადასახადო ინსპექციას წარუდგინოს ცნობა იმ ქონების ღირებულების შესახებ, რომელიც გადავიდა პირის საკუთრებაში, ადვოკატს, საგადასახადო სამსახურს ეკრძალებათ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა პირებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის გამოქვეყნება საჯარო გამოსვლებში. ამონაწერს აქვს დედნის იურიდიული ძალა, მაგრამ სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეს, ან სასამართლოს უფლება აქვს მოითხოვოს სრული ასლის, ან დედნის წარდგენა. ნოტარიუსი უფლებამოსილია: ასლი და ამონაწერი გასცეს დანართების გარეშე. მაგრამ ვალდებულია ასლსა და ამონაწერზე მიუთითოს, რომ დედანს აქვს დანართი, რომელიც ინახება ნოტარიუსის არქივში; სანოტარო აქტის მონაწილის მოთხოვნით გასცეს აქტის მხოლოდ დანართის ასლი, მაგრამ ვალდებულია ასლზე მიუთითოს, რომ ეს არის მის არქივში დაცული სანოტარო აქტის დანართი.

ნოტარიუსი უფლებამოსილია გასცეს ასლის ასლი (ან ამონაწერი) იმ სანოტარო აქტისა, რომელიც შედგენილია სხვა ნოტარიუსის მიერ და რომელიც ინახება მის არქივში, როგორც დანართი მის მიერ შედგენილი სხვა სანოტარო აქტისა.

ასლისა და ამონაწერის სისწორის დადასტურების ფორმულარი იწერება ასლისა და ამონაწერის ბოლოში ან ცალკე ფურცელზე, რომელიც აიკინძება ასლთან ერთად. იგი უნდა შეიცავდეს: დადასტურებას, რომ ასლი ან ამონაწერი იდენტურია დედნისა, რომელიც ინახება ნოტარიუსის არქივში; დოკუმენტის დასახელება. ასლის ან ამონაწერის გაცემის თარიღი და ადგილი.

ნოტარიუსი ვალდებულია ასლი, ამონაწერი, ან მოწმობა გასცეს უმოკლეს ვადაში, მაგრამ მოთხოვნიდან არა უგვიანეს სამი დღისა.

ნოტარიუსი ადასტურებს ასლის იდენტურობას პირის მიერ წარდგენილ დედანთან. თუ დედანი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე. დედნის ასლს უნდა დაერთოს დოკუმენტის თარგმანი. თუ ნოტარიუსმა იცის დედნის ენა, იგი უფლებაომსილია ტექსტი თარგმნოს თვითონ. ამ შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია

მიუთკითოს, რომ ტექსტი თარგმნილია მის მიერ და იგი ზუსტია. თუ ნოტარიუსმა არ იცის დედნის ენა. ტექსტი უნდა თარგმნოს თარჯიმანმა. ამ შემთხვევაში თარჯიმანმა ნოტარიუსის წინაშე უნდა დაადასტუროს, რომ თარგმანი ზუსტია, რაც უნდა აისახოს ნოტარიუსის ფორმულიარში.

ასლი ორთოგრაფიით, პუნქტუაციითა და სიტყვების შემოკლებით უნდა შეესაბამბეოდეს დედანს. თუ დედანში ცალკეული სიტყვები გასწორებულია და შესწორება დათქმულია, ეს უნდა აღინიშნოს ასლში (გარდა ფოტოასლისა). დედანში დაზიანებების (ლაქა, გასვა და სხვა) არსებობა უნდა აღიწეროს ასლში.

როცა დასტურდება დოკუმენტის, ან რეესტრის ნაწილის ასლი. ნგოტარიუსი ვალდებულია მიუთითოს, რომ დოკუენტის ნაწილი, რომლის ასლის ნამდვილობაც დასტურდება, არ ეწინააღმდეგება დოკუმენტის სხვა ნაწილს.

***ერთი ენიდან მეორეზე დოკუმენტის თარგმნის სიწორის დამოწმება***

ნოტარიუსი ადასტურებს ერთი ენიდან მეორე ენაზე დოკუმენტის თარგმნის სისწორეს, თუ ნოტარიუსმა იცის ორივე ენა. იმ შემთხვევაში, თუ ნოტარიუსმა არიცის ის ენა, რომელზედაც თარგმნილია დოკუმენტი, ნოტარიუსი ამოწმებს, მხოლოდ თარჯიმნის ხელმოწერის ნამდვილობას. ნოტარიუსი ვალდებულია დამადასტურებელ ფორმულიარში მიუთითოს, რომ იგი ამოწმებს მხოლოდ თარჯიმნის დელმოწერის ნამდეილობას. დოკუმენტის დედანს ან ასლს უნდა დაერთოს თარგმანი, თარგმანს ხელს უნდა აწერდეს თარჯიმანი. დოკუდმენტი უნდა აიკინძოს კანონით დადგენილი წესით. თარჯიმანი ვალდებულია ნოტარიუსს წარუდგინოს თაეისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუდმენტი. ნოტარიუსი ვალდებულია თარჯიმანი გააფრთხილოს იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც დადგენილია არასწორი თარგმანის შემთხვევაში. თუ თარჯიმანი ნოტარიუსისათვის ცნობილია. თარჯიმნის ხელმოწერის დამოწმება შეიძლება მის დაუსწრებლადაც.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულებისას (გარიგების დამოწმება, ასლის სისწორის დადასტურება და სხვა) ერთდროულად სრულდება სხვა ენაზე თარგმანიც, თარგმანი და დედანი თავსდება ერთ ფურცელზე- ორივე ტექსტი გვერდიგვერდ, ვერტიკალური ხაზით იმგვარად გაყოფილ ერთ გვერდზე, რომ ტექსტის დედანი მო-

თავსებული იყოს მარცხენა მხარეს, თარგმანი მარჯვენა მხარეს. თარგმანი უნდა შესრულდეს დოკუმენტის მთელი ტექსტიდან და დამთავრდეს ხელმოწერებით. თარგმანს ხელს აწერს თარჯიმანი. დამადასტურებელი წარწერა კეთდება დოკუმენტისა და მისი თარგმნის ტექსტის ქვემოთ.

დედნისაგან ცალკე ფურცელზე მოთავსებული თარგმანი მიეკერება დოკუმენტის დედანს, გაეყრება ზონარი და დადასტურდება ნოტარიუსის ხელმოწერითა და ბეჭდით. თუ ნოტარიუსს წარუდგენენ მის მიერ ადრე შესაბამისად დადასტურებულ თარგმანს, ნოტარიუსს შეუძლია დაადასტუროს აღნიშნული თარგმანის ასლები.

***თამასუქის გადაუხდელობისათვის პროტესტის, აგრეთვე უაქცეპტო და დაუთარიღებელი აქცეპტის და ჩეკის გაუნაღდებლობის დადასტურება***

"თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ნოტარიუსი ასრულებს თამასუქის გადაუხდელობისათვის პროტესტს, აგრეთვე მისი გაუნაღდებლობის, გასანაღდებლად მისი მიუღებლობის და დაუთარიღებელი აქცეპტის გამო.

თამასუქის პროტესტს მისიგაუნაღდებლობის გამო ნოტარიუსი ასრულებს გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით (დომიცილებული თამასუქი, ე.ი. თამასუქი, რომელიც მესამე პირმა უნდა გაანაღდოს), ხოლო თამასუქის პროტესტს გასანაღდებლად მისი მიუღებლობისა და დაუთარიღებელი აქცეპტების გამო, გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.

თამასუქის გაუნაღდებლობის გამო პროტესტის შესასრულებლად ნოტარიუსი თამასუქს მიიღებს თამასუქის განაღდების თარიღის გასვლის მომდევნო დღეს, მაგრამ არაუგვიანეს დღის 12 საათისა.

თამასუქის გასანაღდებლად მიუღებლობის გამო პროტესტის შესასრულებლად თამასუქი შეიძლება მიღებულ იქნას იმ ვადის განმავლობაში, რაც "თამასუქის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით დაწესებულია აქცეპტისათვის წარსადგენად, ხოლო თუ თამასუქი აქცეპტისათვის წარდგენილ იქნა ვადის უკანასკნელ დღეს - არაუგვიანეს ამ ვადის მომდევნო დღის 12 საათისა.

თამასუქის პროტესტი სრულდება "თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

თამასუქის პროტესტის მიღების დღეს ნოტარიუსი გადამხდელს ან დომიცილიანტს (პირს, რომელიც იხდის დომიცირებულ თამასუქს) წარუდგენს მოთხოვნას თამასუქის განაღდების (ან აქცეპტის) შესახებ.

თუ გადამხდელი (დომიცილიანტი) გაანაღდებს თამასუქს, ნოტარიუსი პროტესტის გარეშე, დაუბრუნებს თამასუქს პირს, რომელმაც თამასუქი გაანაღდა, ამასთან თვით თამასუქზე გააკეთებს დაწესებული ფორმის წარწერას იმის შესახებ, რომ გადასახდელი და სხვა კუთვნილი თანხები მიღებულია.

თუ გადამხდელმა აქცეპტის შესახებ აღნიშნა გასაცემ თამასუქზე, თამასუქი დაუბრუნდება თამასუქის მფლობელს პროტესტის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია გადამხდელის (დომიცილიანტის) უარი - არ გაანაღდოს ან არ მიიღოს გასანაღდებლად თამასუქი, ანდა იგი არ გამოცხადდა ნოტარიუსთან, ნოტარიუსი შეადგენს დაწესებული ფორმის აქტს თამასუქის გაუნაღდებლობის ან გასანაღდებლად მისი მიუღებლობის გამო პროტესტის შესახებ და გააკეთებს შესაბამის ჩანაწერს რეესტრში, აგრეთვე აღნიშნავს თამასუქის გაუნაღდებლობის ან გასანაღდებლად მისი მიუღებლობის გამო პროტესტის შესახებ თვით თამასუქზე.

თუ გადამხდელის ადგილსამყოფელი უცნობია, თამასუქის პროტესტი სრულდება თამასუქის განაღდების ან აქცეპტის შესახებ მოთხოვნის წარუდგენლად, ამასთან შესაბამისი აღნიშვნა კეთდება აქტში პროტესტის შესახებ და სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო ჟურნალში.

გაპროტესტებული თამასუქი მიეცემა თამასუქმფლობელს ან მის უფლებამოსილ პირს.

ნოტარიუსი გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით გასანაღდებლად იღებს ჩეკებს, რომლებიც წარმოდგენილია მათი კადაცემიდან ათი დღის შემდეგ, ხოლო უცხოეთის ჩეკებს - ექვსი თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაგვიანეს ამ ვადის მომდევნო დღის 12 საათისა.

ნოტარიუსი იმავე დღეს წარუდგენს ჩეკს გასანაღდებლად ბანკს. ჩეკის გაუნაღდებლობის შემთხვევაში ნოტარიუსი დაადასტურებს ჩეკის გაუნაღდებლობას ჩეკზე წარწერი სშესრულებით.

ჩეკმფლობელის თხოვნით ნოტარიუსი ჩეკის გაუნაღდებლობის შემთხვევაში სააღსრულებო წარწერას შეარსულებს ამ ინსტრუქციის XX თავში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით.

*სააღსრულებო წარწერების შესრულება* „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად ფულის გადასახდევინებლად ან მოვალისაგან ქონების გამოსათხოვად ნოტარიუსი დაინტერესებულ პირთა წერილობითი განცხადებით დოკუმენტზე ასრულებს სააღსრულებო წარწერას, რომელიც ადასტურებს დავალიანებას.

თუ დოკუმენტის ნუსხას, რომელთა მიხედვით დავალიანებას უდავო წესით, სააღსრულებო წარწერის საფუძველზე გადაახდევინებენ ადგენს საქართველოს კანონმდებლობა.

დოკუმენტებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დავალიანების შესახებ სააღსრულებო წარწერა არ სრულდება.

სააღსრულებო წარწერა სრულდება თუ:

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით უდავოა დავალიანება ან მოვალის სხვა პასუხისმგებლობა გადამხდევინებლის წინაშე.

სარჩელზე უფლების წარმოშობის დღიდან გასული არ არის ფიზიკური პირებისათვის ექვსი წელი, ხოლო იურიდიული პირებისათვის - ერთი წელი.

თუ იმ მოთხოვნის მიმართ, რომელზეც უნდა გაიცეს სააღსრულებო წარწერა, კანონით დაწესებულია ხანდაზმულობის სხვა ვადა, სააღსრულებო წარწერა გაიცემა ამ ვადის ფარგლებში.

ვადა, რომლის განმაველობაშიც უნდა შესრულდეს სააღსრულებო წარწერა, გამოიანგარიშება იმ დღიდან, როცა გადამხდევინებელს გადაეცა ნუსხაში აღნიშნული დოკუმენტები, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უნაღდო წესით სააღსრულებო წარწერების საფუძველზე.

სააღსრულებო წარწერაში უნდა აღინიშნოს:

სააღსრულებო წარწერის შემსრულებელი ნოტარიუსის გვარი და ინიციალები;

გადამხდევინებლის დასახელება და მისამართი;

მოვალის დასახელება და მისამართი;

გადახდევინების ვადა;

გადასახდევინებელი თანხა ან გამოსათხოვარი საგნები, კუთვნილი საურავი და პროცენტი, თუ ასეთი ეკუთვნის;

გადამხდევინებლის მიერ გადახდილი ან მოვალის მიერ გადახდილი თანხები;

სააღსრულებო წარწერის შესრულების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);

სანოტარო რეესტრში სააღსრულებო წარწერის რეგისტრაციის ნომერი;

სააღსრულებო წარწერის შემსრულებელი ნოტარიუსის ხელმოწერა და სანოტარო ბიუროს გერბიანი ბეჭედი.

სააღსრულებო წარწერა სრულდება დოკუმენტის დედანზე, რომელიც ადასტურებს დავალიანებას.

დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტისაგან ცალკე სააღსრულებო წარწერა არ სრულდება.

თუ დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით გადახდევინება უნდა განაწილდეს, სააღსრულებო წარწერა თითოეული გადახდევინების მიხედვით უნდა შესრულდეს ამ დოკუმენტის ასლზე ან მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერზე. ამ შემთხვევაში დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანზე აღინიშნება შესრულებული სააღსრულებო წარწერა გადასახდევინებელ თანხაზე, თარიღისა და იმ ნომრის ჩვენებით, რომლითაც იგი ლეგისტრირებულია სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო ჟურნალში.

ნოტარიუსი ადგენს დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერის და სააღსრულებო წარწერის ასლს.

ერთი და იგივე ვალდებულების მიხედვით სააღსრულებო წარწერის ყოველი შემდგომი შესრულებისას დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის განმეორებით წარდგენა საჭირო არ არის. ამ შემთხვევაში საკმარისია პირადი ანგარიშისა და ვალდებულების დედნის ამონაწერების ორი ეგზემპლარის წარდგენა. ამონაწერის ერთი ეგზემპლარი სააღსრულებო წარწერითა და ვალდებულების დედნით დაუბრუნდება გადამხდევინებელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება ნოტარიუსთან.

თუ რამდენიმე სააღსრულებო წარწერა სრულდება დავალიანების დამადასტურებელი ერთგვაროვანი ფორმის დოკუმენტებზე (მაგალითად, ბანკის სესხი, ბინის ქირა და ა.შ.), სანოტარო ბიუროში შეიძლება დარჩეს დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის ერთი ასლი (ერთ-ერთ მოვალეზე) და ყველა მოვალის სია, რომლებისთვისაც გადახდევინებაზე სრულდება სააღსრულებო

წარწერა, ამასთან აღინიშნება მოვალეთა სრული დასახელება და მისამართები, გადასახდელთა ვალები, სააღსრულებო წარწერის მიხედვით გადასხდევინების თანხები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - სხვა მონაცემებიც.

თუ სააღსრულებო წარწერის შესასრულებლად, დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა საჭიროა წარდგენილ იქნეს იმ დოკუმენტების ნუსხაში აღნიშნული სხვა დოკუმენტებიც, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდაოდ წესით სააღსრულებო წარწერის საფუძველზე, ისინი სააღსრულებო წარწერას არ დაერთვის და რჩება ნოტარიუსთან.

სააღსრულებო წარწერები ჩეკებზე სრულდება გადამხდელის ან საანგარიშსწორებო დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით. სააღსრულებო წარწერას ნოტარიუსი ასრულებს მხოლოდ იმ პირობით, თუ არის გადამხდელის (ბანკის) ან საანგარიშსწორებო დაწესებულების წარწერა იმის შესახებ, რომ ჩეკი წარდგენილ იქნა გასანაღდებლად წარდგენის დროის აღნიშვნით და არ გაუნაღდებიათ. სააღსრულებო წარწერის შესრულებისას მოწმდება, დროულად იქნა თუ არა წარდგენილი ჩეკი გასანაღდებლად („ჩეკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად).

სააღსრულებო წარწერა გაიცემა სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა გადამხდელმა (ბანკმა) უარი განაცხადა ჩეკის განაღდებაზე, ხოლო დამწერლისათვის, რომელმაც ჩეკი გაანაღდა, სამი თვის განმავლობაში განაღდების („ჩეკის შესახებ" საქართველოს კანონი).

სააღსრულებო წარწერა სრულდება ჩეკის მფლობელის სურვილისამებრ, როგორც ჩეკის გამცემის მიმართ, ისევე ჩეკის მიხედვით პასუხისმგებელ წამწერალთა მიმართ.

სააღსრულებო წარწერის შესრულების შესახებ ნოტარიუსი აღნიშნავს რეესტრში და ჩეკის გადამცემს უგზავნის შეტყობინებას ჩეკის განაღდებისა და სააღსრულებო წარწერის გაცემის შესახებ.

თუ გადამხდევინებელი ან მოვალე ფიზიკური პირია, სააღსრულებო წარწერა იძულებით აღსრულებისათვის შეიძლება წარდგენილ იქნეს 6 წლის განმავლობაში მისი შესრულების დღიდან, ხოლო ყველა დარაჩენ მოთხოვნაზე, ერთი წლის განმავლობაში, თუ კანონმდებლობით დადგენილი არ არის სხვა ვადები.

### *საქართველოს კანონმდებლობის გამოყენება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. უცხოეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის გამოყენება, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი*

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვონ სანოტარო მოქმედების შესრულება იმავე წესით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეებმა. სხვა სახელმწიფოებში გაცემულ დოკუმენტებს ნოტარიუსი მიიღებს, თუ ისინი ლეგალიზებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან შეთანხმებით, რომლებიც დადებულია საქართველოს მიერ, ან რომლებსაც იგი შეუერთდა, დადგენილია სანოტარო მოქმედებების შესრულების საქართველოს კანონებისაგან განსხვავებული წესი, ნოტარიუსი ხელმძღვანელობს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით. ნოტარიუსის მიერ დადასტურებული რწმუნებულება, რომლებიც გათვალისწინებულია საზღვარგარეთ მოქმედების შესასრულებლად და არ შეიცავს მითითებებს მისი მოქმედების ვადის შესახებ, ძალაში რჩება რწმუნებულის გამცემი პირის მიერ მის გაუქმებამდე რაც შეიძლება აღინიშნოს რწმუნებულების ტექსტში. უცხოელი მოქალაქის გარდაცვალები სშემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი ქონების დაცვა, აგრეთვე აგრეთვე ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული მოქმედებები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. როცა მიღებულია ცნობა იმ სახელმწიფოს მოქალაქის გარდაცვალების შესახებ, რომელთანაც საქართველოს დადებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომლეიც შეიცავს სამკვიდრო ქონების დაცვის ნორმებს, ნოტარიუსი ხელმძღვანელობს შესაბამისი ხელშეკრულებით ან შეთანხმებით. ისეთ შემთხვევებში, როცა საქართველოს ტერიტორიაზე არის გარდაცვლის, ნოტარიუსი იღებს საჭირო ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, განსაზღვრავს სამკვიდრო ქონების ოდენობასა და ღირებულებას გამოარკვევს მემკვიდრეთა წრეს, შეამოწმებს ანდერძის არსებობასა და დაუყოვნებლივ შეატყობინებს ამის შესახებ იმ სა-

სელმწიფოთა საელჩოს ან დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეც გარდაიცვალა.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან შეთანხმებით მემკვიდრეობის საქმის წარმოება იმ უცხოეთის სახელმწიფოს დაწესებულებათა კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქალაქეც გარდაცვლილია, სამკვიდრო მოძრავი ქონებაა ნოტარიუსმა შეიძლება გადასცეს იმ სახელმწიფოს საელჩოს ან დიპლომატიურ წარმომადგენლობას მისივე თხოვნით.

იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებშიც მონაწილეობს საქართველო, ისეთ შემთხვევებში, როცა, უცხოეთის სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმის მიხედვით შედგენილი ანდერძი მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ წარედგინება ნოტარიუსს გასახსნელად და გამოსაცხადებლად, ნოტარიუსი აცხადებს ანდერძის შინაარსს, შეადგენს ოქმს ანდერძის მდგომარეობისა და შინაარსის შესახებ. ოქმში აღინიშნება ანდერძის შედგენის თარიღი, მისი წარმდგენი პირის სახელი, დოკუმენტის მდგომარეობა: დალუქული წარადგინეს იგი თუ გახსნილი, ხმო არ იყო შიგ გადაშლილი ადგილები, შესწორებანი ან ხარვეზები. ოქმს ხელს აწერენ ნოტარიუსიდა ანდერძის წამდგენი პირი. იგივე პირები ხელს აწერენ ანდერძის ყოველ გვერდს. თუ ანდერძი ნოტარიუსთან დალუქული ინახებოდა, მთელ ზემოთაღნიშნულ მოქმედებას ნოტარიუსი ერთპიროვნულად ატარებს.

საზღვარგარეთ უცხოეთის ხელისუფალთა მონაწილეობით შედგენილ ან მათგან გამოსულ დოკუმენტებს საქართველოს სანოტარო ბიუროები იღებენ იმ პირებით, თუ ისინი ლეგალიზებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების მიერ.

ნოტარიუსი დადგენილი წესით ასრულებს უცხოეთის იუსტიციის ორგანოებისაგან მიღებულ დავალებებს ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ და მიმართავს უცხოეთის იუსტიციის ორგანოებს დავალებით - შეასრულონ ცალკეული სანოტარო მოქმედებანი გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დავალების შესრულება ეწინააღმდეგება საქართველოს სუვერენიტეტს ან ემუქრება უშიშროებას, დავალების შესრულება არ განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით ნოტარიუსებისათვის მინიჭებულ კომპეტენციას. უცხოეთის იუსტიციის ორგანოების დავალებანი ცალკეული სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ, სრულდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

ნოტარიუსები სამართლებრივის ელშეკრულებებითა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში

უშუალოდ უკავშირდებიან საკონსულო წარმომადგენლებს. დანარჩენ შემთხვევებში ნოტარიუსების ურთიერთობა საკონსულო და დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

საქართველოს ნოტარიუსები უზრუნველყოფენ უცხოეთის სახელმწიფო ორგანოებში საქმის წარმოებისათვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას.

თუ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით რომელთა მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებული სანოტარო მოქმედების წესები, მაშინ სანოტარო მოქმედების შესრულებისას გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესები.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ყველა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სახელმწიფოს ამა თუ იმ ორგანოს მიერ და დოკუმენტურად ადასტურებს რაიმე იურიდიული ფაქტის არსებობას, სხვა სახელმწიფოს მიერ სამოქმედოდ მიიღება მხოლოდ მათი ლეგალიზაციის შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო შეთანხმებით, ან შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

ლეგალიზაციაში იგულისხმება ის ფორმალური პროცედურა, რომელიც დადგენილიდა რომლის განხორციელების უფლებამოსილებითაც სარგებლობენ ამა თუ იმქვეყნის მხოლოდ ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოები. დადგენილი ფორმისა და წესის დაუცველობას, თნუდაც უმნიშვნელო გადახვევას, შეიძლება მოჰყვეს დოკუმენტის უკან დაბრუნება ხელახალი გაფორმებისათვის. ლეგალიზაციით გათვალისწინებულია დოკუმენტის სინამდვილის, ხელმოწერისა და ხელმომწერი პირის სტატუსის, ხოლო აუცილებლობის შემთხვედვაში, იმ შტამპისა და ბეჭდის ნამდვილობის დადასტურება, რითაც აღჭურვილია ეს დოკუმენტი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ახდენს საქართველოს ოფიციალური ორგანოების მიე, ან მათი მონაწილეობით შედგენილ და საზღვარგარეთ სამოქმედო წარსადგენი დოკუმენტების ლეგალიზაციას და აკისრებს პასუხისმგებლობას ლეგალიზაციის ბეჭდისა და შტამპის გამოყენებასა და შენახვაზე სამინისტროს შესაბამის პირს.

სამინისტროში შესრულებული ლეგალიზაცია ნიშნავს ნოტარიუსის მიერ დამოწმებულიდოკუმენტების შესაბაიმსობას საქართველოში მოქმედ კანომნდებლობასთან. ამასთანავე, ლეგალიზაცია

წარმოადგენს სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ნოტარიუსის ხელისმოწერისა და გერბიანი ბეჭდის ნამდვილობის დადასტურებას.

ლეგალიზაციას აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის განყოფილება. ლეგალიზებულიდოკუმენტი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში, სადაც მას ენიჭება დამოუკიდებელი ნომერი, იქვე აღინიშნება ნოტარიუსის რეკვიზიტები, ლეგალიზაციის თარიღი და ლეგალიზაციის მთხზოვნელი პირის ხელმოწერა. ლეგალიზაციას არ ექვემდებარება დოკუმენტი, რომელიც:

ა) ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ბ) შედგენილიაოფიციალური დოკუმენტისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევით.

გ) არ არის დამოწმებული სანოტარო წესით.

დ) დოკუმენტი, რომლის გადაგზავნა ან გატანაქვეყნის ფარგლებს გარეთ აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით.

საზღვარგარეთ სამოქმედო დკოუმენტი შედგენილი უნდა იყოს იმ ენაზე, რომელზედაც წარმოებს სანოტარო საქმის წარმოება. მოქალაქის მოთხოვნით დოკუმენტი შეიძლება შედგეს უცხო ენაზე იმ წესებისდაცვეით, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტის უცხო ენაზე თარგმანის ნამდვილობის დადასტურებისათვის. თუ თარგმანის ტექსტი სრულდება ძირითადი დოკუმენტისაგან განცალკევებით, ასეთ შემთხვევაში ითარგმნება დოკუმენტის მთელი ტექსტი და იგი მოიცავს დამადასტურებელ წარწერასაც, რომლის ქვემოთაც ნოტარიუსი აკეთებს თარგმანის სისწორის დამადასტურებელ წარწერას (თუ ნოტარიუსმა იცის ეს ენა) ან იმ ფაქტს რომ თარგმანი შესრულებულია ნოტარიუსისათვის ცნობილი თარჯიმანის მიერ.

დოკუმენტის თარგმანი ძირითადად ტექტთან ერთად იკინძება და დასტურდება ნოტარიუსის ხელმოწერითა და ბეჭდით. აგრეთვე შესაძლებელია დოკუმენტის ძირითადი ტექსტი და თარგმანი შესრულდეს ერთ ფურცელზე. ასეთ შემთხვევაში ფურცლის მარცხენა მხარეს თაესდება ტექსტის დედანი. ორივე ტექსტის ქვეშ კეთდება ერთი დამადასტურებელი წარწერა ზემოთ აღნიშნული წესის დაცვით.

საზღვარგარეთ სამოქმედო დოკუმენტის გაფორმებისას ნოტარიუსი ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ პირებს, რომ სავალდებულოა ამ დოკუმენტაციის შემდგომი ლეგალიზაცია, რაც გულისხმობს ამ დოკუმენტების წარდგენას იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის განყოფილებაში, ხოლო შემდგომში საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში.

დადგენილი წესის დაცვით გაფორმებული დოკუმენტი იძენს იურიდიულ ძალას და გ ამოიყენება სამოქმედოდ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

სანოტარო წესით დამოწმებული საბუთების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება ფასიანია, ხოლო სატარიფო განაკვეთები დადგენილია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, რომლის ოდენობა შეესაბამება შესრულებული დოკუმენტის შინაარსსა და მისგან გამომდინარე შედეგებს.

იმის გამო, რომ საქართველო 1996 წლის 11 ივლისს შეუერთდა ქ. მინსკში ხელმოწერილ კონვენციას დსთ-ს წევრ სახელმწიფოებს შორის სამოქალაქო "საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ", ლეგალიზაციას არ საჭიროებენ ის დოკუმენტები, რომლებიც მომზადებულია, ან დადასტურებულია დსთ-ს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი ორგანოების, ან რწმუნებული პირების მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ფორმის დაცვით და დადასტურებული გერბიანი ბეჭდით. ეს დოკუმენტი მიიღება ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე ყოველგვარი სპეციალური დამოწმების გარეშე (კონვენციის მე-13).

ამასთანავე, 1996 წლის 4 აპრილს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ, რომლის ძალითაც ამ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი, დადასტურებული და ოფიციალური ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტები, ან მათი ავთენტური ასლები მეორე მხარის ტერიტორიაზე მიიღება ლეგალიზაციის გარეშე და სარგებლობენ ოფიციალური დოკუმენტების დამადასტურებელი ძალით.

როგორც ვხედავთ, ლეგალიზაციის ინსტიტუტს ახასიათებს სხვადასხვა სახის წინააღმდეგობები და სირთულეები და თითქოს არ პასუხობს თანამედროვე პრაქტიკის მოთხოვნებს, მაგრამ მაინც წარმოადგენს მტკიცებულების სფეროს იურიდიული უზრუნველყოფის საშუალებას. თავისი არსით, ლეგალიზაციის პროცედურა იძლევა შემოწმების საშუალებას და იგი არ შეიძლება გაუქმებული, ან უარყოფილი იქნეს ისე, რომ ნებისმიერ დოკუმენტის წარმომდგენ დაინტერესებულ პირს წავართვათ ამა თუ იმ დოკუმენტის წარმომადგენლობისა და ნამდვილობის დადგენის მექანიზმი.

ლეგალიზაციისათვის დამახასიათებელი ფორმალობები, მისი არსის შენარჩუნებით გამარტივებულ იქნა 1961 წლის 5 ოქტომბერს ჰააგაში. ხელმოწერილი კონვენციით "სხვა ქვეყნის ოფიციალური დოკუდმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნათა გაუქმებისშესახებ", რომლითაც გაუქმდა უცხოური ოფიციალური დოკუდმენტების საკონსულო, ან დიპლომატიური ლეგალიზაციის მოთხოვნის უფლება და ეს წესი ვრცელდება ამ კონვენციის ხელმომწერი მხარე სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ლეგალიზაციის ნაცვლად გამოიყენებენ აპოსტილს. აპოსტილს აქვს კვადრატული ფორმა და არ უნდა აღემატებოდეს 9 სმ-ს. აპოსტილის გამოყენება ოფიციალურ დოკუმენტზე წარმოადგენს ერთადერთ ფორმალურ მოთხოვნას, რომლის საფუძველზე ამა თუ იმ ოფიციალური დოკუმენტს ენიჭება იურიდიული ძალა.

სამწუხაროდ, საქართველო ჯერ არ მიერთებია ამ კონვენციას, თუმცა მოსამზადებელი სამუშაოს დაწყება გვაიმედებს, რომ ლეგალიზაციის დადგენილი წესი გამარტივდება[3].

---

3 ლეილა მამულაშვილი - ლეგალიზაციის პროცედურა, საქართველოს ნოტარიატი № 1 2001 წელი, გვ. 53-54

## თემა მეექვსე

### დოკუმენტები, რომლებიც ნოტარიალურ წარმოებაში გამოიყენება

### ლექცია VI – დოკუმენტები, რომლებიც ნოტარიალურ წარმოებაში გამოიყენება. მათი შედგენის წესი და ნიმუშები.

***დოკუმენტები, რომლებიც ნოტარიალურ წარმოებაში გამოიყენება და მათი შედგენის წესი***

სანოტარო დოკუმენტების შედგენა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება და განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებიც ახასიათებს ჩვეულებრივ სამოქალაქო-სამართლებრივი პროცედურებს (მაგალითად დოკუმენტების შედგენისაგან ჩვეულებრივი წერილობითი ფორმით). ნოტარიალური დოკუმენტები დგება სპეციალური კვაზი სასამართლო პროცედურის სანოტარო წარმოების ჩარჩოებში. დოკუმენტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭება ხდება ან სანოტარო წესით დადასტურებით ან სპეციალური მოწმობის გაცემით. ე.ი. ნოტარიალური დოკუმენტების შედგენისას დაცულია, როგორც სამოქალაქო, საოჯახო, მემკვიდრეობით და სხვა კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესები ასევე სპეციალური სანოტარო კანონმდებლობა.

ამასთან ერთად სანოტარო წარმოების წესების დაცვა ისევე სავალდებულოა, როგორც საპროცესო ნორმების დაცვა ნებისმიერი სამოქალაქო, საარბიტრაჟო, სისხლის თუ საკონსტიტუციო სასამართლო წარმოებისას.

სანოტარო წარმოების პროცედურის დაუცველობამ (მაგალითად მხარეებისათვის მათი უფლებებისა და მოვალეობის განუმარტებლობამ) შეიძლება გამოიწვიოს ერთი შეხედვით უდავო ხელშეკრულების ბათილობა.

ნოტარიალური წარმოება თავის თავში შეიცავს უამრავ იურიდიულ მოქმედებებს, რომლებიც ხორციელდება ყოველი კონკრეტული სანოტარო მოქმედების შესრულებისას. მაგალითად ნოტარიუსი ამოწმებს: სანოტარო მოქმედებაში მონაწილე პირების პიროვნებას, მათ უფლება-უნარიანობასა და ქმედუნარიანობას გარიგების დასადებად საჭირო პირობების არსებობას.

ნოტარიუსი დახმარებას უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მათი უფლებების განხორციელებაში: განუმარტავს მათ უფლებებსა

და მოვალეობებს. განუმარტავს თუ რა იურიდიული შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ მიერ ამა თუ იმ სანოტარო მოქმედების განხორციელებას. რათა მათ მიერ სპეციფიკური კანონმდებლობის უცოდინრობას არ მოჰყვეს მათი ინტერესებისათვის საზიანო შედეგები. იცავს სანოტარო მოქმედებათა საიდუმლოებას.

ნოტარიუსის მოქმედება სანოტარო დოკუმენტების შედგენისას ემორჩილება ერთიან სტანდარტს რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს საქართველოს ნებისმიერი ნოტარიუსი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნოტარიუსს, რომელიც ხელშეკრულებას ადგენს უფლება არ ჰქონდეს კანონის მოთხოვნის დაცვის შემდეგ რაიმე ახალი შემოქმედებითი შტრიხი შეიტანოს ხელშეკრულების შინაარსში.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი ნოტარიუსი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს ყოველთვის საერთო და სავალდებულო ერთიანი სანოტარო კანონმდებლობის საფუძველზე. რაც ხელს უწყობს საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებების ეფექტურ დაცვას. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ის ძირითადი მოთხოვნები, რომელიც ნოტარიუსისმიერ უნდა იქნეს გათვალისწინებული ნოტარიული დოკუმენტების შედგენისას და რომელიც ჩამოთვლილია ინსტრუქციაში სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ.

1. სანოტარო მოქმედება სრულდება მხოლოდ შესაბამისი მოქმედების შესრულებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.
2. ნოტარიუსი ვალდებულია უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ მას ეჭვი ეპარება წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაში, ან კანონმდებლობასთან, ან წარდგენილი დოკუმენტები არასრულია.
3. ნოტარიუსთან წარდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი.
4. სანოტარო მოქმედება არ შესრულდება იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომელშიც არის ამოშლილი, ამოფხეკილი, და/ან გადახაზული (გადაშლილი) სიტყვები, წინადადებები და მსგავსი გადასწორებანი და აღნიშნული შესწორებანი არ არის დათქმული. არ მიიღება აგრეთვე ფანქრით შედგენილი დოკუმენტები.
5. თუ დოკუმენტი შედგება რამდენიმე ფურცლისაგან, დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ერთ-ერთ პირობას მაინც: ა)

ფურცლები უნდა იყოს აკინძული, ზონარგაყრილი და ზონარდაწებწზული. ამასთანავე ზონარს ქაღალდი ისე უნდა ჰქონდეს გადაკრული, რომ ქარალდის მთლიანობის დარღვევის გარეშე შეუძლებელი უნდა იყოს ზონარის გახსნა. ქაღალდის მთლიანობა არ უნდა იყოს დარღვეული. ზონარზე დაწებებულ ქაღალდზე უნდა დასმული იყოს დოკუმენტის გამცემი ორგანოს ბეჭედი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ისე, რომ ბეჭდის ანაბეჭდისა და ხელმოწერის ნაწილი ასული იყოს დაწებებულ ფურცელზე. ამასთანავე, ამავე წესით მითიტებული უნდა იყოს აკინძული ფურცლების რაოდენობა სიტყვით. ბ) თითოეული გვერდი უნდა იყოს ბეჭედდასმული და ხელმოწერილი. ბოლო ფურცელზე უნდა იყოს აღნიშნული ფურცლების რაოდენობა.

6. ნოტარიუსი უფლებამოსილია არ გასცეს შესრულებული სანოტარო აქტები ნოტარიუსის საზღაურისა და სხვა ხარჯების გადახდამდე.

7. არ მიიღება ფაქსით, ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით მიღებული დოკუმენტები.

ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს თავის სანოტარო ბიუროში. ამასთანავე, ნოტარიუსი უფლებამოსილია კლიენტის მოთხოვნით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედება შეასრულოს სანოტარო ბიუროს ფარგლებს გარეთ. იმ შემთხვევაში თუ სანოტარო მოქმედება სრულდება სანოტარო ბიუროს გარეთ აქტში უნდა მიეთითოს სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი და დრო.

8. სანოტარო აქტი უნდა შედგეს მკაფიო და ნათელი ენით ისე, რომ გამოირიცხოს მისი არაერთგვაროვანი განმარტება.

9. სანოტარო აქტი უნდა დაიბეჭდოს მექანიკურ ან ელექტრონულ საბეჭდ მანქანაზე, კომპიუტერზე ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით: დასაშვებია სანოტარო აქტის ხელით დაწერა სინათლემდეგი და წყალმდეგი მელნის გამოყენებით. ხელნაწერი უნდა იკითხებოდეს ადვილად.

10. სანოტარო აქტი სრულდება 4 ფორმატის (210 X 297 მმ) მყარ თეთრი ფერის ქაღალდზე, რომლის სიმკვრივეა არანაკლებ 80 გრ/კვ.მ. ამასთანავე სანოტარო აქტის ყდისათვის დასაშვებია სხვა ფერის ქაღალდის გამოყენება.

11. იმ სანოტარო დოკუმენტში, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, არსებულ თავისუფალ ადგილებზე უნდა გაისვას ხაზი (თავისუფალი ადგილები უნდა გადაიხაზოს).
12. შემოკლება სანოტარო აქტში დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შემოკლება საყოველთაოდ მიღებული და ცნობილია.
13. რამოდენიმე ფურცლისგან შედგენილი სანოტარო აქტი უნდა აიკინძოს.
14. მინდობილობის (რწმუნებულების, დავალების, ხელშეკრულების) საფუძველზე სანოტარო აქტის შედგენისას მინდობილობა თან უნდა დაერთოს იმ სანოტარო აქტს, რომელიც ინახება ნოტარიუსთან, ხოლო მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი უნდა დაერთოს აქტის სხვა ეგზემპლიარებს თუ მინდობილობა უკვე ინახება ნოტარიუსის არქივში. მინდობილობის ხელახლა წარდგენა არ არის სავალდებულო. მინდობილობის ფორმა უნდა შეესაბამებოდეს იმ სანოტარო აქტის ფორმას, რომელიც უნდა შედგეს მინდობილობის საფუძველზე.
15. სანოტარო აქტი უნდა შედგეს სახელმწიფო ენაზე, ამასთანავე კლიენტის მიერ სახელმწიფო ენის ან მისი დამწერლობის არცოდნის შემთხვევაში, ნოტარიუსი უფლებამოსილია სანოტარო აქტი შეადგინოს კლიენტებისათვის გასაგებ სხვა ენაზე (ენებზე) თუ მან კარგად იცის ეს ენა (ენები).
16. ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო აქტში მიუთითოს, რომ მან იცის შესაბამისი ენა და ტექსტი შეადგინა თვით ნოტარიუსმა. თუ პირმა არ იცის ის ენა, ან მისი დამწერლობა, რომელზეც შედგენილია სანოტარო აქტი, იგი ხელს აწერს იმ ენაზე, რომელიც მან იცის.
17. სანოტარო აქტის შედგენაში თარჯიმანის მონაწილეობა სავალდებულოა კლიენტის (კლიენტების) მიერ სახელმწიფო ენის, ან მისი დამწერლობის არცოდნისა და ნოტარიუსის მიერ კლიენტისათვის (კლიენტებისათვის) გასაგები ენის რაცოდნის შემთხვევაში; თარჯიმანი უნდა აირჩიოს კლიენტმა, ხოლო რამდენიმე მხარის არსებობისას თარჯიმანის არჩევისათვის აუცილებელია ყველა კლიენტის ერთსულოვანი თანხმობა. ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო აქტში მიუთითოს, რომ თარჯიმანი არჩეულია კლიენტის მიერ (კლიენტების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით). აკრძალულია სანოტარო აქტის მონაწილე მხარის ან მოწმის მიერ თარჯიმნის ფუნქციის შესრულება.

თარჯიმანი ვალდებულია ნოტარიუსს საქართველოში აღიარებული დოკუმენტის წარდგენით დაადასტუროს — მან იცის შესაბამისი ენა (ენები) და იძლევა სწორი ტარგმანის გარანტიას. ამის შესაბამისად უნდა აღინიშნოს სანოტარო აქტში.

18. სანოტარო აქტს ტექსტის ბოლოს ხელი უნდა მოაწეროს აქტის ყველა მონაწილემ (მხარე, მოწმე, თარჯიმანი). ხელმოწერა უნდა შეიცავდეს ხელმომწერის სახელსა და გვარს. სახელი და გავრი უნდა დაიწეროს სრულად და გარკვევით ხელმოწერა უნდა იკითხებოდეს ადვილად. სანოტარო აქტის ყველა მონაწილის მიერ ხელმოწერის შემდეგ ხელი უნდა მოაწეროს ნოტარიუსმა.

19. თუ სანოტარო აქტი შედეგენილია რამდენიმე ფურცელზე, ნოტარიუსმა და სანოტარო აქტის ყველა მონაწილემ ხელი უნდა მოაწეროს იმ აქტის თითოეულ ფურცელს, რომელიც ინახება ნოტარიუსთან. ბოლო ფურცლის გარდა ყველა სხვა ფურცელზე ხელმოწერა კეთდება ტექსტის მინდორზე. თუ სანოტარო აქტის მონაწილე ექვსზე მეტია დასაშვებია მონაწილეთა მიერ უფლების დელეგირების საფუძველზე (გარდა ბოლო ფურცლისა) ხელი მოაწეროს ორმა მხარემ.

20. თუ მხარეს არ შეუძლია ხელმოწერა, ამის შესახებ ნოტარიუსმა უნდა აღნიშნოს სანოტარო აქტში და უნდა მიუთითოს მხარის მიერ გაცხადებული ის მიზეზი, რის გამოც მას არ შეუძლია ხელისმოწერა. მის ნაცვლად და მისი თხოვნით ხელს აწერს სხვა პირი, რომელიც უნდა ესწრებოდეს აქტის შედგენას და რომლის ვინაობა უნდა მიეთითოს აქტში. ასეთ შემთხვევებში სავალდებულოა მოწმის დასწრება.

21. იმ შემთხვევაში თუ ხელმოწერა შესრულებულია ნოტარიუსის თანდასწრების გარეშე, ხელმომწერმა ნოტარიუსის წინაშე მკაფიოდ და ნათლად უნდა განაცხადოს, რომ ხელმოწერა ნამდვილად მას ეკუთვნის აღნიშნული განცხადება შეტანილი უნდა იქნეს ნოტარიუსის ფორმულიარში ან სანოტარო აქტში.

22. სანოტარო აქტში რიცხვები უნდა დაიწეროს სიტყვიერადაც გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რიცხვები ასახავს მხარეთა მისამართებს. სანოტარო აქტების ნორმებს, ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების მუხლებსა და პუნქტებს. ქონების აღწერის აქტებში ობიექტების საერთო რაოდენობა უნდა დაიწეროს სიტყვებით და ციფრებითაც.

23. სანოტარო აქტისათვის თანადროული დოკუმენტების რაოდენობა უნდა დაიწეროს ციფრებით.
24. ნოტარიუსი ვალდებულია შეადგინოს სანოტარო აქტი იმდენი ეგზემპლიარი, რამდენსაც მოითხოვენ მხარეები. აქტის ერთი ეგზემპლიარი ინახება ნოტარიუსთან, გარდა ასლებისა და იმ დოკუმენტებისა, რომლებიც მოწმდება ხელმოწერათა ნამდვილობის დამოწმებით. ნოტარიუსი უფლებამოსილია საკუთარი სურვილით ან მხარის მოთხოვნით სანოტარო არქივში დაიტოვოს ის აქტებიც, რომელთა შენახვა სანოტარო არქივში არ არის სავალდებულო.
25. ნოტარიუსი ვალდებულია მხარეებს წაუკითხოს სანოტარო აქტის ტექსტი. ნოტარიუსი უფლებამოსილია წაკითხვა დაავალოს თავისი ბიუროს თანამშრომელს იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო აქტი შეადგინა თავისი ბიუროს თანამშრომელმა, ნოტარიუსი ვალდებულია მხარეებს პირადად წაუკითხოს აქტის ტექსტი. წამკითხველმა აქტის ტექსტი უნდა წაიკითხოს გარკვევით, ზუსტად, გამოტოვებისა და შემოკლების გარეშე.
26. წაკითხვისას ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს, რომ აქტი შეესაბამება მხარეთა ნებას და მხარეები იწონებენ მას.აქტის ტექსტთან ერთად სავალდებულოა სანოტარო აქტის დანართის წაკითხვა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა გარკვევით თქვეს უარი დანართის წაკითხვაზე და განაცხადეს, რომ უშუალოდ უკვე წაიკითხეს აქტის დანართი. ნოტარიუსი ვალდებულია ამ განცხადების შესახებ მიუთითოს სანოტარო აქტის ბოლოს მხარეთა ხელმოწერამდე.
27. სანოტარო აქტში აუცილებლად უნდა იყოს მითიტებული შემდეგი რეკვიზიტები: აქტის შედგენის ადგილი და სიტყვებით დაწერილი თარიღი, აქტის შედგენის დაწყებისა და დამთავრების დრო თუ ამას მოითხოვს სანოტარო აქტის რომელიმე მონაწილე; სავალდებულოა ანდერძის შედგენის დაწყებისა და დამთავრების დროის მითითება. ნოტარიუსის შესახებ მონაცემები: სახელი და გავრი, დასახლებული პუნქტი, სადაც მდებარეობს სანოტარო ბიურო, სანოტარო ბიუროს მისამართი. სანოტარო აქტის ყველა მონაწილის (მათ შორის მოწმის და თარჯიმანის) სახელი და გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, პროფესია, რეკვიზიტები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა, რომლითაც დადგინდა სანოტარო აქტის მონაწილეთა პირადობა: თუ სანოტარო აქტის მონაწილე წარმოდგენილია მინდობილი პი-

რით, სანოტარო აქტში უნდა მიეთითოს მინდობილი პირის იგივე მონაცემები:

სანოტარო აქტის დანართი დოკუმენტების ჩამონათვალი და მათი რეკვიზიტები.

ნოტარიუსისა და სანოტარო აქტის ყველა მონაწილის ხელმოწერები.

სანოტარო აქტის წამკითხველის ვინაობა;

28. კანონმდებლობით დადგენილი სხვა რეკვიზიტები. ყოველი სანოტარო აქტი უნდა შეიცავდეს ნოტარიუსის ფორმულიარს (დამადასტურებელ წარწერას). ფორმულიარი შეიძლება განთავსდეს, როგორც აქტის დასაწყისში, ისე ბოლოში, თუ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

29. ფორმულიარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული: სანოტარო აქტის შედგენის თარიღი და ადგილი, ნოტარიუსის ვინაობა, გადახდილი საზღაურის ოდენობა, აქტისათვის მინიჭებული რეესტრის ნომერი. დასაშვებია ფორმულიარში სხვა მონაცემების მიტიტება. სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდილი საზღაური შეიძლება აისახოს თვით სანოტარო აქტშიც. ნოტარიუსი უფლებამოსილია გამოიყენოს სტანდარტული ფორმულიარი (ფორმულიარის შტამპი) რომელიც შეიძლება შეივსოს ხელით ან მექანიკური საშუალების გამოყენებით.

როგორც ზემოთ მოყვანილი მიმოხილვიდან ეხედავთ სანოტარო წარმოების წესები მთლიანად რეგლამენტირებულია და მაქსიმალურად იცავს შეცდომის დაშვებისაგან, როგორც თვითონ ნოტარიუსს ისე სანოტარო წარმოების მხარეებს.

## ლექცია VII – დოკუმენტები, რომლებიც ნოტარიალურ წარმოებაში გამოიყენება. მათი შედგენის წესი და ნიმუშები.

აღნიშნულ თავში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ის ძირითადი სანოტარო დოკუმენტების ნიმუშები, რომლებიც უფრო ხშირად გამოიყენება სანოტარო პრაქტიკაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ იდეალურობაზე ჩვენ პრეტენზია არ გაგვაჩნია და არც ვცდილობდით მათი ამ კონდიციამდე მიყვანას, რადგან ამჟამად ჩვენი მიზანი იყო ისინი ყოფილიყვნენ სამოქალაქო და სანოტარო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და ამავე დროს მარტივად გასაგები სტუდენტებისათვის, სტაჟიორებსა და დამწყები ნოტარიუსებისათვის.

### რეგისტრირებული გირავნობის ხელშეკრულება (ნიმუში)

ქ. თბილისი, ორი ათას ექვსი წლის ——— ერთის მხრივ ———-, რეგისტრირებული ———— წელს, რეგისტრაციის № ———, მისი გენერალური დირექტორის ———— სახით (შემდგომში მოგირავნე), და მეორეს მხრივ მოქალაქე ———— (შემდგომში დამგირავებელი), ეხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.
2.

2.1. მოგირავნეს, ———— და დამგირავებელს, ———— შორის 2006 წლის ——— დადებული №——— საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა და ამ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა დამატებით უფლებათა შესრულების უზრუნველსაყოფად დამგირავებელი აგირავებს მის საკუთრებაში არსებულ ———— (შემდგომში გირავნობის საგანი).

2.2. დამგირავებლის მიერ №——— საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოგირავნეს აქვს უფლება დამგირავებლის სხვა

კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა და მასთან დაკავშირებული დამატებითი უფლებები დაგირავებული ქონების ხარჯზე.

2.3. გირავნობის საგნის მახასიათებლებია: --------------

3. გირავნობის საგნის უნაკლოობა

3.1. გირავნობის საგანი წარმოადგენს დამგირავებლის საკუთრებას, რაც დასტურდება --------. დამგირავებლის განცხადებით, მას გირავნობის საგანი მოპოვებული აქვს კანონიერი გზით.

3.2. გირავნობის საგანი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა, არ არის რაიმე ვალდებულებით დატვირთული, რაც დასტურდება --------.

3.3. მხარეთა შეთანხმებით, გირავნობის საგანი რჩება დამგირავებელთან.

4. მოთხოვნის სიდიდე, შესრულების ვადა და ფარგლები.

4.1. - გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის სიდიდე ძირითადად შეადგენს --------- აშშ დოლარს; - საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ------------ %; - შესრულების ვადა ---------- თვე.

4.2. გირავნობა უზრუნველყოფს მოთხოვნის (ძირითადი თანხის) სიდიდეს, პროცენტს, პირგასამტეხლოს (თუ იგი გათვალისწინებულია ხელშეკრულებით) საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებულ შესაძლო ზიანს და იძულებით გადახდევინებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

4.3. წიმამდებარე გირავნობის ხელშეკრულება ექვემდებარება საევალდებულო რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, რისთვისაც აუცილებელია საჯარო რეესტრს წარედგინოს ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი სანოტარო დადასტურების დღიდან --------- ვადაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მოგირავნე უფლებამოსილია:

- დამგირავებელთან შეთანხმების გარეშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები გადასცეს სხვა პირს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- პირველ რიგში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა დაგირავებული ქონებიდან ყველა სხვა მოგირავნესთან შედარებით;

- პერიოდულად შეამოწმოს გირავნობის საგნის მდგომარეობა.

5.2. დამგირავებელი ვალდებულია:

- არ გაასხვისოს, არ დააგირაოს გირავნობის საგანი გირავნობის უფლების შეწყვეტამდე მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- სათანადოდ მოუაროს გირავნობის საგანს.

6. გირავნობის უფლების შეწყვეტა

6.1. გირავნობის უფლება წყდება იმ ვალდებულების შესრულებით, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი დაიდო.

6.2. გირავნობის უფლება წყდება გირავნობის საგნის განადგურებით.

6.3. რეგისტრირებული გირავნობის უფლება წყდება, როცა მოგირავნე უარს იტყვის გირავნობაზე რეგისტრაციის გზით. ასევე გირავნობის უფლება წყდება კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.4. დამგირავებელი ვალდებულია, გირავნობის უფლების შეწყვეტიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში მიმართოს საჯარო რეესტრს გირავნობის შეწყვეტის რეგისტრაციის მიზნით.

7. სხვა პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ყველა დავას მხარეები განიხილავენ ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს შპს „საქართველოს საარბიტრაჟოსამომრიგებლო პალატა“.

7.2. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, მკაცრად დაიცვას მეორე მხარისაგან მიღებული საბანკო, კომერციული ან სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ასეთი ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა ხდება ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.3. გირავნობის საგნის რეალიზაცია ხდება კანონით დადგენილი წესით. მოგირავნე ვალდებულია რეალიზაციამდე ორი კვირით ადრე აცნობოს დამგირავებელს გირავნობის საგნის მოსალოდნელი გაყიდვების შესახებ.

7.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი

რჩება სანოტარო ბიუროში, დანარჩენი გადაეცემათ მხარეებს.

7.5. ხელშეკრულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში, ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

7.6. ამ ხელშეკრულების დადასტურების საზღაური, საქართველოს კანონის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ 9-, 22-ე მუხლების შესაბამისად, -------- ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, -------- ლარი, სულ ლარი გადახდილია დამგირავებლის მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:
მოგირავნე: ——————— დამგირავებელი: ———————

ნოტარიუსი: ————————————————

სანოტარო აქტი
სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე
საქართველო

ორიათას ექვსი წლის ---------- ნე, -------------, ნოტარიუს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, -------------, მომმართეს შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა:

1. ქალბატონმა ---------------- (კრედიტორმა: ) (რეკვიზ-იტები)

რომელმაც მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა (წელი, თვე, რიცხვი) რეესტრის №---------- ნოტარიუს ---------- მიერ დამოწმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი შეუსრულე-ბელი ვალდებულების შესრულების მიზნით.

მე შევამოწმე ამ პირის პირადობა (რეკვიზიტები), მე ნო-ტარიუსმა -------- შევისწავლე მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენ-ტები და დავრწმუნდი, რომ (წელი, თვე, რიცხვი) დაიდო ხელშეკ-რულება, რომლის საფუძველზეც პირებს შორის (კრედიტორსა და მოვალეს შორის) წარმოიშვა ვალდებულება -------- თანხის გად-ახდის შესახებ (აქ დაიწერება თანხის ოდენობა). ვალდებულების შესრულების დრო დადგა (თარიღი). აღსასრულებელი ველდე-ბულების სახე და მოცულობა არის -------- ლარი (შესაბამისი ში-ნაარსი). კრედიტორის განცხადებით მოვალემ არ შეასრულა ვალ-დებულება ამა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში. ჩემს, ნოტარიუს ------- მიერ საჯარო რეესტრში შემოწმებულია ინფორ-მაცია ვალდებულების წარმომშობი ხელშეკრულების რეგისტრაციის თაობაზე, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის მიერ ------ (რეკ-ვიზიტები) გაცემული -------- ცნობით.

ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 284-ე მუხლით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართ-ველოს კანონის 21-ე მუხლის $3^1$ პუნქტით, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლითა და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 58-ე მუხლით, გავეცი წინამდებარე სააღსრულებო ფურცელი.

სააღსრულებო ფურცელი

ორიათას ექვსი წლის ---------- მე, ---------- ნოტარიუსი ---------- წინამდებარე დოკუმენტით ვადასტურებ, რომ გადახდეს მოვალეს (სახელი, გვარი და რეკვიზიტები) კრედიტორის (სახელი, გვარი, რეკვიზიტები) სასარგებლოდ ამა და ამ დროის განმავლო-ბაში (კრედიტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში) ---------- ლარი,

თანახმად ნოტარიუს -------- მიერ (წელი, თვე, რიცხვი) დამოწმებული --------- ხელშეკრულებისა (რეესტრის № —).

სააღსრულებო ფურცელი ეძლევა კრედიტორს (გვარი, სახელი), რომელიც ვალდებულია იგი დაუყოვნებლივ წარადგინოს ამა და ამ რაიონის სააღსრულებო ბიუროში იძულებითი აღსრულების მიზნით.

სააღსრულებო ფურცელი შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა კრედიტორს.

სააღსრულებო ფურცლის გაცემის საზღაური, საქართველოს კანონის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" 29-ე მუხლის 22-ე პუნქტის შესაბამისად, 100 ლარი გადახდილია კრედიტორის (სახლი, გვარი) მიერ.

ნოტარიუსი: --------------------------

## მინდობილობა
## საცხოვრებელი ფართის ჩუქებაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

ჩვენ, გივი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, პირადობის მოწმობა № ______________ და მაია ხაზარაძე დაბადებული ქ. თბილისში 1970 წ. 2 დეკემბერს, მცხოვრები იმავე მისამართზე, პირადობის მოწმობა № ______________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას თამაზ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, თელავის ქ. №5, პირადობის მოწმობა № ______________, აჩუქოს თემურ დვალიშვილს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, თელავის ქ. №5, საკუთრებაში არსებული ჩვენი წილი ბინის ფართი, მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8.

რისთვისაც ვანიჭებ მას უფლებას შეაგროვოს ყველა საჭირო დოკუმენტი თემურ დვალიშვილის სახელზე ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებასა და დადებისათვის, მათ შორის სახლმართველობაში (კომუნალური მომსახურების ბიუროში), ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში, საგადასახადო ინსპექციაში, მიიღოს საჭირო ცნობა, მოწმობები და სხვა საბუთები, დადოს ჩუქების ხელშეკრულება, ჩვენს მაგივრად მოაწეროს მას ხელი, გადაიხადოს ფული, ასევე შეასრულოს ყველა სხვა ქმედება დაკავშირებული ამ საქმის შესრულებასთან.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობილთა ხელმოწერები: ______________ ______________

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას გივი ალექსიძემ და მაია ხაზარაძემ ხელი მოაწერეს ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერთა პირადობა დადგენილია მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობაგატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის № ________

გადასხდილია საზღაური: ________

ნოტარიუსი: გივი იმნაძე ბ.ა.

## მინდობილობა
## საცხოვრებელი ფართის პრივატიზებაზე

ქ. თბილისი ოცდაექვსი ივლისი ორიათას ოთხი წელი

მე, კორძაძე ნათია, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, პირადობის მოწმობა №_____________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლებას მოქალაქე კორძაძე ნინოს, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 6 აპრილს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №12, იყოს ჩემი წარმომადგენელი სახლმართველობებსა (კომუნალური მომსახურების ბიუროში) და სხვა დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საწარმოებში ჩემს მიერ დაკავებული ბინის პრივატიზების გაფორმების თაობაზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, რისთვისაც ვაძლევ უფლებას ჩემი სახელით დაწეროს შესაბამისი განცხადებები, შეიტანოს და გააფორმოს საჭირო საბუთები, მიიღოს აუცილებელი ცნობები და განცხადებები, ჩემს მაგიერად ხელი მოაწეროს, შეიტანოს გარკვეული თანხა, ხელი მოაწეროს განცხადებებს ბინის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ბინის საკუთრებაში გადაცემის შესახებ და დაარეგისტრიროს იგი უძრავი ქონების და მასთან დაკავშირებული გარიგებების უფლებების სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანოებში, ასევე შეასრულოს ყველა სხვა ქმედება და ფორმალობა, დაკავშირებული მოცემულ დავალებასთან.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობის ხელმოწერა: _______________

ორიათას ოთხი წლის ოცდაექვსი ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გიეი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას კორძაძე ნათიამ ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №__________

გადახდილია საზღაური: __________

ნოტარიუსი: გივეი იმნაძე ბ.ა.

მინდობილობა
ცნობის მიღებაზე იმ პიროვნების სახელით, რომელიც
ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უძლურია მინდობილობაზე
პირადად მოაწეროს ხელი

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

მე, გივი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1938 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, პირადობის მოწმობა №______________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას მოქალაქე თამარ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, რადიანის ქ. №1, აიღოს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციიდან ცნობა ქონებაზე გადასახადის დავალიანების არ ყოფნის შესახებ, რისთვისაც ვანიჭებ უფლებას შეიტანოს და მიიღოს საჭირო განცხადებები, ცნობები, დოკუმენტები, ჩემს ნაცვლად მოაწეროს ხელი და შეასრულოს ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა ქმედება.

მინდობილობა გაცემულია ერთი თვის ვადით.

მიმნდობის ხელმოწერა: ________________

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

გივი ალექსიძის ავადმყოფობის გამო და მისი დავალებით მინდობილობას ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა თამარ უგულავამ. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №__________

გადახდილია საზღაური: __________

ნოტარიუსი: გივი იმნაძე ბ.ა.

მინდობილობა
ტელეფონის გადაფორმებაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

მე, გივი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, პირადობის მოწმობა №______________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას მოქალაქე თამარ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს იმავე მისამართზე, აწარმოოს ქმედებები, დაკავშირებული ტელეფონის ნომრების მფლობელთა გაცვლასთან, მდებარე მისამართებზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8 (ტელეფონი 23 01 31) და ქ. თბილისი, რადიანის ქ. №1 (ტელეფონი 29 23 63), რისთვისაც ეძლევა მას უფლება შეადგინოს ყველა საჭირო განცხადება, შეიტანოს და მიიღოს საჭირო ცნობები, დოკუმენტები, ჩემს ნაცვლად ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა ფორმალობა და ქმედება.

მინდობილობა გაცემულია ერთი თვის ვადით.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობის ხელმოწერა: __________________

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას გივი ალექსიძემ ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №__________

გადახდილია საზღაური: __________

ნოტარიუსი: გივი იმნაძე ბ.ა.

მინდობილობა
აქციების შეძენაზე

ქ. თბილისი ორი იელისი ორიათას ოთხი წელი

მე, გივი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, პირადობის მოწმობა №______________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას მოქალაქე თამაზ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, რადიანის ქ. №1, პირადობის მოწმობა №______________, აწარმოოს ყველა საჭირო იურიდიული ქმედება ჩემთვის საქენერ-გოს აქციების შესაძენად თავისი სურვილისამებრ დადგენილი რაოდენობითა და ფესში, რისთვისაც ეძლევა მას უფლება შეადგი-ნოს ყველა საჭირო განცხადება, შეიტანოს და მიიღოს საჭირო ცნობები, დოკუმენტები, ჩემს ნაცვლად ხელი მოაწეროს და შეასრუ-ლოს ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა ფორმალობა და ქმედება.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობის ხელმოწერა: __________________

ორიათას ოთხი წლის ორ იელისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას გივი ალექსიძემ ხელი მოაწერა ჩემი თანდას-წრებით. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდ-გენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმე-ბულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №__________

გადახდილია საზღაური: __________

ნოტარიუსი: გივი იმნაძე ბ.ა.

მინდობილობა
აქციების განკარგვაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

მე, გივი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, პირადობის მოწმობა №______________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას მოქალაქე თამაზ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, რადიანის ქ. №1, პირადობის მოწმობა №______________, იყოს ჩემი წარმომადგენელი ჩემი კუთვნილი სს „იბერია"-ს ჩვეულებრივი აქციების განკარგვის საკითხთან დაკავშირებით, აქციების რაოდენობა – 66 ცალი (სამოცდაექვსი). აქციის საკუთრების უფლება დადასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით, სერია გა №017678-1, სააღრიცხვო ნომერი 23441, გაცემული ზემოხსენებული სააქციო საზოგადოების მიერ.

რწმუნებულს ეძლევა უფლება მოახდინოს აღნიშნული აქციების გასხვისება თავისი სურვილისამებრ, მიიღოს ჩემთვის განკუთვნილი ფულადი სახსრები, რისთვისაც ეძლევა მას უფლება მიიღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, ჩემს ნაცვლად ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა ფორმალობა და ქმედება.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობის ხელმოწერა: ________________

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას გივი ალექსიძემ ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №_________

გადახდილია საზღაური: _________

ნოტარიუსი: გივი იმნაძე ბ.ა.

მინდობილობა
ფულის მიღებასა და ქმედებების შესრულებაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

მე, გიეი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, პირადობის მოწმობა №_____________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას მოქალაქე თამაზ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, რადიანის ქ. №1, პირადობის მოწმობა №_____________, ჩემს ნაცვლად მიიღოს ქ. თბილისის საცალო ვაჭრობის საწარმოებში ჩემთვის განკუთვნილი გაყიდული საქონლის თანხა, ჩემს მიერ დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად, ასევე მიიღოს უკან დარჩენილი (ჩაწოლილი) საქონელი, რისთვისაც ვანიჭებ მას უფლებას ხელი მოაწეროს აღნიშნული საქონლის მიღებაში, ასევე შეასრულოს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა ქმედება.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობის ხელმოწერა: _______________

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გიეი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას გიეი ალექსიძემ ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №________

გადახდილია საზღაური: ________

ნოტარიუსი: გიეი იმნაძე ბ.ა.

გენერალური მინდობილობა
საცხოვრებელი ფართის განკარგვაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

მე, გივი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. № 8, პირადობის მოწმობა №_____________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას მოქალაქე თამაზ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, რადიანის ქ. № 1, პირადობის მოწმობა №_____________, მართოს და განკარგოს ჩემს კუთვნილებაში მყოფი ბინა, მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, მცხეთის ქ. № 8, საამისოდ დადოს კანონით ნებადართული გარიგებები ქონების მართვასა და განკარგვის თაობაზე: იყიდოს, გაყიდოს, მიიღოს საჩუქრად, გაცვალოს, დააგირაოს და საკუთარი შეხედულებებისამებრ ნებისმიერ შემთხვევაში დაადგინოს გარიგების შედეგად მოლაპარაკებული თანხა, ვადა და სხვა პირობები; ხელი მოაწეროს, ამოწეროს და მიიღოს შესაბამისი სამართალდადგენილი დოკუმენტები; იყოს ჩემი წარმომადგენელი ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში (ან უძრავი ქონების სახელმწიფო ინვენტარიზაციის ორგანოებში), საგადასახადო ინსპექციებში, სახლმართველობებში (კომუნალური მომსახურების ბიუროში), აწარმოოს გაანგარიშებები დადებული გარიგებების მიხედვით; მიიღოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები, ჩემი კუთვნილი თანხა; დადოს ხელშეკრულებები და შეასრულოს მოცემულ დავალებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ქმედება.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობის ხელმოწერა: _______________

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას გივი ალექსიძემ ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №_________

გადახდილია საზღაური: _________

ნოტარიუსი: გივი იმნაძე ბ.ა.

## გენერალური მინდობილობა
## ქონების განკარგვაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

მე, გიეი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, პირადობის მოწმობა №_____________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას მოქალაქე თამაზ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, რადიანის ქ. №1, პირადობის მოწმობა №_____________, მართოს და განკარგოს მთელი ჩემი ქონება, რაშიც არ უნდა მდგომარეობდეს და სადაც არ უნდა მდებარეობდეს იგი. ამის შესაბამისად დადოს კანონით ნებადართული გარიგებები ქონების მართვასა და განკარგვის თაობაზე: იყიდოს, გაყიდოს, აჩუქოს (გარდა უძრავი ქონების ჩუქებისა), მიიღოს საჩუქრად, გაცვალოს, დააგირავოს და გირაოდ აიღოს ნაშენები და სხვა ქონება და საკუთარი შეხედულებებისამებრ ნებისმიერ შემთხვევაში დაადგინოს გარიგების შედეგად მოლაპარაკებული თანხა, ვადა და სხვა პირობები; ხელი მოაწეროს, ამოწეროს და მიიღოს შესაბამისი სამართალდადგენილი დოკუმენტები; აწარმოოს გაანგარიშებები დადებული გარიგებების მიხედვით; თავისი სურვილისამებრ მოახდინოს ჩემს მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართის გაცვლა საქართველოს სხვა რაიონებსა და ქალაქების საცხოვრებელ ფართზე, ოღონდ ყველა ფორმალობის ზუსტი დაცვით, გაცვლითი ორდერის მიღების უფლებით, აღებისას ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა ქმედება და ფორმალობა; მიიღოს სათანადო ცნობები და საბუთები, ჩემი კუთვნილი ქონება, ფული, ფასიანი ქაღალდები, ასევე შესაბამის საფუძველზე აიღოს დოკუმენტი ყველა პიროვნებისაგან, დაწესებულებიდან, საწარმოდან, ორგანიზაციიდან, მათ შორის ცენტრალური ბანკიდან, კომერციული ბანკიდან და შემნახველი სალაროებიდან, ფოსტიდან, ტელეგრაფიდან..

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობის ხელმოწერა: _____________

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გიეი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას გივი ალექსიძემ ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქეს რეგისტრაციის № _________

გადახდილია საზღაური: _________

ნოტარიუსი: გივი იმნაძე ბ.ა.

მინდობილობა
საცხოვრებელი ფართის შეძენაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

მე, გივი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოერები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. № 8, პირადობის მოწმობა № ______________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას მოქალაქე თამაზ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, რადიანის ქ. № 1, პირადობის მოწმობა № ______________, თავისი სურვილისამებრ დადგენილ ფასად და პირობებში ჩემს სახელზე იყიდოს არანაკლებ 40 კვ.მ. საერთო ფართის ოროთახიანი ბინა მდებარე ქ. თბილისში,

რისთვისაც ვანიჭებ მას უფლებას შეაგროვოს ყველა საჭირო ცნობა, განცხადება და სხვა დოკუმენტები ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებისათვის, მათ შორის ქ. თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში, საგადასახადო ინსპექციაში, სახლმართველობაში (კომუნალური მომსახურების ბიუროში), დადოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი, გადაიხადოს ფული, შეასრულოს ყველა სხვა ქმედება დაკავშირებული ამ საქმის შესრულებასთან, ქ. თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შემდგომი რეგისტრაციის უფლებით.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობის ხელმოწერა: ________________

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას გივი ალექსიძემ ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №________

გადახდილია საზღაური: ________

ნოტარიუსი: გივი იმნაძე ბ.ა.

მინდობილობა
საცხოვრებელი ფართის გაცვლაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

მე, გივი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, პირადობის მოწმობა №______________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას მოქალაქე თამაზ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, რადიანის ქ. №1, პირადობის მოწმობა №______________, იყოს ჩემი წარმომადგენელი ჩემს მიერ დაკავებული ბინის, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, სხვა საცხოვრებელ ფართზე გაცვლის საკითხთან დაკავშირებით.

რისთვისაც ვანიჭებ მას უფლებას შეაგროვოს და სახლმართველობაში (კომუნალური მომსახურების ბიუროში), ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში, საგადასახადო ინსპექციაში წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა და საბუთი, გადაიხადოს ფული, ამომწეროს არსებული საცხოვრებელი ფართიდან და ჩამწეროს ახალ მისა-

მართზე, ჩემს მაგიერად მოაწეროს ხელი, დადოს გაცვლის ხელშეკრულება, დაარეგისტრიროს იგი ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში, ასევე შეასრულოს ყველა სხვა ქმედება დაკავშირებული ამ საქმის შესრულებასთან.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობის ხელმოწერა: ________________

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას გივი ალექსიძემ ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რამიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №_________

გადახდილია საზღაური: _________

ნოტარიუსი: გივი იმნაძე ბ.ა.

მინდობილობა
საცხოვრებელი ფართის გაყიდვაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

მე, გივი ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968 წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8, პირადობის მოწმობა №______________, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლება-მოსილებას მოქალაქე თამაზ უგულავას, დაბადებულს ქ. თბილისში 1964 წ. 2 სექტემბერს, მცხოვრებს მისამართზე: ქ. თბილისი, რადიანის ქ. №1, პირადობის მოწმობა №______________, იყოს ჩემი წარმომადგენელი ჩემს საკუთრებაში არსებული ბინის გაყიდვის საკითხებთან დაკავშირებით, ბინის მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. №8,

რისთვისაც ვანიჭებ მას უფლებას შეაგროვოს ყველა საჭირო დოკუმენტები ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისა და დადებისათვის, მათ შორის ქ. თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში, საგადასახადო ინსპექციაში, სახლმართველობებში (კომუნალური მომსახურების ბიუროში), მიიღოს საჭირო ცნობები და სხვა დოკუმენტები, დადოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მისთვის სასურველ ფასად და პირობებზე, ჩემს მაგიერად მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას, გადაიხადოს და მიიღოს კუთვნილი ფული.

ასევე იყოს ჩემი წარმომადგენელი საპასპორტო სამსახურში ჩემს მიერ საცხოვრებელი ფართის გაყიდვის სარეგისტრაციო აღრიცხვიდან ჩემი მოხსნის საკითხის თაობაზე, რისთვისაც ვაძლევ მას უფლებას შეიტანოს განცხადებები და სხვა საბუთები, ხელი მოაწეროს ჩემს ნაცვლად, ასევე შეასრულოს ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა ქმედება.

მინდობილობის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მიმნდობის ხელმოწერა: ________________

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე მინდობილობა დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი,

მინდობილობას გივი ალექსიძემ ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერის პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შემოწმებულია ქმედუნარიანობა და უფლება-მოსილება, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მინდობილობა გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №_________

გადახდილია საზღაური: _________

ნოტარიუსი: გივი იმნაძე ბ.ა.

მინდობილობა
სამკვიდრო საქმეების წარმოებაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათას ოთხი წელი

2.1. „მესაკუთრე“, წინამდებარე ხელშეკრულებით იპოთეკით ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ, ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებას.

*3. იპოთეკის საგანი*

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით იპოთეკის საგანს წარმოსდგენს საქართველოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერში ბინის / არასაცხოვრებელი ფართის შესახებ განსაზღვრული „მესაკუთრის“ კუთვნილი მთელი ქონება:

3.2. განაცხადის რეგისტრაციის №:

3.3. თარიღი:

3.4. მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №:

3.5. სარეგისტრაციო ზონა:

3.6. სექტორი:

3.7. კვარტალი №:

3.8. ნაკვეთი:

3.9. ფართობი:

3.10. მისამართი:

3.11. წილობრივი მონაწილეობა:

3.12. სართული / ბინა:

3.13. იპოთეკის საგნის შეფასებითი ღირებულება:

*4. იპოთეკის საგნით უზრუნველსაყოფი ვალდებულებები*

4.1. „მესაკუტრე“ იპოთეკის საგნით უზრუნველყოფს სს ------- ბანკსა და „მსესხებელს“ შორის გაფორმებულ 4.2. პუნქტში

აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რომლის პირობები ქვემოთაა წარმოდგენილი. აგრეთვე მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას და იპოთეკის საგნის შენახვაზე და მის რეალიზაციაზე „იპოთეკარის" მიერ გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას.

„მესაკუთრის" მიერ იპოთეკის საგნით უზრუნველსაყოფი ხელშეკრულების პირობებში შემდეგია:

4.2. ხელშეკრულების ტიპი:

4.3. ხელშეკრულების №:

4.4. ბანკი:

4.5. მსესხებელი:

4.6. ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი:

4.7. კრედიტის ძირითადი თანხა:

4.8. კრედიტის ვადა:

4.9. წლიური საპროცენტო განაკვეთი:

4.10. ჯარიმა ვადაგადაცილებაზე: დავალიანების თანხის 0.2% ყოველ გადაცილებულ დღეზე.

*5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში დარჩება 4.2 პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების ან/და მის საფუძველზე გაფორმებულ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხების სრულად გადახდამდე.

*6. განცხადებები და გარანტიები*

6.1. „მესაკუთრე" აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ იგი არის იპოთეკის საგნის კანონიერი და ჭეშმარიტი მესაკუთრე და რომ იპოთეკის საგანზე არ ვრცელდება რაიმე ყადაღა, ჯარიმა ან რაიმე სხვა სახის უფლებრივი დატვირთვა. „მესაკუთრეს" აქვს კანონიერი უფლება იპოთეკით დატვირთოს ეს ქონება ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

*7. დამგირავებლის ვალდებულებანი*

7.1. „მესაკუთრე" ვალდებულია შეათანხმოს „იპოთეკართან" იპოთეკის საგნის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გაყიდვის, იპოთეკით დატვირთვის, იჯარით გაცემის ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთვის საკითხი.

7.2. „მესაკუთრე“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით დააზღვიოს იპოთეკის საგანი ყოველგვარი ზარალის ან ზიანისაგან, რაც სხვათა მიღმა უნდა მოიცავდეს ხანძრის, ქურდობისა და გაძარცვის შედეგად წარმოშობილ ზარალსა და ზიანს.
7.3. სადაზღვევო პოლისი უნდა მოიცავდეს ამ ხელშეკრულების მთელ პერიოდს; უნდა ასახელებდეს „იპოტეკარს“,როგორც დაზღვევის ამონაგების ერთპიროვნულ მიმღებს; უნდა განსაზღვრავდეს, რომ „იპოთეკარს“ არ წაეყენება რაიმე მოთხოვნა პრემიის ან სხვა თანხების გადახდასთან დაკავშირებით.
7.4. იპოთეკის საგნის დაზიანების შემთხვევაში, „იპოთეკარს“ მიენიჭება არჩევანი გამოიყენოს დაზღვევის ამონაგები იპოთეკის საგნის შეკეთებისათვის, ან შეინახოს ეს ამონაგები ნაღდი ფულადი გირაოს სახით.
7.5. „მესაკუთრე“ იღებს ვალდებულებას მიიღოს ყველა საჭირო ზომა იპოთეკის საგნის დაცვისა და კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის. „მესაკუთრე“ ვალდებულია აცნობოს „იპოთეკარს“ ყოველი საკითხის ან გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს იპოტეკის საგანზე.
7.6. „იპოთეკარი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოინახულოს და შეამოწმოს იპოთეკის საგანი, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ჩანაწერი და/ან დოკუმენტი. „მესაკუთრე“ ნებას რთავს „იპოთეკარს“ მოიპოვოს ყოველი ასეთი ჩანაწერი და დოკუმენტი ნებისმიერი პირისაგან.
7.7. „მესაკუთრე“ „იპოთეკარის“ წილობითი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგენს მას იპოთეკის საგანთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას და/ან დოკუმენტს.
7.8. „მესაკუთრე“ არა აქვს უფლება „იპოთეკარის“ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე იყოლიოს მონაცვლე ან გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ.
7.9. იპოთეკის ობიექტის რეალიზაციის შემთხვევაში „მესაკუთრე“ ვალდებულებას კისრულობს „იპოთეკარის“ მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში გაანთავისუფლოს რეალიზებული იპოთეკის საგანი მასთან მცხოვრები მისი ოჯახის წევრებთან ერთად.

*8. იპოთეკარის ინტერესების დაკმაყოფილება*

8.1. „მსესხებლის“ მიერ კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტების საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ ვადებში დაუბრუნებლობის შემთხვევაში „იპოთეკარი" უფლებამოსილია მიიღოს დაკმაყოფილება იპოთეკის ობიექტიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები საკმარისი არ იქნება საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად დასაფარავად, მაშინ მსესხებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერ ასეთ ნაშთზე. იგივე გავრცელდება იმ ხარჯებსა დანახარჯებზეც, რაც შეიძლება წარმოიშვას იპოთეკის საგნის რეალიზაციის პროცესში.

*9. ხელშეკრულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შედეგად მინიჭებული უფლებების კრებითობა*

9.1. „იპოთეკარის" მიერ ხელშეკრულების დარღვევის მთლიანად ან ნაწილობრივ მხედველობაში მიუღებლობა (საბანკო კრედიტის ხელშეკრულების განსაზღვრისამებრ) არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. ასეთი უარის თქმა ასევე არ იქონიებს გავლენას „იპოთეკარის" უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

9.2. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება „იპოთეკარს" ხელშეკრულების დარღვევის შედეგად კრებითია და დაემატება ამ ხელშეკრულებით ან სხვაგვარად მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას. ასევე სხვა დამატებითი გირაოს მინიჭება, აღება ან განხორციელება არ შეზღუდავს და არც გავლენას იქონიებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იპოთეკაზე.

9.3. „იპოთეკარი" თავისი გადაწყვეტილებისამებრ გადაწყვეტს გირაოთათვის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს.

*10. გადასახადები*

10.1. „მესაკუთრე" ვალდებულია გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისა და მისი რეგისტრაციის ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

*11. უფლების უარყოფა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთი უფლების უარყოფას.

*12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და უთანხმოების გადაწყვეტის წესი*

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
12.2. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
12.3. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა განიხილება ქ. თბილისის ——— რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

მხარეთა ხელმოწერები

„მოგირავნე" „დამგირავებელი"

————— —————

ნოტარიუსი:

—————

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაცია №3

საქართველო, თბილისი.

ორიათას ოთხი წლის ცხრა ივნისს მე, ნოტარიუსი თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე თბილისში ქ. №5 მომმართა ქალბატონმა და მთხოვა შემედგინა და დამემოწმებინა ანდერძი. შევამოწმე პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის მეშვეობით (დაბ. 1934 06.09 თბილისში პასპ. №512521, გაც. თბილისის კალინინის რაიალმასკომის შსგ მიერ 30.06.1976წ. პროფესია-პენსიონერი.) მოწმეებად წარმოადგინა მოქალაქეები (დაბ 1945წ. 30.06 თბილისში პასპ. №V-ტი№586464, გაც 10.03.78წ. პროფესია პედაგოგი. მცხ. თბილისი მე-3 მ/რ, მე-2 კვ. კორ. 9. ბ. 52) დაბ. (1968წ. 17.07. თბილისში პასპ. №XVI-ტი№740490, გაც. 23.05.89წ. პროფესია – პედაგოგი, მცხ. თბილისი, კვ. კორ. 9, ბ. 52). მე შევამოწმე მათი

ქმედითუნარიანობა ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქეს. დავადგინე მოანდერძის ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მოანდერძის სურვილის შესაბამისად ანდერძი და გავაცანი მოანდერძეს, ასევე განვუმარტე ანდერძის შედგენისა და სანოტარო წესით დამოწმების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ:

1. მოანდერძეს უფლება აქვს ანდერძში მითითებული ქონება განკარგოს, გააჩუქოს, გაყიდოს, გაცვალოს, დატვირთოს ვალდებულებებით თავის შეხედულებებისამებრ, განკარგვის უფლებას არ ზღუდავს წინამდებარე ანდერძის არსებობა.

2. მოანდერძეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ან გააუქმოს ანდერძის და შეადგინოს ახალი ანდერძი. რამოდენიმე ანდერძის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება უფრო გვიან შედგენილ ანდერძს. თუ არსებობს რამოდენიმე ანდერძი და ერთ-ერთი მათგანი არის სანოტარო წესით დამოწმებული, ხოლო სხვა არასანოტარო, უპირატესობა ენიჭება სანოტარო წესით დამოწმებულ ანდერძს მიუხედავად მისი შედგენის თარიღისა.

3. მიუხედავად წინამდებარე ანდერძის არსებობისა მოანდერძის გარდაცვალების დღისათვის მის საკუთრებაში არსებულ ქონების ნაწილს მემკვიდრეობით მაინც მიიღებენ მოანდერძის პირველი რიგის მემკვიდრეები. მათი წილი იქნება მისი ნახევარი, რასაც ისინი მიიღებდნენ წინამდებარე ანდერძის არსებობის შემთხვევაში.

4. მოწმეები არ შეიძლება იყვნენ ანდერძით მემკვიდრეები. ანდერძით მემკვიდრეების ნათესავები აღმავალი და დაღმავალი ხაზით, დები, ძმები, მეუღლე, საანდერძო დასკვნის მიმღები.

5. მოწმეებს არ აქვთ უფლება მოანდერძის გარდაცვალებამდე გაამხილონ ცნობები ანდერძის შედგენისა და მისი შინაარსის შესახებ. ამ განმარტების შემდეგ მოანდერძემ ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ სურს ანდერძის შედგენა და ჩემი და მოწმეების თანდასწრებით ხელის მოწერა შემდეგ საანდერძო განკარგულებაზე.

ანდერძი

ორიათასოთხი წლის თოთხმეტ მაისს, მე მოქალაქე სერგოს, დაბ. 1934წ. 06.09. თბილისში, მცხ. თბილისი მ/რ, მე-2 კვ, კორპ. 9, ბ.54.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლის საფუძველზე ამ ანდერძით ვიძლევი შემდეგ განკარგულებას: მთელს ჩემს მოძრავ და უძრავ ქონებას, რომელიც ჩემი გარდაცვალების დღისათვის აღმოჩნდება ჩემი კუთვნილი, მათ შორის ბინას, მდებარე თბილისში კორპ.9 ბ.54 ვუანდერძებ დაბ. 1971წ. 04.06 თბილისში მცხ. თბილისი ქ. 36 პ/მ № ა0031403, პირადი № 01017001541, გაც. თბილისის მთაწმინდის შსგ მიერ 03.05.95წ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის შინაარსი მე, მოანდერძეს – ნოტარიუსის მიერ განმემარტა. ეს ანდერძი ჩაწერილია და დამოწმებულია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო ბიუროში, მეორე კი გადაეცემა მოანდერძეს. ანდერძი ჩაწეერილია მოანდერძის სიტყვებით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ორი მოწმის თანდასწრებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1363-ე მუხლის შინაარსი მოწმეებს ნოტარიუსის მიერ განემარტათ.

მოანდერძე ——————————

მოწმეები 1 ——————————

2 ——————————

მოანდერძის მიერ გადახდილია საზღაური 9 + დღგ – სულ 10,80 ლარი

ნოტარიუსი ——————————

სანოტარო აქტი

რეგისტრაციის № 1-3971

საქართველო,

ორიათას ოთხი წლის ოცდაცხრა ივნისს მე, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი ქ. № 5 მომმართა რომელმაც განაცხადა, რომ სურდა თავისი პენსიის და დევნილის დახმარების მიღების უფლებამოსილების მინიჭება და შესაბამისი რწმუნებულების შედგენა, აგრეთვე რწმუნებულების სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადბა, დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ვაჟა ჩაგელიშვილმა (პ/მ № ე0057874, პირადი № 62007006174, გაც. გაგრის შსგ მიერ 02.07.99წ. პროფესია - ზოოტექნიკი). მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა წინამდებარე რწმუნებულობა წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ რწმუნებულება სრულ;ად გამოხატავს მის ნებას, ტის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე რწმუნებულებას:

რწმუნებულება

ორიათასოთხი წლის ოცდაცხრა ივნისს, ვაჟა დაბ. 1952წ. 31. 01 ონში, მცხ. წერეთლის ქ. № 61, ბ.27 რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც "მარწმუნებელი" დაბ. 1949წ. 18. 03 თბილისში, მცხ. თბილისი, ქ. № 70-ა. პ/მ. № ბ01114124, პირადი № 01022002327, გაც თბილისის ნაძალადევის შსგ მიერ მე-3 ქვგ.მიერ 22. 05.96წ. როჯმელიც შემდეგში წოდებულია როგორც "რწმუნებული", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია მიიღოს კუთვნილი პენსია დევნილი დახმარება, ამ დავალების განსახორციელებლად შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც საჭირო გახდება პენსიის მისაღებად. რწმუნებული უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს მარწმუნებლის სახელით და მიიღოს მარწმუნებლის კუთვნილი საპენსიო და დევნილის დახმარების თანხები, მიუხედავად მისი ოდენობისა. ეს რწმუნებულება გაცემულია ერთი წლის

ვადით და ძალაშია ორიათას ხუთი წლის ოცდაცხრა ივნისის ჩათელით.

მარწმუნებელმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური: 2,0 ლარი, აგრეთვე დღგ; -0.04 ლარი, სულ გადაიხადა 2.40 ლარი.

მარწმუნებელი: ————————

ნოტარიუსი ————————

განცხადებაზე ხელმოწერის დამოწმება

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათასორი წელი

განცხადება ქ. თბილისის მერიაში წარსადგენად

მე, თამარ ალექსიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1968წ. 02. 05, პირადობის მოწმობა №————, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი რადიანის ქ. № 8, უარს ვაცხადებ მონაწილეობა მივიღო საცხოვრებელი ფართის პრივატიზების პროცესში, მდებარე ზემოხსენებულ მისამართზე და აღნიშნულ საცხოვრებელ ფართში მესაკუთრეთა რიცხვში ჩართვაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ.

2 ივლისი 2004წ.

განმცხადებლის ხელმოწერა

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს მე, გივი იმნაძე, ქ. თბილისის ნოტარიუსი ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე ქ. თბილისი ქ. № 5. ვამოწმებ თამარ ალექსიძის ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც გაკეთდა ჩემი თანდასწრებით.

ხელმომწერის პირადობა და ქმედუნარიანობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით.

გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მოცემული აქვს რეგისტრაციის №————————

გადახდილია საზღაური ————————

ნოტარიუსი: ბ.ა.

გივი იმნაძე

ანდერძი მთლიან ქონებაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათასორი წელი

მე, გივი ალქსიძე დაბადებული ქ. თბილისში 1948წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8 პირადობის მოწმობა №——————————,

წინამდებარე ანდერძით ვახდენ შემდეგ განკარგვას:

1. მთელ ჩემ ქონებას, რომელიც მე მეკუთვნის ჩემი სიკვდილის დღემდე, მათ შორის კერძო საკუთრებაში არსებული ბინა, მდებარე ზემოხსენებულ მისამართზე.

ვუანდერძებ თ მარ უგულავას.

2. ნოტარიუსმა განმიმარტა საქართველოს სამოქალაქო კოსექსის —————————— მუხლები.

3. წინამდებარე ანდერძი შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის სანოტარო არქივში, ხოლო მეორე პირადად გადაეცემა მოანდერძეს – გივი ალექსიძეს.

ანდერძის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მოანდერძის ხელმოწერა:

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე ანდერძი დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე ქ. თბილისი ქ. №5.

ანდერძს გივი ალექსიძემ ჩემი თ ნდასწრებით ხელი მოაწერა. ხელმოწერის პირადობა და ქმედუნარიანობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი ოირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით.

ანდერძი გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №——————————

გადახდილია საზღაური ——————————

ნოტარიუსი: ბ.ა.

გივი იმნაძე

## სხვადასხვა პირებისათვის ქონების ანდერძი

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათასორი წელი

მე, გივი ალექსიძე დაბადებული ქ. თბილისში 1948წ. 5 მაისს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8 პირადობის მოწმობა №——————————,

წინამდებარე ანდერძით ვახდენ შემდეგ განკარგვას:

1. ჩემს საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომელიც წარმოდგენილია წყნეთში მდებარე აგარაკის სახით (მისამართზე: წყნეთი, 9 აპრილის ქ. 11)

ვუანდერძებ ჩემს ვაჟიშვილს – გიორგი ალექსიძეს.

1. ჩემს კერძო საკუთრებაში არსებულ ბინას, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №8

ვუანდერძე – გიორგი ალექსიძეს და თამარ უგულავას თანაბარწილად.

3. ნოტარიუსმა განმიმარტა საქართველოს სამოქალაქო კოსექსის —————————— მუხლები.

4. წინამდებარე ანდერძი შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის სანოტარო არქივში, ხოლო მეორე პირადად გადაეცემა მოანდერძეს – გივი ალექსიძეს.

ანდერძის ტექსტი წაკითხულია ხმამაღლა.

მოანდერძის ხელმოწერა:

ორიათას ოთხი წლის ორ ივლისს წინამდებარე ანდერძი დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის ნოტარიუსის გივი იმნაძის მიერ, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე ქ. თბილისი ქ. №5.

ანდერძს გივი ალექსიძემ ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა. ხელმოწერის პირადობა და ქმედუნარიანობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი ოირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით.

ანდერძი გატარებულია რეესტრის ჟურნალში და მიცემული აქვს რეგისტრაციის №——————————

გადახდილია საზღაური ——————————

ნოტარიუსი: ბ.ა.

გივი იმნაძე

## დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელშეკრულების დადებას (ხელშეკრულების დოკუმენტებს)

ხშირად ხელშეკრულების დადების წინ უძღვის ხანგრძლივი და შრომატევადი მუშაობა. ასეთი სამუშაოების ჩატარება აუცილებელია, რათა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის წინასწარვე იყოს გარკვეული მომავალი ხელშეკრულების ყველა წვრილმანი. ამის გარდა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წინა სახელშეკრულებო მოლაპარაკებები მოითხოვს უამრავი დოკუმენტის შედგენას. აესთ ასეთი დოკუმენტის წინ სახელშეკრულებო მოლაპარაკებების მიმდინარეობისას შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სამ ჯგუფად:

1. დოკუმენტები, რომლებიც აფიქსირებენ მხარეთა შეხვედრას და მათ შორის მოლაპარაკებების დაწყებას.

2. დოკუმენტები, რომლებთაც წინასწარი ხელშეკრულების ხასიათი აქვთ.

ძირითადად დოკუმენტს, რომელიც აფიქსირებს მხარეებს შორის მოლაპარაკებების დაწყებას, წარმოადგენს.

ოქმი საქმიანი საუბრის ჩანაწერის შესახებ, მართალია აღნიშნულ დოკუმენტს არ აქვს, რაიმე დიდი იურიდიული მნიშვნელობა, მაგრამ ძველი ჩვეულებიდან მომდინარემსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საქმიანი წრეები მიიჩნევენ, რომ იგი არის საქმიანი ეტიკეტის ერთ-ერთ- ძირით დი ელემენტი და აქედან გამომდინარე მას სავალდებულოდ მიიჩნევენ.

იესვე, როგორც ოქმი საქმიანი საუბრების ჩანაწერის შესახებ. ოქმი განზრახვათა შესახებ მხარეებს არ აკისრებენ რაიმე განსაკუთრებულ ვალდებულებებს, მაგამ, იმისათვის, რომ შემდგომში მხარეებს შორის არ წარმოიშვას რაიმე გართულება სავალდებულოდ მიიღნევენ მის შეტანას წინამდებარე ხელშეკრულებაში.

რაც შეეხება წინამდებარე ხელშეკრულებებს, მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ მომავალში აუცილებლად დადებენ ხელშეკრულებას იმ პირობებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაშია განსაზღვრული წინა ხელშეკრულებათა დადება იმ ფორმით რომელიც ძირითადად ხელშეკრულებებისათვის არის გათვალისწინებული, ხოლო თუ ასეთი არ არის განსაზღვრული მაშინ წეწრილობით ფორმით.

## საქმიანი საუბრის ჩანაწერის ოქმი

*მხარეთა წარმომადგენელთა შეხვედრის ადგილი:* ქ. თბილისი
*შეხვედრის თარიღი:* 2004 წ. 2 ივლისი
*საუბრის ხანგრძლივობა:* დასაწყისი – 13 საათსა და 00 წუთზე.
დასასრული – 15 საათსა და 200 წუთზე.
*შეხვედრის ორგანიზაგირება:* ___
*შეხვედრას ესწრებოდნენ შემდეგი პირები:*

1. ფირმა "ივერია"-ს მხრიდან შემდეგი წარმომადგენლები:

___

___

2. საწარმო "ყაზბეგი"-ს მხრიდან შემდეგი წარმომადგენლები:

___

___

*საუბრის შინაარსი:*

შეხვედრაზე განხილული საკითხები: ___

___

დოკუმენტაცია, რომელიც მხარეებმა გაცვალეს: : ___

___

საუბრის ჩატარების შემდეგ მხარეების მიერ გაკეთებული დასკვნები: : ___

___

შეხვედრაზე გაკეთებული წინადადებები: : ___

___

დოკუმენტები, რომლებიც მხარეებმა უახლოეს მომავალში უნდა შეუთ ნხმონ ერთმანეთს: : ___

___

მხარეთა უახლოესი კონსულტაციების ვადა და შემდგომი შეხვედრების თარიღი: : ___

___

*ფირმის წარმომადგენელი:* ხელმოწერა
*საწარმოს წარმომადგენელი:* ხელმოწერა
*საუბარი ჩაწერა:* ხელმოწერა
საუბრის ჩაწერა შედგენილია ___ ფურცლად.
საუბრის ჩაწერა შედგენილია ___ ეგზემპლარად.

ოქმი განზრახეათა შესახებ

ქ. თბილისი ორი იელისი ორიათასორი წელი

საწარმო შ შ "იეერია"-მ , მისი დირექტორის გიეი ალექსიძის სახით, მოქმედი წესდების საფუძეელზე, ერთის მხრიე, და

ქარხანა – შპს "ლილო"-მ, თამაზ როგაეას სახით, მოქმედი წესდების საფუძეელზე, მეორეს მხრიე,

2004წლის 30 იენისს ჩატარებული მოლაპარეკების საფუძეელზე, ხელი მოაწერეს წინამდებარე პროროკოლს განზრახეაზე და აღნიშნეს შემდეგი:

1. მხარეები აღიარებენ, რომ მათი სამეწარმეო და ფინანსური პოტენციალი აძლეეს მათ მიზეზს დაამყარონ გრძელეადიანი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა სხეადასხეა კომერციული და საფინანსო–სამეწარმეო პრორამებისა და პროექტების დამუშაეებისა და დანერგეის სფეროში.

2. თანამშრომლობის პირეელ ეტაპზე მხარეები გეგმავენ განახორციელონ ერთობლიეი სამეცნიერო-სამეწარმეო და კომერციული საქმიანობა შემდეგი პროექტების რეალიზებისათეის:

ბრძმედის საამქროს პროექტის შემუშაეება;

ბრძმედის საამქროს მშენებლობა;

ბრძმედის საამქროს მონტაჟი და ა. შ.

3. საბოლოო გადაწყეეტილების მისაღებად ზემოხსენებული პროექტის რეალიზების შესაძლებლობის შესახებ მხარეთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები ჩაატარებენ ერთობლიე კონსულტაციებს და შეხვდებიან ერთმანეთს არა უგეიანეს 2 აგეისტოს 2004წ.

4. თანამშრომლობის პროგრამების და შესრულებული სამუშაოების ეტაპების პროექტი, ასეეე აუცილებელია შეთანხმებისა სა ხელშეკრულებების პროექტის შედგენა ევალება საწარმოს.

5. პროგრამის პროექტს, ასევე აუცილებელი შეთ ნხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტს წარუდგენენ ქარხანას განსახილეელად არა უგეიანეს 29 აგეისტოს 2004წ.

6. მხარეთა ურთიერთმოლაპარაკებების, კონსულტაციებისა და მიმოწერის შედეგად მიღწეული შეთანხმებები ინარჩუნებენ წინასწარი შეთანხმებების სახეს და აუცილებელი შეთანხმებების და ხელშეკრულებების ხელმოწერამდე წინამდებარე პროტოკოლის მონაწილეებს რაიმე იურიდიული უფლებები და მოეალეობები არ ეკისრებათ.

წინამდებარე პროტოკოლს აწერენ ხელს:

საწარმოს მხრიდან ქარხნის მხრიდან

ხელმოწერა ხელმოწერა

## წინარე ხელშეკრულება

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათასორი წელი

საწარმო შპს "იბერია"-მ, მისი დირექტორის გიეი ალექსიძის სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, ერთის მხრივ, და

ქარხანა — შპს "ლილო"-მ, თამაზ როგავას სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, მეორეს მხრივ,

2004წლის 30 ივნისს ჩატარებული ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე, დადეს წინამდებარე წინასწარი ხელშეკრულება შემდეგზე:

1. მხარეები აღიარებენ, რომ მათი სამეწარმეო და ფინანსური პოტენციალი აძლევს მათ მიზეზს დაამყარონ გრძელვადიანი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა სხვადასხვა სამეწარმეო და საფინანსო პროგრამების, ასევე კომერციული პროექტების დამუშავებისა და დანერგვის სფეროში.

2. თანამშრომლობის პირველ ეტაპზე მხარეები გეგმავენ განახორციელონ ერთობლივი საქმიანობა შემდეგი პროექტების საწარმოებლად:

ტელევიზორები;

სარეცხის მანქანები;

უთო და ა. შ.

3. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ზემოხსენებული პროექტის რეალიზების შესაძლებლობის შესახებ მხარეთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები ჩაატარებენ ერთობლივ კონსულტაციებს და შეხვდებიან ერთმანეთს არა უგვიანეს 2 აგვისტოს 2004წ.

4. 2004 წლის პირველ აგვისტომდე მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება დადონ ერთობლივი მოღვაწეობის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომ "ძირითადი ხელშეკრულება").

ძირითადი ხელშეკრულება, რომელსაც მხარეები დადებენ, უნდა შეიცავდეს შემდეგ პირობებს:

ა) ხელშეკრულების საგანს;

ბ) მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს;

გ) სამუშაოს შესრულების ვადებს და ა.შ.

5. ძირითადი ხელშეკრულების პროექტს საწარმო წარუდგენს ქარხანას განსახილველად არა უგვიანეს 29 აგვისტოს 2004წ.

6. ერთ-ერთი მხარის მიერდაუსაბუთებელი უარის შემთხვევაში ძირითადი შეთანხმებიდან წინამდებარე ხელშეკრულების მე-4

პუნქტამდე ან ისეთი ქმედებების შესრულება, რომლის შედეგადაც ძირითადი ხელშეკრულების დადება შეუძლებები ხდება, დამნაშავე მხარე პასუხს აგებს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისა და პირობების მიხედვით.

წინამდებარე ოქმს აწერენ ხელს:

საწარმოს მხრიდან ხელმოწერა

ქარხნის მხრიდან ხელმოწერა

დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას.

ხშირად ხელშეკრულების დადების შემდეგ, გარკვეულ გარემოებათა არსებობა წარმოშობს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. ცვლილება ხელშეკრულებაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით თუ ესვა, რამ კანონით არ არის გათვალისწინებული. ხელშეკრულებაში ცალმხრივი ცვლილებების ან დამატების შეტანა დაუშვებელია. შეთანსმება ხელშეკრულებაში ცვლილებას ან დამატების შეტანის შესახებ იდება იმავე ფორმით, როგორც თვითონ ხელშეკრულებით ან კანონით ეხვა, რამ არ არის გათვალისწინებული. სასამართლოში მოთხოვნა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა მეორე მხარე უარს განუცხადებს ამის შესახებ ან პასუხს არ გამოუგზავნის მეორე მხარეს. ცვლილების შეტანა ხელშეკრულებაში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახით:

1. ხელშეკრულების ზოგიერთი სადაო მუხლის რედაქტიული ცვლილება;
2. ხელშეკრულებისათვის ახალი პირობების დამატება;
3. ხელშეკრულებიდან ზოგიერთი მუხლის ამოღება;

როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე თვლის, რომ საჭიროა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა იგი მეორე მხარეს უგზავნის შესაბამის წინადადებებს. მეორე მხარე

ვალდებულია განიხილოს აღნიშნული წინადადებები და ვადაში დაუბრუნოს პასუხი.

### წერილი ხელშეკრულების პირობების შეცვლის წინადადებით
(იწერება საწარმოს საფირმო ბლანკზე)

შპს "ივერია",
ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. №31,
გივი ალექსიძეს

პატივცემულო გივი!

ჩვენი საწარმოს გაუთვალისწინებელი ფინანსური სირთულეების გამო გაცნობებთ, რომ, ალბათ, ჩვენ ვერ შევძლებთ სათანადო წესით და დადგენილ ვადაში ჩვენი ვალდებულებების შესრულებას, რომელიც გვეკისრება 2004 წლის 1 თებერვლის №34 სანარდო ხელშეკრულების მიხედვით.

თუმცა შესაძლო ზარალის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შესაძლოა. თქვენ წარმოგექმნათ, გთხოვთ, განიხილოთ ზემოხსენებული ხელშეკრულების ზოგიერთი პირობების შეცვლის საკითხი, კერძოდ, პ.——————, ზემოხსენებული პირობების ახალი ვარიანტი თან ერთვის ამ წერილს.

გთავაზობთ უახლოეს მომავალში ჩაატაროთ შეხვედრა ჩვენი წინადადების განსახილველად და გავაფორმოთ ჩვენი შესაძლო შეთანხმება ხელშეკრულების წერილობითი ფორმით შეცვლის თაობაზე.

2004წ. 2 ივლისი
პატივისცემით, ხემოწერა
ბ.ა.

## ხელშეკრულების პირობების შეცვლის თანხმობა

(იწერება საწარმოს საფირმო ბლანკზე)

პატივცემულო გივი!

გაცნობებთ, რა თქვენს წერილს, დათარიღებულს 2004წ. 2 ივლისით, სანარდო ხელშეკრულების (სანარდო ხელშეკრულება №34, 01. 02. 2004წ.) პირობების შეცვლის თაობაზე, გაცნობებთ, რომ ჩვენი საწარმო თანახმაა და განიცილავს თქვენს მიერ წამოყენებულ საკითხს.

გთავაზობთ 2004წ. 5 ივლისს თქვენი წინადადების განსახილველად ჩავატაროთ შეხვედრა და გავაფორმოთ ჩვენი თანხმობა ხელშეკრულების პირობების შეცვლასთან დაკავშირებით.

3 ივლისი 2004წ.

პატივისცემით, ხელმოწერა

ბ.ა.

## შეთანხმება სანარდო ხელშეკრულების შეცვლისა და დამატების შესახებ

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათასორი წელი

დამკვეთმა – შპს "ივერია", მისი დირექტორის გივი ალექსიძის სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, ერთის მხრივ, და

შემსრულებელი – შპს "ლილო", თამაზ როგავას სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, მეორეს მხრივ,

დადეს წინამდებარე შეთანხმება შემდეგზე:

1. დამკვეთი და შემსრულებელი (მიზეზები და მოტივები, რომლის მიხედვითაც მხარეები ავსებენ და ცვლიან ხელშეკრულებას) შეთანხმდნენ 2004წ. 1 თებერვლის №34 სანარდო ხელშეკრულების შეცვლასა და დამატებაზე.

2. შეიცვალოს ქვემოთმოყვანილი ხელშეკრულების პირობები და ჩაიწეროს შემდეგი სახით:

„პ. ________________________________________________

________________________________________________"

„პ. ________________________________________________

____________________________________________________________________________________“

3. შეივსოს ხელშეკრულება ქვემოთმოყვანილი პუნქტებით და ჩაიწეროს შემდეგნაირად:

„პ. _______________________________________________________________________________

____________________________________________________________________________________“

„პ. _______________________________________________________________________________

____________________________________________________________________________________“

4. ხელშეკრულებიდან ამოვარდეს პუნქტები ____________, ასევე მე _____ პუნქტის მე-2 ნაწილი.

5. წინამდებარე შეთ ნხმების მიხედვით შეცვლილი და გამირიცხული ვალდებულებები, რომლის შესრულებას მხარეები უკვე შეუდგნენ, უნდა შესრულდეს შემდეგი წესით:

დამკვეთი: ___________________________________________________________

შემსრულებელი: ____________________________________________________

(აღინიშნება იმ მოვალეობების შესრულების წესი დავალები მიღება ან დაბრუნება), რომელთა შესრულება დაიწყო მანამდე,სანამ ამ შესრულების წესი წინამდებარე შეთანხმების მიხედვით მხარეებმა არ შეცვალეს).

6. ზემოხსენებული შეთანხმების დანარჩენი პირობები, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებით არ შეცვლილა და არ დამატებულა, უცვლელი რჩება და მათ მიხედვით მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებებს.

7. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 2 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის თითო-თითო ეალი.

8. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

| | |
|---|---|
| დამკვეთი | შემსრულებელი |
| ხემლოწერა | ხემლოწერა |
| ბ.ა. | ბ.ა. |

შეთანხმება ხელშეკრულების შესრულების წესის შეცვლაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათასორი წელი

კრედიტორმა – შპს "ივერია", მისი დირექტორის გივი ალექსიძის სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, ერთის მხრივ, და

მსესხებელმა – შპს "ლილო", თამაზ როგავას სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, მეორეს მხრივ,

დადეს წინამდებარე შეთანხმება შემდეგზე:

1. 2004 წლის 1 ივნისით დათარიღებული უკანასკნელი წერილის საფუძველზე კრედიტორი და მსესხებელი —————— დაკავშირებით, შეთანხმდნენ 2004 წ. 3 მარტის №5 სესხის ხელშეკრულების შესრულების წესის შეცვლაზე.

2. დადგინდა, რომ მსესხებლის ვალდებულებების შესრულება ზემოხსებენული ხელშეკრულების მიხედვით განხორციელდება შემდეგნაირად: ——————————

3. ზემოხსენებული შეთანხმების დანარჩენი პირობები, უცვლელი რჩება და მათ მისედვით მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებებს.

4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 2 თანაბარმნიშენელოვან ეგზემპლარად, დიღოეული მხარისათვის თოთო-თითო ცალი.

5. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კრედიტორს არ აქვს უფლება მსესხებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულება, რომელთა შესრულების წესი შეცვლილია წინამდებარე შეთანხმების თანახმად.

6. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

| | |
|---|---|
| მსესხებელი | კრედიტორი |
| ხემლოწერა | ხემლოწერა |
| ბ.ა. | ბ.ა. |

# შეთანხმება სანაღდო ხელშეკრულების გაგრძელებაზე

ქ. თბილისი ორი ივლისი ორიათასორი წელი

დამკვეთი – შპს "ივერია", მისი დირექტორის გიგი ალექსიძის სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, ერთის მხრივ, და

შემსრულებელი – შპს "ლილო", თამაზ როგავას სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, მეორეს მხრივ,

დადეს წინამდებარე შეთანხმება შემდეგზე:

1. დამკვეთი და შემსრულებელი შეთანხმდნენ 2004წ. 1 თებერვლიდან 2004 წლის 1 სექტემბრამდე.

2. ზემოხსენებული შეთანხმების დანარჩენი პირობები , უცვლელი რჩება და მათ მიხედვით მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებებს.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 2 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის თოთო-თითო ცალი.

4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

დამკვეთი  
ხელმოწერა  
ბ.ა.

შემსრულებელი  
ხელმოწერა  
ბ.ა.

# თემა მეშვიდე

## ლათინური ნოტარიატის ინტერნაციონალური კავშირი (ლ.ნ.ს.კ)

## ლექცია VIII – ლათინური ნოტარიატის ინტერნაციონალური კავშირი (ლ.ნ.ს.კ), ნოტარიუსი და სანოტარო ფუნქცია, სანოტარო დოკუმენტები

***ლათინური ნოტარიატის ინტერ-ნაციონალური კავშირი (ლ.ნ.ს.კ)***

ლათინური ნოტარიატის ინტერნაციონალური კავშირი (Union Internationale du Notari at Zatin - UZNZ) წარმოადგენს მსოფლიოს ეროვნული ნოტარიატების გაერთიანებას. იგი დაფუძნებულია 1948 წლის 2 ოქტომბერს არგენტინაში, ქალაქ ბუენოსაირესში. იქვეა განთავსებული მისი ძირითადი სათაო ოფისი: კალაოს გამზირი 1542.

ამ შემთხვევაში მითითება ლათინურს არა აქვს არც ენობრივი და არც ეტიმოლოგიური დატვირთვა. იგი ამით მხოლოდ დაკავშირებულია რომის სამართალთან, როგორც იმ სამართლის ნორმების ძირითად წყაროსთან, რომელზედაც დაფუძნებულია ლათინური ნოტარიატის ძირითადი პრინციპები. ლათინურ ნოტარიატს ანგლოსაქსური და სკანდინავიური სისტემების გარდა განეკუთვნება თითქმის ყველა ევროპული სამართლებრივი სისტემები. ლათინური ნოტარიატის ინტერნაციონალური კავშირი ასეთ განმარტებას აძლევს „ლათინური ტიპის ნოტარიუსს“. ეს არის იურისტი, რომელიც მოწოდებულია მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებებს მიანიჭოს „საჯარო ნდობა“ და „საოჯახო ფორმა“; იგი წარმოადგენს ნატურალურ მსახურს მხარეებისათვის და ანხორციელებს საჯარო ხელისუფლების წინაშე მდგარ ამოცანებს, იმავდროულად ინარჩუნებს რა დამოუკიდებლობას, როგორც სახელმწიფოს ასევე კონტრაქტის მხარეების მხრიდანაც.

იგი ვალდებულია მკაცრად დაიცვას სანოტარო მოქმედებათა საიდუმლოება და პასუხს აგებს იმ შეცდომებზე, რომელიც გამომდინარეობს მის მიერ პროგრესული საქმიანობის განხორციელებასთან. ნოტარიუსი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია მისი ქვეყნის კანონმდებლობით (და ლათინური

ნოტარიატის მუდმივმოქმედი საბჭოს 1986 წლის 13-15 მარტის გადაწყვეტილებით).

ლათინური ნოტარიუსის საერთაშორისო კავშირის მიზნებია:

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ნოტარიატის ნაციონალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- სამართლის იმ დარგების შესწავლა, რომელიც მიმართულია ნოტარიატის სფეროს სრულყოფისაკენ;
- სანოტარო სამართლის მოქმედების სფეროს შესწავლა და მის სრულყოფაში მონაწილეობა;
- ლათინური ნოტარიატის კანონმდებლობის შესწავლა და მისი სისტემატიური კომპილაცია;
- ლათინური ნოტარიატის პრინციპების გავრცელება;
- საერთაშორისო კონგრესების ორგანიზება და საერთაშორისო სხდომებში მონაწილეობა;
- ურთიერთობის დამყარება იმ ქვეყნებთან, სადაც არ არის ნოტარიატის ორგანიზაცია, რათა ხელი შეუწყოს მათ ჩამოყალიბებას და ლ.ნ.ს.კ-შისხლის სამართლის გაწევრიანებას;
- ურთიერთობა ნოტარიატისა იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც თავიანთი სამართლებრიეი სისტემით მიეკუთვნებიან ლათინურ ნოტარიატს;
- თანამშრომლობა ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ლათინური ნოტარიატის სისტემას, მაგრამ მათთან არსებობს საერთო ინტერესები.

რაც შეეხება ლათინური ნოტარიატის კავშირის ამოცანებს:

- იურიდიული საკითხების შესწაელასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონგრესების ორგანიზება;
- მუშაობის ორგანიზება თავის მუდმივმოქმედ კომისიებში, როგორებიცაა ევროპის და ხმელთაშუა ზღვის კომისია, ევროპის საქმეტა კომისია, ამერიკის საქმეთა კომისია, აფრიკის საქმეთა კომისია, ახალგაზრდა ნოტარიუსტა კომისია, იურიდიული უსაფრთხოებისა და ინფორმატიკის კომისია, ნოტარიუსთა სპეციალური დაცვის კომისია;
- აფრიკის, ამერიკის და ევროპის მუდმივმოქმედ სამდივნოებთან მუშაობა;
- მუდმივმოქმედ საერთაშორისო თანამშრომლობის ბიუროსთან თანამშრომლობა, რომლის ამოცანაა ინფორმაციის გაცვლა და

გავრცელება, ასევე საერტაშორისო ნოტარიატის ჟურნალის გამოცემა;

- ადმინისტრაციულ სამდივნოსთან ურთიერთობა, დაფინანსება, ლ.ნ.ს.კ-ს და მისი სამუშაო ორგანოების დაფინანსება ხდება მისი წევრების ყოველწლიური საწევრო შენატანებით; საერთაშორისო ორგანიზაციები რომლებთანაც თანამშრომლობს ლ.ნ.ს.კ.

გაერო, ეკონომიური და სოციალური საბჭო, გაერთიანებულ ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჰააგის კონფერენცია საერთაშორისო კერძო სამართალში, ევროპის კავშირის კომისია და ადამიანის უფლებათა კომისია, ევროპის სასამართლო, ევროპის კავშირის იურიდიული პალატა, ევროპის საბჭო, ვატიკანი, ამერიკის ქვეყნების ორგანიზაცია, ცენტრალური ამერიკული საერთო ბაზარი, ანდის პაქტი, ინტეგრაციის ცენტრალური ამერიკული ასოციაცია, ბავშვთა საერთო ამერიკული ინსტიტუტი, ესპანურ-პორტუგალიურ-ამერიკული საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, ინგლისისა და უელსის საკანონმდებლო თანამეგობრობა, ადვოკატთა საერტაშორისო კავშირი, შოტლანდიის საკანონმდებლო თანამეგობრობა, ირლანდიის საკანონმდებლო თანამეგობრობა, სამართლისა და რეგისტრაციის საერთაშორისო ცენტრი, ევროპის კავშირის ქვეყნების ადვოკატთა საკონსულტაციო კომისია, ევროპის კავშირის საგირავნო (საიპოთეკო) ფედერაცია, ევროპის საბანკო ფედერაცია, მაგისტრატის საერთაშორისო კავშირი, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო კავშირის ორგანიზაცია, ცენტრალურ-ამერიკული პარლამენტი, ჟენევის საერთაშორისო ორგანიზაცია, სამხრეთ-ამერიკული საერთო ბაზარი.

ლათინური ნოტარიატის კავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: ნოტარიატისთვის საინტერესო თემების შესწავლა საერთაშორისო კონგრესებზე, კერძოდ, საოჯახო სამემკვიდრეო, საკუთრებისა და სამეწარმეო სამართლის და სხვა სფეროებში; კანონტა სრულყოფა საერთაშორისო დონეზე და ეროვნული კანონმდებლობისათვის კონკრეტული წინადადებების შეთავაზება, გამოცდილების გაზიარება და საერტაშორისო დონეზე სანოტარო აქტების მოქმედებისა და სანოტარო აქტების მიღების პროცედურების გამარტივება, მათი აღჭურვა, მაღალი მტკიცებულებითი ძალით და ამით გარიგებათა იურიდიული უსაფრთხოების გარანტირება.

თაეის ფუნქციებს ლ.ნ.ს.კ ასრულებს სამუშაო კომისიების მეშ-ვეობით, რომლებიც სამეცნიერო მუშაობასთან ერთად თანამ-შრომლობენ ლ.ნ.ს.კ. წევრ ნოტარიატებთან.

კომისიები თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებ-თან ევროკავშირის ეგიდით საერთაშორისო კონვენციების და დი-რექტივების მოსამზადებლად ნოტარიატის კომპეტენციის ფარგლებში.

ზოგადოებაში კანონიერების დამცველს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს.

ლ.ნ.ს.კ. ეხმარება ახალ ნოტარიატს კანონების მომზადებაში, ატარებს მათთვის სტაჟირებებს, კოლოქვიუმებს და სემინარებს.

ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის პერიოდული გამოცემებია: საერთაშორისო ნოტარიატი (სამეცნიერო ჟურნალი), ნოტარიატის საერთაშორისო ჟურნალი, მუდმივი სამდივნოს საინ-ფორმაციო ბიულეტენი.

ლათინური ნოტარიატის კავშირის მრავალრიცხოვან ნაშრომებს შორის აღსანიშნავია გამოკვლევები შედარებითი სამართლის შემდეგ თემებზე:

- შედარებითი გამოკვლევა იურიდიული პირების შესახებ;
- შედარებითი გამოკვლევა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ;
- ევროიპოთეკა;
- ევროპის სავაჭრო რეესტრის წარმოება;
- მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი და მემკვიდრეობა საერთაშორისო კერძო სამართალში;
- მოძრავი ნივთების გირავნობა, როგორც ვალდებულების შესრულების საშუალება;
- ნოტარიულად დამოწმებული ანდერძების კრებული;
- მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის მარეგული-რებელი სანოტარო დოკუმენტების კრებული;
- მინდობილობათა ტექსტები: გერმანულ, ინგლისურ, ესპანურ, ფლამანდრიულ, ფრანგულ, ბერძნულ, ჰოლანდიურ, იტალიურ, პორ-ტუგალიურ და თურქულ ენებზე;
- არამატერიალურ ფასეულობათა სამართლებრივი რეჟიმი;
- უამრავი ქონებასთან დაკავშირებული საერთაშორისო გარი-გებანი.

კავშირის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ნოტარიატის წევ-რების საერთო კრება. ყოველ წევრს გააჩნია ხმის უფლება. კავშირი

იმართება მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ, რომელიც წარმოადგენს კავშირის აღმასრულებელ ორგანოს. მას ხელმძღვანელობს კავშირის პრეზიზენტი. მას ეხმარებიან ხუთი ვიცე-პრეზიდენტი.[1]

ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კონგრესები იმართება ყოველ სამართლებრივი წელიწადში ერთხელ; და თუ მასზე ხდება კონკრეტული თემების განხილვა. პირველი კონგრესი გაიმართა 1948 წელს არგენტინაში, ბუენოს აირესში თემებზე: ნოტარიატის ორგანიზაცია, სანოტარო ფუნქციების აღსრულება, ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი და სანოტარო აქტის შენახვა, სანოტარო არქიეები, სანოტარო არქივების რეგისტრაცია.

1950 წლის მადრიდის მე-2 კონგრესი: სანოტარო დოკუმენტი და მისი საერთაშორისო ძალმოსილება, ნოტარიატების საკანონმდებლო ორგანიზაცია, ნოტარიატის უფლებები და კომპეტენცია, მემკვიდრეობა, ანდერძისმიერი და კანონისმიერი მემკვიდრეობა.

1954 წლის პარიზის მე-3 კონგრესი: რეკომენდაციები ნოტარიუსისათვის, სადაც ხაზგასმულია, რომ სანოტარო ფუნქცია ხასიათდება სპეციფიურობით; სანოტარო დოკუმენტი, მისი ხასიათი და ეფექტურობა.

1956 წლის რიო დე ჟანეიროს მე-4 კონგრესი: ნოტარიუსის ფუნქციები, ანდერძები: ფორმებისა და რეგისტრაციის უნიფიცირება, ნების უკანასკნელი გამოვლინების აქტები; ნოტარიუსის კომპეტენცია; საზოგადოების დაფუძნება, იურიდიულ-პროფესიული საზოგადოებები.

1958 ელის რომის მე-5 კონგრესი: სანოტარო დოკუმენტები: ხელმოწერების დამოწმება, სანოტარო დოკუმენტები საერთაშორისო ურთიერთობებში, ნოტარიუსისა და მისი თანამშრომლების პროფესიული საიდუმლოება, ნოტარიატის ადაპტაცია თანამედროვე პირობებში.

1961 წლის მონრეალის მე-6 კონგრესი: საჯარო სანოტარო აქტი, კომერციული იურიდიული პირები; ნოტარიუსი: სამსახურებრივი

---

[1] Нотариус Д.Р. Хельмут Феслер г. Крефельд вице-президент по Европе Интернационального союза латинского нотариата. Современный нотариат – структура и задача. Эуонал Доиче нотариал тртфт Кельн.

[2] ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“ 2001 წ. №1 გვ. 66-68 ინფორმაცია ლ.ნ.ს.კ. შესახებ. მასალები მოამზადა ნოტარიუსმა ლელა ინწკირველმა.

მოვალეობების შესრულება, მემკვიდრეობა: ანდერძების ცენტრალური რეესტრები.

1963 წლის ბრიუსელის მე-7 კონგრესი: მეუღლეთა ქონებრივი უფლება, მეუღლეთა ქონებრივი უფლებები საქორწინო ხელშეკრულებით, კანონთა კოლიზია მემკვიდრეობით ქონების გადაცემისას, ქონების მემკვიდრეობით გადაცემა „De cujus"-ის ეროვნული კანონი, ქონების მემკვიდრეობით გადაცემა: ესპანეთისა და იტალიის დელეგაციების პოზიციები.

1965 წლის მეხიკოს მე-8 კონგრესი: მეუღლეთა სამემკვიდრო ქონებრივი ურთიერთობები: კანონთა კოლიზია საქორწინო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში: მეუღლეთა სამემკვიდრო ქონებრივი უფლებები – წინააღმდეგობა კანონებთან საქორწინო ხელშეკრულების არსებობისას. ნოტარიატი და ნებაყოფლობითი იურისდიქცია, საგადასახადო მოთხოვნები იურიდიული აქტების მოქმედებასთან დაკავშირებით. 1967 წლის მიუნჰენის მე-9 კონგრესი: ნოტარიატის სამართლებრივი ორგანიზაცია მხარეთა უფლებებისა და ინტერესების ლეგიტიმაცია სანოტარო აქტში:სამკვიდროს მიღება. კანონებთან შეუთავსებლობა.

1969 წლის მონტევიდეოს მე-10 კონგრესი: სამკვიდროს მიღება: საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები სამემკვიდრეობა სამართალში, ნოტარიატი თანამედროვე საზოგადოებაში: ახალ სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

1971 წლის ათენის მე-11 კონგრესი: ნოტარიატი და თანამედროვე საზოგადოება.

1973 წლის ბუენოს-აირესის მე-12 კონგრესი: უამრავი ქონება, საზოგადოების უფლებები, ნოტარიატის ადაპტაცია თანამედროვე მსოფლიოში, განქორწინების სენტენცია – მისი მნიშვნელობა და როლი საერთაშორისო კერძო სამართალში.

1975 წლის ბარსელონას მე-13 კონგრესი „Zocus rigit actum"-ის პრინციპი სამკვიდროს მიღებისას საწარმოთა გაერთიანება, პირადი და მემკვიდრეობითი ქონებრივი ურთიერთობები მეუღლეებს შორის, საცხოვრებელი ადგილის შემძენთა გარანტიები გამყიდველებთან, ან მშენებლებთან ურთიერთობისას.

1977 წლის გვატემალას მე-14 კონგრესი: საჯარო სანოტარო აქტების მომზადება: აქტები და ხელშეკრულებები იმ კომერციული საზოგადოებისა, რომლებიც ჯერ არ არიან რეგისტრირებულები სამეწარმეო რეესტრში, შენობების (უამრავი ქონების) და მოძრავი

ქონების გადაცემა კერძო აქტით, საბანკო ხელშეკრულებების გაფორმება და ნოტარიუსის მონაწილეობა, განქორწინების შედეგები შედარებით სამართალში; საგადასახადო კანონმდებლობა და ხელშეკრულებები.

1979 წლის პარიზის მე-15 კონგრესი: საწარმოო და სამართლის ფუნქცია, ინდივიდუალური საწარმოები და მათი არსებობა საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ტიპის წარმოებები.

1981 წლის მე-16 კონგრესი: ლათინური დოკუმენტური სისტემა: მისი ბუნება.

1984 წლის ფლორენციის მე-17 კონგრესი: ნოტარიატი და მისი კოდიფიკაცია, ნოტარიატი და მისი პერსპექტივა ინდივიდებისა და ჯგუფების მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

1986 წლის მონრეალის მე-18 კონგრესი: საჯარო სამართლის გავლენა კერძო სამართალზე, საჯარო სამართლის გავლენა სანივთო სამართალზე.

1989 წლის მე-19 კონგრესი: ნასყიდობის ხელშეკრულების ხელისმოწერის წინა ეტაპზე ნოტარიუსის მონაწილეობის გარანტიები; ნოტარიატის როლი იურიდიული პირის დაფუძნებისას, სანოტარო პრაქტიკის გავლენა სანივთო სამართალზე.

1992 წლის კარტაპენის მე-20 კონგრესი: ნოტარიუსის მონაწილეობა არასადაო ხასიათის იურისდიქციის სფეროში, ელექტრონული დოკუმენტაცია და იურიდიული უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და სანოტარო პრაქტიკა, ნოტარიუსის მიერ მიჩებული უცხოური დოკუმენტის ძალამოსილება და მოქმედება.

1995 წლის ბერლინის 21-ე კონგრესი: ნოტარიუსის საჯარო და სოციალური ფუნქცია, სანოტარო იურიდიული უსაფრთხოება, მომხმარებელთა დაცვის საშუალებანი, თანამედროვე მედიცინა ბავშვის დაბადების შესახებ საოჯახო სამართლისა და სამემკვიდრეო სამართლის სფეროში, თანამედროვე იურიდიული ტექნიკა სანოტარო საქმიანობის გარანტიების თვალსაზრისით.

1998 წლის ბუენოს-აირესის 22-ე კონგრესი: ნოტარიუსის როლი სახელმწიფოს წინაშე — უმთავრესად ადმინისტრაციულ-ფისკალურ სფეროში, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა და ნოტარიუსის მისია, ნოტარიუსის დენტოლოგიის ნორმები კლიენტებთან, კოლეგებთან და სახელმწიფოებთან ურთიერთობაში.

2001 წლის ათენის 23-ე კონგრესი: ნოტარიუსის პრევენტული ფუნქცია დაკავებისას: ნოტარიუსის რჩევა და შუამავლობა,

ნოტარიუსის, როგორც სამართალშემოქმედის ფუნქცია. სანოტარო აქტების მოძრაობა სამოქალაქო ბრუნვაში[2].

როგორც ვხედავთ უზარმაზარი და მასშტაბურია ის მუშაობა, რომელიც ლათინური ნოტარიატის კავშირის მიერ იქნა გაწეული 1948 წლიდან 2001 წლამდე და დღესაც გრძელდება.

არ შეიძლება ვისაუბროთ ლათინურ ნოტარიატზე და არ შევეხოთ ლათინური ნოტარიატის სისტემის იმ საფუძვლებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც მიღებულ იქნა საერთაშორისო სანოტარო თანამშრომლობის კომისიის ბიუროს მიერ 1986 წლის 18 იანვარს და ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ 1986 წლის 13-14 და 15 მარტს ჰააგაში.

წინამდებარე ტექსტი გადმოსცემს საფუძვლებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლითაც განმსჭვალულია ლათინური ნოტარიატის სისტემა.

ეს პრინციპები იმპლიციტური ან ექსპლიციტური ფორმით (არაპირდაპირი ან პირდაპირი ფორმით) გამომდინარეობს დასკვნებიდან, რომლებიც გამოიმუშავა კავშირის დაარსებიდან დღემდე ჩატარებულმა კონგრესმა ნოტარიატთან, ნოტარიუსის ფუნქციასა, თუ საჯარო დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას.

პრინციპები ანუ საფუძვლები სისტემატიზირებულია მუხლებად. უპირველეს ყოვლისა ტექსტი იძლევა იმ პრინციპებზე, ანუ საფუძვლებზე მითითების შესაძლებლობას კონგრესთა დასკვნებისას, ხელახალი მოძიების აუცილებლობის გარეშე: ამასთანავე ტექსტი აზუსტებს იდეებსა და განსაკუთრებით, აყალიბებს იმ სამუშაო პრინციპს, რომელიც იქნება ნოტარიატის წამმართველი და ორიენტირი კავშირის წევრებისათვის და მათთვისაც, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები, მაგრამ სურთ კავშირში გაერთიანება და რომლებიც დააპირებენ წინამდებარე პრინციპების შესაბამისად

---

[2] ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი" 2001 წ. №2 გვ. 95 ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის საერთაშორისო კონგრესის მიერ განხილული თემები.

ნოტარიატის შესახებ კანონის მიღებას, ან ნოტარიატის შესახებ არსებული კანონმდებლის გაუმჯობესებასა და სრულყოფას.

*1. ნოტარიუსი და სანოტარო ფუნქცია*

1. ნოტარიუსი არის იურისტი, აღჭურვილი სპეციალური საჯარო უფლებამოსილებით, დაამოწმოს კონტრაგენტების მიერ შედგენილი აქტებისა და კონტრაქტების ავთენტურობა (ნამდვილობა), შეადგინოს დოკუმენტები და მისცეს მათ საჭირო და მართებული ფორმა, იყოს იმ პირების მრჩეველი, რომლებიც მას მიმართავენ სამართლებრივი დახმარებისათვის.

2. სანოტარო ფუნქცია არის საჯარო ფუნქცია, რომელსაც ნოტარიუსი ახორციელებს დამოუკიდებელი ფორმით, სახელმწიფო მმართველობისა და სხვა საჯარო ორგანოების მოხელეთა იერარქიაში ყოფნის გარეშე.

3. დაუშვებელია ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება იმ სწავლების წარმატებით გავლის გარეშე, რომელიც მოითხოვება ყველა ქვეყანაში იურიდიული პროფესიის აღსასრულებლად.

რეკომენდირებულია მოთხოვნა, რათა ნოტარიუსის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებმა ჩააბარონ წინასწარ განსაზღვრული თეორიული და პრაქტიკული გამოცდა.

4. ნოტარიუსი ვალდებულია თავისი ფუნქცია შეასრულოს ზედმიწევნით მიუკერძოებლად. ამ მიზნით დადგინდება შეუთავსებლობები, რომლითაც მიიღწევა სათანადო მიუკერძოებლობა.

*2. სანოტარო დოკუმენტი*

5. სანოტარო დოკუმენტი არის დოკუმენტები, რომელთაც ადგენს და ამოწმებს ნოტარიუსი და რომელთაც ქრონოლოგიის წესით კლასიფიცირებულს ინახავს თავის მფლობელობაში.

6. საგანი იმ დოკუმენტებისა, რომელზედაც მითითებულია წინა მუხლში, შეიძლება იყოს ყველა სახის ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი იურიდიული აქტი და საქმე. დოკუმენტებით შეიძლება მოხდეს კონსტატაცია ფაქტებისა, რომელთაც ნოტარიუსი ამოწმებს პირდაპირი შეგრძნებითი აღთქმით, ან იმით, რომ ეს ფაქტები მისთვის ცნობილია. შესაძლებელია სანოტარო აქტის საგანი იყოს აგრეთვე გაფრთხილებები და შეტყობინებები.

7. სანოტარო დოკუმენტების კონტრაქტი მხარეებს აქვთ უფლება მიიღონ ამ დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

ნოტარიუსს ასევე შეუძლია პროფესიული საიდუმლოების დარღვევის გარეშე სანოტარო დოკუმენტის დამოწმებული ასლი გასცეს იმ პირებს, რომლებსაც მათი აზრით აქვთ კანონიერი ინტერესი, იცნობდნენ სანოტარო დოკუმენტის შინაარსს.

8. სანოტარო დოკუმენტების დამოწმებულ ასლებს აქვთ ორიგინალის იურიდიული ძალა.

9. სანოტარო დოკუმენტებს აქვთ ორმაგი პრეზუმფცია: კანონიერებისა და სიზუსტის პრეზუმფცია.

კანონების პრეზუმფცია გულისხმობს, რომ იურიდიულ აქტს, ან საქმეს სანოტარო დოკუმენტის საშუალებით მიეცა მისი იურიდიული ნამდვილობისათვის საჭირო კანონიერი რეკვიზიტები: კანონიერების პრეზუმფცია განსაკუთრებით გულისხმობს აგრეთვე იმ გარემოების უდავო ხასიათს, რომ კონტრაქტი მხარეების ნება ნოტარიუსის თანდასწრებით გაცხადდა თავისუფლად და გაცნობიერებულად. ზუსტის პრეზუმფცია ნიშნავს, რომ საქმე, რომელსაც აღწერს სანოტარო დოკუმენტი და რომელიც ხდებოდა ნოტარიუსის თანდასწრებით, ან ცნობილია საყოველთაოდ, აღიარებულია ზუსტად.

10. სანოტარო დოკუმენტების კანონიერებისა და სიზუსტის პრეზუმფცია, რაზედაც მიუთითებდა წინა მუხლი, სადავო შეიძლება გახდეს მხოლოდ სამართლის წესით.

11. თუ ნოტარიუსი თავისი სანოტარო ფუნქციის შესრულებისას დაუდევრობის, ან განზრახვის შედეგად ზიანს მიაყენებს იმ პირს, რომელმაც მისგან მიიღო სამართლებრივი დახმარება, ნოტარიუსი ვალდებულია აუნაზღაუროს ზიანი ამ პირს.

12. ნოტარიუსები სანოტარო დოკუმენტებს ადგენენ თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად და დოკუმენტებში ნათლად ასახავენ კონტრაქტატი მხარეების ნებას, რომელიც ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს (მოერგოს) კანონმდებლობის მოთხოვნებს და საჭირო იურიდიულ ტექნიკას, რათა სანოტარო დოკუმენტებს ჰქონდეთ სრული იურიდიული ძალმოსილება.

13. არ შეიძლება დაავალდებულონ ნოტარიუსი, სანოტარო დოკუმენტები შეადგინოს ადვოკატის, ან სხვა დაინტერესებული პირის წარდგენილი პროექტის დამოწმების მიზნით. ნოტარიუსი უფლებამოსილია (თავისუფალია) მიიღოს, ან არ მიიღოს ეს პროექტი და მასში კონტრაქტანტი მხარეების თანხმობით შეიტანოს ცვლილებები, რომელსაც ჯეროვნად მიიჩნევს.

14. ნოტარიუსის ფუნქცია მოიცავს აგრეთვე კერძო აქტებზე დასმული ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურებას (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე არ ეხება დოკუმენტს, რომლის ნამდვილობისათვის სავალდებულოა მისი შედგენა მხოლოდ საჯარო სანოტარო აქტის ფორმით), ყველა სახის დოკუმენტის დამოწმებული ასლების გაცემა, ასლის ორიგინალთან შესაბამისობასთან დადასტურების.

*3. ნოტარიატის პროფესიული ორგანიზაცია*

15. კანონით განისაზღვრება თითოეული ნოტარიუსის ტერიტორიული კომპეტენცია და ნოტარიუსთა რიცხვი იმგვარად, რომ ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს სანოტარო მომსახურება და თავიდან აქნას აცილებული მონოპოლიური მდგომარეობა.

დაუშვებელია, არ განისაზღვროს ნოტარიუსთა რაოდენობა და ნოტარიუსის ტერიტორიული კომპეტენცია მოიცავდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიას.

16. კანონით დადგინდება სანოტარო ბიუროთა განთავსების თანაბრობა.

17. ნოტარიუსები სავალდებულო წესით უნდა გაწევრიანდნენ კოლეგიურ ორგანოში, რომელიც მათ დააჯგუფებს და გააერთიანებს კორპორაციული წესით.

18. უნდა არსებობდეს ერთი ცენტრალური ორგანიზაცია, რომელიც შედგება მხოლოდ ნოტარიუსებისაგან და რომელიც წარმოადგენს თავისი ქვეყნის ნოტარიატს. იგი იმოქმედებს ნოტარიუსთა კოლეგიუმებთან კავშირში.

19. ნოტარიუსთა კოლეგიუმების, ისევე როგორც ცენტრალური ორგანიზაციის კომპეტენციაა თვალყური ადევნოს, რათა ნოტარიუსის ფუნქცია აღსრულდეს ყველაზე მომთხოვნი პროფესიული დეონტოლოგიის ფარგლებში[3].

---

[3] ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი" 2001 წ. №1 გვ. 68-70 იტალიური ვერსიიდან თარგმნა ოთარ ზიოძემ, ნოტარიუსი.

## საქართველოს კანონი

## სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, აგრეთვე, ამ მოქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონსულტაციისა და ტექნიკური სამუშაოსათვის განკუთვნილი საზღაურის ოდენობასა და გადახდევინების წესს

### თავი I
### ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაურის ცნება

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური (შემდგომ - საზღაური) არის სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე, ამ მოქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონსლუტაციისა და ტექნიკური სამუშაოსათვის გადახდილი ანაზღაურება, რომელშიც არ შედის დამატებული ღირებულების გადასახადი.

მუხლი 2. საზღაურის ოდენობა

1. საზღაურის ოდენობა დგინდება გარიგების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულების საფუძველზე ან გარიგების ღირებულებისგან დამოუკიდებლად განსაზღვრული განაკვეთებით.

2. საზღაურის ოდენობის დადგენისას, კერძოდ, მინიმალური და სმაქსიმალური ზღვრებისდაწესებისას, მხედველობაში მიიღება სანოტარო მოქმედების სირთულე, გაწეული სამართლებრიეი კონსულტაცია, შესრულებული ტექნიკური სამუშაო და დახარჯული დრო.

3. ნოტარიუსი ვალდებულია გადაახდევინოს საზღაური მხოლოდ კანონით დაწესებული ოდენობით. ნოტარიუსს უფლება არა აქეს დადოს შეთანხმება კანონით დაწესებული საზღაურის ოდენობისა და გადახდევინების წესის შეცვლის შესახებ.

მუხლი 3. სანოტარო მოქმედებათა ანაზღაურების წესი

1. ამ კანონის შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი მომსახურება:

ა) სანოტარო მოქმედების შესრულება;

ბ) დოკუმენტის პროექტის შედგენა;

გ) დოკუმენტის ასლების გაცემა და ტექნიკური სამუშაოს შესრულება;

დ) სანოტარო მოქმედების შესახებ სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა.

2. საზღაური გადაიხდევინება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. საზღაურის გადახდევინების ვადა

1. საზღაური გადაიხდევინება შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე.

2. ნოტარიუსი უფლებამოსილია არ გასცეს მასთან სანოტარო მოქმედების შესასრულებლად წარდგენილი დოკუმენტები შესაბამისი მოქმედებისათვის საზღაურის გადახდამდე და გაწეული ხარჯების ანაზღაურებამდე.

3. ნოტარიუსი ვალდებულია:

ა) დაინტერესებულ მხარეს გააცნოს სანოტარო და სხვა მოქმედებათა შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაურის განაკვეთები;

ბ) სანოტარო წესით დამოწმებულ ყველა დოკუმენტზე მიუთითოს გადახდილი საზღაურის ოდენობა.

4. ნოტარიუსი მოვალეა გადახდისათვის ვალდებულ პირს საზღაურის მიღებისას წარუდგინოს ანგარიში და მიუთითოს შემდეგი რეკვიზიტები;

ა) ნოტარიუსის სახელი, გვარიდა სანოტარო ბიუროს მისამართი;

ბ) ანგარიშის ნომერი და გაცემის თარიღი;

გ) გადახდისათვის ვალდებული პირის სახელი, გვარიდ ა მისამართი;

დ) სანოტარო მოქმედებისათვის რეესტრის წიგნში მინიჭებული ნომერი;

ე) გარიგების ღირებულება და გადახდევინებული საზღაურის ოდენობა;

ვ) ამ კანონის ის მუხლები, რომელთა შესაბამისადაც მოხდა საზღაურის გადახდევინება.

5. ანგარიშის ერთი პირი რჩება ნოტარიუსს და თან ერთვის სანოტარო საქმის წარმოებას.

6. ნოტარიუსი ვალდებულია ინფორმაცია ამ კანონით განსაზღვრული საზღაურის განაკვეთების თაობაზე განათავსოს თვალსაჩინო ადგილას.

## თავი II
## გარიგების ღირებულება

მუხლი 5. გარიგების ღირებულების განსაზღვრის საფუძველი

1. გარიგების ღირებულების განსაზღვრის საფუძველია სანოტარო მოქმედების შესრულებისას გარიგების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულება.

2. სანოტარო მოქმედების შესრულებისას გარიგების ღირებულებაა მისი საგნის (ნივთის ან უფლების) მხარეთა მიერ გაცხადებული ღირებულება.

3. გარიგების ან სამკვიდროს ღირებულების უცხოური ვალუტით გამოხატვის შემთხვევაში საზღაური გამოიანგარიშება გადახდევინების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის კურსით უცხოური ვალუტის მიმართ.

4. მხარეთა მიერ საგნის (ნივთის ან უფლების) აშკარად შეუსაბამო ღირებულების გაცხადების შემთხვევაში, გარიგების ღირებულების განსაზღვრის საფუძველია საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგნის (ნივთის ან უფლების) საბაზრო ღირებულება.

5. ნოტარიუსს უფლება არა აქვს მოსთხოვოს სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელ პირს გარიგების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა.

მუხლი 6. რამდენიმე გარიგების შემცველი დოკუმენტი

თუ დოკუმენტი რამდენიმე გარიგებას შეიცავს, გარიგების ღირებულებაა მათი ჯამური ღირებულება.

მუხლი 7. გარიგების შეცვლა ან ვალდებულებაში პირთა შეცვლა

1. იმ გარიგების დამოწმებისას, რომელშიც ცვლილების შეტანას მოჰყვება მისი საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულების ზრდა, გარიგების ღირებულებაა ის თანხა, რითაც გაიზარდა გარიგების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულება.

2. ვალდებულებაში პირის შეცვლისას გარიგების ღირებულება ვალდებულების ღირებულების ნახევარი.

3. მრავალპირიან ვალდებულებაში გარიგების ღირებულებაა ვალდებულების თავდაპირველი ღირებულების ნახევრის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება გარიგებაში შესაცვლელი პირის ვალდებულებით განსაზღვრულ წილს.

მუხლი 8. გარიგების ღირებულებათა უძრავი ნივთის გაყოფის, მისი ნაწილების შეერთების და უძრავი ნივთების გაერთიანებისას

1. უძრავი ნივთის გაყოფისას გარიგების ღირებულებაა გასაყოფი ნივთის ღირებულება.

2. უძრავი ნივთის ნაწილების შეერთებისას მეორე უძრავ ნივთთა გარიგების ღირებულებაა იპოთეკის თანხა.

3. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტში აისახება თვით გარიგება და გარიგება მისი შესრულების უზრუნველყოფის შესახებ, გარიგების ღირებულებაა უფრო მეტი ღირებულების გარიგების ღირებულება.

4. საჯარო რეესტრში გირავნობის უფლებისათვის მინიჭებული რიგითობის შეცვლისას გარიგების ღირებულებაა რიგითობის შემცვლელი იმ უფლების ღირებულება, რომელსაც უფრო ნაკლები ღირებულება აქვს.

მუხლი 10. სერვიტუტთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება

სერვიტუტთან დაკავშირებული გარიგების ღირებულებაა ძირითადი უძრავი ნივთის სერვიტუტით დატვირთვის შედეგად გაზრდილი ღირებულება. თუ მხარეთა მიერ განსაზღვრულია სერვიტუტის გადასახადის წლიური ღირებულება, გარიგების ღირებულებაა სერვიტუტის გადასახადის წლიური ღირებულების თანხა, რომელიც არ უნდა იყოს 5 წელზე გაანგარიშებულ ღირებულებაზე მეტი. გარიგების წლიური ღირებულება არ უნდა იყოს 10 ლარზე ნაკლები.

მუხლი 11. სარგებლიანობისა და ფლობის უფლებებთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება

1. განსაზღვრული ვადით სარგებლობისა და ფ ლობის უფლებებთან (მათ შორის, იჯარის, ქირავნობის, თხოვების უფლებებთან) დაკავშირებული გარიგებების ღირებულება გამოიანგარიშება ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის ღირებულებიდან, რომელიც არ უნდა იყოს 5 წელზე გაანგარიშებულ ღირებულებაზე მეტი.

2. უვადო სარგებლობისა და ფლობის უფლებებთან დაკავშირებული გარიგების ღირებულებაა ამ უფლებების წლიური ღირებულების სამმაგი ოდენობა.

3. მიბარების გარიგების ღირებულება გამოიანგარიშება ხელშეკრულების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულებიდან ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდისათვის, მაგრამ არა უმეტეს 2 წლისა.

4. თუ სარგებლობის უფლება თავისი შინაარსით შეესაბამება რომელიმე სერვიტუტს, გარიგების ღირებულება განისაზღვრება ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 12. აღნაგობის უფლებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება

1. აღნაგობის უფლებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულებაა აღნაგობის უფლებისათვის გადახდილი წლიური ღირებულების თანხა, რომელიც არ უნდა იყოს 5 წელზე გაანგარიშებულ ღირებულებაზე მეტი.

2. უძრავ ნივთზე აღნაგობის უფლებასთან დაკავშირებული გარიგების მინიმალური ღირებულებაა:

ა) უძრავი ქონების აღნაგობის შემთხვევაში - მიწის გადასახადის 5 პროცენტი;

ბ) აღუმართავი უძრავი ქონების აღნაგობის შემთხვევაში- მიწის გადასახადის 2 პროცენტი.

მუხლი 13. უპირატესი შესყიდვის უფლებასთან დაკდავშირებული გარიგების ღირებულება

უპირატესი შესყიდვის უფლებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულებაა გარიგების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულების 20 პროცენტი.

მუხლი 14. მოთხოვნათა დათმობის შესახებ გარიგების ღირებულება

1. მოთხოვნათა დათმობის ან ვალის გადატანის გარიგებათა დამოწმებისა,ს ან თავდაპირველ გარიგებაში თანხის გადიდებისას, გარიგებათა ღირებულებაა განუხორციელებელი უფლების და შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულება, ან ის თანხა, რითაც გაიზარდა თავდაპირველი გარიგება.

2. თავდაპირველ გარიგებაში ვადის გაგრძელების შემთხვევაში საზღაურია ამ გარიგებისათვი სგადახდილი საზღაურის 20 პროცენტი.

მუხლი 15. გაცვლის ხელშეკრულების ღირებულება

გაცვლის ხელშეკრულების ღირებულება გამოიანგარიშება უფრო მეტი ღირებულების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულებიდან.

მუხლი 16. საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება

1. წილობრივ საკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის ან განსაზღვრული წესით ამ ქონებით სარგებლობის შესახებ გარიგების ღირებულებაა იმ ქონების ფასი, რომელიც ექვემდებარება გაყოფას ანგ რიმლის მიმართაც განსიაზღვრება სარგებლობის წესი.

2. საქორწინო ხელშეკრულების ღირებულებაა იმ ქონების ფასი, რომელიც ამ ხელშეკრულების საგანია. მხედველობაში მიიღება უკვე

არსებული ქონება. საქორწინო ხელშეკრულების ღირებულება არ უნდა იყოს 60 ლარზე ნაკლები.

3. საკუთრების უფლების შესახებ მოწმობის გაცემისათვის საზღაური გამოიანგარიშება მოწმობაში მითითებული ქონების ფასის 20 პროცენტიდან.

მუხლი 17. საზღაური სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული მოქმედებისათვის

1. სამკვიდრო მოწმობის გაცემისათვის საზღაური გამოიანგარიშება სამკვიდროს ღირებულებიდან.

2. რამდენიმე მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში საზღაური გამოიანგარიშება თითოეული მემკვიდრის წილის პროპორციულად.

3. მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილ და ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემისათვის საზღაური გამოიანგარიშება მხოლოდ ქონების იმ ნაწილის ღირებულებიდან, რომელზეც გაიცემა სამკვიდრო მოწმობა (ღირებულება დგინდება საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით).

4. ფასიან ქაღალდებზე (ობლიგაცია, თამასუქი, ჩეკი, აქცია) სამკვიდრო მოწმობათა გაცემისა და მასთან დაკავშირებულ გარიგებათა დამოწმებისათვის საზღაური გამოიანგარიშება ფასიანი ქაღალდების ღირებულებიდან. თუ ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასის დადგენა შეუძლებელია, მხედველობაში მიიღება მათი ნომინალური ღირებულება.

5. სამკვიდრო ქონების დაცვასთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულებისათვის საზღაური გამოიანგარიშება დაცული სამკვიდრო ქონების ღირებულების 15 პროცენტიდან.

მუხლი 18. სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება

1. საწესდებო კაპიტალის და (ან საპაიო შენატანის მქონე სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის შექმნასთან ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულებათა საწესდებო კაპიტალი და/ან საპაიო შენატანი.

2. საწესდებო კაპიტალში და/ან საპაიო შენატანში ცვლილებებთან დაკავშირებულ მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაური გამოიანგარიშება მხოლოდ გაზრდილი ან შემცირებული თანხიდან.

3. იმ გარიგების ღირებულება, რომლის საფუძველზეც ხდება კომერციული, იურიდიული პირის წილის გასხვისება, გამოიანგარიშება

საწესდებო კაპიტალში და/ან საპაგიო შენატანში შესაბამისი გასასხვისებელი წილის პროპორციულად

4. სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის წესდებაში იმ ცვლილებების დამოწმებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის საწესდებო კაპიტალთან და/ან საპაგიო შენატანთან, საზღაური 15 ლარია.

5. საწესდებო კაპიტალის არმქონე სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის შექმნასთან ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული გარიგების დამოწმებისათვის საზღაური 25 ლარია.

6. ამ მუხლით განსაზღვრულ მოქმედებათათვის საზღაური არ უნდა იყოს 25 ლარზე ნაკლები და 50 ლარზე მეტი.

მუხლი 19. საზღაური არაკომერციული იურიდიული პირის (კავშირის, ფონდის, პარტიის) შექმნასთან ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებისათვის

1. კავშირისა და პარტიის შექმნასთან ან რეორგანიზაციასთან, ან წესდებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებისათვის საზღაური 18 ლარია.

2. ფონდის შექმნასთან ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამოწმებისას, გარიგების ღირებულებაა ფონდის სადამფუძნებლო ქონების (ფულადი და მატერიალური) ღირებულება.

მუხლი 20. საზღაური სააქციო საზოგადოების საერთო კრების ოქმის შედგენისათვის

სააქციო საზოგადოების საერთო კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ ოქმის შედგენისათვის საზღაურია სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 0,2 პროცენტი, რომელიც არ უნდა იყოს 150 ლარზე მეტი.

მუხლი 21. მინდობის (დავალების) გარიგების ღირებულება

განკარგვის უფლებით ქონების მინდობის (დავალების) გარიგების ღირებულებაა ამ ქონების ფასი.

## თავი III
## გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის გამოანგარიშების წესი

მუხლი 22. გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთები

1. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთებია:

| № | როცა გარიგების ღირებულება | საზღაურის ოდენობა ლარებით არის გარიგების ღირებულების |
|---|---|---|
| 1. | 500 ლარის ჩათვლით | 3% |
| 2. | 501 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით | 15 ლარი +500 ლარის ზევით თანხის 2,5% |
| 3. | 1001 ლარიდან 2000 ლარის ჩათვლით | 27,5 ლარი +1000 ლარის ზევით თანხის 1,5% |
| 4. | 2001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით | 42,5 ლარი +2000 ლარის ზევით თანხის 1% |
| 5. | 3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით | 52,5 ლარი +3000 ლარის ზევით თანხის 0,5% |
| 6. | 5001 ლარიდან 20000 ლარის ჩათვლით | 62,5 ლარი +5000 ლარის ზევით თანხის 0,4% |
| 7. | 20001 ლარიდან 100000 ლარის ჩათვლით | 122,5 ლარი +20000 ლარის ზევით თანხის 0,3% |
| 8. | 100001 ლარიდან 500000 ლარის ჩათვლით | 362,5 ლარი +100000 ლარის ზევით თანხის 0,2% |
| 9. | 500001 ლარიდან 1000000 ლარის ჩათვლით | 1162,5 ლარი +500000 ლარის ზევით თანხის 0,1% |
| 10. | 1000000 ლარის ზევით | 1662,5 ლარი +1000000 ლარის ზევით თანხის 0,05% |

2. თუ ამ კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ცალმხრივ გარიგებათა დამოწმებისათვის საზღაურია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განაკვეთების ნახევარი ოდენობა.

3. ამ მუხლით განსაზღვრული საზღაური არ უნდა იყოს 10000 ლარზე მეტი.

მუხლი 23. საზღაური ქონების გაყოფის ან ქონებით სარგებლობის წესის დასადგენად დადებული გარიგების დამოწმებისათვის

წილობრივი საკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის ან ამ ქონებით სარგებლობის წესის დადგენის შესახებ გარიგების დამოწმებისათვის საზღაურია გარიგების ღირებულების მიხედვით დადგენილი განაკვეთის ნახევარი.

მუხლი 24. საზღაური სანივთო უფლების შესახებ გარიგების დამოწმებისათვის

სანივთო უფლების შეძენის და წინასწარი დაპირების შესახებ გარიგების დამოწმებისათვის საზღაური 10 ლარია.

მუხლი 25. საზღაური სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ხელშეკრულების დამოწმებისათვის

1. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციი სხელშეკრულების დამოწმებისათვის საზღაურია ამ ქონების შეძენის ფასის 0,2 პროცენტი, რომელიც არ უნდა იყოს 200 ლარზე მეტი.

2. ბინის პრივატიზაციი სხელშეკრულების დამოწმებისათვის საზღაური ერთი ლარია.

მუხლი 26. საზღაური გარიგების გაუქმების (მოშლის) დამოწმებისათვის

1. ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგების გაუქმების(მოშლის) დამოწმებისათვის საზღაური 15 ლარია.

2. მინდობის ხელშეკრულების გაუქმების (მოშლის) დამოწმებისათვის საზღაურია ამ ხელშეკრულების დამოწმებისათვის განკუთვნილი საზღაურის ნახევარი.

მუხლი 27. საზღაური სხვა სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის

1. საზღაური ამ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განაკვეთების ნახევარი ოდენობით გადაიხდეეინება შემდეგი მოქმედებების შესრულებისათვის:

ა) საკუთრებისუფლების მოწმობის გაცემა - მაგრამ არა უმეტეს 10 ლარისა;

ბ) სამკვიდრო მოწმობის გაცემა;

გ) სამკვიდრო ქონების დაცვასთან დაკავშირებული მოქმედების შესრულება- მაგრამ არანაკლებ 10 ლარისა.

2. საზღაური ამ კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განაკვეთების მეოთხედი ოდენობით გადაისდევინება შემდეგი მოქმედებების შესრულებისათვის:

ა) ფულის, ფასიანი ქაღალდების და სხვა ფასეულობების დეპოზიტზე მიღება - მაგრამ ყოველი თავისათვის არანაკლებ 4 ლარისა;

) საჯარო რეესტრში გირავნობის უფლებისათვის მინიჭებული რიგითობის შეცვლასთან დაკავშირებული გარიგების დამოწმება - მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა;

გ) საჯარო რეესტრში ცვლილების შეტანის შესახებ განცხადების დამოწმება - მაგრამ არანაკლებ 4 ლარისა.

მუხლი 28. საზღაური გარიგების პროექტის შედგენისათვის

იმ გარიგების პროექტის შედგენისათვის, რომელსაც არ მოჰყვა სანოტარო მოქმედების შესრულება, საზღაური გადაიხდევინება ასეთი გარიგებისათვის ამ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი განაკვეთის ნახევარი ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2 ლარისა.

## თავი IV
## გარიგების ღირებულებისგან დამოუკიდებლად განსაზღვრული საზღაურის განაკვეთები

მუხლი 29. საზღაურის მყარი განაკვეთებით ანაზღაურებადი სანოტარო მოქმედებები

საზღაურის მყარი განაკვეთებით ანაზღაურდება შემდეგი სანოტარო მოქმედებები:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ანდერძის დადასტურება | 9 ლარი |
| 2. | ანდერძის გახსნის შესახებ ოქმის შედგენა | 5 ლარი |
| 3. | ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება | 2 ლარი |
| 4. | დოკუმენტის თარგმანის სისწორის დადასტურება | თითოეული გვერდისთვის 1 ლარი |
| 5. | დოკუმენტის ასლისა და დოკუმენტიდან ამონაწერის დადასტურება | თითოეული გვერდისათვის 0,2 ლარი |
| 6. | იმ დოკუმენტის ასლის გაცემა, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში | 3 ლარი |
| 7. | ქონების მინდობის (დავალების) ხელშეკრულების დამოწმება განკარგვის უფლების გარეშე | 5 ლარი |
| 8. | იურიდიული პირის მიერ გაცემული რწმუნებულების დადასტურება | 5 ლარი |
| 9. | ფიზიკური პირის მიერ გაცემული რწმუნებულების დადასტურება | 2 ლარი |
| 10. | საზღვაო პროტესტის შესრულება | 300 ლარი |
| 11. | დოკუმენტის შენახვა (ანდერძის გარდა) | ყოველი თვისათვის 0,25 ლარი |
| 12. | ანდერძის შენახვა | 1,5 ლარი |
| 13. | მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება | 2 ლარი |
| 14. | მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება | 2 ლარი |
| 15. | დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება | 2 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| 16. | მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის დადასტურება | 2 ლარი |
| 17. | ნოტარიუსის მიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა განცხადებების გადაცემა სხვა ფიზიკურ და იურიდიული პირისათვის | 3 ლარი |
| 18. | განცხადების პროექტის შედგენა | 1 ლარი |
| 19. | განცხადების ან უწყების ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის გადაცემის შეუძლებლობის შესახებ მოწმობის გაცემა | 2 ლარი |
| 20. | სამკვიდრო მოწმობის გაცემა იმ ქონებაზე, რომლის შეფასებაც შეუძლებელია | 5 ლარი |
| 21. | აღნაგობის უფლებასთან დაკავშირებით გაცემული წინასწარი თანხმობის დადასტურება | 9 ლარი |
| 22. | სააღსრულებო ფურცლის გაცემა | 100 ლარი |

მუხლი 30. საზღაური შესასრულებელ სანოტარო მოქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონსულტაციის გაწევისათვის

თუ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შესახებერთ საათზე მეტი დროით გაწეული კონსულტაციას არ მოჰყვა შესაბამისი სანოტარო მოქმედების შესრულება, საზღაური გამოიანგარიშება დახარჯული დროის შესაბამისად - ყოველი სრული საათისათვის 3 ლარის ოდენობით.

## თავი V
## სანოტარო მოქმედებასთან დაკავშირებული ტექნიკური სამუშაოსა და სხვა ხარჯების ანაზღაურების წესი

მუხლი 31. სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად გაწეულიხარჯების ანაზღაურება

1. პირი, რომლის თხოვნითაც სრულდება სანოტარო მოქმედება, ვალდებულია აანაზღაუროს სანოტარო მომსახურებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სატელეფონო კავშირის, ფაქსის, ტელეფაქსის, საფოსტო გზავნილებისა და სატრანსპორტო ხარჯები. ეს მომსახურება აიწევა პირთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

2. თუ სანოტარო მოქმედება შესრულებულია სანოტარო ბიუროს შენობის გარეთ ან ნოტარიუსის არასამუშაო დროს, საზღაური გამოიანგარიშება შესაბამისი საზღაურის განაკვეთზე ყოველი დახარჯული საათისათვის 3 ლარის დამატებით. ამ კანონის მიზნებისათვის ნოტარიუსის სამუშაო დროდ მიიჩნევა დრო 10 საათიდან 1№ საათამდე.

3. თუ დამკვეთის მოთხოვნით გაწეულიმომსახურებისათვის ანაზღაურება ხდება ხადარჯული დროის შესაბამისად, ნახევარ საათამდე დახარჯული დრო მრგვალდება ნახევარ საათად, ხოლო ნახევრიდან ერთ საათამდე დახარჯული დრო - ერთ საათად.

4. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება სააქციო საზოგადოების საერთო კრების ოქმის შედგენაზე.

მუხლი 32. საზღაური ასლის დამზადებისათვის

1. ასლის დამზადებისათვის საზღაურია მისი გადაღების საბაზრო ფასი.

2. იმ დოკუმენტის ასლის დამზადებისათვის, რომელიც დაკავშირებულია სანოტარო მოქმედების შესრულებასთან და საქმის წარმოებაში რჩება, საზღაური არ გადაიხდევინება.

## თავი VI
## სანოტარო მოქმედების შერსულებისათვის გადახდევინებული საზღაურის გასაჩივრების წესი

მუხლი 33. გასაჩივრება

პირს, რომელსაც სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის და სხვა სახის მომსახურების გაწევისათვის გადახდევინებული საზღაური არასწორად მიაჩნია, უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 34. ნოტარიუსის მიერ გადახდევინებული საზღაურის დაბრუნების წესი და მისი პასუხისმგებლობა

სასამართლოს მიერ საზღაურის უკანონო გადახდევინების ფაქტის დადგენისას ნოტარიუსი აბრუნებს საზღაურს და პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი VII
## გარდამავალი დებულებანი

მუხლი 35. კანონით უფლებამოსილ თანამდებობის პირთა მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის გადახდევინებული საზღაური

"ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე და 44-ე მუხლებით გათვალისწინებული თანამდებობის პირები სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურს ახდევინებენ ამ კანონით

დადგენილი განაკვეთების მიხედვით, რომელიც მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

## თავი VIII
## დასკვნითი დებულება

მუხლი 36. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე

თბილისი, 1998 წლის 11 ივნისი

## *საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ*

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში ნოტარიატის მოწყობისა და ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე სანოტარო მოქმედებათა შესრულების ძირითად მოთხოვნებს.

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ნოტარიატი

1. ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. დადასტურების მნიშვნელობა.

2. ნოტარიატის სახელმწიფო რეგულირებას კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები.

მუხლი 2. ნოტარიატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

ნოტარიატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკების კონსტიტუციები, ეს კანონი, საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და აქტები.

მუხლი 3. ნოტარიუსი

1. ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

2. სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია.

3. სანოტარო მოქმედება სრულდება კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფარგლებში. ნოტარიუსის საქმიანობა არ არის მეწარმეობა და მოგების მიღების წყარო.

4. ანაზღაურება, რომელსაც ნოტარიუსს უხდიან მისი სამსახურეობრივი საქმიანობისათვის ეკუთვნის ნოტარიუსს.

5. ნოტარიუსი არის სამუშაოს მიმცემი თავისი ბიუროს მუშაკებისათვის.

6. ნოტარიუსი პასუხს აგებს თავისი სამსახურეობრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. სახელმწიფო პასუხს არ აგებს ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისათვის.

7. ნოტარიუსის დისციპლინარული პასუხისმგებლობა განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრინოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით.

მუხლი 4. ნოტარიუსთა პალატა და ნოტარიუსთა სხვა გაერთიანებები

1. ნოტარიუსთა პალატა არის თვითმმართველობის პრინციპზე აგებული ნოტარიუსების გაერთიანება და ემყარება ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობას.

ნოტარიუსები ნებაყოფლობით საწყისებზე შეიძლება იყვნენ ნოტარიუსთა სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებში.

2. ნოტარიუსტთა პალატა წარმოადგენს და იცავს ნოტარიუსთა ინტერესებს, უწევს მათ დახმარებას სანოტარო საქიმანობაში, ორგანიზაციას უკეთებს ნოტარიუსობის კანდიდატთა სტაჟირებას, ზრუნავს ნოტარიუსთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

3. ნოტარიუსთა პალატა უზრუნველყოფს ნოტარიუსების ჩაბმას ნოტარიატის ფუნქციონირების პრობლემების გადაწყვეტასა და ნოტარიუსების საერთო პროფესიული ინტერესების განხორციელებაში.

4. ნოტარიუსთა პალატის უმაღლესი ორგანოა ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრება, ხოლო აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო - ნოტარიუსთა პალატის გამგეობა.

5. ნოტარიუსთა პალატა არის იურიდიული პირი.

მუხლი 5. ნოტარიუსის თანამდებობათა რაოდენობა და სამუშაო უბანი

1. ინ ნოტარიუსთა თანამდებობის რაოდენობასა და სამუშაო უბანს, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებებს ასრულებს, ნოტარიუსთა პალატის წინადადების საფუძველზე განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.

2. სანოტარო ბიუროთა ერთიან სახელმწიფო რეესტრს ადგენს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 6. სანოტარო მოქმედება

1. სანოტარო მოქმედებას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასრულებს ნოტარიუსი ფიზიკური ან იურიდიული პირის შუამდგომლობით და მას აქვს იურიდიული შედეგი.

2. სანოტარო მოქმედების შესრულების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სანოტარო მოქმედების ენა

1. სანოტარო მოქმედება სრულდება სახელმწიფო ენაზე.

2. თუ პირი, რომელიც ითხოვს სანოტარო მოქმედების შესრულებას, ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს თარჯიმნის მონაწილეობით.

მუხლი 8. სანოტარო მოქმედების შესრულებისას წარმოშობილი დავა

სამართლებრივი დავა, რომელიც წარმოიშობა პირებს შორის სანოტარო მოქმედების შესრულებისას, განიხილება სასამართლო წესით.

მუხლი 9. სანოტარო მოქმედების საიდუმლოება

1. ნოტარიუსი მოვალეა საიდუმლოდ შეინახოს ცნობები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს მოვალეობა ძალაში რჩება ნოტარიუსის სამსახურიდან გათავისუფლებისშემდეგაც.

2. ნოტარიუსი ცნობებს სანოტარო მოქმედების შესახებ აძლევს მხოლოდ იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა დავალებით ან ვის მიმართაც შესრულდა სანოტარო მოქმედება, ან მათ წარმომადგენლებს. გამოძიების, ადვოკატის ან სასამართლოს მოთხოვნით ნოტარიუსი გასცემს ცნობებს სანოტარო მოქმედების შესახებ იმ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, რომლებიც გამოძიების ორგანოების სასამართლოს წარმოებაშია. ნოტარიუსი მოვალეა, სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ინსპექციას წარუდგინოს ცნობა იმ ქონების ღირებულების შესახებ, რომელიც გადავიდა პირის საკუთრებაში.

ადვოკატს, საგადასახადო სამსახურს ეკრძალებათ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა პირებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის გამოქვეყნება საჯარო გამოსვლებში.

3. ნოტარიუსს შეუძლია გაამხილოს მოანდერძის ცნობა ანდერძის არსებობის ან შინაარსის შესახებ მხოლდო მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ.

4. პირს, რომლის დავალებით შესრულდა სანოტარო მოქმედება, ან მის უფლებამონაცვლეს, ან წარმომადგენელს შეუძლია გაათავისუფლოს ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან წერილობითი თანხმობის საფუძველზე. თუ პირი გარდაიცვალა და მას უფლებამონაცვლეები არ ჰყავს ან მათთან დაკავშირება შეუძლებელია, ნოტარიუსი საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან შეიძლება გაათავისუფლოს სასამართლომ. სასამართლოს შეუძლაი ნოტარიუსი გაათავისუფლოს სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან, აგრეთვე სხვა საპატიო მიზეზების გამო.

მუხლი 10. ნოტარიუსის უფლება სახელმწიფო გერბის გამოსახულების გამოყენებაზე

1. ნოტარიუსს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით. ბეჭედზე აღნიშნულია ნოტარიუსის სახელი, გვარი და სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობა.

2. ნოტარიუსს უფლება აქვს ფირნიშებსა და ბლანკებზე გამოიყენოს საქართველოს გერბის გამოსახულება.

მუხლი 11. ზედამხედველობა ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობაზე

1. იუსტიციის მინისტრი ზედამხედველობას ახორციელებს ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობაზე მისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ნოტარიუსთა პალატის მეშვეობით აკონტროლებს სანოტარო მოქმედებისათვის საზღაურის გადახდევინების სისწორეს;

ბ) მოითხოვს ნოტარიუსისაგან რეესტრებს, წიგნებს და ზედამხედველობის განხორციელებისათვის სხვა აუცილებელ მასალებს;

გ) შეაქვს შესწორებები ნოტარიუსთა პალატის გადაწყვეტილებებში, თუ აღნიშნული ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) ახდენს ზედამხედველობის უფლებამოსილების დელეგირებას ნოტარიუსთა პალატისადმი ნოტარიუსების სამსახურებრივი საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე.

2. იუსტიციის მინისტრის ან ნოტარიუსთა პალატის გადაწყვეტილებები, რომლებიც ზედამხედველობის მასალებს ემყარება, ნოტარიუსს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.

## თავი II
## სანოტარო სამსახური

მუხლი 12. ნოტარიუსის თანამდებობის მიღების პირობები

1. ნოტარიუსის თანამდებობა ამ კანონით დადგენილი წესით შეიძლება მიიღოს საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გაიარის სტაჟირებას და ნოტარიუსის კვალიფიკაციის მისაღებად ჩააბარებს გამოცდას საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას.

2. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია პარიტეტულ საწყისებზე იქმნება იუსტიციის სამინისტროსა და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლობისაგან სწავლული იურისტებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-ნოტარიუსების შემადგენლობით.

3. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია შეიძლება შეიქმნას აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის იუსტიციის სამინისტროებთან და შესაბამის ნოტარიუსთა პალატებთან.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლებს შეუძლიათ სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მუშაობაში.

5. პირი განთავისუფლდება ნოტარიუსის კვალიფიკაციის მისაღებად გამოცდის ჩაბარების მოთხოვნისაგან, თუ მას აქვს სამეცნიერო ხარისხი სამოქალაქო, საერთაშორისო, საერთაშორისო კერძო

სამართლის, კერძო სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალობით.

6. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებას შეიმუშავებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა და ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება კონკურსით

ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება ხდება კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების პირობებს და წესს ადგენს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა და ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14.ნოტარიუსის დანიშვნა თანამდებობაზე

1. ნოტარიუსს თანამდებობაზე ნიშნავს იუსტიციის მინისტრი. თანამდებობაზე დანიშვნისას ნოტარიუსს ეძლევა სამსახურებრივი მოწმობა და განესაზღვრება სამუშაო უბანი.

27 ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკი უთანაბრდება სახელმწიფო სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს. იუსტიციის მინისტრს, მისი კომპეტენციის ფარგლებში,უ ფლება აქვს ნოტარიუსს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელოს არაუმეტეს 5 წლისა ნოტარიუსის თხოვნისა და ნოტარიუსთა პალატის წინადადების საფუძველზე.

მუხლი 15. ნოტარიუსის თანამდებობაზე მუშაობის დაწყება

1. ნოტარიუსი თანამდებობაზე მუშაობას უნდა შეუდგეს დანიშვნიდან სამი თვის ვადაში.

2. ნოტარიუსი მოვალეა თანამდებობაზე მუშაობის დაწყებამდე იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს თავისი სამსახურეობრივი ბეჭედი, ხელმოწერის ნიმუში და სასამსახურო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 16. სანოტარო ბიურო

1. ნოტარიუსს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სანოტარო ბიურო, რომელიც მისი სამუშაო ადგილია. ნოტარიუსი ვალდებულია ჰქონდეს ანგარიში ბანკში, მას უფლება აქვს სამშუოაზე აიყვანოს და გაათავისუფლოს მუშაკები შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და განკარგოს ჩატარებული სანოტარო მოქმედებებისათვის მიღებული შემოსავლები. ნოტარიუსს შეუძლია თავის სამუშაო უბანში გახსნას ერთი ან რამდენიმე ბიურო და ამის შესახებ აცნობოს ნოტარიუსთა პალატას.

2. ორ ან მეტ ნოტარიუსს, რომლებიც დანიშნულნი არიან ერთ სამუშაო უბანში, ნოტარიუსთა პალატის შუამდგომლობით, შეიძლება ჰქონდეთ საერთო ბიურო. ნოტარიუსების უფლებები და მოვალეობები საერთო ბიუროს მიმართ განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით, საერთო ბიუროში თითოეული ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს საკუთარი სახელით და პირადად აგებს პასუხს თავისი სამსახურეობრივი საქმიანობისათვის.

3. სანოტარო ბიუროსთან გამოყოფილი ფართი იზოლირებული უნდა იყოს.

4. სანოტარო ბიურო სამუშაო დღეებში უნდა მუშაობდეს ხუთი საათი მაინც.

მუხლი 17. ნოტარიუსის საქმიანობის სამსახურეობრივი შეზღუდვები

1. ნოტარიუსმა სანოტარო საქმიანობასთან ერთადარ შეიძლება იმსახუროს სხვა საშტატო თანამდეობაზე და შეასრულოს სხვა ანაზღაურებადი სამუშაოები გარდა პედაგოგიური,ს ამეცნიერო შემოქმედებითი საქმიანობისა.

2. ნოტარიუსს აქვს თავისი პირადი კაპიტალის ინვესტირების უფლება.

3. ნოტარიუსს და მის ბიუროს მუშაკებს ეკრძალებათ გარიგების დადებისას იყვნენ მხარეთა შუამავლები.

მუხლი 18. ნოტარიუსის შრომის ანაზღაურება და სანოტარო ბიუროს ფინანსები

1. ნოტარიუსის მიერ სამართლებრივი და ტექნიკური სამსახურის გაწევა ფასიანია.

2. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, ასლების და დუბლიკატებისგაცემისათვის, ნოტარიუსი საზღაურს ახდევინებს სხაელმწიფო ბაჟის შესახებ კანონმდებლობის დადგენილი ტარიფებით. მიღებული საზღაური რჩება ნოტარიუსის განკარგულებაში.

3. თუ გარიგება არ მოითხოვს სავალდებულო სანოტარო ფორმას, სანოტარო მომქედების ანაზღაურების განაკვეთი განისაზღვრება ნოტარიუსის და იმ პირის შეთანხმებით, ვინც შუამდგომლობს სანოტარო მოქმედების შესრულებას.

4. ნოტარიუსის შემოსავალს სამსახურეობრივი საქმიანობისგან შეადგენს თანხა, რომელიც ნოტარიუსს რჩება სანოტარო ბიუროს შენახვის ხარჯების, კანონით დადგენილი გადასახადების და ნოტარიუსის სამსახურეობრივი საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სავალდებულო გადახდების გადახდის შემდეგ იმ თანხიდან, რომელიც

ნოტარიუსმა მიიღო საზღაურის სახით. ნოტარიუსის შემოსავალს აგრეთვე შეიძლება შეადგენდეს სხვა ფინანსური შემონატანები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

მუხლი 19. ნოტარიუსის ქონებრივი პასუხისმგებლობა

1. ნოტარიუსს პასუხისმგებლობა ეკისრება პირდაპირი ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის განზრახ ან გაუფრთხილებელმა ქმედობამ.

მუხლი 20. ნოტარიუსის სასამსახურო დაზღვევა

1. ამ კანონის მე-19 მუხლში მითითებული ზიანის ანაზღაურებისუზრუნველსაყოფად ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება გარანტირებულ პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისათვის.

2. ნოტარიუსის სასამსახურო დაზღვევის არსებით პირობებსა და სადაზღვევო თანხის მინიმალურ ზღვარს ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

3. ნოტარიუსთა პალატას შეუძლია დადოს დამატებითი დაზღვევის ხელშეკრულება მისი წევრების მიერ მიყენებული ამ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც ამ კანონის მე-1, მუხლშია მითითებული.

4. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება კანონის 23-ე და 24-ე მუხლებში მითითებულ პირებზე.

მუხლი 21. ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლება და გადაყენება

1. ნოტარიუსს თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის მინისტრი შემდეგ საფუძველზე:

ა) ნოტარიუსის პირადი სურვილით;

ბ) ნოტარიუსის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც მას მუშაობის საშუალებას არ აძლევს;

გ) იმ ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, რომელიც განსაზღვრულია ამ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით;

დ) ნოტარიუსის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო, რომლითაც გათვალისწინებული სასჯელი მას შესაძლებლობას ართმევს იმუშაოს ნოტარიუსად.

2. ნოტარიუსის თანამდებობიდან გადაყენების უფლება აქვს იუსტიციის მინისტრს შემდეგ საფუძველზე, თუ:

ა) ჩაიდინა მძიმე დანაშაული;

ბ) ჩაიდინა თანამდებობრივი გადაცდომა, რაც გათვალისწინებულია დებულებით ნოტარიუსის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

გ) არ შეუდგა თანამდებობრივი მოვალეობების განხორციელებას ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში;

დ) დაზღვეული არ არის ამ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებით;

ე) გამოვლინდა სხვა გარემოებანი, რომლებიც დაუშვებელს ხდის პირის ნოტარიუსად მუშაობას;

ვ) სასამართლომ ნოტარიუსი ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნო.

3. ნოტარიუსის თანამდებობიდან განთავისუფლებამდე ან გადაყენებამდე იუსტიციის მინისტრი ისმენს ნოტარიუსის განმარტებას და ნოტარიუსთა პალატის მოსაზრებას;

4. ნოტარიუსის თანამდებობიდან განთავისუფლების და გადაყენების საკითხების მომზადების და განხილვის წესს ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

5. ნოტარიუსს უფლება აქვს გადაწყვეტილება მისი თანამდებობიდან განთავისუფლების ან გადაყენების შესახებ გაასაჩივროს სასამართლოში.

6. იუსტიციის სამინისტრო ნოტარიუსთა პალატასთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას იმ დოკუმენტების თაობაზე, რომლებიც უფლებამოსილება შეწყვეტით ნოტარიუსთან ინახება.

მუხლი 22. ნოტარიუსის სამუშაოზე გამოუცხადებლობა

ნოტარიუსი მოვალეა სამუშაოზე ხუთ დღეზე მეტი ვადის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევა აცნობოს იუსტიციის მინისტრს. ერთ თვეზე მეტი ვადით სამუშაოზე არყოფნისათვის, გარდა ავადმყოფობისა, საჭიროა იუსტიციის მინისტრის ნებართვა.

მუხლი 23. ნოტარიუსის შენაცვლება

1. ნოტარიუსის სამუშაოზე არყოფნის დროისათვის ნოტარიუსის შუამდგომლობით იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით ნიშნავს პირს, რომლეიც ნოტარიუსს შეენაცვლება არაუმეტეს ერთი წლის ვადით.

2. ნოტარიუსს ეკრძალება სანოტარო მოქმედებათა შესრულება იმ პერიოდში, როცა სამსახურეობრივ საქმიანობას მისი შემცვლელი პირი ასრულებს.

3. იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს ნოტარიუსთა პალატის წინადადებით დანიშნოს ნოტარიუსის შემცვლელი პირი ერთ წლამდე ვადით, თუ ნოტარიუსის თანამდებობა დროებით ვაკანტურია.

მუხლი 24. ნოტარიუსის შემცვლელი პირი

1. ნოტარიუსი შეიძლება შეცვალოს პენსიაზე მყოფმა სხვა ნოტარიუსმა ან ნოტარიუსობის კანდიდატმა.

2. ნოტარიუსის შემცვლელი პირი თავის სამსახურეობრივ საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით.

3. ნოტარიუსის შემცვლელი პირი სამსახურეობრივ უფლებებს და მოვალეობებს იძენს მისი შემცვლელად დანიშვნის დღიდან და ეს უფლებები და მოვალეობები წყდება მისი ამ თანამდებობიდან განთავისუფლებისას.

მუხლი 25. ნოტარიუსის შემცვლელი პირის შრომის ანაზღაურება

1. ნოტარიუსის შემცვლელი პირი, რომელიც დანიშნულია ამ კანონის 23-ე მუხლის პ ირველი პუნქტის შესაბამისად, ანაზღაურებას იღებს იმ ნოტარიუსისაგან, რომელსაც იგი ცვლის. ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს ნოტარიუსი, ხოლო ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას - ნოტარიუსთა პალატა.

2. ნოტარიუსის შემცვლელი პირი, რომელიც დანიშნულია ამ კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ანაზღაურებას იღებს ნოტარიუსთა პალატისაგან მის მიერ განსაზღვრული ოდენობით. ანაზღაურება ნოტარიუსის შემცვლელი პირის მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებებისათვის შედის ნოტარიუსთა პალატაში. სანოტარო ბიუროს შესანახ ხარჯებს დაფარავს ნოტარიუსთა პალატა.

მუხლი 26. ნოტარიუსის შემცვლელი პირის ქონებრივი პასუხისმგებლობა

1. პასუხისმგებლობა ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის შუამდგომლობით დანიშნული ნოტარიუსის შემცვლელი პირის (ამ კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი) არასწორმა სამსახურეობრივმა მოქმედებამ, ეკისრება ნოტარიუსს.

2. პასუხისმგებლობა ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსთა პალატის შუამდგომლობით დანიშნული ნოტარიუსის შემცვლელი პირის (ამ კანონის 23-ე მუხლის მესამე პუნქტი) არასწორმა სამსახურეობრივმა მოქმედებამ ეკისრება ნოტარიუსთა პალატას.

3. ნოტარიუსს ან ნოტარიუსთა პალატას აქვს ნოტარიუსის შემცვლელი პირისაგან უკუმოთხოვნის უფლება გადახდილი კომპენსაციის ოდენობით.

მუხლი 27. ნოტარიუსობის კანდიდატი

1. ნოტარიუსობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ცნობილი არ არის მისი ნოტარიუსად მუშაობისათვის შეუფერებლობის დამადასტურებელი ფაქტი.

2. პირს, რომელსაც სურვილი აქვს გახდეს ნოტარიუსობის კანდიდატი, სტაჟირებისათვის ნიშნავს იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსთა პალატის წინადადებით. ნოტარიუსთა პალატა ნოტარიუსობის კანდიდატს სწავლებისათვის მიამაგრებს კონკრეტულ ნოტარიუსს.

მუხლი 28. სტაჟირება

1. სტაჟირება არის ნოტარიუსთა პალატის მიერ დადგენილი პროგრამით სწავლება და ნოტარიუსთა პალატის დავალების შესრულება.

2. სტაჟირების ვადა ერთი წელია. ნოტარიუსთა პალატის წინადადებით იუსტიციის მინისტრს შეუძლია შეცვალოს სტაჟირების ვადა.

3. ნოტარიუსობის კანდიდატი ნოტარიუსის ხელმძღვანელობით მონაწილეობს სანოტარო მოქმედების შესრულებაში. მას უფლება არა აქვს შეასრულოს სანოტარო მოქმედება თავისი სახელით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დანიშნულია ნოტარიუსის შემცვლელ პირად.

4. იუსტიციის მინისტრის ან ნოტარიუსთა პალატის გადაწყვეტილებები, რომლებიც ზედამხედველობის მასალებს ემყარება, ნოტარიუსს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 29. ნოტარიუსობის კანდიდატის შრომის ანაზღაურება

ნოტარიუსობის კანდიდატი სტაჟირების პერიოდში ანაზღაურებას იღებს ნოტარიუსთა პალატისაგან, რომელიც განსაზღვრავს ანაზღაურების ოდენობასაც.

მუხლი 30. სანოტარიუსო გამოცდა

1. ნოტარიუსობის კანდიდატმა, რომელიც გაივლის სტაჟირების პროგრამას, გამოცდა უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას.

2. ნოტარიუსობის კანდიდატი სანოტარიუსო გამოცდის ჩაბარებამდე ნოტარიუსთა პალატას წარუდგენს ანგარიშს სტაჟირების თაობაზე.

3. ნოტარიუსი, რომელიც ხელმძღვანელობს კანდიდატს სანოტარიუსო გამოცდებამდე, ნოტარიუსთა პალატას წარუდგენს დასკვნას კანდიდატის ნოტარიუსობისათვის შესაფერისობის შესახებ.

მუხლი 31. სტაჟირების შეწყვეტა

სტაჟირებას ნოტარიუსთა პალატის წინადადებით წყვეტს იუსტიციის მინისტრი შემდეგ საფუძველზე:

ა) ნოტარიუსობის კანდიატის ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნის გამო;

ბ) ნოტარიუსობის კანდიდატის პირადი განცხადებით;

გ) ნოტარიუსობის კანდიდატის ნოტარიუსობის თანამდებობისათვის შეუფერებლობის გამო;

დ) თუ ნოტარიუსობის კანდიდატი სანოტარიუსო გამოცდის ჩაბარების შემდეგ საპატიო მიზეზის გარეშე არ ითხოვს დაინიშნოს ნოტარიუსის იმ თანამდებობაზე, რომელიც ექვემდებარება საკონკურსო წესით დაკავებას.

## თავი III
## ნოტარიუსთა პალატა

მუხლი 32. ნოტარიუსთა პალატა

1. ნოტარიუსთა პალატა არის პროფესიული, არაკომერციული, საჯარო-სამართლებრივი გაერთიანება. იგი იურიდიული პირია და თავის საქმიანობას ახორციელებს თვითმმართველობის საწყისებზე.

2. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წესდებას იღებს ნოტარიუსთა პალატა და რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 33. ნოტარიუსთა პალატის შემადგენლობა

1. ნოტარიუსთა პალატი სშემადგენლობაში შედის ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშნული ყველა ნოტარიუსი.

2. ნოტარიუსი პალატის წევრი ხდება თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან და მისი წევრობა წყდება ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების დღეს.

მუხლი 34. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკესბი ნოტარიუსთა პალატები

1. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატები ქმნება ამ კანონის საფუძველზე. მათ აქვთ თავიანთი წესდება, რომელსაც იღებს შესაბამისინოტარიუსთა პალატის კრება. წესდება რეგისტრაციას ექვემდებარება შესაბამის იუსტიციის სამინისტროში საზოგადოებრივი გაერთიანებების რეგისტრაციისათვის დადგენილიო წესით.

2. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატები არიან იურიდიული პირები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ თვითმმართველობის პრინციპით.

3. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატების გამგეობათა თავმჯდომარეები თანამდებობრივად საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის მოადგილეები არიან.

4. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატები მონაწილეობენ ნოტარიუსთა საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებაში და აწარმოებენ კონტროლს ნოტარიუსების მიერ პროფესიული ეთიკის მოთხოვნათა დაცვაზე.

მუხლი 35. ნოტარიუსთა პალატის ამოცანების შესრულების საშუალებები

თავისი ამოცანებსი შესასრულებლად ნოტარიუსთა პალატას უფლება აქვს:

ა) წარმოადგინოს ნოტარიუსი სახელმწიფო ორგანოში, მოქალაქეთა გაერთიანებაში, დაამყაროს ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ბ) იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით მოამზადოს წინადადებები კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიღების, მათში ცვლილებების და დამატებების შეტანის მიზნით;

გ) მოითხოვოს ნოტარიუსებისაგან საჭირო ინფორმაცია და მოისმინოს მათი განმარტებები;

დ) დაადგინოს ნოტარიუსების სავალდებულო გადასახდელები ნოტარიუსთა პალატისათვის;

ე) შემოიღოს ნოტარიუსთა პალატასთან საშტატო თანამდებობები;

ვ) აანაზღაუროს იმ ექსპერტიზის ხარჯები, რომლებსაც სასამართლო ნიშნავს ნოტარიუსის საქმიანობასთან დაკავშირებით;

ზ) სანოტარო მოქმედებათა პრაქტიკის უნიფიკაციის მიზნით განაზოგადოს სანოტარო მოქმედებები;

თ) ეწეოდეს კომერციულ საქმიანობას თავისი საწესდებო ამოცანების შესასრულებლად. ნოტარიუსთა პალატის ქონება არ იბეგრება საწარმოს ქონებიდან გადასახადით;

ი) განახორციელოს კანონის შესაბამისი სხვა ღონისძიებანი.

მუხლი 36. ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრების მოწვევა და გადაწყვეტილების მიღება

1. ნოტარიუსთა პალატის წევრთა რიგგარეშე კრება მოიწვევა:

ა) ნოტარიუსთა პალატის გამგეობის ინიციატივით;

ბ) იუსტიციის მინისტრის წინადადებით;

გ) ნოტარიუსთა პალატის წევრების საეროთ რიცხვის ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

3. ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრებას იწვევს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა, რომელიც ორი კვირით ადრე აუწყებს პალატის წევრებს კრების ჩატარების დროს, ადგილს და დღის წესრიგს.

4. ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრების მუშაობაში ნოტარიუსი მონაწილეობს პირადად ან იმ წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც ამავე პალატის წევრია და რის შესახებაც მას აქეს სათანადო წერილობითი თანხმობა.

5. ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პალატის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა. პალატის წევრთა საერთო კრებისგადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 37. ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრების კომპეტენცია

1. ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრებას შეუძლია დღის წესრიგში შეიტანოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც ნოტარიუსთა პალატის კომპეტენციაშია.

2. მხოლოდ ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრება არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკიოხებზე:

ა) ნოტარიუსთა პალატის წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ) ნოტარიუსთა პალატის წლიური ანგარიშის დამტკიცება და სანოტარო პალატისათვის ნოტარიუსების სავალდებულო გადასახადის და მისი ოდენობის დაწესება.

3. ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრებას უფლება აქეს ნოტარიუსთა პალატის გამგეობას, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, დართოს ნება შეიტანოს ცვლილებები ნოტარიუსთა პალატის ხარჯთაღრიცხვაში, რომლეიც დასამტკიცებლად წარედგინება ნოტარიუსთა პალატის წევრთა მომდევნო კრებას.

მუხლი 38. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის შემადგენლობა და სხდომა

1. ნოტარიუსთა პალატის წევრთა კრება ირჩევს პალატის გამგეობას გამგეობის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და სამი წევრის შემადგენლობით.

2. გამგეობა აირჩევა ფარული კენჭისყრით, სამი წლის ვადით.

3. გამგეობის სხდომა ტარდება, როგორც წესი, თვეში ერთხელ სხდომას იწვევს გამგეობის თავმჯდომარე.

მუხლი 39. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის კომპეტენცია

1. ნოტარიუსთა პალატის გამგეობა უზრუნველყოფს ნოტარიუსთა პალატის წესდების შესრულებას და ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებების განხორციელებას.

2. გამგეობა, პალატის წევრთა საერთო კრებებს შორის პერიოდში, ასრულებს პალატის ყველა ამოცანას, გარდა ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, ნოტარიუსთა პალატის სახელით კავშირი აქვს სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა ორგანიზაციებთან და მისივე სახელით წარადგენს წინადადებებსა და დასკვნებს.

3. გამგეობას შეუძლია თავისი ამოცანების შესრულებისას მიიზიდოს ნოტარიუსთა პალატის წევრები და შექმნას თავისი საშტატო აპარატი.

4. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს მოადგილეს, გამგეობის სხვა წევრებს და მუშაკებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მონაცემები იმ სანოტარო მოქმედებათა შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა გამგეობის საქმიანობასთან დაკავშირებით. მათ უფლება აქვთ ასეთი მონაცემები ცნობილი გახადონ მხოლოდ ნოტარიუსთა პალატის გამგეობის ნებართვით. სანოტარო მოქმედების საიდუმლოებათა დაცვას ექვემდებარება ზემოაღნიშნულ პირთა გამგეობის შემადგენლობიდან გასვლის ან სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაშიც.

მუხლი 40. ნოტარიუსთა პალატის საქმიანობის უზრუნველყოფა

ნოტარიუსთა პალატის საქმიანობის უზრუნველყოფას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსთა პალატის მიერ კანონების სხვა სამართლებრივი აქტების, აგრეთვე ნოტარიუსთა პალატის წესდების შესრულების შემოწმებით. ამ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებამდე, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება, მინისტრი ისმენს ნოტარიუსთა პალატის აზრს და წინადადებებს.

## თავი IV
## სანოტარო მოქმედება და მისი შესრულების ძირითადი მოთხოვნები

მუხლი 41. სანოტარო მოქმედება

1. ნოტარიუსი ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

ა) ადასტურებს გარიგებებს (ხელშეკრულებებს, ანდერძებს, რწმუნებულებებს და სხვა);

ბ) გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას ქონებისნაწილზე;

გ) გასცემს მემკვიდრეობის უფლების მოწმობას;

დ) გასცემს მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობას;

ე) იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ყადაღას ადებს საცხოვრებელი სახლის გასხვისებას;

ზ) ამოწმებს დოკუმენტის პირისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან;

თ) ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას;

ი) ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს;

კ) ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;

ლ) ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;

მ) ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;

ნ) ადასტურებს დოკუმენტის წარდგენის დროს;

ო) გადასცემს პირის განცხადებას დაცნობას სხვა პირს;

პ) დეპოზიტში იღებს ფულს, ფასიან ქაღალდებს და ფასეულობებს;

ჟ) ასრულებს სააღსრულებო წარწერას;

რ) ასრულებს თამასუქის პროტესტს;

ს) გასანაღდებლად წარადგენს ჩეკს და ადასტურებს ჩეკის გაუნაღდებლობას;

ტ) შესანახად იღებს დოკუმენტებს;

უ) აფიქსირებსმტკიცებულებებს;

ფ) ასრულებს საზღვაო პროტესტს.

2. ამ მუხლის "ბ-ვ" პუნქტით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებას ნოტარიუსი ასრულებს სამუშაო უბნის მიხედვით.

3. ამ კანონით გათვალისწინებული მოქმედებების გარდა ნოტარიუსი ასრულებს სამუშაო უბნის მიხედვით.

3. ამ კანონით გათვალისწინებული მოქმედებების გარდა ნოტარიუსი ასრულებს აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სანოტარო მოქმედებებს.

4. სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით ნოტარიუსი სამართლებრივ დახმარებას უწევს პირებს და მათი შუამდგომლობით ადგენს დოკუმენტების პროექტებს.

მუხლი 42. სანოტარო მოქმედებები, რომლებსაც ასრულებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

დასახლებულ პუნქტებში, სადაც სანოტარო ბიუროები არ არის,ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (სოფელი, დაბა) ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

ა) ადასტურებენ ანდერძებს;

ბ) იღებენ ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;

გ) ამოწმებენ დოკუმენტების პირების პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედნებთან;

დ) გადასცემენ პირთა განცხადებებს და ცნობებს სხვა პირებს;

ე) ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;

ვ) ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;

ზ) შესანახად იღებენ დოკუმენტებს;

თ) საქართველოს კანონმდებლობით მათ შეიძლება დაეკისროთ სხვა ისეთი სანოტარო მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ამ კანონის 41-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 43. სანოტარო მოქმედებები, რომლებსაც ასრულებენ საკონსულო დაწესებულებათა თანამდებობის პირები

სანოტარო მოქმედებები, ნოტარიუსის გარდა, შეუძლიათ შეასრულონ საქართველოს საკონსულო დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულო დაწესებულებების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტები თდა სანოტარო მოქმედების შესრულებისადმი ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით.

მუხლი 44. თანამდებობის პირთა მიერ იმ ანდერძების და რწმუნებულებების დადასტურება, რომლებიც უთანაბრდება ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებს

ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებს უთანაბრდება:

სააავადმყოფოში, სხვა სტაციონარულ სამკურნალ-პორფილაქტიკურ დაწესებულებაში, სანატორიუმში სამკურნალოდ მყოფ ან მოხუ-

ცებულთა და ინვალიდთა სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საავადმყოფოს, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის ან მორიგე ექიმის მიერ, აგრეთვე მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების დირექტორისა და მთავარი ექიმის მიერ.

საქართველოს ალმით მცურავ საზღვაო გემზე ან საჰაერო ხომალდზე მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ გემის კაპიტნის ან საჰაერო ხომალდის მეთაურის მიერ.

სამეცნიერო-სადაზვერვო და სხვა მათ მსგავს ექსპედიციაში მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ ექსპედიციის უფროსის მიერ.

ჰოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებაში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ანდერძები და რწმუნებულებები, რომლებიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების უფროსის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის, უფროსი და მორიგე ექიმის მიერ.

სამხედრო მოსამსახურეთა ანდერძები და რწმუნებულებანი, ხოლო იმ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო ბიუროები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსი) მიერ.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის მიერ.

მუხლი 45. სანოტარო მოქმედების ქვემდებარეობა და შესრულების ადგილი

1. სანოტარო მოქმედება შეიძლება პირის თხოვნით შეასრულოს ნებისმიერმა ნოტარიუსმა, გარდა იმ შემთხვევების,ა როცა კანონით დადგენილია, რომ მოცემული სახის სნაოტარო მოქმედების შესრულება შეუძლია მხოლოდ ნოტარიუსს, რომელიც განსაზღვრულ უბანს ემსახურება.

2. სანოტარო მოქმედებას ნოტარიუსი ასრულებს თავის სანოტარო ბიუროში.

3. იმ პირის სურვილით, რომელიც შუამდგომლობს სანოტარო მოქმედების შესრულებას, ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს თავის სამუშაო უბანში პირის მიერ მითითებულ ადგილას.

მუხლი 46. სანოტარო მოქმედების შესრულების ვადა

სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენისას და გათვალისწინებული გადასახადის შეტანის შემდეგ.

მუხლი 47. სანოტარო მოქმედების შესრულების გადადება და შეჩერება

1. სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს:

ა) თუ გამოთხოვილია დამატებითი მონაცემები ან დოკუმენტები, მათ შემოსვლამდე;

ბ) თუ ტარდება ექსპერტიზა, ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე;

გ) დაინტერესებული პირის თხოვნით, რომელსაც სურს მიმართოს სასამართლოს იმ უფლებაზე ან ფაქტზე შედავებისათვის, რომლის დადასტურებასაც ითხოვს მეორე პირი. ამ შემთხვევაში ნოტარიუსს უფლება აქვს გადადოს სანოტარო მოქმედების შესრულება არაუმეტეს ათი დღის ვადით. თუ ნოტარიუსის მიერ დადგენილ ვადაში სასამართლოდან მიღებული არ იქნა ცნობა დაინტერესებული მოქალაქის განცხადების შეტანის შესახებ, ნოტარიუსი ასრულებს სანოტარო მოქმედებას.

2. სანოტარო მოქმედების შესრულება ჩერდება სასამართლოს შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე, სასამართლოში სამართლებრივი დავის გადაწყვეტამდე.

3. სანოტარო მოქმედებისგადადების არ შეჩერებისას ნოტარიუსი არ გასცემს სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს ან მოწმობას, საჭიროების შემთხვევაში ნოტარიუსი სანოტარო დოკუმენტში აღნიშნავ,ს რომ შემოწმებულია პირთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

მუხლი 48. სანოტარო მოქმედების შესრულების უფლების შეზღუდვა

1. ნოტარიუსს და თანამდებობის პირს, რომლებიც ამ კანონის 42-ე, 43-ე და 44-ე მუხლების თანახმად სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება, რომელშიც მონაწილეობენ თვითონ, მეუღლე ან მეუღლის მშობლები, შვილები, პაპები, ბებიები, ძმები ან დები.

2. ნოტარიუსს უფლება არა აქვს დაადასტუროს გარიგება, რომელშიც მონაწილეობს საწარმო ან კომერციული გაერთიანება, რომლებიც დაფუძნებულია ნოტარიუსის მეუღლის, მშობლების ან შვილების კუთვნილ კაპიტალზე.

3. იმ შემთხვევაში, როცა ნოტარიუსს უფლება არა აქვს შეასრულოს სანოტარო მოქმედება ამ კანონის 48-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში გათვალისწინებულ გარემოებათა გამო, სანოტარო მოქმედების უფლებამოსილებას იუსტიციის მინისტრი დააკისრებს სხვა ნოტარიუსს.

4. ამ კანონის 48-ე მუხლის დარღვევით შესრულებული სანოტარო მოქმედება ბათილია.

მუხლი 49. პიროვნების ვინაობის, უფლებაუნარიანობის და ქმედუნარიანობის დადგენა. წარმოემადგენლის უფლებამოსილების შემოწმება და დოკუმენტის გამოთხოვა

1. სანოტარო მოქმედებისშესრულების დროს ნოტარიუსი და სხვა თანამდებობის პირი, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, პასპორტით ან მისი შემცვლელი დოკუმენტის მიხედვით დაადგენენ იმ პირების ან მათი წარმომადგენლების ვინაობას, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვენ. თუ პირს ნოტარიუსი პირადად იცნობს, პიროვნების დამადასტურებელი დოკუდმენტის წარდგენა საჭირო აღარ არის.

2. გარიგებათა დადასტურების დროს ნოტარიუსი ამოწმებს გარიგების მონაწილე პირთა უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას.

3. თუ გარიგება სრულდება წარმომადგენლის მეშვეობით, ნოტარიუსი ამოწმებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას.

4. ნოტარიუსს უფლება აქვს გამოითხოვოს სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის აუცილებელი დოკუდმენტები დაწესებულებებისაგან, საწარმოსა და ორგანიზაციისაგან.

მუხლი 50. სანოტარო მოქმედების შინაარსი და შედეგების განმარტება

ნოტარიუსი მოვალეა სანოტარო მოქმედების შესრულებისას სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას. ამასთან ნოტარიუსი მოვალეა იზრუნოს, რათა არ შეილახოს იმ პირთა ინტერესები, რომლებმაც კანონი არ იციან და საჭიროებენ სამართლებრივ დახმარებას.

მუხლი 51. სანოტარო დოკუმენტების ხელმოწერის წესი

1. ნოტარიულად დასამოწმებელ გარიგებას და სხვა დოკუმენტს ხელს აწერს ნოტარიუსის თანდასწრებით. თუ გარიგების ან სხვა დოკუმენტის ხელმოწერას ნოტარიუსი არ დასწრებია, ხელმომწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ ხელმოწერა მას ეკუთვნის.

2. თუ სანოტარო დოკუდმენტი შეიცავს სანოტარო მოქმედების მონაწილის ნების გამოვლინებას, ნოტარიუსმა დოკუმენტის ხელმოწერამდე მას უნდა წაუკითხოს დოკუმენტის ტექსტი.

3. თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მონაწილე მუნჯი, ყრუ ან ყრუ-მუნჯია, ნოტარიუსმა საჭიროების შემთხვევაში ამ პირისათვის სანოტარო მოქმედების შინაარსის და შედეგების გასაგებად უნდა ისარგებლოს შესაბამისი სპეციალისტის დახმარებით. სპეციალისტმა თავისი ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ მოქმედების შინაარსი პირს განემარტა და მის ნებას შეესაბამება.

4. იმ პირის ნაცვლად, რომელსაც ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო შესაძლებლობა არა აქვს ხელი მოაწეროს დოკუმენტს, მისი დავალებით ხელს აწერს სხვა პირი სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირის თანდასწრებით, იმ მიზეზის აღნიშვნით, რის გამოც პირს არ შეუძლია ხელის მოწერა.

5. თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელი მოქალაქე წერა-კითხვის უცოდინარი ან უსინათლოა, ნოტარიუსი მოვალეა წაუკითხოს მას ტექსტი და ეს აღნიშნოს დოკუდმენტში.

მუხლი 52. სანოტარო მოქმედების რეგისტრაცია

1. ყველა სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ ნოტარიუსები და ამ კანონის 42-ე, 43-ე, 44-ე მუხლებით გათვალისწინებული თანამდებობის პირები, რეგისტრაციაში ტარდება სანოტარო რეესტრში.

2. ყველა შესრულებულ სანორტარო მოქმედებას ეძლევა დამოუკიდებელინომერი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული გაცემულ დოკუმენტებსა და დამადასტურებელ წარწერებში.

3. ნოტარიუსი სანოტარო რეესტრიდან ამონაწერს გასცემს იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, ვისი დავალებით ან ვის მიმართაც შესრულებულია სანოტარო მოქმედება.

4. სანოტარო საქმის წარმოების წესს შეიმუშავებს ნოტარიუსთა პალატა და ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 53. სანოტარო დოკუმენტის შედგენა

სანოტარო დოკუმენტის შედგენის შესახებ ინსტრუქციას, სანოტარო რეესტრის, სანოტარო დოკუმენტების და სანოტარო დოკუმენტებზე დამადასტურებელი წარწერების ფორმას შეიმუშავებს ნოტა-

რიუსთა პალატა და ისინი რეგისტრაციაში ტარდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 54. უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე

1. ნოტარიუსი და ამ კანონის 42-ე, 43-ე და 44-ე მუხლებით გათვალისწინებული თანამდებობის პირები უარს ამბობენ სანოტარო მოქმედებათა შესრულებაზე, თუ:

სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს ან სხვა სამართლებრივ აქტებს;

სანოტარო მოქმედების შესასრულებლად წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება დაწესებულ მოთხოვნებს, ან შეიცავს პირთა პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს, ან ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაო აღიარებულ ნორმებს;

სანოტარო მოქმედების მონაწილე არ არის უფლებაუნარიანი ან ქმედუნარიანი;

თხოვნა სანოტარო მოქმედების შესრულების შესახებ შემოსულია იმ ენაზე, რომელსაც ნოტარიუსი არ ფლობს და არ არის თარჯიმნის გამოყენების შესაძლებლობა.

2. პირს, რომელსაც სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი ეთქვა, ნოტარიუსი უარის თქმის შემდეგ არაუგვეიანეს სამი დღისა, აძლევს დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია უარის თქმის მოტივები.

3. ნოტარიუსი მოვალეა განუმარტოს პირს, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, უარის თქმის გასაჩივრების წესი.

მუხლი 55. ნოტარიუსის საქმიანობის გასაჩიერება

1. პირს, რომლის ინტერესებსაც შეეხება სანოტარო მოქმედება, ან პირს, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, შეუძლია სანოტარო მოქმედება ან უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე გაასაჩივროს სასამართლოში სანოტარო ბიუროს ადგილსამყოფელის მიხედვით.

2. საჩივარს, ნოტარიუსის იმ საქმიანობაზე, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ მუხლის პირველი პუნქტით, განიხილავს იუსტიციის მინისტრი ან მისი დავალებით ნოტარიუსთა პალატა.

მუხლი 56. სანოტარო მოქმედების შესრულება სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის

სხვა სახელმწიფო მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვონ.

# საკანონმდებლო ცვლილებები

## საქართველოს კანონი
## საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 23-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„4. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა“.

2. 1343-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „უმკვიდრო ქონების გადასვლა სახელმწიფოზე“;

ბ) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცია, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩევაზე იმყოფებოდა, მაშინ - მათ საკუთრებაში“.

3. 1426-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევაში სამკვიდროს მიღების ვადის გამშვებ მემკვიდრეს მისი ხვედრი ქონებიდან, რომელიც სხვა მემკვიდრეებმა მიიღეს, ან სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა, ნატურად მიეცემა ის, რაც შენარჩუნებულია; მას მიეცემა ასევე მისი ხვედრი ქონების დანარჩენი ნაწილის ღირებულება“.

4. 1444-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1444. სახელმწიფოს უარის დაუშვებლობა სამკვიდროს მიღებაზე. სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა“.

5. 1492-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1492. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე. უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლისას სახელმწიფო პასუხს აგებს უმკვიდრო ქონების შესაბამისი ნაწილით მამკვიდრებლის ვალებზე ისე, როგორც მემკვიდრე".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი
თბილისი,
2005 წლის 9 დეკემბერი.
№ 2239-IIს.

# საქართველოს კანონი

## სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" და „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე განსაზღვრავს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის (შემდგომში - საფასური) განაკვეთებს და მათი გადახდის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. საფასურის ცნება

საფასური არის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის კანონით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

მუხლი 3. საფასურის დაწესება და მისი ოდენობის განსაზღვრა

საფასური წესდება და მისი ოდენობა განისაზღვრება ამ კანონით.

მუხლი 4. დაჩქარებული მომსახურება

1. სააგენტო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე სააგენტო მომსახურებას აწარმოებს დაჩქარებული წესით, ამ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 5. საფასურის განაკვეთები და მომსახურების ვადები

1. საქართველოს მოქალაქის პასპორტის:

ა) განაცხადის შეტანიდან მე-10 დღეს გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი 35 ლარია, ხოლო მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) განაცხადის შეტანიდან მე-5 დღეს გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი 35 ლარია, ხოლო მომსახურების საფასურის განაკვეთი - 15 ლარი;

გ) განცხადების შეტანიდან მე-3 დღეს გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი 35 ლარია, ხოლო მომსახურების საფასურის განაკვეთი - 45 ლარი;

დ) განაცხადის შეტანიდან 24 საათის გასვლისთანავე გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი 35 ლარია, ხოლო მომსახურების საფასურის განაკვეთი - 125 ლარი;

ე) განაცხადის შეტანის დღესვე გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი 35 ლარია, ხოლო მომსახურების საფასურის განაკვეთი - 170 ლარი.

2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა და საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქის და მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის მოწმობის:

ა) განაცხადის შეტანიდან მე-10 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) განაცხადის შეტანიდან მე-5 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურის განაკვეთია 3 ლარი;

გ) განაცხადის შეტანიდან მე-3 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურის განაკვეთია 5 ლარი;

დ) განაცხადის შეტანიდან 24 საათის გასვლისთანავე გაცემისათვის მომსახურების საფასურის განაკვეთია 15 ლარი;

ე) განაცხადის შეტანის დღესვე გაცემისათვის მომსახურების საფასურის განაკვეთია 25 ლარი.

3. სააგენტოს საინფორმაციო სამისამართო განყოფილების მიერ საინფორმაციო ბარათის:

ა) განაცხადის შეტანიდან მე-5 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) განაცხადის შეტანიდან 24 საათის გასვლისთანავე გაცემისათვის მომსახურების საფასურის განაკვეთია 2 ლარი;

გ) განაცხადის შეტანისთანავე გაცემისათვის მომსახურების საფასურის განაკვეთია 5 ლარი.

4. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის თაობაზე ცნობის 24 საათში გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი 30 ლარია, ხოლო მომსახურების განაკვეთი - 20 ლარი.

5. უცხოელისა და საქართველოს მოქალაქის ქორწინების რეგისტრაციაზე ნებართვის 24 საათში გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი 120 ლარია, ხოლო მომსახურების განაკვეთი - 50 ლარი.

6. ქორწინების რეგისტრაციისას:

ა) სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის შენობის გარეთ ქორწინების რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი 9 ლარია, ხოლო მომსახურების განაკვეთი - 170 ლარი;

ბ) სპეციალური სარიტუალო მომსახურების საფასურია 120 ლარი.

7. ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ". საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

მუხლი 6. საფასურის გადახდის წესი და პირობები

1. სააგენტოს მომსახურებით მოსარგებლე პირები ვალდებული არიან გადაიხადონ ამ კანონით დაწესებული საფასური.

2. საფასური გადაიხდება წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევამდე ნაღდი, ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ნაღდი ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნული ვალუტით ბანკებში, დადგენილი ფორმის ქვითრის გაცემით.

5. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

მუხლი 7. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და ზიანის ანაზღაურება

1. თუ საფასური გადახდილია ამ კანონით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და ამ კანონით დადგენილ განაკვეთს შორის.

2. გადახდილი საფასური მთლიანად ბრუნდება, თუ:

ა) სააგენტო კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარს აცხადებს მომსახურების განხორციელებაზე;

ბ) დაინტერესებული პირი მომსახურების დაწყებამდე უარს აცხადებს მომსახურებაზე;

გ) სააგენტომ მომსახურება არ განახორციელა ამ კანონით დადგენილ ვადებში.

3. თუ დაინტერესებული პირი ვერ მიიღებს მომსახურებას მის მიერ გადახდილი საფასურის შესაბამისად მოთხოვნილ ვადაში და სურვილი აქვს ისარგებლოს სხვა ვადით, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ნაკლებ საფასურს, მაშინ დაინტერესებულ პირს დაუბრუნდება სხვაობა ამ ორ საფასურს შორის, ხოლო სხვა შემთხვევაში პირადობის (ბინადრობის) მოწმობა, პასპორტი გაიცემა განაცხადის შეტანიდან მე-10 დღეს.

4. გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნება ხორციელდება გადამხდელის განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა ერთვოდეს გადახდილი თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთება.

მუხლი 8. გარდამავალი დებულება

2006 წლის 15 თებერვლამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ბრძანებით უზრუნველყოს სპეციალური სარიტუალო მომსახურების წესის დამტკიცება.

მუხლი 9. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს 2006 წლის 30 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2005 წლის 28 დეკემბერი.
№2623-რს

## საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №301
## 2006 წლის 2 მარტი ქ. თბილისი
## „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის №65 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის №65 ბრძანებით (სსმ III, 2000წ., №42, მუხ. 379) დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის" მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით განკარგვა

1. პირებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მიწის ნაკვეთის შეძენით ან სარგებლობით, განაცხადი შეაქვთ შესაბამისი რაიონის და ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გამგეობაში (მთავრობაში), ან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში. განაცხადში ნაჩვენები უნდა იყოს მიწის გამოყენების მიზანი.

2. რაიონის (ქალაქის) მმართველობის ორგანოში განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, ამ ორგანოთა დავალებით ხდება მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის განკარგვის შესაძლებლობაზე დასკვნის მომზადება რაიონის შესაბამისი ორგანოს მიერ. საკითხის დადებითად გადაწყვეტისას რაიონის (ქალაქის) გამგეობა (მთავრობა) თავის სხდომაზე იხილავს მიწის განკარგვის საკითხს და თანხმობის შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

3. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ამზადებს დასკვნას მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის შესაძლებლობის თაობაზე და მას წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს საბოლოო დაგაწყვეტილების მისაღებად. ეკონომიკური

განვითარების სამინისტროში განაცხადის წარდგენისას სამინისტრო უფლებამოსილია, მიწის პირდაპირი ფორმით განკარგვის თაობაზე დასკვნის მოსამზადებლად, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციების მიღების მიზნით მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტები.

4. მიწის პირდაპირი განკარგვის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, ადგილზე მოხდება მიწის გამიჯვნა პირებისათვის, თუ გადახდილი იქნება საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული მეთოდიკის შესაბამისად ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მიწის ნორმატიული ფასი.

5. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შესაბამისი რაიონის და ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გამგეობა (მთავრობა) 7 დღის ვადაში უზრუნველყოფს სათანადო ხელშეკრულების გაფორმებას მიწის განკარგვის თაობაზე. ამ ვადის განმავლობაში ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებას აფორმებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო“.

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ქავთარაძე

# საქართველოს კანონი

## „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №21-22, მუხ. 455) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5.4.1 პუნქტი:

„5.4.1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის გირავნობის სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) დამგირავებლისა და მოგირავნის მიერ შედგენილი განცხადება;

ბ) სანოტარო წესით დამოწმებული წილის გირავნობის ხელშეკრულება

გ) საზოგადოების ან პარტნიორთა თანხმობა, თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით“.

2. 46-ე მუხლის 46.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„46.3. პარტნიორის მიერ წილის დათმობა ან დაგირავება მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას და რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრში. სანოტარო დამოწმება და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია საჭიროა ასევე შეთანხმებისათვის, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გასხვისების ან დაგირავების შესახებ.“

მუხლი 2.

2006 წლის 1 მარტამდე განხორციელდეს საქართველოს საერთო სასამართლოების უზრუნველყოფა ამ კანონით განსაზღვრული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა სარეგისტრაციო ბარათებით.

მუხლი 3. ეს კანონი, გარდა მე-2 მუხლისა ამოქმედდეს 2006 წლის 1 მარტიდან.

2. ამ კანონის მე-2 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2005 წლის 30 ივნისი.

№ 1830-რს

# საქართველოს კანონი
## „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 13(20), 1999 წელი, მუხ. 52) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საქმეებისა“.

2. 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან ორი კვირის ვადაში“.

3. 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26. სააღსრულებო მოქმედების დაწყება

სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის (ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით - საქართველოს იუსტიციის მინისტრის ადმინისტრაციული აქტის) საფუძველზე. სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს კრედიტორის მიერ კანონით გათვალისწინებული წინასწარი ხარჯის გაუღებლობის შემთხვევაში უარი თქვას გადაწყვეტილების აღსრულებაზე“.

4. 113.1. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 113.1. სააღსრულებო მოსაკრებელი

„სააღსრულებო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე დაწესდეს მოსაკრებელი თანხის გადასდევინებაზე და მისი ოდენობა განისაზღვროს ამოღებული თანხის 7%-ით. მოვალისაგან მოსაკრებელი ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. მოთხოვნის არასრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსაკრებელი იანგარიშება ფაქტობრივად ამოღებული თანხიდან. ამ

კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ დაუყოვნებლივ და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აღსასრულებელ გადაწყვეტილებებზე სააღსრულებო მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2005 წლის 1 ივლისი.
№ 1865-რს

# საქართველოს კანონი
## „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 13(20), 1999 წელი, მუხ. 52) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 2. აღსრულებას ქვემდებარე აქტები
ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ, სანოტარო აქტი და შემდეგი სასამართლო აქტები (შემდგომში - გადაწყვეტილება):
ა) კერძო სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება
ბ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, განჩინება და დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში;

გ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ."

დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ;

ე) გადახდის ბრძანება და ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე ბრძანება;

ვ) კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება;

ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება;

თ) იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით;

ი) სხვა სახელმწიფოს სასამართლოს, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით;

კ) ადამიანთა უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ევროპის კონვენციის თანახმად სავალდებულოა საქართველოსათვის".

2. 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.1. პუნქტი:

„3.1. ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს:

ა) სააღსრულებო ფურცლის გამცემი ნოტარიუსის სახელი, გვარი და სანოტარო ბიუროს მისამართი;

ბ) კრედიტორისა და მოვალის დასახელება და რეკვიზიტები;

გ) დებულების წარმოშობის საფუძველი;

დ) დებულების შესრულების დრო;

ე) აღსასრულებელი ვალდებულების სახე და მოცულობა;

ვ) სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი;

ზ) სანოტარო მოქმედებათა რეესტრში სააღსრულებო ფურცლის რეგისტრაციის ნომერი".

3. მე-40 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბათილია ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გარიგება, გარდა ამავე მუხლით მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ქონებაზე ყადაღის დადება ხელს არ უშლის მოგირავნეს, განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 278-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მოგირავნის მიერ ყადაღადადებული გირავნობის საგნის რეალიზაცია იწვევს ყადაღის გაუქმებას“.

4. 43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. თუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებისას ან ყადაღის დადების შემდეგ მოგირავნე განაცხადებს ამ ქონებაზე თავის უფლებას და სასამართლო აღმასრულებელს წარუდგენს გირავნობის უფლების დამადასტურებელ ამონაწერს შესაბამისი რეესტრიდან, სასამართლო აღმასრულებელი ათავისუფლებს ამ ქონებას ყადაღისაგან“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2006 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2005 წლის 30 ივნისი.
№ 1828-რს

# საქართველოს კანონი

## „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №012, 31.05.96, გვ. 15) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები;

1. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სანოტარო მოქმედებას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ასრულებს ნოტარიუსი ფიზიკური ან იურიდიული პირის შუამდგომლობით და მას აქვს იურიდიული შედეგი. სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტებს აქვს უდავო მტკიცებულებითი ძალა“.

2. 41-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) გასცემს სააღსრულებო ფურცელს;“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-7 პუნქტები:

„5. ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს დაგირავებული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტში წერილობით განმარტებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები.

6. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს აღსრულებას.

7. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის ასლს გასცემს სააღსრულებო ფურცლის გამცემი ნოტარიუსი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2006 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი

2005 წლის 30 ივნისი

№1829-რს

# საქართველოს კანონი

## „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 15.07.1998, გვ.11) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.1. მუხლი:

„მუხლი 1.1.

კანონში გამოყენებულ ტერმინებს ამ კანონის მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მოსარგებლე - პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით;

ბ) რეგისტრაცია - „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის 323 კანონის (პარლამენტის უწყებანი, 30.07.96, გვ. 28) მიღებამდე არსებული წესით საცხოვრებელ ფართში რეგისტრაცია (ჩაწერა).“.

2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

„1. თუ მხარეებს შორის არსებობს წერილობით შეთანხმება საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობაზე (სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე), მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისათვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისათვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 90%-ის გადახდის შემთხვევაში.

2. თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებელს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს

შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

3. თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისათვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისათვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში.

4. გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა).

5. თუ მოსარგებლეს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლება მოპოვებული აქვს ქირავნობის საფუძველზე, ის არ ჩაითვლება ამ კანონის 1.1. მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოსარგებლედ და მასზე არ ვრცელდება ამ კანონით დადგენილი უფლებები.

6. თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

7. თუ მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის შეთანხმება არ იქნა მიღწეული, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

8. იმ მესაკუთრეს, რომლის საცხოვრებელ სადგომშიც ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ იქნა მოსარგებლე, შეუძლია მოსარგებლეს მოსთხოვოს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფო აუნაზღაურებს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებას.

9. მოსარგებლე ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ კომპენსაციას სახელმწიფოსაგან მიიღებს მესაკუთრის ან მოსარგებლის მოთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

10. მესაკუთრეს უფლება აქვს ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული კომპენსაცია თავად აუნაზღაუროს მოსარგებლეს. ამ შემთხვევაში მესაკუთრე უფლებამოსილია სასამართლო წესით

მოითხოვოს მე-8 პუნქტით დადგენილი კომპენსაციის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება.

11. ამ მუხლით საცხოვრებელ სადგომად განისაზღვრება ის ფართი, რომელზედაც თავდაპირველად არსებობდა გარიგება მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის ან გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული აქტით.".

მე-3 და მე-4 მუხლები ამოღებულ იქნეს.

4. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6.

მესაკუთრე, რომელიც მოსარგებლეს მოსთხოვს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტას, ვალდებულია აუნაზღაუროს მოსარგებლეს მის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობესების ხარჯები საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით.".

5. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„მუხლი 8

თუ ამ კანონით დადგენილი უფლებები არ განხორციელდება 2010 წლის 1 იანვრამდე, მესაკუთრეს უფლება აქვს უბრალოდ მოსთხოვოს მოსარგებლეს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა.".

6. 8.1. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8.1.

ამ კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული კომპენსაციის გადახდის ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება 2007 წლის 1 იანვრიდან.".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2005 წლის 30 ივნისი.
№ 1815-Iს

## *გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა*


1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ
4. ინსტრუქცია სანოტარო მოქმედებათა შესახებ
5. დებულება ნოტარიუსთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები 1-5 წიგნები, ავტორთა კოლექტივი, მთავარი რედაქტორი ლადო ჭანტურია
7. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე – მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები
8. ლადო ჭანტურია – საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება
9. ზურაბ ახვლედიანი – მემკვიდრეობის სამართალი (საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით) თბილისი 1997 წელი
10. დავით სუხიტაშვილი – საქართველოს სანოტარო სამართალი, თბილისი 2002 წელი
11. ავთანდილ კობახიძე – სამოქალაქო სამართალი, I ზოგადი ნაწილი თბილისი 2001 წელი
12. ივანე ჯავახიშვილი – თხზულებანი 12 ტომად, თბილისი 1996 წ.
13. ნ. ლიაპიდევსკი – ნოტარიატის ისტორია, 1873 წ.
14. ნ. პოლტავსკაია, ლ. კუზნეცოვა – ნოტარიატი ლექციების კურსი, მოსკოვი, 1998 წ.
15. ოთარ ზოიძე – წინათქმა, საქართველოს ნოტარიატი № 1 2001 წ.
16. ლეილა მამულაშვილი – ლეგალიზაციის პროცედურა, საქართველოს ნოტარიატი № 1 2001 წ.

17. დავით ოყრომიძე – ნოტარიუსის მონაწილეობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველოს ნოტარატი №1 2001 წ.

18. ლელა ინწკირველი – ინფორმაცია ლ.ნ.ს.კ შესახებ, საქართველოს ნოტარატი 2001 წ. №1 გე. 66-68

19. ოთარ ზოიძე – საქართველოს ნოტარიატი არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივა, ჟურნალი საქართველოს ნოტარატი 2002 წ. 2(6)

20. ნინო გადელია – მემკვიდრეების სამართლის ზოგადი მიმოხილვა, საქართველოს ნოტარატი 2003 წ. №3-4

21. ნანი სიდამონიძე – სამემკვიდრეო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები, საქართველოს ნოტარატი 2003 წ. №5-6

22. თეა აბრამიძე – საქორწინო ხელშეკრულება, საქართველოს ნოტარატი 2003 წ. №3-4

23. საქართველოს ნოტარიატი, №4, 2005 წ.

24. საქართველოს ნოტარიატი, №1, 2006წ.

# სარჩევი

თემა პირველი ... 3

ლექცია I – შესავალი სპეციალობაში სანოტარო სამართლის საგანი, სანოტარო სამართლის წყაროები ... 3

სანოტარო სამართლის საგანი ... 3

სანოტარო სამართლის წყაროები ... 5

თემა მეორე ნოტარიატის ისტორია ... 9

ლექცია II – ნოტარიატის ისტორია ... 9

ნოტარიატი რომში, საეკლესიო ნოტარიატი, ნოტარიუსი გერმანულ ტომებში, ნოტარიუსთა კორპორაციები, ნოტარიატი საფრანგეთსა და გერმანიაში, სანოტარო დოკუმენტების შენახვის წესი, ნოტარიატი რუსეთში, ნოტარიატი საქართველოში ... 9

§1. ნოტარიატი რომში ... 9

§2. საეკლესიო ნოტარიატი ... 23

§3. ნოტარიუსი გერმანულ ტომებში ... 27

§4. ნოტარიუსთა კორპორაციები ... 41

§5. ნოტარიატი საფრანგეთსა და გერმანიაში ... 49

ნოტარიუსის პროფესიული მოქმედების სფერო რომსა და იტალიაში ... 55

სანოტარო დოკუმენტების შენახვის წესი ... 61

§6. ნოტარიატი რუსეთში ... 64

ნოტარიატის მოწყობის საკითხები ... 67

§7. ნოტარიატი საქართველოში ... 70

თემა მესამე ნოტარიატის საქმიანობის ძირითადი ორგანიზაციული პრინციპები ... 89

ლექცია III – ნოტარიატის ორგანიზაცია საქართველოში ... 89

ნოტარიატის ორგანოთა სისტემა საქართველოში ... 89

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. პალატის წევრობა. საწევრო გადასახადი ... 81

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ორგანიზაცია ... 83

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა, გამგეობის შემადგენლობა, გამგეობის კომპეტენცია, გამგეობის თავმჯდომარე, გამგეობის სხდომა, ანგარიშვალდებულება საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინაშე ... 85

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საფინანსო-სარევიზიო კომისია, სადისციპლინო კომისია, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი), სახელმწიფო კონტროლი ... 88

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატები ... 51

სანოტარო სამსახური. ნოტარიუსი, ნოტარიუსის თანამდებობაზე მიღების პირობები, ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება კონკურსით, სანოტარო ბიურო, ნოტარიუსის თანამდებობაზე მუშაობის დაწყება ... 92

სანოტარო საქმიანობის პრინციპები, სანოტარო მოქმედების შესრულება სხვა თანამდებობის პირის მიერ, ნოტარიუსის ძირითადი უფლებები. ნოტარიუსის ძირითადი ვალდებულებები, უარი სანოტარო

მოქმედების შესრულებაზე, სანოტარო მოქმედების შეზღუდვა, პროფესიული საიდუმლოება, ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობის გარანტიები, სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი, ნოტარიუსის ბეჭედი და ხელმოწერა. 95
ნოტარიუსის სამუშაოზე გამოუცხადებლობა, ნოტარიუსის შენაცვლება, ნოტარიუსის შემცვლელი პირი, ნოტარიუსის შემცვლელი პირის შრომის ანაზღაურება, ნოტარიუსის შემცვლელი პირის ქონებრივი პასუხისმგებლობა, ნოტარიუსობის კანდიდატი, სტაჟირება, სანოტარიუსო გამოცდა, სტაჟირების შეწყვეტა, ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნა. 100
დისციპლინური წარმოება, წარმოების დაწყების ფორმალური საფუძვლები, დისციპლინური კომისია, კომისიის მუშაობის წესი, დისციპლინური წარმოება იუსტიციის მინისტრის მიერ, უფლებამოსილების შეჩერება, თანამდებობიდან გადაყენება. 103
**თემა მეოთხე სანოტარო მოქმედებათა შესრულების ძირითადი წესები.** 106
**ლექცია IV – სანოტარო მოქმედებათა შესრულების ფორმალური წესები** 106
სანოტარო მოქმედებათა შესრულების ფორმალური წესები. 106
სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაცია და შენახვა, რეესტრის კოდი, რეესტრის გაცემის წესი, ჩანაწერი რეესტრში, სანოტარო აქტებისა და რეესტრების შენახვა, იმ ნოტარიუსის სანოტარო აქტების ფულისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შენახვა, რომელსაც შეუჩერდა, ან შეუწყდა უფლებამოსილება, ან რომლის სანოტარო ბიურო განთავსდა სხვა დასახლებულ პუნქტში, დაკარგული დოკუმენტების მოძიება. ასლის ამონაწერის, ცნობის გაცემა, ანდერძის გამოქვეყნება 116
**თემა მეხუთე სანოტარო მოქმედებების ცალკეულ სახეობათა შესრულების წესები** 120
**ლექცია V - სანოტარო მოქმედებების ცალკეულ სახეობათა შესრულების წესები** 120
სამკვიდრო მოწმობის გაცემა 120
მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების გაცემა 136
გარიგებათა დამოწმება, გარიგებათა დამოწმების ზოგადი პირობები. 138
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებები 144
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისებისა და მათი სხვაგვარი დატვირთვის შესახებ გარიგების დამოწმება 146
მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, ბინის (ან მათი ნაწილის) გასხვისების დამოწმება 150
საქორწინო ხელშეკრულების დამოწმება 160
ანდერძის დადასტურება 168
რწმუნებულებათა დადასტურება 180
ქონების იპოთეკით დატვირთვის ხელშეკრულების დამოწმება 184
იურიდიული პირების მონაწილეობით სანოტარო აქტის შედგენის საფუძვლები, კომერციული იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში

პარტნიორის (აქციონერის) წილთან (აქციასთან) დაკავშირებული გარიგებები, საწესდებო კაპიტალის ქონებრივი შენატანით შევსების წესი ........ 186
სანოტარო მოქმედებები კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებისა და მათი შემდგომი საქმიანობის პროცესში ........ 189
ფაქტებისა და განცხადებების დამოწმება და დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილების დადასტურება ........ 194
ფულისა და ფასიანი ქაღალდის დეპოზიტში მიღება ........ 196
საზღვაო პროტესტების შესრულება ........ 199
ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან ფიზიკური პირის იგივეობის დადასტურება, დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება, ფიზიკური პირის ცოცხლად ყოფნის დადასტურება, მოთხოვნებისა და განცხადების გადაცემა, სხვა ფაქტების დადასტურება ........ 200
დოკუმენტის ასლებისა და მათი ამონაწერების სისწორის დადასტურება ........ 202
ერთი ენიდან მეორეზე დოკუმენტის თარგმნის სიწორის დამოწმება ........ 204
თამასუქის გადაუხდელობისათვის პროტესტის, აგრეთვე უაქცეპტო და დაუთარიღებელი აქცეპტის და ჩეკის გაუნაღდებლობის დადასტურება ........ 205
სააღსრულებო წარწერები ........ 207
საქართველოს კანონმდებლობის გამოყენება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. უცხოეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის გამოყენება, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ........ 210
**თემა მეექვსე დოკუმენტები, რომლებიც ნოტარიალურ წარმოებაში გამოიყენება** ........ 216
**ლექცია VI – დოკუმენტები, რომლებიც ნოტარიალურ წარმოებაში გამოიყენება. მათი შედგენის წესი და ნიმუშები** ........ 216
დოკუმენტები, რომლებიც ნოტარიალურ წარმოებაში გამოიყენება და მათი შედგენის წესი ........ 216
**ლექცია VII – დოკუმენტები, რომლებიც ნოტარიალურ წარმოებაში გამოიყენება. მათი შედგენის წესი და ნიმუშები** ........ 223
**თემა მეშვიდე ლათინური ნოტარიატის ინტერნაციონალური კავშირი (ლ.ნ.ს.კ)** ........ 320
**ლექცია VIII – ლათინური ნოტარიატის ინტერნაციონალური კავშირი (ლ.ნ.ს.კ), ნოტარიუსი და სანოტარო ფუნქცია, სანოტარო დოკუმენტები** ........ 320
ლათინური ნოტარიატის ინტერნაციონალური კავშირი (ლ.ნ.ს.კ) ........ 320
1. ნოტარიუსი და სანოტარო ფუნქცია ........ 328
2. სანოტარო დოკუმენტი ........ 328
3. ნოტარიატის პროფესიული ორგანიზაცია ........ 330
საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ ........ 331
საკანონმდებლო ცვლილებები ........ 365
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ........ 383